პროგრამა „მომავლის თაობა“

საკითხავი მასალა

მასწავლებელთა პროფესიული გადამზადების პროგრამა „დემოკრატიული მოქალაქეობის სწავლება“

სამოქალაქო განათლების პროგრამა „მომავლის თაობა“ ხორციელდება ორგანიზაცია PH International-ის მიერ კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრთან პარტნიორობით.

პროგრამის ფინანსურ მხარდაჭერას უზრუნველყოფს აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID).

მოცემული ტრენინგ პროგრამა მომზადდა ამერიკელი ხალხის მხარდაჭერისა და ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ძალისხმევის საფუძველზე. ერთპიროვნული პასუხისმგებლობა მოცემულ დოკუმენტში ასახული ინფორმაციისა და მასში გამოთქმული მოსაზრებების თაობაზე ეკისრება კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრს და ის არ წარმოადგენს ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა ან ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის შეხედულებებს.

მოდული 1:

სამოქალაქო განათლების მნიშვნელობა და სკოლის როლი

1.1 სამოქალაქო განათლების არსი და მიზნები

ამონარიდები ეროვნული სასწავლო გეგმიდან

სამოქალაქო განათლების სწავლება საქართველოში ეროვნული სასწავლო გეგმის შემოღებასთან ერთად, 2005 წელს დაიწყო. ეს საგანი საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივ ჯგუფშია გაერთიანებული მომიჯნავე საგნებთან ერთად. სამოქალაქო განათლების მომიჯნავე საგნებია ისტორია, გეოგრაფია, სამოქალაქო თავდაცვა და უსაფრთხოება. საქართველოს ზოგადი განათლების სისტემაში მათ საკვანძო ადგილი უჭირავს. ისინი ხელს უწყობს ინფორმირებული, აქტიური და პასუხისმგებლობის გრძნობის მქონე მოქალაქის აღზრდას. აწვდის მოსწავლეს ინფორმაციას მშობლიური გარემოს შესახებ. განაპირობებს მის პატრიოტ და ჰუმანურ ადამიანად ჩამოყალიბებას. ამასთან, აღნიშნული საგნების სწავლებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მოსწავლისათვის სამოქალაქო კომპეტენციების შემუშავებისა და საზოგადოებაში სამოქალაქო კულტურის დამკვიდრებისათვის. ზოგადი განათლების სამივე საფეხურზე (დაწყებითი, საბაზო და საშუალო სკოლა) ეს საგნები ისწავლება კოორდინირებულად, მოსწავლის ასაკობრივი თავისებურებებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით. სასწავლო პროცესი აგებულია მემკვიდრეობითობისა და უწყვეტობის პრინციპზე.

სამოქალაქო განათლების სწავლების მიზნები და ამოცანები

სამოქალაქო განათლების სწავლების მიზანია:

- მოსწავლეს ცოდნა შესძინოს სამართლის, ეკონომიკის, პოლიტიკისა და სხვა საზოგადოებრივი მეცნიერებების საფუძვლებში.
- დაეხმაროს მოსწავლეს სამყაროს ერთ მთლიანობად აღქმაში და მიმდინარე პროცესებში საქართველოს ადგილის განსაზღვრაში.
- ხელი შეუწყოს მოსწავლის პატრიოტად და პასუხისმგებლობის მქონე მოქალაქედ ჩამოყალიბებას.
- ხელი შეუწყოს მოსწავლის თავისუფალ პიროვნებად და საზოგადოების სრულფასოვან წევრად ჩამოყალიბებას.
- დაეხმაროს მოსწავლეს ჰუმანური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში.
- ახალგაზრდებს გამოუმუშავდეთ მტკიცე ნებისყოფა და შეეძლოთ ურთიერთდახმარება.

ცოდნა

სამოქალაქო განათლება ხელს უწყობს ცოდნის შეძენას, რაც აუცილებელია მოზარდის თავისუფალ პიროვნებად და პასუხისმგებლობის მქონე მოქალაქედ ჩამოყალიბებისათვის. სხვადასხვა საზოგადოებრივი მეცნიერების შესწავლა ეხმარება მოსწავლეს, რომ მსოფლიო კონტექსტში გაიაზროს საკუთარი ქვეყნის სახელმწიფოებრივი, კულტურული, ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესები. იმავდროულად, მოსწავლემ უნდა იცოდეს, როგორ ბუნებრივ გარემოში ცხოვრობს, რა ზიანი შეიძლება მიაყენოს გარემოს ადამიანის ამა თუ იმ მოქმედებამ, როგორ შეინარჩუნოს და დაიცვას ბუნებრივი გარემო. სამოქალაქო განათლების კურსის შესწავლით მოზარდს უვითარდება ცოდნა პირად, ოჯახურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების მიღება-განხორციელების შესახებ. დღევანდელ დინამიკურ, ეთნიკურად და კულტურულად მრავალფეროვან სამყაროში საზოგადოების ფუნქციონირებისათვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ურთიერთშემეცნება. სწორედ, სამოქალაქო განათლების საშუალებით ხდება ცოდნის მიღება, რომელიც ეხმარება მოსწავლეს ადამიანის უფლებების დაცვასა და პიროვნების პატივისცემაში, საკუთარი და სხვისი თვითმყოფადობის შენარჩუნებაში.

მოსწავლემ, ასაკის შესაბამისად, ცოდნის ნაბიჯ-ნაბიჯ შეძენის გზით, უნდა იცოდეს თუ რა არის პოლიტიკური სისტემა, კანონი, როგორი პოლიტიკური სისტემები არსებობს; უნდა გააცნობიეროს საკუთარი პასუხისმგებლობები და უფლებები დემოკრატიული საზოგადოებისა და კანონის უზენაესობის წინაშე; უნდა იცნობდეს ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო ჩარჩოებს, ადამიანის უფლებათა დაცვის მექანიზმებსა და საშუალებებს საქართველოში და ა.შ.

მოსწავლე უნდა აცნობიერებდეს თავს, როგორც საკუთარი ოჯახის, საზოგადოების, სასკოლო თემისა თუ კლასის, სამეზობლო თემის, რეფერენტული ჯგუფის (იქნება ეს ეთნიკური თუ რელიგიური უმცირესობა თუ სატიტულო ნაცია და ა.შ.), ქართული საზოგადოების წევრად; იცნობდეს საკუთარი ქვეყნის, საზოგადოებისა და რეფერენტული თემის კულტურას; საქართველოში თუ მსოფლიოში მცხოვრები სხვა საზოგადოებების კულტურას; იაზრებდეს, რას ნიშნავს ზრუნვის ეთიკა, რატომ არის ის ღირებული და ა.შ.

მოსწავლე ნაბიჯ-ნაბიჯ, საფეხურებრივად, უნდა გაეცნოს თავისი ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის ძირითად ასპექტებს: საქონლის, მომსახურების, შრომისა და სამომხმარებლო ბაზარს, მინიმალურ ხელფასს, მსყიდველუნარიანობას და ა.შ.; შეძლებისდაგვარად, უნდა იყოს ინფორმირებული მომხმარებლის უფლებებსა და მოვალეობებზე, პასუხისმგებლობითი და ეთიკური მოხმარების მნიშვნელობასა და პრინციპებზე; გამჭვირვალობის მნიშვნელობაზე და ა.შ.

მოსწავლემ უნდა ნაბიჯ-ნაბიჯ, საფეხურეობრივად შეითვისოს ცოდნა ისეთ სფეროებზე, როგორიცაა მდგრადი განვითარება, გარემოს დაცვა, ცხოვრების ჯანსაღი წესი, სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში სიტუაციების შეფასება, საგანგებო ვითარებებში მოქმედება, ინდივიდუალური და კოლექტიური დაცვის საშუალებების გამოყენება, დაზარალებულთათვის ექიმამდელი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენა; უნდა შეიგრძნოს

საკუთარი ქვეყნის, რეგიონის კავშირი ევროპასა და მსოფლიოში მიმდინარე პროცესებთან; უნდა გააცნობიეროს ყველა ამ პროცესის ურთიერთკავშირი; უნდა გააცნობიეროს კაცობრიობის, როგორც მსოფლიოს ერთიანი საზოგადოების, წინაშე მდგარი პოლიტიკური, ეკონომიკური, გარემოსდაცვითი და სოციალური გამოწვევები.

ამ პროცესში იგულისხმება, რომ მოსწავლეს ინფორმაციის დაუფლების პარალელურად უვითარდება სპეციფიკური და ზოგადი უნარ-ჩვევები, უყალიბდება მაღალზნეობრივი ღირებულებები.

კონკრეტული თემატიკა/საკითხები/კონცეფციები გაშლილია თითოეული კლასისა და საგნის პროგრამის შინაარსში. აღნიშნული ცოდნის შეძენა ითვალისწინებს როგორც საგნობრივ სპეციფიკასა და უწყვეტობას, ისე მოსწავლეების ასაკობრივ შესაძლებლობებს.

უნარ–ჩვევები

მშობლიური ქვეყნისა და მსოფლიოს მნიშვნელოვანი ისტორიულ-გეოგრაფიული მოვლენების შესწავლის პროცესში მოსწავლეს უნდა განუვითარდეს შემდეგი უნარები:

- ინფორმაციის მოპოვება და ორგანიზება;
- კომუნიკაცია;
- სწავლის უნარი;
- კვლევა;
- შემოქმედებითი უნარი;
- ფაქტებისა და მოვლენების ისტორიული ინტერპრეტაცია;
- თვალსაჩინოებების გამოყენება და შექმნა;
- თანამშრომლობა;
- სამოქალაქო პოზიციის შემუშავება, კრიტიკა და დაცვა;
- ტოლერანტობა;
- პიროვნული და საზოგადოებრივი პრობლემის გააზრება და სხვადასხვა საკითხებს შორის კავშირების დადგენა;
- პიროვნული და საზოგადოებრივი პრობლემის გადაჭრა;
- საზოგადოებრივი სიტუაციებისა და პროცესების მოდელირება.

დამოკიდებულებები

მოსწავლე უნდა აღიზარდოს მაღალზნეობრივ ღირებულებებზე დაფუძნებული დამოკიდებულებებით:

- ადამიანის სიცოცხლის, ღირსებისა და უფლებების პატივისცემა;
- თანაგრძნობა და მზრუნველობა;

- სამშობლოს სიყვარული;
- პრინციპულობა და მოქალაქეობრივი სიმამაცე;
- კეთილსინდისიერება და შრომისმოყვარეობა;
- თანასწორობა;
- ტოლერანტობა;
- პროფესიონალიზმი;
- სამართლიანობა და კანონის პატივისცემა;
- უსაფრთხო, ჯანმრთელი ცხოვრების წესის გაზიარება;
- ადამიანის სიცოცხლის ხელშეუხებლობა და მის ჯანმრთელობაზე ზრუნვა;
- სახელმწიფოსა და მისი გმირებისადმი პატივისცემა.

1.2 სამოქალაქო საზოგადოება სახელმწიფოსთან მიმართებაში: ცნების ევოლუცია ისტორიაში

მარინა მუსხელიშვილი

სტატია ამოღებულია კონსულტაციის და ტრენინგის ცენტრის
სემინარების კურსიდან ახალგაზრდებისათვის თემაზე
„სამოქალაქო საზოგადოების განვითარება საქართველოში"
2006 წელი

სამოქალაქო საზოგადოების ცნება ახალი არ არის, მაგრამ მან დროთა განმავლობაში რამდენჯერმე შეიცვალა მნიშვნელობა. ცნების ევოლუციის ისტორიის გაცნობა სასარგებლო იქნება მის დღევანდელ შინაარსში უკეთ გარკვევისთვის.ა

სამოქალაქო საზოგადოების ცნებას, ანდა იდეას, ძველ ბერძნულ ცივილიზაციაში, ან თუნდაც განმანათლებლობის ეპოქაში, დღევანდელთან შედარებით ბევრად უფრო ფართო შინაარსობრივი დატვირთვა გააჩნდა. ამ განხილვისას ცვენ მივყვებით დომინოკ კოლას "პოლიტიკური სოციოლოგიის" სახელმძღვანელოს.

არისტოტელესთვის სამოქალაქო საზოგადოება იგივე იყო, რაც „პოლიტიკური ერთობა". ის, რასაც არისტოტელე უწოდებს ოლის (ქალაქი-სახელმწიფო) და რასაც წარმოადგენდა ათენი ძვ. წ. V საუკუნეში, ბერძენი ფილოსოფოსისათვის იყო იმავდროულად „პოლიტიკური ერთობა", ან „პოლიტიკური საზოგადოება", ანდა „სამოქალაქო საზოგადოება". არისტოტელეს მიხედვით ადამიანი არის პოლიტიკური ცხოველი ("ზოონ პოლიტიკონ"), ვინაიდან მას შეუძლია იცხოვროს სამოქალაქო, ანუ პოლიტიკურ საზოგადოებაში; ის არის მოქალაქე, ან, უფრო სწორად, მისთვის დამახასიათებელია ორგანიზებული პოლიტიკური ერთობლიობის წევრობა, სახელმწიფოს (ანუ ქალაქი-სახელმწიფოს) წევრობა, რომელიც შედგენილია მოქალაქეებისაგან. რასაკვირველია, არისტოტელეს დროის ყველა ადამიანი არ ცხოვრობდა პოლიტიკურ ერთობაში, სამოქალაქო საზოგადოებაში, ქალაქში ანუ სახელმწიფოში; არსებობდნენ ბარბაროსები, რომლებიც ერთიანდებოდნენ ეთნოსების (ხალხების) სახით. მაგრამ მათი თვითორგანიზების ეს ფორმა პოლისთან შედარებით უფრო დაბალ დონეზე იყო და არ ატარებდა „პოლიტიკური ერთობის" ნიშნებს. მაგრამ ადამიანი სხვა ცოცხალი არსებებისგან განსხვავდება თავისი ბუნებით, იმ თავისებურებით, რომ ადამიანი არის პოლიტიკური ცხოველი, ანუ გააჩნია უნარი იცხოვროს პოლიტიკური საზოგადოების სახით.

არისტოტელესთვის სამოქალაქო საზოგადოება, ქალაქი, ნებისმიერი სხვა სახის ასოციაციაზე მაღლა დგას, ვინაიდან მოიცავს ყველა სხვა ასოციაციას (ოჯახი, საძმო, სამუშაო ჯგუფი) და ისახავს არა განსაკუთრებულ, კერძო, არამედ ყველასათვის საერთო მიზანს. სამოქალაქო საზოგადოების მიზანი არის ყველას ინტერესი და ეს მიზანი მაღლა დგას ყველა დანარჩენ მიზანთან შედარებით. ამასთან ქალაქი, სამოქალაქო საზოგადოება არის ის ადგილი, სადაც ხდება სამართლიანობის გამიჯვნა უსამართლობისგან, ამგვარად, სწორედ აქ წარმოჩინდება ადამიანი ყველაზე დიდი სიმაღლით.

დაწყებული არისტოტელედან და დამთავრებული რუსოთი, ეს ორი ტერმინი, რომელიც დღეს ესოდენ ხშირადაა დაპირისპირებული – „სახელმწიფო“ და „სამოქალაქო საზოგადოება“ – დიდხანს სინონიმებს წარმოადგენდნენ, სანამ არ მოხდებოდა ამ ცნებების დაშორიშორება.

თუმცა, თანამედროვე ეპოქამდე „სახელმწიფოსაც“ დღევანდელისგან საკმაოდ დაშორებული მნიშვნელობა გააჩნდა. სახელმწიფო, მისი თანამედროვე, უნივერსალისტური გაგებით, ანუ ერი-სახელმწიფო, სამართლებრივი სახელმწიფო, ეკონომიკისგან და რელიგიისგან ცალკე მდგომი ინსტიტუტი, კაცობრიობის ისტორიის შედარებით გვიანდელი ეპოქის პროდუქტია. მხოლოდ რეფორმაციის პერიოდში ხდება ლეგიტიმური სახელმწიფო, რომელიც გამოყოფილია ეკლესიისგან, რაც შემდგომში სამოქალაქო საზოგადოების იდეოლოგიური პლურალიზმის დამკვიდრების საწინდარი გახდა. ნეტარი ავგუსტინესთვის ამქვეყნიური საზოგადოება უპირისპირდება ღვთის ქალაქს. გამომდინარე იქიდან, რომ ადამიანები არიან ცოდვილები და ბოროტებისკენ მიდრეკილნი, მათ სჭირდებათ სახელმწიფო, ანუ სამოქალაქო საზოგადოება (ღვთის სამფლობელოსა და ეკლესიის საპირისპიროდ), რომელიც დაამყარებს წესრიგს და დაიცავს მშვიდობას. და თუმცა ღვთის ქალაქს უპირობო პრიორიტეტი ენიჭება, დედამიწაზე ღვთის ქალაქის დამყარების შეუძლებლობა ლეგიტიმურს ხდის ამქვეყნიური პოლიტიკისა და სახელმწიფოს არსებობას.

შემდგომში, როდესაც ჩნდება სახელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოების საკონტრაქტო თეორია (პოლიტიკური ერთობა იქმნება ადამიანთა შეთანხმების, კონტრაქტის საფუძველზე), ჰობსი ასაბუთებს სამოქალაქო საზოგადოების, ანუ პოლიტიკური წესრიგის საჭიროებას იმ ვარაუდიდან გამომდინარე, რომ ადამიანები „ბუნებრივ მდგომარეობაში“ მიდრეკილები არიან დესტრუქციული კონფლიქტებისკენ. თუ ადამიანებმა არ შექმნეს სამოქალაქო საზოგადოება, მათ მოელით „ყველას ომი ყველას წინააღმდეგ“. სამოქალაქო საზოგადოება იძლევა საშუალებას დამყარდეს ყოვლისშემძლე პოლიტიკური ძალაუფლება, რომელიც ამავე დროს ვერ წაართმევს ადამიანებს მათ უფლებებს. ამგვარად, აქ უკვე ლაპარაკია ადამიანთა ბუნებრივ უფლებებზე, რომელთა დაცვასაც ემსახურება სახელმწიფო. ქვემოთ, როდესაც ჩვენ განვიხილავთ სამოქალაქო საზოგადოების გავრცელებულ თანამედროვე ხედვას - როგორც სახელმწიფოსგან განსხვავებული შუალედური წარმონაქმნისა, რომელიც იცავს ადამიანის თავისუფლებას სახელმწიფოს ძალაუფლების გადამეტებული ზრდისგან, არ

უნდა დავივიწყოთ, რომ სწორედ სახელმწიფო არის ამ უფლებების რეალიზების მთავარი გარანტი, და რომ სახელმწიფოსგან ავტონომიური სამოქალაქო საზოგადოების არსებობა შესაძლებელი ხდება მხოლოდ ძლიერი სახელმწიფოს არსებობის შემთხვევაში.

რუსოც, ჰობსის მსგავსად ხაზს უსვამდა საკონტრაქტო ურთიერთობების მნიშვნელობას პოლიტიკური ერთობის ფორმირებაში და სამოქალაქო საზოგადოებას ბუნებრივ მდგომარეობას უპირისპირებდა. მაგრამ მისთვის ბუნებრივი მდგომარეობა არ წარმოადგენს კონფლიქტურ არსებობას. პირიქით, ბუნებრივ მდგომარეობაში განმარტოებულ ადამიანს ბედნიერი არსებობა ჰქონდა. ადამიანი იძულებულია მიმართოს სხვა ადამიანებს თანამშრომლობისათვის, დადოს მათთან კონტრაქტი და შექმნას სამოქალაქო საზოგადოება, ვინაიდან ეს მას გადასარჩენად სჭირდება, მაგრამ სწორედ სამოქალაქო საზოგადოებაში სწავლობს იგი აგრესიასა და კონფლიქტს. რუსოს მიხედვით სამოქალაქო საზოგადოების შექმნაზე შეთანხმების მიღწევით ადამიანები თმობენ თავისი ინდივიდუალიზმის და თავისუფლების ნაწილს კოლექტივის სასარგებლოდ, ემორჩილებიან მას. რუსოს „კარგი მოქალაქე“ „თავის კერძო სურვილებს უქვემდებარებს საერთო მოსწრაფებებს“, წარმოადგენს მთლიანობის განუყოფელ ნაწილს. „კარგი მოქალაქის“ ამგვარი, ერთგვარად კოლექტივისტური თეორია მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში შოტლანდიელი მორალისტების ადამ სმიტის, ადამ ფერგიუსონის და სხვების ნაშრომებში თანდათან იცვლება თანამედროვე სამოქალაქო საზოგადოების ლიბერალურ-ინდივიდუალისტური კონცეფციით.

ადამ ფერგიუსონის ნაშრომი არის ერთ-ერთი პირველი, რომელშიაც სამოქალაქო საზოგადოება წარმოჩინდება სახელმწიფოსთან დაპირისპირებაში. გელნერის მიხევით, ფერგიუსონი აღწერდა იმას, რაც მის თვალწინ ხდებოდა - არისტოკრატიული საზოგადოების გარდაქმნას კომერციულ საზოგადოებად, და ადამიანის და სახელმწიფოს ურთიერთობების ცვლას. ფერგიუსონს აწუხებდა კითხვა - როგორ შეიძლება ამ ახალ წესრიგში, რომელიც დაფუძნებულია შრომის განაწილებაზე, მოქალაქე არ აღმოჩნდეს დამონებული სახელმწიფოს მიერ? როდესაც ადამიანების ერთმა ნაწილმა - მოქალაქეებმა იციან მხოლოდ ფეხსაცმლის კერვა ან სხვა ხელობა, ხოლო სხვებს - პოლიტიკოსებს და მეომრებს ევალებათ მათი დაცვა, ხომ არ დაიმორჩილებენ ეს უკანასკნელები მათ, ვისი დაცვაც შეადგენს მათ მოვალეობას?

ეს ახალი ეკონომიკური და სოციალური კონტექსტი, რომელიც აქტუალურს ხდის სამოქალაქო საზოგადოების არსებობას, ისტორიულად და თეორიულად უკავშირდება მეთვრამეტე საუკუნეში (და თანამედროვე კაპიტალისტური კულტურის წარმოქმნაში) კერძო და საზოგადოებრივი სფეროების, ეკონომიკისა და სახელმწიფოს ერთმანეთისგან დაშორიშორებას.

თანამედროვეობის ეპოქაში ევროპის შესვლის პროცესი უკავშირდება ადგილობრივი, ტერიტორიული და ძირძველი კავშირების რღვევას, ტრადიციული იერარქიული სოციალური სტრუქტურის მოშლას. ნათესაურ-მეგობრული, ტერიტორიული და ადგილობრივი ჩვეულებები, რომლებიც განსაზღვრავდა და აკავშირებდა დასავლურ ევროპულ საზოგადოებებს ვეღარ ახორციელებენ ადრინდელ შემაკავშირებელ როლს

ახალ საბაზრო ურთიერთობებში, რომლებიც აგებულია გათვლაზე, ინტერესზე, კონტრაქტზე და ახალ იდუსტრიულ წარმოებაზე, რომელიც შრომის დანაწილებას მოითხოვს.

კაპიტალისტური სულისკვეთება და ინდუსტრიული რევოლუცია, შრომის განაწილება და საბაზრო ეკონომიკის განვითარება, ტრადიციული საზოგადოებრივი კავშირების რღვევა და საზოგადოებრივი ურთიერთობების რაციონალიზაცია და ფორმალიზაცია, საბოლოო ჯამში აყალიბებენ ერთის მხრივ, ეროვნულ სახელმწიფოებს მათი დღევანდელი ფორმით, ხოლო მეორეს მხრივ - სახელმწიფოსგან გამოყოფილ სამოქალაქო საზოგადოებას. რას წარმოადგენს ეს ახალი სამოქალაქო საზოგადოება, რომელიც, როგორც ზემოთ ითქვა, თანამედროვე ეპოქამ წარმოქმნა, და რა მიმართებაშია იგი სახელმწიფოსთან?

განმანათლებლური აზროვნების დიდი მიღწევა იყო იმის გააზრება, რომ სამოქალაქო საზოგადოება ისტორიულად ჩამოყალიბდა როგორც შუალედური წარმონაქმნი პირად ცხოვრებასა და პოლიტიკურ სახელმწიფოს შორის. ეს ხედვა არ იყო წმინდა თეორეტიზების შედეგი, არამედ ასახავდა საზოგადოებრივი ცხოვრების იმ სფეროს ზრდას, რომელიც ფაქტობრივად დამოუკიდებელი იყო პოლიტიკური საზოგადოებისგან და ეფუძნებოდა ჩამოყალიბების პროცესში მყოფი კომერციის, გაცვლისა და შრომის დანაწილებაზე დაფუძნებული წარმოების ბურჟუაზიულ სამყაროს. სამოქალაქო საზოგადოების სფეროში ინდივიდი მოღვაწეობს პირველ რიგში როგორც კერძო საკუთრების დამოუკიდებელი მეპატრონე (როგორიც არ უნდა იყოს ეს საკუთრება - კაპიტალი, მიწა, ფული, კერძო ქონება, სამუშაო ძალა ან საკუთარი თავი). ეს ადამიანი იღვწის პირადი მიზნების მისაღწევად, რისთვისაც თავისუფლად ამყარებს ურთიერთობებს სხვა ადამიანებთან, თვითონვე აყალიბებს ამ ურთიერთობებს.

სამოქალაქო საზოგადოება ამგვარად მოქცეულია ორ პოლუსს - კერძო საკუთრებასა და სახელმწიფოს - შორის. კერძო საკუთრება აქ განიხილება როგორც ბუნებრივი თავისუფლების რეალიზება, როგორც კაცობრიობის ემანსიპაცია და განთავისუფლება პიროვნული დამოკიდებულებისგან, წოდებრივი უთანასწორობისგან და სხვა უსამართლობებისგან, რომლებიც ძველ პოლიტიკურ წესრიგს ახასიათებდა, როგორც თანამედროვე სამყაროში თავისუფლების წინაპირობა. კერძო საკუთრება აქ ჩნდება როგორც პიროვნული უფლებების, უნივერსალური თანასწორობისა და სხვების უფლებათა პატივისცემის მატერიალური საფუძველი.

სამოქალაქო საზოგადოება იქმნება როგორც „მოქალაქე (ბიურგერი) ინდივიდების“ საზოგადოება, რომელიც არ არის თავისუფალი კონფლიქტებისგან; ამ კონფლიქტებს განაპირობებს კლასობრივი უთანასწორობა კაპიტალის, მიწის და შრომის მფლობელებს შორის, ბაზრის ანარქიული ხასიათი, ეკონომიკური კრიზისები და სხვ. ამგვარად, საჭიროა სახელმწიფო, რომელიც მოაგვარებს ამ კონფლიქტებს, შეზღუდავს ბაზრის ნეგატიურ გამოვლინებებს და საზოგადოების არსებობას დააფუძნებს იმ უნივერსალურ პრინციპებზე, რომლებიც აკლია სამოქალაქო საზოგადოებას.

ორი პოლუსი, სახელმწიფო და ბაზარი, რომელთა შორისაცაა მოქცეული სამოქალაქო საზოგადოება, განსხვავებულია თავისი ბუნებით. სახელმწიფო არის ცენტრალიზებული წარმონაქმნი, მარეგულირებელი ორგანიზაცია, რომელიც თანამედროვეობის ეპოქაში ჩამოყალიბდა როგორც ეროვნული სამართლებრივი სახელმწიფო, ძალა, რომელიც „ფლობს ძალადობის გამოყენების ლეგიტიმურ მონოპოლიას მოცემულ ტერიტორიაზე“ (ვებერი). ამავე დროს თანამედროვეობის ეპოქა - ეს არის დეცენტრალიზებული ინდუსტრიული საბაზრო ეკონომიკის ეპოქა. ეს ეკონომიკა არ შეიძლება იყოს ცენტრალიზებული, თუკი გვსურს, რომ ის იყოს ეფექტიანი. მზარდი ეკონომიკური განვითარება გულისხმობს თავისუფალ ეკონომიკურ სუბიექტს, მესაკუთრეს, რომელიც არ არის შთანთქმული სახელმწიფოს მიერ. როგორ უნდა ჩაირთოს ეს ინდივიდუალური, ეგოისტური ელემენტი მთლიან ერთობაში ისე, რომ არ მოხდეს მისი პირადი თავისუფლების სრული ჩამორთმევა მთლიანის, სახელმწიფოს მიერ?

ჰეგელის აზრით, კორპორაციების შექმნა, რაც სამოქალაქო საზოგადოების სტრუქტურირებას ახდენს და იცავს ადამიანებს სოციალური დანაწევრებისგან (რომელიც შეიძლება გამოიწვიოს თითოეული ინდივიდის მიერ მხოლოდ საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებამ), შესაძლებელი ხდება სწორედ უნივერსალური სახელმწიფოს პირობებში. სწორედ სახელმწიფო არის სამოქალაქო საზოგადოების არსებობის წინაპირობა. სახელმწიფოს გარეშე სამოქალაქო საზოგადოება დაიშლება, ვინაიდან თანამედროვე ეკონომიკურ ურთიერთობების არსებობის რეალობიდან გამომდინარე მას ვეღარ აკავშირებენ ტრადიციული, ოჯახური, პატრიარქალური სოციალური ურთიერთობები.

მარქსმა კრიტიკის ქარ-ცეცხლში გაატარა ჰეგელის თეორია. მარქსის მტკიცებით, სახელმწიფო არ წარმოადგენს სამოქალაქო საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფებს შორის არსებულ კონფლიქტზე მაღლა მდგომ წარმონაქმნს; პირიქით, სახელმწიფო ექცევა სამოქალაქო საზოგადოების ერთ-ერთი ჯგუფის, გაბატონებული კლასის, ბურჟუაზიის გავლენის ქვეშ და იქცევა მის იარაღად სხვა კლასების დამორჩილების საქმეში. სწორედ ამიტომ, მარქსის შეხედულებით, კლასთა შორის ბრძოლის დასრულებით, კაპიტალიზმიდან კომუნიზმზე გადასვლით უნდა მოხდეს სახელმწიფოს სიკვდილი.

პრაქტიკაში, მარქსის ლენინისეული ინტერპრეტაციის სახით, სახელმწიფო არ გამქრალა, არამედ გადაიქცა პარტია-სახელმწიფოდ და საბოლოო ჯამში სრულიად შთანთქა სამოქალაქო საზოგადოება (რომელიც, მარქსის მიხედვით, რუსეთში არც არსებობდა). საბოლოო ჯამში მოხდა სახელმწიფოს „ტოტალიტარიზაცია“. ტოტალიტარიზმი კი, ზოგიერთი მკვლევარის აზრით ხასიათდება სწორედ სახელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოების შერწყმით.

სამოქალაქო საზოგადოება და პოსტ-კომუნიზმი; ვაცლავ ჰაველი

სამოქალაქო საზოგადოების განვითარების იდეის წინ წამოწევა, რაც გაიგივებული იყო ოფიციალური კომუნიზმის წინააღმდეგ ბრძოლასთან 1980-იან წლებში ცენტრალურ და

აღმოსავლეთ ევროპაში, აკავშირებს ამ ცნების ყურადღების ცენტრში მოქცევას ამ ქვეყნებში შექმნილ პოლიტიკურ კონტექსტთან - მტრულ განწყობასთან არა მარტო ოფიციალური კომუნიზმის მიმართ, არამედ მარქსისა და მარქსიზმის მიმართ. მარქსიზმი განიხილებოდა ძირითად მტრად, ვინაიდან ის იყო სამოქალაქო საზოგადოების ყველაზე გავლენიანი გაცხადებული მოწინააღმდეგე. ამ პოლიტიკურმა კონტექსტმა დაღი დაასვა სამოქალაქო საზოგადოების თანამედროვე თეორიას, რომლითაც, მიუხედავად განსხვავებული მიდგომების გამოყენებისა, ხდება სამოქალაქო საზოგადოების რომანტიზაცია, იგი ყველა სხვა სფეროსთან -სახელმწიფოსთან, ეკონომიკასთან, ოჯახთან შედარებით წინ არის წამოწეული და ცენტრალური ადგილი უჭირავს.

ამ თეორიის მიხედვით, თანამედროვე სამყაროში სამოქალაქო საზოგადოება არის თავისუფლების ფუძემდებლური წყარო. საჭიროა სამოქალაქო საზოგადოების დაცვა ყველა იმ აგრესიული ძალისგან, რომელიც მას თრგუნავს: ერთი მხრივ, სახელმწიფოს პოლიტიკური ძალაუფლებისგან, ხოლო მეორეს მხრივ - ფულის ეკონომიკური ძალისგან. სამოქალაქო საზოგადოების ეს თეორია ათავსებს მას ბარიკადების ერთ მხარეს მოქმედებასთან, შემოქმედებითობასთან, ინიციატივასთან, პროდუქტიულობასთან, თავისუფლებასთან, გაერთიანებასთან, თავად სიცოცხლესთან ერთად. მათ საპირისპიროდ ეკონომიკური და პოლიტიკური სისტემა აღიწერება ისეთი ტერმინების გამოყენებით, როგორიცაა დამორჩილება, მომხმარებლობა, პასიურობა, პრივატიზება, ძალისმიერება, განსაზღვრულობა, აუცილებლობა და სხვ.

სიცოცხლისა და სიკვდილის, აქტიურობისა და პასიურობის, მოქმედისა და სტრუქტურის ამ დაპირისპირებით სამოქალაქო საზოგადოების თანამედროვე ხედვა ამართლებს სამოქალაქო საზოგადოების პირველადობას პოლიტიკასთან და ეკონომიკასთან მიმართებაში.

როდესაც „პერესტროიკის“ დასაწყისში ტოტალიტარიზმის წინააღმდეგ დემოკრატიისთვის წარიმართა ბრძოლა, ამ დემოკრატიაში პირველ რიგში თავისუფლება იგულისხმებოდა. თავისუფლება კი, მისი სრული სახით, მიუღწეველია თუკი არსებობს რაიმე სახის პოლიტიკური ძალაუფლება, თუნდაც დემოკრატიული და რაიმე სახის ფულადი ეკონომიკა, თუნდაც საბაზრო. სინამდვილეში, ალბათ, დემოკრატიისა და საბაზრო ეკონომიკის ლოზუნგები ზუსტად არ ასახავდნენ თავისუფლების იმ წყურვილს, რომელიც ტოტალიტარიზმის მსხვრევას უკავშირდება და რომლის საპროტესტო ტალღა მიმართული იყო არა უბრალოდ საბჭოური სისტემის გარდაქმნისკენ, არამედ საერთოდ თანამედროვეობის პოლიტიკური და ეკონომიკური ინსტიტუტების უარყოფისკენ, რამდენადაც ეს ინსტიტუტები უსახო, მკაცრი და მომთხოვნია.

ზოგიერთი მკვლევარის აზრით, ამგვარი განწყობა არა მასიური, არამედ ელიტარული იყო, და მომდინარეობდა პერესტროიკის დისიდენტი ლიდერების მსოფლმხედველობიდან. აღმოსავლეთ ევროპაში ტოტალიტარიზმის წინააღმდეგ ბრძოლა მათი აზრით, დასაწყისიდან დისიდენტი, ინტელექტუალი ლიდერების და მათი

შეხედულებების ძლიერ გავლენას განიცდიდა. მათთვის დამახასიათებელი იყო პრიორიტეტის მინიჭება არა ბრძოლისათვის პოლიტიკური ძალაუფლების მოსაპოვებლად, არამედ მტრული დამოკიდებულება ნებისმიერი სახის პოლიტიკის მიმართ, ნებისმიერი ძალაუფლების მაქსიმალური შეზღუდვის სურვილი. საზოგადოებრივ საქმეებთან დაკავშირებული ნებისმიერი სახის ინიციატივა უნდა მოდიოდეს ქვემოდან, ხალხისაგან, და არა სახელმწიფოს ინსტიტუციონალური სტრუქტურებიდან. ეს თვალსაზრისი ყველაზე გამოკვეთილად ვაცლავ ჰაველის ნაშრომებშია ჩამოყალიბებული. ანტი-პოლიტიკურობა, რომლის ქვაკუთხედს ოფიციალური პარტიული პოლიტიკისადმი უნდობლობა შეადგენს, მიიჩნეოდა სამოქალაქო საზოგადოების მამოძრავებელ ძალად, ხოლო პოლიტიკა იყო უარყოფილი როგორც ძალაუფლების სურვილის გამოხატულება.

ცხოვრება, რომლის მიზანია საკუთარი თავისუფლების განხორციელება, მრავალფეროვნება, პლურალიზმი და თვითორგანიზება, ვაცლავ ჰაველის მიხედვით უპირისპირდება ნებისმიერ სისტემას, რომელიც უნიფიცირებას მოითხოვს. აქედან გამოსავალი არის არა ერთი სისტემის შეცვლა მეორეთი, არამედ საჭიროა თვით ცხოვრებისკენ შემობრუნება. ამ შემთხვევაში პოსტ-ტოტალიტარული სისტემის სტრუქტურები „უბრალოდ მოკვდება და გაუქმდება და მათ ადგილს დაიკავებს ახალი სტრუქტურები, რომლებიც „ქვევიდან“ აღმოცენდება“.

ჰაველის ეს პროექტი წააგავს ახლადაშენებული სახლის წინ მწვანე გაზონის მოწყობას შემდეგი ხერხით. სახლის წინ უნდა დაითესოს ბალახი ისე, რომ ბილიკების გასაყვანი ადგილი არ მოინიშნოს, ხოლო შემდგომში, როდესაც სახლის მცხოვრებლები ივლიან ამ ბალახზე და ბუნებრივად გაკვალავენ ბილიკებს იქ, სადაც მათ უფრო აწყობთ, ეს გაკვალული ბილიკები დაფიქსირდეს ბეტონით. ამ გზით სახლის მცხოვრებლები თავად განსაზღვრავენ იმ ინსტიტუტებს (ბილიკებს), რომლებითაც მათ უწევთ სარგებლობა.

ამდენად, სამოქალაქო საზოგადოების ეს თეორია წარმოადგენს გარკვეულ ამბოხებას თანამედროვეობის, მისი ინსტიტუტების და ტექნოლოგიების წინააღმდეგ. პოლიტიკის უარყოფასთან ერთად იგი თანამედროვე საზოგადოებებისათვის ეძებს სხვა, უფრო სიღრმისეულ გამოსავალს, ვიდრე საპარლამენტო დემოკრატიაა, რომელსაც თავისი პარტიული ხასიათის გამო, არ შეუძლია გადაჭრას სახელმწიფოს ფუნქციონირებაში მოქალაქეთა ფართო ჩართვისა და მონაწილეობის ამოცანა. სამოქალაქო საზოგადოების ცხოვრების სამყარომ უნდა შეცვალოს თანამედროვეობის ინსტიტუტები, მათ შორის სახელმწიფოც.

სამოქალაქო საზოგადოება: ინსტიტუციონალური მიდგომა

ცნობილი ამერიკელი მეცნიერის, ლარი დაიმონდის სტატიაში მოცემულია ერთ-ერთი ყველაზე კონკრეტული და მრავალმხრივი მიმოხილვა იმისა, თუ რა ინსტიტუტები მიეკუთვნება სამოქალაქო საზოგადოებას, და რა საქმიანობას ახორციელებენ ისინი.

სამოქალაქო საზოგადოება, დაიმონდის მიხედვით, არის ორგანიზებული საზოგადოებრივი ცხოვრების სფერო, რომელიც ნებაყოფლობითია, თვითწარმოქმნადი, (ფართოდ) თვითგანვითარებადი, სახელმწიფოსგან ავტონომიურია და შეკრულია საკანონმდებლო წესრიგით ან გაზიარებულ წესთა ერთობლიობით. ზოგადად ის განსხვავდება „საზოგადოებისგან“ იმ თვალსაზრისით, რომ მასში ინდივიდები მოქმედებენ კოლექტიურად საზოგადოებრივ სფეროში საკუთარი ინტერესების, მისწრაფებების და იდეების გამოსახატავად, ინფორმაციის გასაცვლელად, საერთო მიზნების მისაღწევად, სახელმწიფოს წინაშე მოთხოვნების წამოსაყენებლად და სახელმწიფო მოხელეთა ანგარიშვალდებულების უზრუნველსაყოფად. სამოქალაქო საზოგადოება არის შუალედური წარმონაქმნი, რომელსაც უკავია ადგილი კერძო ცხოვრების სფეროსა და სახელმწიფოს შორის. ამგვარად ის არ მოიცავს პირად და ოჯახურ ცხოვრებას, სარგებლის მიღებისკენ მიმართულ ჯგუფურ აქტიობას (მაგ., დასვენებაზე, გართობაზე, სულიერ დაკმაყოფილებაზე ზრუნვას), ცალკეული ფირმების კომერციულ წამოწყებებს და სახელმწიფოზე კონტროლის მისაღწევად წარმოებულ პოლიტიკურ ქმედებებს. სამოქალაქო საზოგადოებაში მოქმედ პირებს ესაჭიროებათ ინსტიტუციონალიზებული სამართლებრივი წესრიგი მათი ავტონომიურობისა და მოქმედების თავისუფლების დასაცავად. ამგვარად, სამოქალაქო საზოგადოება არა მარტო ზღუდავს სახელმწიფო ხელისუფლებას, არამედ ლეგიტიმურ ხასიათსაც ანიჭებს მას იმ შემთხვევაში, თუ ეს ხელისუფლება დაფუძნებულია კანონის უზენაესობაზე. იქ, სადაც საკუთრივ სახელმწიფო არღვევს კანონიერების ჩარჩოებს და უგულვებელყოფს ინდივიდუალურ და ჯგუფურ ავტონომიურობას, სამოქალაქო საზოგადოება შეიძლება მაინც არსებობდეს, (თუმცა კი „ჩანასახოვანი“ ან „დამახინჯებული“ ფორმით) თუ მისი შემადგენელი ელემენტები მოქმედებენ გარკვეული გაზიარებული წესების შესაბამისად (რომლებიც, მაგალითად, უარყოფენ ძალადობას და პატივს სცემენ პლურალიზმს). გაზიარებული წესების არსებობა არის აუცილებელი პირობა იმისათვის, რომ ეს ურთიერთობები “სამოქალაქოდ“ ჩაითვალოს.

სამოქალაქო საზოგადოება შეიძლება მოიცავდეს ორგანიზაციათა მრავალ ფორმას, მათ შორის ფორმალურებს და არაფორმალურებს. ეს ჯგუფები შეიძლება იყოს: 1. ეკონომიკური (სამეწარმეო და კომერციული ასოციაციები და ქსელები); 2. კულტურული (რელიგიური, ეთნიკური, კომუნალური და სხვა ასოციაციები და ინსტიტუტები, რომლებიც იცავენ კოლექტიურ უფლებებს, ღირებულებებს, შეხედულებებს, რწმენასა და სიმბოლოებს); 3. ინფორმაციული და საგანმანათლებლო (რომლებიც აწარმოებენ საზოგადოებრივი ცოდნის, იდეების, ახალი ამბებისა და ინფორმაციის წარმოებას და გავრცელებას); 4. ინტერესებზე დაფუძნებული - (შექმნილი თავისი წევრების საერთო მატერიალური ან ფუნქციონალური ინტერესების დასაცავად; ეს წევრები შეიძლება იყონ მუშები, ვეტერანები, პენსიონერები, პროფესიონალები და ა.შ.); 5. ორიენტირებული განვითარებაზე (ორგანიზაციები, რომლებიც თავს უყრიან ინდივიდუალურ რესურსებს ადგილობრივ დონეზე ინფრასტრუქტურის, ინსტიტუტების და ცხოვრების დონის გასაუმჯობესებლად) 6. გარკვეულ პრობლემატიკაზე ორიენტირებული (გარემოს დაცვის მოძრაობა, ქალთა უფლებების დაცვა, მიწის რეფორმა, მომხმარებელთა უფლებების დაცვა) 7. მოქალაქეობრივი (რომლებიც

ცდილობენ არაპოლიტიკური გზით გააუმჯობესონ პოლიტიკური სისტემა და გახადონ ის უფრო დემოკრატიული ადამიანთა უფლებებზე მონიტორინგით, ამომრჩეველთა მობილიზებითა და განათლებით, არჩევნების პროცესებზე თვალყურის დევნებით, ანტიკორუფციული საქმიანობით და ა.შ.).

ამ ორგანიზაციებთან ერთად სამოქალაქო საზოგადოებაში ის ინსტიტუტებიც შედის, რომლებიც უზრუნველყოფენ საზოგადოებაში "იდეოლოგიური ბაზრის" არსებობას და ინფორმაციისა და იდეების დაუბრკოლებელ გაცვლას. ამ ინსტიტუტების რიცხვში შედის არა მხოლოდ დამოუკიდებელი მას მედია, არამედ აგრეთვე ის ინსტიტუტებიც, რომლებიც განეკუთვნება ავტონომიური კულტურული და ინტელექტუალური საქმიანობის უფრო ფართო სფეროს - უნივერსიტეტები, სამეცნიერო ინსტიტუტები, გამომცემლობები, თეატრები, კინოფირმები, და ა.შ.

ყოველივე ზემოთქმულიდან ჩანს, რომ სამოქალაქო საზოგადოება არ არის უბრალოდ რაღაც ნაშთი, რომელიც მიიღება „საზოგადოებისგან" იმ ყველაფრის გამოკლებით, რაც მიეკუთვნება სახელმწიფოს ან ფორმალურ პოლიტიკურ სისტემას. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები განსხვავდება სხვა საზოგადოებრივი ჯგუფებისგან რამდენიმე ასპექტით (გარდა იმისა, რომ უნდა იყვნენ ნებაყოფლობითი, თვითწარმოქმნადი, ავტონომიური და გარკვეული წესების ფარგლებში მოქმედი): 1. სამოქალაქო საზოგადოება ისახავს მიზნებს, რომლებიც საზოგადოებრივია, და არა პირადი. პროდუქტი, რომელიც იქმნება სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტების მიერ წარმოადგენს საზოგადოებრივ სიკეთეს (პუბლიც გოოდ); 2. სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტები საქმიანობის პროცესში ამა თუ იმ გზით ამყარებენ კავშირებს სახელმწიფოსთან, მაგრამ არ ცდილობენ მის ჩარჩოებში ფორმალური პოსტის ან ძალაუფლების მოპოვებას. ამის სანაცვლოდ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები ცდილობენ სახელმწიფოსაგან მიიღონ მატერიალური სარგებელი, პოლიტიკური კურსის ცვლილება, თანადგომა, კომპენსაცია ან ანგარიშგება. მოქალაქეობრივი ორგანიზაციები და საზოგადოებრივი მოძრაობები, რომლებიც ცდილობენ სახელმწიფოს ბუნების შეცვლას შეიძლება მაინც მივაკუთვნოთ სამოქალაქო საზოგადოებას, იმ შემთხვევაში, თუ მათ ძალისხმევას წარმართავს საზოგადოებრივი სარგებლის მოტანის სურვილი და არა თვით ჯგუფისთვის სახელმწიფო ძალაუფლების მოპოვება. მაგალითად, დემოკრატიული გარდაქმნების მხარდამჭერი მშვიდობიანი მოძრაობები, როგორც წესი, სამოქალაქო საზოგადოებიდან წარმოიქმნება.

შემდეგი განმასხვავებელი ნიშანი არის ის, რომ სამოქალაქო საზოგადოება ხასიათდება პლურალიზმითა და მრავალფეროვნებით. თუკი რომელიმე ორგანიზაცია - იქნება ეს რელიგიური ფუნდამენტალისტები, რევოლუციონერები ან სხვა - ცდილობს მოაქციოს პოლიტიკური ან ფუნქციონალური სფერო თავისი მონოპოლიის ჩარჩოებში - დაუქვემდებაროს საზოგადოება ერთადერთ აღმსარებლობას, ან პოლიტიკა - ერთადერთ იდეოლოგიას - იმის მტკიცებით, რომ ერთადერთი ლეგიტიმური გზა სწორედ მის მიერაა დასახული, ის უპირისპირდება სამოქალაქო საზოგადოების პლურალისტურ და ბაზარზე ორიენტირებულ ხასიათს. ამას უკავშირდება სამოქალაქო საზოგადოების

მეოთხე განზომილება, დანაწევრებულობა, რომელიც მიგვანიშნებს, რომ მასში არცერთი ჯგუფი არ ცდილობს ინდივიდის ან თემის ინტერესთა მთელი სპექტრის ასახვას. სანაცვლოდ, სხვადასხვა ჯგუფები გამოხატავენ სხვადასხვა ინტერესებს, ხოლო ინდივიდს შეუძლია გაწევრიანება ერთდროულად მრავალ სხვადასხვა ჯგუფში, რომლებიც განსხვავებულ მიზნებს ისახავენ.

სამოქალაქო საზოგადოება განსხვავებულია და ავტონომიურია არა მხოლოდ სახელმწიფოსგან და მთელი საზოგადოებისგან, არამედ აგრეთვე საზოგადოებრივი ქმედებების მეოთხე არენისგან - პოლიტიკური საზოგადოებისგან (რომელიც უპირველესად პარტიების სისტემას ნიშნავს). სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებმა და კავშირებმა შეიძლება შექმნან ალიანსები პარტიებთან, მაგრამ თუ პარტიები მოაქცევენ მათ თავისი გავლენის ქვეშ, ან სულაც წარმართავენ მათ საქმიანობას, ამ შემთხვევაში კავშირების მოღვაწეობას უკვე პოლიტიკური ხასიათი ეძლევა, ისინი გადადიან პოლიტიკურ სფეროში და ძირითადად კარგავენ უნარს განახორციელონ გარკვეული, მხოლოდ მათთვის დამახასიათებელი ფუნქციები ადამიანსა და სახელმწიფოს შორის შუამავლობისა და დემოკრატიული აღმშენებლობის სფეროში.

ლარი დაიმონდი გამოყოფს სამოქალაქო საზოგადოების ათ დემოკრატიულ ფუნქციას.

პირველი და ყველაზე მნიშვნელოვანი არის "სახელმწიფო ძალაუფლების შეზღუდვის ბაზისის უზრუნველყოფა". ამ ფუნქციას გააჩნია ორი განზომილება: დემოკრატიულ სახელმწიფოში - სახელმწიფოს მიერ ძალაუფლების განხორციელების მონიტორინგი და შეზღუდვა, ხოლო ავტორიტარულ სახელმწიფოებში - მათი დემოკრატიზება.

მეორე, საზოგადოებრივი ასოციაციების მაღალი აქტიობა ავსებს პოლიტიკური პარტიების საქმიანობას ისეთ საკითხებში, როგორებიცაა პოლიტიკური მონაწილეობის სტიმულირება, მოქალაქეთა პოლიტიკური ეფექტურობის და კვალიფიკაციის ამაღლება, და დემოკრატიული მოქალაქეობრიობის მოვალეობათა და უფლებათა აღიარება. როგორც ტოკვილი აღნიშნავდა, ნებაყოფლობითი „ასოციაციები შეიძლება განვიხილოთ დიდ საყოველთაო სკოლად, რომელსაც ესწრება ყველა მცხოვრები გაერთიანების ზოგადი თეორიის შესასწავლად."

მესამე, სამოქალაქო საზოგადოება შეიძლება გახდეს ისეთი დემოკრატიული ღირებულებების და პრაქტიკის დამკვიდრების ადგილი, როგორებიცაა ტოლერანტობა, თანხმობა, კომპრომისის მონახვის სურვილი, საწინააღმდეგო აზრის პატივისცემა. ეს ღირებულებები და ნორმები ყველაზე სტაბილური ხდება მაშინ, როდესაც ისინი წარმოიქმნება გამოცდილებიდან, და სამოქალაქო საზოგადოებაში ორგანიზაციული მონაწილეობა ამ მხრივ დიდ გამოცდილებას იძლევა.

მეოთხე, სამოქალაქო საზოგადოება ემსახურება დემოკრატიას იმით, რომ ქმნის პოლიტიკური პარტიებისგან განსხვავებულ არხებს ინტერესების გამოსათქმელად, დასაბალანსებლად და წარმოსაჩენად. ეს ფუნქცია განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მაშინ, როდესაც ეხება პოლიტიკისგან ტრადიციულად გათიშულ ჯგუფებს -

როგორებიცაა ქალები ან რასობრივი და ეთნიკური უმცირესობები. სამოქალაქო საზოგადოება განსაკუთრებით მაშინ უწყობს ხელს დემოკრატიას, როდესაც იგი ქმნის მმართველობაში მონაწილების შესაძლებლობებს ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე. ადგილობრივი მმართველობის დემოკრატიზაცია მჭიდროდ უკავშირდება სამოქალაქო საზოგადოების განვითარებას.

მეხუთე, პლურალისტური სამოქალაქო საზოგადოება, განსაკუთრებით განვითარებულ ქვეყნებში, ამცირებს კლასობრივი კონფლიქტისა და პოლიტიკური დაპირისპირების საფრთხეს, ვინაიდან იგი მოწოდებულია ხელი შეუწყოს მრავალფეროვანი ინტერესების წარმოქმნას. რამდენადაც ინდივიდები ერთიანდებიან სხვადასხვა ორგანიზაციებიში საკუთარი მრავალფეროვანი ინტერესების დასაცავად და დასაკმაყოფილებლად, უფრო სავარაუდო ხდება მათი ურთიერთობა სხვადასხვა პოლიტიკური შეხედულებებისა და ინტერესების მქონე ადამიანებთან. ამ ურთიერთგადამკვეთმა ზემოქმედებამ უნდა შეამციროს მათი საკუთარი პოლიტიკური შეხედულებების კატეგორიულობა და ხელი შეუწყოს უფრო ვრცელი და მრავალმხრივი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებას, რაც უზრუნველყოფს ტოლერანტობასა და მეტ მზადყოფნას კომპრომისებისათვის.

სამოქალაქო საზოგადოების მეექვსე ფუნქცია არის ახალი პოლიტიკური ლიდერების რეკრუტირება და სწავლება. არასამთავრობო ორგანიზაციების წარმატებული ფუნქციონირების შემთხვევაში მათი ლიდერები და აქტივისტები იძენენ უნარ-ჩვევებსა და პრაქტიკას, რომელიც საჭიროა მთავრობაში და პარტიულ პოლიტიკაში მოღვაწეობისათვის. ისინი სწავლობენ, თუ როგორ მოახდინონ ადამიანების მობილიზება და მოტივირება, საკითხების განხილვა, ფონდების მოპოვება და მართვა, ბიუჯეტების შედგენა, პროგრამების გამოქვეყნება, პერსონალის მართვა, შეთანხმებების მიღწევა და კოალიციების შექმნა.

მეშვიდე, არასამთავრობო ორგანიზაციებმა შეიძლება პირდაპირი როლი ითამაშონ დემოკრატიის გამტკიცებაის საქმეში. გარდამავალ პერიოდში მათ შეიძლება თვალყური ადევნონ არჩევნებს, იმუშაონ საარჩევნო სისტემის რეფორმის მიზნით, შეიმუშაონ ხელისუფლების დეცენტრალიზების და პოლიტიკური პარტიების დემოკრატიზების გეგმები და ა.შ. დემოკრატიული გარდაქმნების წარმატების შემდეგ ადამიანთა უფლებების დამცავი ორგანიზაციები აგრძელებენ მნიშვნელოვანი როლის შესრულებას სამართლებრივი რეფორმების ჩატარებაში, ციხეებში ადამიანთა უფლებების დაცვაში, და უმცირესობების ინტერესების წარმოჩენაში.

მერვე, სამოქალაქო საზოგადოება ავრცელებს ინფორმაციას და ამით ემსახურება მოქალაქეებს მათი ინტერესების კოლექტიურ დაცვასა და მიღწევაში. თავისუფალი პრესა არის ინფრომაციითა და ალტერნატიული შეხედულებებით საზოგადოების უზრუნველყოფის ერთ-ერთი ინსტრუმენტი. დამოუკიდებელ ორგანიზაციებს ასევე შეუძლიათ მიაწოდონ საზოგადოებას ძნელად მოსაპოვებელი ინფორმაცია მთავრობის საქმიანობის შესახებ, რომელიც არ იქნება დამოკიდებული იმაზე, თუ რას აცხადებს მთავრობა საკუთარი საქმიანობის თაობაზე.

მეცხრე, ახალი ინფორმაციისა და იდეების გავრცელება არსებითია დემოკრატიის პირობებში ეკონომიკური რეფორმების ჩასატარებლად. როგორც წესი, ეკონომიკის სტაბილიზების პროგრამები უნდა განხორციელდეს სწრაფად, ძალისმიერად და ერთბაშად არჩეული ხელისუფლების მიერ კრიზისულ სიტუაციაში. მათგან განსხვავებით, უფრო სტრუქტურული ეკონომიკური რეფორმები - პრივატიზება, ეკონომიკური და სავაჭრო ლიბერალიზება - იმ შემთხვევაში იღებენ უფრო მდგრად და სრულყოფილ ფორმას, თუ ისინი მიიღწევა დემოკრატიული პროცესის ჩარჩოებში. ეკონომიკური რეფორმების წარმატებისათვის აუცილებელია ფართო მხარდაჭერა, რაც საჭიროებს სპეციალური მუშაობის ჩატარებას. მართლაც, იმ ინტერესებს, რომლებისთვისაც რეფორმებმა შესაძლოა არასასურველი შედეგი მოიტანონ როგორც წესი ბევრად უფრო ორგანიზებული სახე აქვთ, ვიდრე იმ ადამიანთა ინტერესებს, რომელთათვისაც რეფორმები პოტენციურად მოგების მომტანია. ამ ჯგუფში შესული ადამიანები - ფერმერები, წვრილი მეწარმეები, მომხმარებლები - როგორც წესი, გათიშულები და ცუდად ინფორმირებული არიან.

მეათე ფუნქცია დამოკიდებულია პირველი ცხრა ფუნქციის წარმატებულ განხორციელებაზე. პოლიტიკური სისტემის პასუხისმგებლური ხასიათის, მისი ეფექტურობის, მასში ადამიანების ჩართულობის გაზრდით და ამდენად სისტემის ლეგიტიმურობის ხელშეწყობით სამოქალაქო საზოგადოება ამკვიდრებს მოქალაქეებში სახელმწიფოს პატივისცემას. ის აუმჯობესებს სახელმწიფოს მმართველობით პოტენციალს და ზრდის მის შესაძლებლობას დაეყრდნოს მოქალაქეთა ნებაყოფლობით მორჩილებას.

სამოქალაქო საზოგადოების დემოკრატიული ფუნქციის ფარგლები

ყველაზე თვალსაჩინო, რაც შეიძლება აღინიშნოს დემოკრატიისა და სამოქალაქო საზოგადოების ურთიერთმიმართების ანალიზისას არის ის, რომ ლიბერალურ დემოკრატიებს, როგორც წესი, ახასიათებთ სიცოცხლით სავსე სამოქალაქო საზოგადოების არსებობა. თუმცა ეს პირველ რიგში ეხება დასავლურ დემოკრატიებს; მათგან განსხვავებით, მაგალითად იაპონიაში, მიუხედავად ამ ქვეყანაში ნდობის მაღალი დონის არსებობისა, არასახელმწიფო ასოციაციები წევრების მცირე რაოდენობას ითვლიან.

მაგრამ, ცხადია, სწორი არ იქნებოდა იმ მეტად შორსმიმავალი დასკვნის გაკეთება, რომლის თანახმადაც სამოქალაქო საზოგადოება, გაგებული როგორც „არასამთავრობო ასოციაციების ხშირი ქსელი“, წარმოქმნის დემოკრატიას. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ გარკვეული კულტურული და ეკონომიკური კონტექსტი ხელშემწყობია როგორც დემოკრატიის, ასევე სამოქალაქო საზოგადოების არსებობისთვის. დემოკრატიისა და სამოქალაქო საზოგადოების ურთიერთმიმართების უფრო სიღრმისეული ანალიზი უბიძგებს ბევრ ავტორს, რომ სამოქალაქო საზოგადოება განხილულ იქნას არა უბრალოდ როგორც არასამთავრობო ასოციაციათა ერთობლიობა, რომელიც სხვადასხვა

ქვეყნებში შეიძლება არსებობდეს, არამედ როგორც საზოგადოების გარკვეული ტიპი, როგორც სოციალური კატეგორია, რომელიც განსაზღვრავს დემოკრატიის საზოგადოებრივ საფუძვლებს და ანიჭებს დემოკრატიას მის ჭეშმარიტ ხასიათს.

„. . . სინამდვილეში ყველაზე არსებითია ის ინსტიტუტები და ის კონკრეტული სოციალური კონტექსტი, რომლებიც მას (დემოკრატიას) წარმოშობენ. ამ ინსტიტუციონალური პირობების მიღმა „დემოკრატიის" არსი ბუნდოვანი რჩება, ხოლო თავად ის - მიუღწეველი.. . „სამოქალაქო საზოგადოება" უფრო სერიოზულ ლოზუნგად მეჩვენება, ვიდრე „დემოკრატია", ვინაიდან იგი მიუთითებს კონკრეტულ ინსტიტუციონალურ პირობებზე და აუცილებელ ისტორიულ კონტექსტზე" (გელნერი)

ცხადია, ამგვარი მიდგომა უფრო ზოგად ხასიათს ატარებს, ვიდრე ის, რომელზედაც ზემოთ იყო ლაპარაკი. იგი სწავლობს საზოგადოებრივი ინსტიტუტების გარკვეული ტიპის (არასამთავრობო ორგანიზაციების) ჩამოყალიბების პერსპექტივებს ყველა სხვა ფაქტორთან მიმართებაში -ეკონომიკასთან, კულტურასთან, პოლიტიკასთან და ისტორიულ გამოცდილებასთან, და სულაც არ გამოყოფს ამ ერთობლიობიდან მხოლოდ ერთს - ასოციაციურ ცხოვრებას.

ამდენად, ლარი დაიმონდი და გელნერი მიუხედავად იმისა, რომ ერთსა და იმავე ტერმინს იყენებენ, სხვადასხვა შინაარსს დებენ მასში. ერთი ლაპარაკობს არასამთავრობო ორგანიზაციებზე, რომლებიც ამა თუ იმ დოზით შეიძლება არადემოკრატიულ ქვეყნებშიც არსებობდეს (და დემოკრატიზაციასაც უწყობდეს ხელს), ხოლო მეორე - გარკვეულ სოციალურ წესრიგზე, რომელიც წარმოშობს როგორც არასამთავრობო ორგანიზაციებს, ასევე თვით დემოკრატიასაც.

ამ კონტექსტიდან გამოცალკევებით სამოქალაქო საზოგადოების განხილვა ასოციაციების ერთობილობის სახით ქმნის იმის შთაბეჭდილებას, რომ საკუთრივ არასამთავრობო ორგანიზაციების შექმნა არის დემოკრატიის განმსაზღვრელი ელემენტი. ეს, თავის მხრივ, ხშირად ხელს უწყობს იმგვარი არაჯანსაღი პრაქტიკის დამკვიდრებას, როდესაც არასამთავრობო ორგანიზაციების ფუნქციონირებას დამახინჯებული, იდეოლოგიზირებული მნიშვნელობა ენიჭება.

ერთ უკიდურესობაზე ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი, როდესაც ვიხილავდით სამოქალაქო საზოგადოებისა და სახელმწიფოს ურთიერთობებს. სამოქალაქო საზოგადოება არ აძლევს ძლიერ სახელმწიფოს შესაძლებლობას დაამყაროს დიქტატი საზოადოებაზე. მაგრამ თუ სახელმწიფო სუსტია, მისი გაძლიერება გაცილებით უფრო მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს, ვიდრე ლაპარაკი მისი შეზღუდვის თაობაზე. ძლიერი სახელმწიფოს გარეშე შეუძლებელია იმ ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა უზრუნველყოფა, რომელთა დამცველად სამოქალაქო საზოგადოება გვევლინება. სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერება უკავშირდება სახელმწიფოს გაძლიერებას, და არა პირიქით, მის დასუსტებას.

თუ სამოქალაქო საზოგადოებას განვსაზღვრავთ ტრადიციული გაგებით, როგორც „ისტორიულ წარმონაქმნს, რომელშიაც ერთობები, ინდივიდთა შორის კავშირები,

საზოგადოებრივი ინსტიტუტები და ეროვნული კულტურა იქმნება დროის ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში და მდგრადი ხდება პოლიტიკური ძალაუფლების ყველაზე მძლავრი ზეწოლის მიმართ“ (იხ. ზემოთ), შეიძლება აღმოჩნდეს, რომ ამგვარი სამოქალაქო საზოგადოება ხელის შეწყობის მაგიერ დაბრკოლებებს უქმნის დემოკრატიზების პროცესებს, ვინაიდან ეს პროცესები შეიძლება სწორედ ისტორიულად დამკვიდრებული კავშირების და ინსტიტუტების გარდაქმნას მოითხოვდნენ.

გადაჭარბებული ყურადღება სამოქალაქო საზოგადოების მიმართ ასევე შეიძლება გადაიზარდოს სახელმწიფოს და პოლიტიკის იგნორირებაში, რაც გამოიხატება დემოკრატიულ პროცესში პოლიტიკური პარტიების როლის დაკნინებაში. მაგალითისათვის, პატნემის თეორიის კრიტიკისას აღინიშნა, რომ ჩრდილოეთ იტალიაში მრავალი საზოგადოებრივი ასოციაცია შეიქმნა სწორედ პოლიტიკური პარტიების ინიციატივითა და მფარველობით. ამასთან, ხშირად ზღვარი პოლიტიკურ პარტიასა და ინტერესთა ჯგუფს შორის არის საკმაოდ ბუნდოვანი და არაერთმნიშვნელოვანი. ინტერესთა ჯგუფები შეიძლება იღებდნენ მცირე პარტიების ფორმას, რომელთა პროგრამები ერთ პრიორიტეტულ საკითხზეა ორიენტირებული (მაგალითად, ეკოლოგიური მოძრაობა) და იღებდეს მონაწილეობას არჩევნებში ტაქტიკური მიზნით - საკუთარი იდეების პოპულარიზებისთვის.

ამავე დროს პოლიტიკის და სახელმწიფოს იგნორირება სამოქალაქო საზოგადოების სასარგებლოდ ხშირად გამოიხატება თვალსაზრისით, რომლის მიხედვითაც პოლიტიკური საკითხების განხილვა და მათზე მსჯელობა არაა სამოქალაქო საზოგადოების საქმე, იგი უნდა იყოს დეპოლიტიზირებული და არ ერეოდეს პოლიტიკურ ბრძოლებში, რაც მხოლოდ პოლიტიკოსების და სახელმწიფო მოხელეების სამოქმედო ასპარეზია. ასეთი დეპოლიტიზებული საზოგადოებრივი ცხოვრების ფონზე მასობრივი ინფორმაციის საშუალებები პოლიტიკური საკითხების გაშუქებისას ხდებიან მეტისმეტად დამოკიდებულნი პოლიტიკოსების შეხედულებებზე, რაც განსაკუთრებით დამახასიათებელია პოსტ-საბჭოური სივრცისთვის - განსხვავებით დემოკრატიული ქვეყნებისგან, სადაც მასობრივი ინფრომაციის საშუალებები ბევრად უფრო კარგად ახერხებენ სწორედ პოლიტიკაზე და სახელმწიფო საკითხებზე დამოუკიდებელი, საზოგადოებრივი აზრის გამოთქმას. იმ შემთხვევაში, თუ მათ ზურგს არ უმაგრებს სამოქალაქო საზოგადოება, მასობრივი ინფორმაციის საშუალებები უკეთეს შემთხვევაში ასრულებენ კომუნიკაციურ ფუნქციას ხელისუფლება - ხალხი, მაგრამ ვერ ასრულებენ სხვა ფუნქციებს ხალხი -ხელისუფლება და ხალხი - ხალხი. პოლიტიკური დღის წესრიგი დემოკრატიულ ქვეყნებში ნაწილობრივ მაინც მას-მედიის გავლენით ყალიბდება, რაც დემოკრატიის მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს. პოლიტიკური იდეები და ღირებულებები სწორედ სამოქალაქო საზოგადოებაში უნდა იღებდნენ ათვლის წერტილს, თუკი ლაპარაკია დემოკრატიის ხელშეწყობაზე სამოქალაქო საზოგადოების მიერ. დეპოლიტიზირებული სამოქალაქო საზოგადოების ფონზე მას-მედია ვერ იტვირთავს მეოთხე ხელისუფლების ფუნქციას.

სამოქალაქო საზოგადოების დეპოლიტიზების სურვილი ხშირად განპირობებულია იმით, რომ პოსტ-საბჭოურ სივრცეში საზოგადოებრივი კონფლიქტი პოლიტიკური სფეროს მახასიათებლადაა წარმოდგენილი, რომელიც შორს დგას სამოქალაქო საზოგადოებისაგან, რომელიც ხშირად უნდათ წარმოიდგინონ თბილი, უკონფლიქტო ურთიერთობების სფეროდ. სინამდვილეში, სამოქალაქო საზოგადოების წარმოქმნის თავიდათავი სწორედ კონფლიქტის არსებობაა (პირველ რიგში ეკონომიკურის). თუ საზოგადოებაში არ ჩამოყალიბდა კონფლიქტების (კონკურენციის) პირობებში ერთობლივი მოქმედების კულტურა, ნებისმიერი კონფლიქტის გადაჭრა ავტომატურად გადაინაცვლებს სახელმწიფოს კომპეტენციის სფეროში, რაც ასუსტებს, და არა აძლიერებს დემოკრატიას, ზრდის სახელმწიფოს მიერ ძალისმიერი მეთოდების გამოყენების საშიშროებას.

ლიტერატურა:

Стивен Холмс, Чему Россия учит нас теперь? Как слабость государства угрожает свободе, www.carnegie.ru

დომინიკ კოლა, პოლიტიკური სოციოლოგია. თბილისი, 1999, თავი X: სახელმწიფო და სამოქალაქო საზოგადოება, გვ. 205-228

Diamond L. Towards Democratic Consolidation. Journal of Democracy, v.5, N.3, 1996, pp. 4-18

Michael W.Foley, Bob Edwards, The Paradox of Civil Society, Journal of Democracy, V.7, N.3, 1996, 38-52

Волков В. 1998. Общественность: забытая практика гражданского общества. - Pro et Contra: www.carnegie.ru. 21pp.

1.3 საკვანძო კომპეტენციები მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლისათვის

ამონარიდები კომპეტენციების ევროპული ჩარჩოდან

მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლა აუცილებელი გახდა ყველა მოქალაქისთვის. სიცოცხლის განმავლობაში უნარ-ჩვევებისა და კომპეტენციების განვითარება არა მხოლოდ პიროვნული განვითარებისა და საზოგადოებაში აქტიურად ჩართვისთვის გვჭირდება, არამედ საქმიანობის (შრომის) მუდმივად ცვალებად გარემოში წარმატების მისაღწევადაც. ევროპული სამუშაო ძალის ცოდნა, უნარ-ჩვევები და შესაძლებლობები ევროკავშირის ინოვაციების, პროდუქტიულობისა და კონკურენტუნარიანობის მთავარი ფაქტორია. მზარდი ინტერნაციონალიზაცია, ცვლილებების ტემპი და ახალი ტექნოლოგიები მოითხოვს, რომ ევროპელებს არა მხოლოდ სამუშაოსთან დაკავშირებული სპეციფიკური უნარ-ჩვევები უნდა ჰქონდეთ, არამედ ზოგადი კომპეტენციებიც, რაც მათ ცვლილებებთან ადაპტაციის შესაძლებლობას მისცემთ. ადამიანთა კომპეტენციას წვლილი შეაქვს მათსავე მოტივაციასა და სამუშაოთი კმაყოფილების გრძნობაში და, შესაბამისად, გავლენას ახდენს მათი მუშაობის ხარისხზეც.

ინფორმაციისა და მომსახურების წვდომის გზები კვლავ იცვლება. ჩვენ ახალი კომპეტენციები გვჭირდება ციფრულ სამყაროში დაოსტატებისთვის, არა მხოლოდ ტექნიკური უნარ-ჩვევების, არამედ ახალი ტექნოლოგიების თანმდევი შესაძლებლობების, სირთულეების და თვით ეთიკური საკითხების უფრო ღრმა წვდომის თვალსაზრისითაც.

სწაფი ცვლილებების ამ გარემოში იზრდება ჩვენი სოციალური ერთობის მიმართ ინტერესი და ზრუნვა. არსებობს საფრთხე, რომ მრავალი ევროპელი თავს ჩამორჩენილად და იზოლირებულად იგრძნობს გლობალიზაციისა და ციფრული რევოლუციის გამო. გაუცხოების მოსალოდნელი საფრთხე დემოკრატიული მოქალაქეობის აღზრდის საჭიროებაზე მიგვანიშნებს, რაც ადამიანისგან საკუთარი საზოგადოების შესახებ ინფორმირებულობასა და ზრუნვას და მასში აქტიურობას მოითხოვს. შედეგად უნდა შეიცვალოს ის ცოდნა, უნარ-ჩვევები და შესაძლებლობები, რაც თითოეულ ადამიანს სჭირდება.

სწორედ ამ მიზნით ევროპარლამენტის საბჭომ 2006 წლის ბოლოს მიიღო მუდმივი სწავლისთვის საკვანძო კომპეტენციების ევროპული ჩარჩო. ჩარჩოში პირველად ევროპულ დონეზე განსაზღვრული და განმარტებულია საკვანძო კომპეტენციები, რომლებიც მოქალაქეებს სჭირდებათ პიროვნული სრულყოფის, სოციალური ჩართულობის, აქტიური მოქალაქეობისა და შრომისუნარიანობისთვის ჩვენს ცოდნაზე დაფუძნებულ საზოგადოებაში. წევრი ქვეყნების განათლებისა და წვრთნის არსებული სისტემა ხელს შეუწყობს ამ კომპეტენციების განვითარებას მოზარდებში, ხოლო ზრდასრულთა განათლება და წვრთნა

რეალურ შესაძლებლობებს შესთავაზებს ყველა ზრდასრულს ამ უნარ-ჩვევებისა და კომპეტენციების სწავლასა და განვითარებაში.

დარწმუნებული ვარ, რომ საკვანძო კომპეტენციების ევროპული ჩარჩო სასარგებლო ინსტრუმენტი იქნება პოლიტიკის შემქმნელების, განათლების მუშაკებისა და მოსწავლეებისათვის და მუდმივ სწავლას ყველასთვის რეალობად აქცევს. ყველას მოვუწოდებ, ამ ინსტრუმენტის მაქსიმალურად გამოყენებას, ხოლო ევროკომისიას მისი გავრცელებისა და პოპულარობის ხელშეწყობას.

იან ფიგელი

ევროკომისიის წევრი მოზარდთა განათლების, წვრთნისა და კულტურის საკითხებში

წინაპირობა და მიზნები

გლობალიზაცია ევროკავშირს ახალი სირთულეების წინაშე აყენებს, ამიტომ ყოველ მოქალაქეს დასჭირდება საკვანძო კომპეტენციათა ფართო დიაპაზონი, რათა მოქნილად აუღოს ალღო სწრაფად ცვალებად და ძალზე ურთიერთგადაჯაჭვულ სამყაროს. განათლება მისი ორმაგი სოციალური და ეკონომიკური როლის გამო, უმნიშვნელოვანესი იქნება და ევროპის მოქალაქეებს ამ ცვლილებებთან უმტკივნეულოდ ადაპტირების შესაძლებლობას მისცემს საკვანძო კომპეტენციების დაუფლების საფუძველზე.

კერძოდ, მრავალგვარ ინდივიდუალურ კომპეტენციებზე დაყრდნობით განსხვავებული მოთხოვნილებების დაკმაყოფილება უნდა მოხდეს ადამიანთა იმ ჯგუფებისთვის თანასწორობისა და მისაწვდომობის უზრუნველყოფით, რომლებსაც განათლებისთვის არახელსაყრელი პირობები აქვთ პიროვნული, სოციალური, კულტურული ან ეკონომიკური გარემოებების გამო და განსაკუთრებული მხარდაჭერა სჭირდებათ განათლების პოტენციალის სრულყოფისთვის. ამგვარი ჯგუფების მაგალითებია: დაბალი საბაზისო უნარების მქონე ადამიანები, განსაკუთრებით წერა-კითხვის დაბალი დონის მქონენი, ისინი, ვინც საშუალო სკოლა არ დაამთავრა, ხანგრძლივი დროის განმავლობაში უმუშევრები და ისინი, ვინც ხანგრძლივი დროის შემდეგ დაუბრუნდა სამუშაოს, ხანდაზმულები, მიგრანტები და უნარშეზღუდულები.

ამ კონტექსტში ჩარჩოს ძირითადი მიზნებია:

- განსაზღვროს და განმარტოს ცოდნის საზოგადოებაში პიროვნული სრულყოფის, აქტიური მოქალაქეობის, სოციალური ერთობისა და შრომისუნარიანობისთვის საჭირო საკვანძო კომპეტენციები;
- ხელი შეუწყოს წევრი ქვეყნების მუშაობას, რათა უზრუნველყოფილი იყოს მოზარდთა საწყისი ცოდნისა და წვრთნის საფუძველზე საკვანძო კომპეტენციების იმ დონეზე განვითარება, რაც მათ ზრდასრული ცხოვრებისთვის შეაიარაღებს და საფუძველს

ჩაუყრის მომავალში სწავლასა და მუშაობას; ზრდასრულები შეძლებენ საკვანძო კომპეტენციების განვითარებასა და განახლებას მთელი ცხოვრების განმავლობაში;

- უზრუნველყოს ევროპული დონის საყრდენი ინსტრუმენტი პოლიტიკის შემქმნელების, განათლების მუშაკების, მეწარმეებისა და თვით მოსწავლეებისთვის და ხელი შეუწყოს ეროვნული და ევროპის დონეზე ძალისხმევას საერთო მიზნების მისაღწევად;
- უზრუნველყოს მომავალ ქმედებათა ჩარჩო საზოგადოების დონეზე როგორც განათლებისა და წვრთნის 2010 წლის სამუშაო პროგრამის, ისე საზოგადოების განათლებისა და წვრთნის პროგრამების ფარგლებში.

საკვანძო კომპეტენციები

კომპეტენციები განისაზღვრება, როგორც კონტექსტის შესაბამისი ცოდნის, უნარ-ჩვევებისა და დამოკიდებულების კომბინაცია. საკვანძოა ის კომპეტენციები, რომლებიც ყველა ინდივიდს სჭირდება პიროვნული სრულყოფისა და განვითარების, აქტიური მოქალაქეობის, სოციალური ჩართულობისა და დასაქმებისთვის.

ჩარჩოში მოცემულია რვა საკვანძო კომპეტენცია:

- კომუნიკაცია მშობლიურ ენაზე
- კომუნიკაცია უცხო ენაზე
- მათემატიკური კომპეტენცია და საბაზო კომპეტენციები საბუნებისმეტყველო, ტექნიკურ და გამოყენებით მეცნიერებებში
- ციფრული კომპეტენცია
- სწავლის სწავლა
- სოციალური და სამოქალაქო კომპეტენციები
- ინიციატივისა და მეწარმეობის გრძნობა (მნიშვნელობა, ატმოსფერო)
- კულტურული ცოდნა და გამოხატვა

საკვანძო კომპეტენციები ერთნაირად მნიშვნელოვანია, რადგან ყოველი მათგანი ხელს უწყობს ცოდნის საზოგადოებაში წარმატებულ ცხოვრებას. მრავალი მათგანი ურთიერთმომცველი და ურთიერთდაკავშირებულია: ერთი სფეროსთვის მნიშვნელოვანი ასპექტები ხელს უწყობს სხვა სფეროში კომპეტენციების განვითარებას. მეტყველების, წერა-კითხვის, რაოდენობრივი აზროვნების უნარისა და საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (სსტ) საბაზო უნარ-ჩვევებში კომპეტენცია მნიშვნელოვანი საფუძველია სწავლისთვის, ხოლო კომპეტენცია - 'სწავლის სწავლა' ხელს უწყობს ყველა სასწავლო

აქტივობას. ჩარჩოში გამოყენებულია მთელი რიგი თემებისა: კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, ინიციატივა, პრობლემების გადაჭრა, რისკის შეფასება, გადაწყვეტილების მიღება და გრძნობების კონსტრუქციული მენეჯმენტი რვავე კომპეტენციაში თამაშობს როლს.

6. სოციალური და სამოქალაქო კომპეტენციები

განსაზღვრება:

სოციალური და სამოქალაქო კომპეტენციები მოიცავს პიროვნულ, პიროვნებათაშორის და კულტურათაშორის კომპეტენციებს და ქცევის ყველა ფორმას, რომელიც ინდივიდს საზოგადოებრივ და სამუშაო ცხოვრებაში, განსაკუთრებით კი, სულ უფრო და უფრო მრავალფეროვან საზოგადოებებში ეფექტიან და კონსტრუქციულ მონაწილეობასა და საჭიროების შემთვევაში კონფლიქტების გადაჭრაში ეხმარება. სამოქალაქო კომპეტენცია ინდივიდებს სამოქალაქო ცხოვრებაში სრულყოფილ მონაწილეობაში ეხმარება და ეფუძნება სოციალურ და პოლიტიკურ კონცეფციებსა და სტრუქტურებს, აქტიურ და დემოკრატიულ მონაწილეობისადმი ერთგულებას.

სოციალურ კომპეტენციასთან დაკავშირებული ძირითადი ცოდნა, უნარ-ჩვევები და დამოკიდებულებები:

სოციალური კომპეტენცია უკავშირდება პირად და საზოგადოებრივ კეთილდღეობას და მოითხოვს იმის გაგებას, თუ როგორ შეიძლება უზრუნველყონ ინდივიდებმა ფიზიკური და სულიერი ჯანმრთელობა, როგორ გამოიყენონ წყაროდ საკუთარი თავი, ოჯახი და მყისიერი სოციალური გარემო და **ცოდნას,** თუ როგორ უწყობს ამ ყველაფერს ხელს ცხოვრების ჯანსაღი წესი. წარმატებული პიროვნებათაშორისი და საზოგადოებრივი მონაწილეობისთვის მნიშვნელოვანია სხვადასხვა საზოგადოებებსა და გარემოში (მაგ., სამსახურში) ქცევის კოდექსისა და ზოგადად მიღებული მანერების ცოდნა. ასევე მნიშვნელოვანია, ინდივიდების, ჯგუფების, სამუშაოს ორგანიზაციის, გენდერული თანასწორობისა და არადისკრიმინაციის, საზოგადოებისა და კულტურის ძირითადი კონცეფციების ცოდნა. არსებითია ევროპული საზოგადოებების მულტიკულტურული და სოციო-ეკონომიკური თავისებურებებისა და ეროვნული კულტურული იდენტობისა და ევროპული იდენტობის ურთიერთზემოქმედების ცოდნა.

ამ კომპეტენციის ძირითადი **უნარ-ჩვევები** მოიცავს სხვადასხვა გარემოში კონსტრუქციული კომუნიკაციის უნარს, ტოლერანტობას, განსხვავებული შეხედულებების გამოხატვასა და გაგებას, თავდაჯერებულობის გარემოს ხელშეწყობასა და ემპათიის განცდას. ინდივიდს უნდა შეეძლოს სტრესთან და იმედგაცრუებასთან გამკლავება და მათი კონსტრუქციულად გამოხატვა, ასევე პირადი და პროფესიული სფეროების გამიჯვნა.

ეს კომპეტენცია ემყარება კოლაბორაციის, ასერტულობისა (თავდაჯერებულობის) და გულწრფელობის (ღიაობის) **დამოკიდებულებას.** ინდივიდს უნდა ჰქონდეს სოციო-ეკონომიკური განვითარებისა და კულტურათაშორისი კომუნიკაციის ინტერესი, აფასებდეს

მრავალგვარობას და პატივს სცემდეს სხვებს, მზად იყოს როგორც მიკერძოებული აზრის დასაძლევად, ასევე კომპრომისისთვის.

სამოქალაქო კომპეტენციასთან დაკავშირებული ძირითადი ცოდნა, უნარ-ჩვევები და დამოკიდებულებები:

სამოქალაქო კომპეტენცია ემყარება დემოკრატიის, სამართლიანობის, თანასწორობის, მოქალაქეობის და სამოქალაქო უფლებების ცოდნას, მათ შორის, როგორ არის ისინი გამოხატული ევროკავშირის ძირითადი უფლებების სიგელსა და საერთაშორისო დეკლარაციებში და როგორ გამოიყენება სხვადასხვა ინსტიტუტების მიერ ადგილობრივ, რეგიონულ, ეროვნულ, ევროპულ და საერთაშორისო დონეებზე. ის მოიცავს როგორც თანამედროვე მოვლენების, ისე ეროვნული, ევროპული და მსოფლიო ისტორიის ძირითადი მოვლენებისა და ტენდენციების ცოდნას. ამას გარდა, სოციალურ და პოლიტიკურ მოძრაობათა მიზნების, ღირებულებებისა და პოლიტიკის წვდომას. ასევე მნიშვნელოვანია, ევროპული ინტეგრაციის და ევროკავშირის სტრუქტურების, ძირითადი მიზნებისა და ღირებულებების და ევროპაში მრავალგვარობისა და კულტურული იდენტობის ცოდნაც.

სამოქალაქო კომპეტენციის **უნარ-ჩვევები** უკავშირდება საზოგადოებაში სხვებთან ურთიერთობის უნარს, ადგილობრივი და ფართო საზოგადოების წინაშე მდგარი პრობლემების გადაჭრისას სოლიდარობისა და ინტერესის გამოხატვას. ეს მოიცავს კრიტიკულ და შემოქმედებით აზროვნებას და კონსტრუქციულ მონაწილეობას თემის ან სამეზობლოს აქტივობებში, ასევე გადაწყვეტილების მიღებას ყველა დონეზე, დაწყებული ეროვნულიდან, დამთავრებული ევროპულით, კერძოდ, ხმის მიცემის საშუალებით.

დადებითი **დამოკიდებულების** საფუძველია ადამიანის უფლებების, მათ შორის, თანასწორობის, როგორც დემოკრატიის პატივისცემა, სხვადასხვა რელიგიური ან ეთნიკური ჯგუფების ღირებულებათა განსხვავებული სისტემების აღიარება და გაგება. ეს ნიშნავს, როგორც კონკრეტული ადგილისადმი, ქვეყნისადმი, ევროკავშირისადმი ან ზოგადად, ევროპისადმი და მსოფლიოსადმი მიკუთვნებულობის ჩვენებას, ისე ყველა დონეზე დემოკრატიული გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობისთვის მზაობას. ასევე მოიცავს პასუხისმგებლობის გრძნობის დემონსტრირებას, საზოგადოების ერთიანობისთვის აუცილებელი საერთო ღირებულებების (მაგ., დემოკრატიული პრინციპების პატივისცემა) აღიარებას და მათდამი პატივისცემას. კონსტრუქციული მონაწილეობა ასევე მოიცავს სამოქალაქო აქტივობას, სოციალური მრავალგვარობისა და ერთიანობის, მდგრადი განვითარების ხელშეწყობას და სხვათა ღირებულებებისა და პირადულის პატივისცემის მზაობას.

7. ინიციატივისა და მეწარმეობის გრძნობა

განსაზღვრება:

ინიციატივისა და მეწარმეობის გრძნობა მიანიშნებს ინდივიდის უნარზე აქციოს იდეები ქმედებად. ის მოიცავს შემოქმედებითობას, ინოვაციასა და რისკის გაწევას, ასევე პროექტების

დაგეგმვისა და მართვის უნარს მიზნების მისაღწევად. ის ხელს უწყობს ინდივიდებს არა მხოლოდ სახლსა და საზოგადოებაში ყოველდღიურ ცხოვრებაში, არამედ სამსახურშიც, რადგან აცნობს სამუშაოს კონტექსტს და აძლევს შესაძლებლობების გამოყენების საშუალებას. ის არის უფრო სპეციფიკური უნარ-ჩვევებისა და ცოდნის საფუძველი, რომელიც იმ ადამიანებს სჭირდებათ, ვინც მონაწილეობს საზოგადოებრივ ან კომერციულ საქმიანობაში. ის მოიცავს ეთიკური ღირებულებების ცოდნას და კარგი ხელმძღვანელობის ხელშეწყობას.

კომპეტენციასთან დაკავშირებული ძირითადი ცოდნა, უნარ-ჩვევები და დამოკიდებულებები:

აუცილებელი ცოდნა მოიცავს პიროვნული, პროფესიული და/ან ბიზნეს აქტივობების არსებული შესაძლებლობების განსაზღვრას, მათ შორის ფართო თვალსაწიერის საკითხებს, რომლებიც ადამიანთა ცხოვრებისა და მუშაობის კონტექსტს ქმნიან, მაგალითად, ეკონომიკის ფუნქციონირებისა და მეწარმის ან ორგანიზაციის წინაშე არსებული შესაძლებლობებისა და სირთულეების უფრო ფართო ცოდნა. ინდივიდმა ასევე უნდა იცოდეს საწარმოს ეთიკური პოზიცია.

უნარ-ჩვევები უკავშირდება პროექტის პროაქტიურ მენეჯმენტს (მოიცავს, მაგალითად, დაგეგმვის, ორგანიზების, მართვის, ხელმძღვანელობის და დელეგირების, ანალიზის, კომუნიკაციის, შეჯამების, შეფასებისა და აღრიცხვის უნარს), ეფექტიან პრეზენტაციას და მოლაპარაკებას და ინდივიდუალურ და გუნდებში კოლაბორაციულ მუშაობას. არსებითია, ინდივიდის ღირსებებისა და ნაკლოვანებების განსაზღვრა და შეფასება და რისკის შეფასება და გამართლებული რისკის გაწევა.

მეწარმეობის **დამოკიდებულება** ხასიათდება პირად და საზოგადოებრივ ცხოვრებაში და სამუშაოზე ინიციატივით, პროაქტიურობით, დამოუკიდებლობით და ინოვაციით. ის მოიცავს შეუპოვრობასაც მიზნების მისაღწევად, როცა პიროვნული მიზნები ემთხვევა სხვების მიზნებს.

1.4 სკოლის დანიშნულება და როლი სამოქალაქო განათლებასა და დემოკრატიის განვითარებაში

განათლების ფილოსოფოსებისა და მკვლევარების მოსაზრებები

დემოკრატიულად ორგანიზებული სახელმწიფო ესწრაფვის აღზარდოს არა მარტო პიროვნება, არამედ, პირველ ყოვლისა მოქალაქე, ამიტომ, ახალგაზრდა თაობის მოქალაქეობრივი აღზრდის საკითხი სახალხო განათლების სისტემის უმნიშვნელოვანესი საკითხია. პედაგოგიურ პრაქტიკასა და ლიტერატურაში ამჟამად ამ საკითხზე ენერგიული სჯა-ბაასია გაჩაღებული. უდავოა, რომ დემოკრატია დაინტერესებულია შეგნებულ მოქალაქეთა აღზრდით, რომლებსაც უნარი ექნებათ შემოქმედებითად ჩაერიონ სახელმწიფოს ცხოვრების განვითარების პროცესში, მაგრამ რა საშუალებები აქვს სახალხო სკოლას ამ მნიშვნელოვანი მიზნის განსახორციელებლად?

პირველ ყოვლისა, აუცილებელია მივცეთ ბავშვებს ცოდნის გარკვეული რაოდენობა მოცემულ საკითხზე; სახალხო სკოლის პროგრამაში გათვალისწინებული უნდა იყოს ეს მოსაზრება, მაგრამ ეს არ არის მთავარი. არსებითია არა შეხედულებათა წრის შეთვისება, არამედ ხასიათისა და ნებისყოფის სამოქალაქო წრთობა. ეს მიზანი კი შეიძლება განხორციელდეს სასკოლო ცხოვრების პრაქტიკაში. სკოლა ხომ პატარა სახელმწიფოა და ამ სახელმწიფოს მოქალაქენი მისი აღსაზრდელები არიან. დაე, სკოლა დემოკრატიულად იყოს მოწყობილი, დაე, მისი მართვა, არსებითად, მოსწავლეთა ხელში გადავიდეს. მართვის ცოცხალი პრაქტიკა გამოაწრთობს მოზარდი თაობის მოქალაქეობრივ ხასიათს, იგი განავითარებს ბავშვებში მთლიანის ინტერესების მნიშვნელობისა და საერთო საქმისათვის პიროვნების შეზღუდვის აუცილებლობის შეგნებას. იგი განამტკიცებს ბავშვებში იმის რწმენას, რომ შემთხვევითი და დროებითი მხოლოდ იმიტომ არსებობს, რომ განამტკიცოს და განავითაროს მუდმივიდა წარუვალი, რომ პრომატია არა პირადული, რომელიც, არსებითად შემთხვევითია, არამედ საზოგადოებრივი, რომელიც წარუვალია, მუდმივია და აუცილებელი. ეს რომ გაკეთდება, ხასიათის სამოქალაქო აღზრდა, უეჭველად, უზრუნველყოპილი იქნება.

ამრიგად, მთელ რიგ საქმეებში (ექსკურსია, კლასი, დისციპლინა და ა.შ.) თვითმმართველობის შემოღება არის მოქალაქეობრივი გრძნობების აღზრდის უმნიშვნელოვანესი საშუალება. დღეს თუ თანამედროვე სკოლა, მისი ხელმძღვანელები დროისა და ძალების უდიდეს ნაწილს ხარჯავენ სასწავლო პროგრამებისა და სწავლების მეთოდების დამუშავებაზე, მომავლის სკოლა, რომლის მიზანი მოქალაქეობრივად განწყობილი ხასიათის აღზრდა იქნება, აუცილებლად ბევრს იფიქრებს სასკოლო

ცხოვრებაში მჩქეფარე პრაქტიკულ საქმიანობაზე, რომელიც დღენიადაგ აღძრავს ბავშვებში თვითმოქმედებას, ინიციატივას, შეუპოვრობას. ყოველივე ეს შეფერილი იქნება საერთო საქმისადმი სამსახურის სურვილით, მუდმივი და წარუვალის შექმნის მზაობის შეგნებით.

რაც შეეხება მიზანს, საშუალო სკოლაც უნდა ესწრაფებოდეს ძლიერი და აქტიური ხასიათის გამომუშავებას აღსაზრდელებში. თუმცა, აქ მეცნიერება უნდა ინერგებოდეს არა მარტო როგორც ადამიანის ცხოვრებისეული პრაქტიკის გაუმჯობესების იარაღი, როგორც ეს სახალხო სკოლაში ხერხდება, არამედ პირველ ყოვლისა, თვითკმარი კულტურული ღირებულება, რომელიც თავისთავად არის შრომის ერთ-ერთი დარგი, მას ძალა შესწევს განავითაროს ადამიანის ხასიათი, თუ მისი სწავლება სწორ მეთოდიკურ საფუძველზე იქნება აგებული.

თვითმოქმედება და აქტივობა უმთავრეს პრინციპად ითვლება საშუალო სკოლაში.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მოქალაქეობრივი აღზრდის მიზნებს; სახალხო სკოლასთან შედარებით ის განსხვავებაა, რომ აქ მეცნიერული მომზადება უფრო მტკიცე საფუძველს უყრის სამოქალაქო აღზრდას.

დიმიტრი უზნაძე

პედაგოგიური თხზულებანი: ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ამოცანები - 1917წ., თბილისი, 2005წ., გვ.: 378-392

ნებისყოფის აღზრდა სოციალურსა და მოქალაქეობრივი აღზრდის სფეროში უნდა იქნეს გადატანილი. ეს უკანასკნელი კი, იმდენად ცოდნას არ ეყრდნობა, რამდენადაც მოქმედებას. მოზარდი სრულ რვა წელს მაინც უმეტეს ნაწილად სკოლაში ატარებს და ისიც ისეთ რვა წელს, როდესაც პირველად იღვიძებს ესა თუ ის ხასიათის დისპოზიცია. როგორ შეიძლება, რომ სკოლამ ამ გარემოებას ყურადღება არ მიაქციოს და ხასიათის შემუშავებისათვის სპეციალური და ენერგიული მზრუნველობა არ გამოიჩინოს? თუ კი ცხადია, რომ მისი ამ მხრივ მზრუნველობის ძირითადი ტენდენცია იქით უნდა იყოს მიმართული, რათა მოზარდის ცნობიერებაში საბოლოოდ ჩამოყალიბდეს შეგნება, რომ იგი საზოგადოებრივი ერთეულის წევრია და მთელი მისი მოღვაწეობა ამ ერთეულის ინტერესით მოძრაობს და უნდა მოძრაობდეს, უეჭველ საქმედ უნდა ჩაითვალოს ისიც, რომ ყველაფრის ამის განსახორციელებლად სათანადოდ მოწყობილი სკოლაა ძლიერ ხელსაყრელი პირობა. ამიტომ იგი ისე უნდა მოეწყოს, რომ მთელი თავისი ყოველდღიური ცხოვრებითა და ინტერესებით პატარა სოლიდარულს საზოგადოებრივ ერთეულს უნდა წარმოადგენდეს, სადაც ყველა აქტიური საერთო შრომისა და მუშაობის ნიადაგზე საკუთარი მოვალეობის აღსრულების ხაზით საერთო საქმეს აკეთებდეს - ამიტომ მოწაფეთა ფართო თვითმმართველობის იდეის განხორციელება აუცილებელი მოთხოვნილებაა, რომელიც მთელ სკოლას მარად თვალწინ უნდა ჰქონდეს. უეჭველია ამ პრინციპის განხორციელება მთელი სკოლის ცხოვრების აწინდელ კონსტრუქციაზე თავისებურ გავლენას მოახდენს, მაგრამ ეს ასეც უნდა მოხდეს, თვითმმართველობა სკოლის მთელი მუშაობის ბუნებიდან თავის თავად უნდა

გამომდინარეობდეს, ამიტომაც მისი მნიშვნელობა მხოლოდ მთელი სასკოლო სისტემის სათანადო გარდაქმნის ნიადაგზე შეიძლება გაიშალოს.

მაგრამ მარტო ეს არ არის საკმარისი, უეჭველია მოზარდს არა მარტო ინტელექტუალურად, ზნეობრივადაც და სოციალურადაც უნდა ჰქონდეს შეგნებული მოქალაქისათვის საჭირო ნება; ნათელი და მკაფიო წარმოდგენაც იმის შესახებ, თუ რა არის ის სოციალური ორგანიზმი, რომლის ერთ-ერთ წევრს იგი წარმოადგენს და როგორია ის ვალდებულებანი და უფლებანი, რომელნიც მას დაკისრებული აქვს, ამიტომ სკოლაში ზნეობისა და უფლების სპეციალურად შესწავლასაც შეჰფერის თავისი ადგილი; თავისუფალ მოქალაქეს უამისოდ საკმაოდ გაუჭირდებოდა თავისუფლების ფაქტიური გამოყენება. მაგრამ ზნეობისა და უფლების შესწავლის აზრი, მართლაც, თავის ადგილას შეიძლება ჰქონდეს. ამიტომ მისი შემოღება სავალდებულო სკოლის მესამე საფეხურზე უფრო ადრე მიზანშეწონილი იქნებოდა.

დიმიტრი უზნაძე

პედაგოგიური თხზულებანი: სახალხო განათლების სისტემის ძირითადი ამოცანები1918წ., თბილისი, 2005წ., გვ.: 401-419

დემოკრატიის შესახებ ლინკოლნის ცნობილი გამონათქვამის პარაფრაზი რომ მოვახდინოთ, ეს ფილოსოფია გულისხმობს გამოცდილების, გამოცდილებით და გამოცდილებისთვის განათლებას. გამოცდილების, გამოცდილებით და გამოცდილებისთვის- ამ სიტყვებიდან არცერთი არ არის ჩვენთვის თავისთავად გასაგები. თითოეული მათგანი ასახავს ურთულეს ამოცანას, რაც გულისხმობს წესრიგისა და ორგანიზაციის პრინციპის მიგნებასა და ამოქმედებას, რაც საბოლოოდ, გამომდინარეობს გამოცდილების ცნების ადეკვატური გაგებიდან.

შესაბამისად, ახალი განათლებისთვის შესაფერისი მასალების, მეთოდებისა და სოციალური ურთიერთობების შემუშავება გაცილებით უფრო რთული ამოცანაა, ვიდრე ტრადიციული განათლების შემთხვევაში. ჩემი აზრით, პროგრესული სკოლის მართვასთან დაკავშირებული სირთულეებისა და ამ სკოლების წინააღმდეგ გამოთქმული უამრავი კრიტიკის მიზეზი სწორედ ეს გარემოება არის. სირთულეები მწვავდება და კრიტიკაც მატულობს, როდესაც ფიქრობენ, რომ ახალი განათლება ძველზე ადვილია. ვფიქრობ, რომ ეს შეხედულება, მეტად თუ ნაკლებად, გავრცეებულია დღეს. შესაძლოა, ესეც ჩვენს მიერ არაერთხელ ხსენებული „ან-ან“ ფილოსოფიის გავლენაა.

სიამოვნებით ვაღიარებ, რომ ახალი განათლება, თავისი საფუძვლებითა და პრინციპებით ძველთან შედარებით მარტივია. ის ჰარმონიაშია ზრდისა და განვითარების პრინციპებთან, საგნებისა და მეთოდების ძველ კომპლექტსა და ორგანიზაციაში კი ბევრი რამ ხელოვნური იყო, რასაც ყოველთვის არასასურველ, და რაც მთავარია, სრულიად უსარგებლო სირთულემდე მივყავართ. მაგრამ, არ შეიძლება ადვილს და მარტივს ერთნაირი გაგება მივცეთ. იმის აღმოჩენა, რა არის მართლაც მარტივი და შემდეგ ამ აღმოჩენის შესაბამისად მოქმედება, უაღრესად რთული აოცანაა. როდესაც ხელოვნური და რთული ოდესღაც

ინსტიტუციურად გამყარებული და შემდეგ ტრადიციასა და რუტინაში მყარად ფესვგადგმულია, რათქმაუნდა, უფრო ადვილია გაკვალული გზებით სიარული, ვიდრე ახალი ხედვისა და კურსის არჩევის შემდეგ იმის ჩამოყალიბება, პრაქტიკულად რა იგულისხმება ამ ახალ ხედვაში.

<u>თავისუფლების ბუნება</u>

ამჯერად მინდა ვისაუბრო სოციალური კონტროლის პრობლემის მეორე მხარეზე, კერძოდ, თავისუფლების ბუნებაზე. ერთადერთი თავისუფლება, რომელიც მუდამ მნიშვნელოვანია, აზროვნების ანუ დაკვირვებისა და განსჯის თავისუფლებაა, რაც ფუნდამენტურად ღირებული მიზნების სამსახურში დგას. ყველაზე ხშირი შეცდომა, რასაც საერთოდ თავისუფლებაზე საუბრიდან უშვებენ ხოლმე, არის ის, რომ მას მოძრაობის თავისუფლებასთან ან მოქმედების გარეგნულ და ფიზიკურ მხარესთან აიგივებენ. აქტივობის ეს გარეგნული და ფიზიკური მხარე არ შეიძლება დავაცილოთ აქტივობის შინაგან მხარეს: ფიქრის, სურვილისა და მიზნის თავისუფლებას. ის ფიზიკური შეზღუდვები, რაც ბავშვებს დაწესებული ჰქონდათ ტრადიციულ სკოლაში, მისი ტიპური საკლასო ოთახებით, მკაცრად განლაგებული მერხებითა და მოსწავლეთა ლამის სამხედრო რეჟიმით, რომლებსაც მოძრაობის ნებას მხოლოდ განსაზღვრულ მომენტებში რთავდნენ, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვნად ზღუდავდა ბავშვთა ინტელექტურ და მორალურ თავისუფლებას. სიგიჟის ან სატუსაღოს მსგავს ატმოსფეროს სკოლაში ერთხელ და სამუდამოდ უნდა დაესვას წერტილი, თუ გვსურს რომ პიროვნებებს ზრდისა და განვითარებისშანსი მივცეთ, გზა გავუხსნათინტელექტური თავისუფლებისკენ, რომლის გარეშეც ჭეშმარიტი და უწყვეტი ზრდის გარანტია არ არსებობს.

მაგრამ, ის რომ ფიზიკური მოძრაობის თავისუფლება მხოლოდ საშუალებაა და არა მიზანი, ძალაში რჩება. თავისულების ამ ასპექტის მიღწევით, საგანმანათლებლო პრობლემა ვერ მოგვარდება. მაშასადამე, ყველაპერი იმაზეა დამოკიდებული, როგორ გამოვიყენებთ ამ დამატებით თავისუფლებას. რა მიზანს ემსახურება იგი? რა შედეგები გამომდინარეობს მისგან? ნება მიბოძეთ, თავდაპირველად ვისაუბრო იმ დადებით მხარეებზე, რაც, პოტენციურად აქვს ფიზიკურ თავისუფლებას. უპირველეს ყოვლისა, ფიზიკური თავისუფლების გარეშე, მასწავლებლისთვის პრაქტიკულად შეუძლებელია, გაიცნოს ის ადამიანები, რომელთანაც საქმე აქვს. იძულებით თავს მოხვეული სიჩუმე და უსიტყვო მორჩილება ხელს უშლის მოსწავლეებს გამოამჟღავნონ თავიანთი ნადვილი ბუნება. ისინი განასახიერებენ ხელოვნურ ერთსახოვნებას, ერთგვარობას, მოჩვენებითს რეალურად არსებულზე წინ აყენებენ. მათთვის მთავარია ყურადღების, ზრდილობისა და მორჩილების გარეგნულად შენარჩუნება. და ყველამ, ვინც იცნობსიმ სკოლებს, სადაც ამგვარი სისტემა მოქმედებდა, კარგად იცის, რომ ფიქრები, ფანტაზიები, სურვილები თუ მავნე საქმიანობები თავისი გზით მიემართებოდა ამ ფასადს მიღმა. მათით არავინ ინტერესდებოდა და არც არავინ ამოწმებდა. მასწავლებელი მათ შესახებ მხოლოდ იმ შემთხვევებში იგებდა, თუ ისინი ამ მოჩვენებითი იდილიის დამრღვევი რაიმე შემთხვევის გამო მოულოდნელად გამოაშკარავდებოდა.

ჯონ დიუი

განათლება და გამოცდილება 1938წ., შესავალი თანამედროვე აზროვნებაში, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. 2007. გვ.: 265, 287.

კულტურა არ არის თანდაყოლილი, ის დაისწავლება. ის ადამიანის სოციალური გარემოდან მომდინარეობს და არა მისი გენებიდან. კულტურის ქვაკუთხედი ღირებულებებია, რომელთა მიხედვით არჩევანს ვაკეთებთ: ბოროტსა და კეთილს შორის; ბინძურსა და სუფთას შორის; საშიშსა და უსაფრთხოს შორის; აკრძალულსა და ნებადართულს შორის; ღირსეულსა და უღირსს შორის; მორალურსა და ამორალურს შორის; უშნოსა და ლამაზს შორის; არაბუნებრივსა და ბუნებრივს შორის; არანორმალურსა და ნორმალურს შორის; პარადოქსულსა და ლოგიკურს შორის; ირაციონალურსა და რაციონალურს შორის.

დიაგრამა 1.1 ღირებულებებისა და პრაქტიკის სწავლა



ღირებულებებს ადამიანი ახალგაზრდობაში ეზიარება. ცხოველებისგან განსხვავებით, იგი დაბადებიდან არ ფლობს ფასეულობათა მთელ კომპლექტს. ფიზიოლოგიიდან გამომდინარე, ათიდან თერთმეტ წლადე ადამიანს მნიშვნელოვანი ინფორმაციის ასათვისებლად საკმარისი დრო აქვს, ეს კი, სიმბლოებს (მაგ: სამეტყველო ენა), გმირებს (მაგ: მშობლები) და რიტუალებს (მაგ: საპირფარეშოში სიარული) გულისხმობს. აგრეთვე _ საბაზისო ფასეულობების ათვისებას. ამ ეტაპის დამთავრების შემდეგ, შესწავლის განსხვავებულ, გაცნობიერებულ ეტაპზე გადავდივართ და ძირითად წესებსა და მეთოდებს ვაქცევთ ყურადღებას.

გირტ ჰოფსტედე და გერტ იან ჰოფსტედე

კულტურები და ორგანიზაციები: აზროვნების ნიადაგი - გონების კოლექტიური სისტემა - 1991 წ. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. 2010.

ხარისხზე ორიენტირებული სკოლების ადმინისტრატორები ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ სკოლაში დამკვიდრებული კულტურა ისეთ ფასეულობებს ეფუძნებოდეს, როგორიცაა: თანამშრომლობა, ნდობა, ღია ურთიერთობები და სრულყოფისკენ მუდმივი სწრაფვა.

სკოლაში მიმდინარეობს სწავლებისა და სწავლის პროცესი. სკოლის საბოლოო მიზანი არის ასწავლოს მოსწავლეებს. ფაქტიურად, სკოლის არსებობა ამ საქმიანობაზეა დამოკიდებული. შესაბამისად, სკოლა, უფრო მეტად, ვიდრე ნებისმიერი სხვა ორგანიზაცია, თავადაც უნდა წარმოადგენდეს ისეთ ორგანიზაციას, რომელიც მუდმივად სწავლობს და ვითარდება. ეს უნდა იყოს ადგილი, სადაც ყველა მონაწილე მხარე მუდმივად უნდა აძლიერებდეს საკუთარ შემოქმედებით და წარმატების მისაღწევად საჭირო შესაძლებლობებს, სადაც წახალისებული უნდა იყოს ნოვატორული აზროვნება, სადაც უნდა გაუფრთხილდნენ კოლექტიურ სწრაფვასა და შემართებას, სადაც ადამიანები სწავლობენ, თუ როგორ უნდა ისწავლონ ერთად, დაბოლოს, სადაც თავად ორგანიზაცია უნდა ცდილობდეს, გააძლიეროს ინოვაციების დანერგვის უნარი და პრობლემების მოგვარების შესაძლებლობა.

უეინ კ. ჰოი, სესილ გ. მისკელი

განათლების სფეროს ადმინისტრირება: თეორია, კვლევა და პრაქტიკა. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. 2010

ტრადიციულად, ადამიანები ფიქრობენ, რომ განათლების სისტემა ეს არის იერარქია, რომლის თავშიც ჯერ სამინისტროა, შემდეგ - სხვადასხვა შრეები. მასწავლებლები და მათი საკლასო ოთახები ყველაზე ბოლოსაა. ჩვენ ვამჯობინებთ ამოვაბრუნოთ ეს იერარქია და შემოგთვაზოთ ასეთი ხედვა, როგორიც გრაფიკზეა, რადგან საბოლოოდ ყველაზე მნიშვნელოვანია სწორედ ის, რაც საკლასო ოთახში ხდება.

დიაგრამა 1.2 განათლების სისტემის იერარქია



საკლასო ოთახი

- საკლასო ოთახის დონეზე სასწავლო პრატიკა შესაცვლელია. საქართველოში მასწავლებლებს ამ ეტაპზე სჭირდებათ არა მარტო ახალი ეროვნული სასწავლო გეგმების მიღება, არამედ საკუთარი პედაგოგიკის შეცვლაც, თუკი მაღალი სტანდარტები და თითოეული მოსწავლის პერსონალიზებული განათლების მიზნები მართლაც მისაღწევია. ეს უდიდესი და ცენტრალური ამოცანაა.
- ახალი პროფესიული სტანდარტების შემოღება უდავოდ მიეხმარება რეფორმას, მაგრამ მსოფლიო გამოცდილება მოწმობს, რომ ეს საკმარისი არ იქნება. წარმატების მისაღწევად უნდა უზრუნველვყოთ, რომ სისტემაში იყვნენ ისეთი მასწავლებლები, რომლებიც გაწვრთნიან თავიანთ კოლეგებს და მოახდენენ საკუთესო გამოცდილების დემონსტრირებას. საჭიროა ისიც, რომ სამუშაო კვირის განმავლობაში მასწავლებლებმა კოლეგებთან ერთად შეაფასონ მოსწავლეთა ნამუშევრები და შეფასების პროცესში შეიმუშავონ ერთობლივი წარმოდგენა მოსწავლის ნამუშევრის მაღალი სტანდარტის შესახებ, ასევე, შეიმუშავონ სწავლების სტრატეგიები და უკუკავშირის მიღწევის ხერხები. ამას შედეგად მოაქვს კიდეც უფრო მაღალი სტანდარტები. შესაძლებლობების ზრდისადმი მრავალმხრივ მიდგომას უკეთესი შედეგი მაშინ მოაქვს, როცა არა მარტო ერთი სკოლის, არამედ სხვადასხვა სკოლების მასწავლებლებს საშუალება ეძლევათ ისწავლონ ერთმანეთისგან და ამით ხელი შეუწყონ მთელს სისტემაში სტანდარტებისა და პრაქტიკის ერთიანი გაგების ჩამოყალიბებას.

სკოლა

- სკოლის დონეზეც რეფორმა რადიკალურ ცვლილებებს მოითხოვს. სამეურვეო საბჭო უნდა დაეუფლოს ეფექტური მუშაობის მეთოდებს, მანვე უნდა ისწავლოს თუ როგორ მართოს სკოლა ყოველდღიურ მენეჯმენტში ჩარევის გარეშე. საბჭომ უნდა ისწავლოს, აგრეთვე, სტრატეგიის ზედამხედველობა, დირექტორის და მთლიანად სკოლის საქმიანობის მეთვალყურეობა. ამ ამოცანების შესასრულებლად მათ წვრთნა დასჭირდებათ. საბჭოების ცალკეული წევრების ტრენინგი სასარგებლო იქნება, მაგრამ ყველაზე მეტი ეფექტი ექნება ექსპერტთა მიერ უშუალოდ სამეურვეო საბჭოს სხდომის დროს ჩატარებულ ტრენინგებს, სადაც მათ შესაძლებლობა ექნებათ გამოთქვან თავიანთი შეხედულებები როგორც საკვანძო თემებთან, ასევე დღის წესრიგის სპეციფიურ საკითხებთან დაკავშირებით. ექსპერტმა უნდა ურჩიოს, თუ რა ფაქტორებზე უნდა გამახვილდეს ყურადღება გადაწყვეტილების მიღებისას და არა ის, თუ რა გადაწყვეტილება უნდა იქნას მიღებული.
- განათლების განვითარებად სისტემაში (როგორც დიდ ბრიტანეთში, ასევე საქართველოში), დირექტორი მთელი სისტემის ღერძია. საქართველოში სკოლის დირექტორის როლი რადიკალურად იცვლება, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც სამეურვეო საბჭოები ბევრ ახალ დირექტორს აირჩევენ. სკოლის დირექტორების შერჩევა სამინისტროს მიერ წარმოდგენილი სიიდან მიზანეწონილია, თუმცა დროთა განმავლობაში აუცილებელი იქნება იმის უზრუნველყოფა, რომ სათანადო კვალიფიკაციის სპეციალისტებს ამ სიებში მოხვედრის ფართო შესაძლებლობა მიეცეთ. მენეჯმენტსა და ბიუჯეტის შედგენაში დაგეგმილი ტრენინგი დირექტორებს პირველი მნიშვნელოვანი ნაბიჯების გადადგმაში დაეხმარება,

მაგრამ ეს საკმარისი არ იქნება. დირექტორმა უნდა ჩამოაყალიბოს სკოლის სახე, ძირითადი იდეა და დაადგინოს მოთხოვნები როგორც მოსწავლეების, ისე თანამშრომლების მიმართ. გარდა ამისა, დირექტორის საქმიანობა მტკიცედ უნდა იყოს მიმართული საკლასო ოთახზე, მან უნდა განახორციელოს მასწავლებელთა საქმიანობის კონტროლი და შექმნას ის პირობები, რომლებიც ჩამოყალიბებულია წინა პუნქტში. მოკლედ რომ ვთქვათ, დირექტორი უნდა გახდეს "მასწავლებელი-ხელმძღვანელი". იმ დირექტორებს, რომლებიც ამგვარ ხელმძღვანელობას ვერ უზრუნველყოფენ, მაინც შეუძლიათ წარმატების მიღწევა, თუკი სკოლაში ეყოლებათ სანდო ხელმძღვანელი პირები, რომლებიც ამ ამოცანას შეასრულებენ. საქართველოში, სკოლიდან სკოლამდე, ანგარიშგასაწევია ისიც, თუ რა სახის ურთიერთობა დამყარდება სკოლის დირექტორსა და არჩეულ სამეურვეო საბჭოს შორის. თუ ეს ურთიერთობა არ აეწყო, ან მასწავლებელთა საბჭო ცვლილებებს არ იღებს, მაშინ სკოლაში პროგრესი არ იქნება.”

განათლების სისტემის ზნეობრივი მიზანია, მიეხმაროს საქართველოში თანამედროვე ლიბერალური დემოკრატიისა და საბაზრო ეკონომიკის შექმნას.

განათლების რეფორმის შეფასება საქართველოში, 2006

სერ მაიკლ გარბერი - 1998-2005 წლებში იყო პრემიერ-მინისტრ ტონი ბლერის მთავარი მრჩეველი ჯანდაცვის, განათლების, სოციალურ საკითხებში

პროფესორი დავიდ ჰოპკინსი - 2002-2005 წლებში იყო ბრიტანეთის განათლების მინისტრის მთავარი მრჩეველი სასკოლო სტანდარტების საკითხებში.

1.5 სკოლის სტრუქტურა, ფუნქციები და თანამშრომლობა

ამონარიდები კანონიდან ზოგადი განათლების შესახებ

თავი VI. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მართვის პრინციპები

მუხლი 35. პასუხისმგებლობა და სტრუქტურა

1. საჯარო სკოლის მიერ ეროვნული სასწავლო გეგმის, ზოგადი განათლების სფეროში საქართველოს კანონმდებლობისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების შესრულებაზე, სასწავლო-სააღმზრდელო პროცესსა და ფინანსების მიზნობრივ ხარჯვაზე თავისი კომპეტენციის ფარგლებში პასუხისმგებელია დაწესებულების დირექტორი, შესაბამისი სტრუქტურული ერთეული ან/და სტრუქტურული ერთეულის წევრი.

2. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტრუქტურა მოიცავს პედაგოგიურ საბჭოს, სამეურვეო საბჭოს, დირექციას, მოსწავლეთა თვითმმართველობას და დისციპლინურ კომიტეტს. დისციპლინური კომიტეტის გადაწყვეტილებების გასაჩივრების მიზნით შეიძლება წესდებით გათვალისწინებული იყოს სააპელაციო კომიტეტის არსებობა.

   2[1]. ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული საჯარო სკოლის თითოეული სტრუქტურული ერთეული პასუხისმგებელია თავისი კომპეტენციის ფარგლებში მიღებულ გადაწყვეტილებებზე.

3. ----------

4. საჯარო სკოლის მართვა ხორციელდება საჯაროობისა და გამჭვირვალობის პრინციპის საფუძველზე.

მუხლი 36. ინტერესთა კონფლიქტი

1. სამეურვეო საბჭოს წევრი არ შეიძლება იყოს სკოლის დირექციის წევრი. სამეურვეო საბჭოში, როგორც მოსწავლის მშობელი, არ შეიძლება იყოს პირი, რომელსაც ამავე სკოლასთან აქვს შრომითი ურთიერთობა.

2. ----------

3. ----------

4. ----------

5. საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს, დისციპლინური კომიტეტის და სააპელაციო კომიტეტის წევრები არ შეიძლება იყვნენ ერთმანეთის ახლო ნათესავები. გამონაკლისის დაშვება შეიძლება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს თანხმობით, მცირეკონტინგენტიან სკოლებში.

თავი VII. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სამეურვეო საბჭო

მუხლი 37. სამეურვეო საბჭო

1. სამეურვეო საბჭო შედგება მშობლებისა და პედაგოგიური საბჭოს მიერ თანაბარი რაოდენობით, 3 წლით არჩეული არანაკლებ 6 და არა უმეტეს 12 წარმომადგენლისაგან, საშუალო საფეხურის მოსწავლეთა თვითმმართველობის მიერ არჩეული 1 წარმომადგენლისაგან და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დანიშნული 1 წევრისაგან, ხოლო იმ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში, რომელიც ახორციელებს სამხედრო მომზადებასა და განათლებას, – აგრეთვე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ დანიშნული 1 წევრისაგან. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო უფლებამოსილია სამეურვეო საბჭოში დანიშნოს 1 წევრი. სამეურვეო საბჭოს შემადგენლობაში შეიძლება შეყვანილ იქნეს სამეურვეო საბჭოს მიერ სკოლისათვის დადასტურებულად ქველმოქმედების გამწევ პირთაგან (ასეთების არსებობის შემთხვევაში) არჩეული 1 წევრი. სამეურვეო საბჭოს წევრთა რაოდენობის განსაზღვრისას მცირეკონტინგენტიანი სკოლებისათვის გამონაკლისის დაშვება შეიძლება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს თანხმობით. მშობლებისგან არჩეული წევრები თანაბრად უნდა წარმოადგენდნენ სკოლაში არსებულ თითოეულ საფეხურს. სამეურვეო საბჭოს წევრი შეიძლება არჩეულ იქნეს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ.

2. სამეურვეო საბჭოს მშობლებისა და პედაგოგიური საბჭოსაგან არჩეული წევრების რაოდენობა განისაზღვრება სკოლის წესდებით.

3. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს უფლება აქვს წარგზავნოს წარმომადგენელი სამეურვეო საბჭოში, რომელიც სათათბირო ხმის უფლებით სარგებლობს.

4. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს უფლება აქვთ ნებისმიერ დროს გამოიწვიონ თავიანთი წარმომადგენელი სამეურვეო საბჭოდან.

5. ----------

6. სამეურვეო საბჭო იკრიბება სასწავლო წლის განმავლობაში 3-ჯერ მაინც, ყოველი მესამედის დასაწყისში.

მუხლი 38. სამეურვეო საბჭოს ფუნქციები

1. სამეურვეო საბჭო:

ა) ამ კანონის 42-ე მუხლით გათვალისწინებული წესით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს სკოლის დირექტორს, რომელსაც რეგისტრაციაში ატარებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. ეს წესი არ ვრცელდება იმ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაზე, რომელიც ახორციელებს სამხედრო მომზადებასა და განათლებას;

ბ) სკოლის დირექტორის წარდგინებით ამტკიცებს სკოლის ბიუჯეტს, აგრეთვე ამტკიცებს დირექტორის მიერ მომზადებულ წლიურ ანგარიშს და უზრუნველყოფს მის საჯაროობას. იმ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ბიუჯეტს, რომელიც ახორციელებს სამხედრო მომზადებასა და განათლებას, ამტკიცებს საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, ხოლო ბიუჯეტის პროექტს შეიმუშავებენ ამ დაწესებულების დირექტორი და სამეურვეო საბჭო;

გ) სკოლის დირექტორის წარდგინებით ამტკიცებს სკოლის შინაგანაწესს, რომელიც ამომწურავად განსაზღვრავს დისციპლინური გადაცდომების ნუსხას და მათთვის გათვალისწინებულ დისციპლინურ სახდელებს, სკოლიდან გადაყვანის პირობებს;

დ) გამოხატავს თანხმობას პედაგოგიური საბჭოს მიერ შემუშავებული სასკოლო სასწავლო გეგმის, სასწავლო მასალის, მათ შორის, გრიფმინიჭებული, პედაგოგების მიერ შერჩეული, სასწავლო წლის განმავლობაში გამოსაყენებელი სახელმძღვანელოების ნუსხის, თაობაზე;

ე) აკონტროლებს სკოლის დირექციის მიერ ფინანსების ხარჯვასა და ქონების განკარგვას;

ვ) უფლებამოსილია შრომითი ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში ხელშეკრულება შეუწყვიტოს სკოლის დირექტორს;

ზ) ინახავს და აღრიცხავს სამეურვეო საბჭოში მშობელთა და პედაგოგიური საბჭოს წარმომადგენელთა არჩევნების ბიულეტენებსა და ოქმებს;

თ) სკოლის წესდებით გათვალისწინებული წესით განიხილავს საჩივრებს და იღებს შესაბამის ზომებს;

ი) უფლებამოსილია, ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, სასწავლო წლის დამამთავრებელი გამოცდების ჩატარების მიზნით დაავალოს სკოლის დირექტორს, მიმართოს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრს და დადოს შესაბამისი ხელშეკრულება;

კ) უფლებამოსილია მოსთხოვოს სკოლის დირექტორს, ვადამდე შეუწყვიტოს შრომითი ხელშეკრულება მასწავლებელს ხელშეკრულების პირობების დარღვევისას, სააღმზრდელო საქმიანობისათვის შეუფერებელი ქმედების ჩადენისას და კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში;

ლ) დისციპლინური გადაცდომების განხილვის მიზნით, სკოლის წესდებით გათვალისწინებული წესით ირჩევს დისციპლინურ კომიტეტს, რომლის შემადგენლობაში შედის თანაბარი რაოდენობის მასწავლებელი, მშობელი და საშუალო საფეხურის მოსწავლე. სამეურვეო საბჭო უფლებამოსილია წესდებით გათვალისწინებული წესით დისციპლინური კომიტეტის გადაწყვეტილებების შესახებ საჩივრები თავად განიხილოს ან შექმნას სააპელაციო კომიტეტი. სააპელაციო კომიტეტი, სამეურვეო საბჭო განიხილავს აგრეთვე საჩივრებს, რომლებიც ეხება დირექტორის მიერ დისციპლინურ გადაცდომებზე მიღებულ გადაწყვეტილებებს. დაუშვებელია დისციპლინური კომიტეტის ან სააპელაციო კომიტეტის სპეციალური შემადგენლობის მოწვევა კონკრეტული შემთხვევის განხილვის მიზნით;

მ) ითანხმებს სკოლის დირექტორის მიერ წარმოდგენილ სკოლის წესდების პროექტს.

მუხლი 39. სამეურვეო საბჭოს არჩევის წესი

1. სამეურვეო საბჭოში თანაბარი რაოდენობით აირჩევიან მშობელთა და პედაგოგიური საბჭოს წარმომადგენლები, აგრეთვე საშუალო საფეხურის მოსწავლეთა თვითმმართველობის წარმომადგენელი.

2. სამეურვეო საბჭოს არჩევის წესს ადგენს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. არჩევნები ტარდება თანასწორობის საფუძველზე, ფარული კენჭისყრით, გამჭვირვალობისა და საფეხურების მიხედვით მოსწავლეთა მშობლების თანაბარი წარმომადგენლობის პრინციპების დაცვით.

თავი VIII. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დირექცია

მუხლი 41. დირექცია

1. სკოლის დირექცია შედგება სკოლის დირექტორის, მისი მოადგილის/მოადგილეებისა და ბუღალტერიისაგან.

2. დირექტორად შეიძლება განწესდეს ამ კანონის შესაბამისად არჩეული ან დანიშნული საქართველოს მოქალაქე, რომელსაც აქვს უმაღლესი განათლება, მუშაობის 3 წლის სტაჟი და აკმაყოფილებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. დირექტორი ირჩევა/ინიშნება 6 წლის ვადით. ერთ სკოლაში პირის დირექტორად არჩევა/დანიშვნა შეიძლება ზედიზედ მხოლოდ ორჯერ.

მუხლი 42. დირექტორის არჩევის წესი

1. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო საჯარო სკოლის დირექტორის კანდიდატურას შეარჩევს სამინისტროს მიერ დადგენილი წესის შესაბამისად, ღია კონკურსის საფუძველზე, გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპების დაცვით.

2. სამეურვეო საბჭო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ წარდგენილ, კონკურსგავლილ დირექტორობის კანდიდატთაგან ირჩევს დირექტორს სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, ფარული კენჭისყრით, თავისუფალი და თანასწორი არჩევნების საფუძველზე.

3. ----------

4. ----------

5. განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ რეგისტრირებულ არჩეულ დირექტორთან სამეურვეო საბჭო დებს შრომით ხელშეკრულებას საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დამტკიცებული ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

6. სამეურვეო საბჭოს მიერ საჯარო სკოლის დირექტორის შესარჩევი კონკურსის წესის შესაბამისად დირექტორის არარჩევის/ვერარჩევის შემთხვევაში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო უფლებამოსილია დანიშნოს დირექტორი დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილება დირექტორის დანიშვნის თაობაზე საჩივრდება სასამართლოში და მისი გასაჩივრება არ იწვევს სადავო აქტის მოქმედების შეჩერებას.

მუხლი 43. დირექტორის ფუნქციები

1. სკოლის დირექტორი:

ა) ახორციელებს სკოლის მართვას;

ბ) წარმოადგენს სკოლას მესამე პირებთან ურთიერთობებში, გარდა ამ კანონითა და სკოლის წესდებით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

გ) სამეურვეო საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს სკოლის შინაგანაწესს და სკოლის ბიუჯეტს; დ) შეიმუშავებს საშტატო განრიგს;

ე) მონაწილეობს პედაგოგიური საბჭოს მიერ სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავებაში;

ვ) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დამტკიცებული პირობებისა და წესის შესაბამისად უზრუნველყოფს მასწავლებლებთან და სკოლის სხვა თანამშრომლებთან შრომითი ხელშეკრულებების დადებასა და შესრულებას;

ზ) უფლებამოსილია ვადამდე შეუწყვიტოს მასწავლებელს შრომითი ხელშეკრულება ხელშეკრულების პირობების დარღვევის, სააღმზრდელო საქმიანობისათვის შეუფერებელი ქმედების ჩადენის ან კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით არაკვალიფიციურობის დადასტურების შემთხვევაში;

ზ[1]) უფლებამოსილია სამეურვეო საბჭოს წევრ მასწავლებელს შრომითი ხელშეკრულება შეუწყვიტოს მხოლოდ სამეურვეო საბჭოს თანხმობის შემთხვევაში;

თ) სკოლის სამეურვეო საბჭოს ყოველი წლის 10 დეკემბრამდე აბარებს ანგარიშს სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ, ხოლო საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადებში – ანგარიშს ფინანსური საქმიანობის შესახებ;

ი) უფლებამოსილია დადოს გარიგებები, მათ შორის, სკოლის ქონების შესახებ, გარდა იმ გარიგებებისა, რომელთათვისაც საქართველოს კანონმდებლობითა და სკოლის წესდებით გათვალისწინებულია სამეურვეო საბჭოს ან კონტროლის განმახორციელებელი ორგანოს თანხმობა;

კ) სკოლის წესდებით გათვალისწინებული წესით განიხილავს საჩივრებს და იღებს შესაბამის ზომებს;

ლ) ზედამხედველობს სკოლაში მიმდინარე სასწავლო-სააღმზრდელო პროცესს;

მ) შეიმუშავებს სკოლის წესდების პროექტს და წარუდგენს სამეურვეო საბჭოს შესათანხმებლად, ხოლო საბჭოსთან შეთანხმებულ პროექტს – საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დასამტკიცებლად;

ნ) სამეურვეო საბჭოს დავალების შემთხვევაში, ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, სასწავლო წლის დამამთავრებელი გამოცდების ჩატარების მიზნით მიმართავს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრს და დებს შესაბამის ხელშეკრულებას;

ნ[1]) ასრულებს საჯარო სკოლის მართვის ორგანოების ფუნქციებს ახალდაფუძნებული ან/და რეორგანიზებული საჯარო სკოლის პირველი სამეურვეო საბჭოს შექმნამდე; ნ[2]) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით სამეურვეო საბჭოს დათხოვნის, უფლებამოსილების შეწყვეტის ან უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის, აგრეთვე სამეურვეო საბჭოს ვერარჩევის შემთხვევაში ასრულებს საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს ფუნქციებს.

ო) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობითა და სკოლის წესდებით გათვალისწინებულ სხვა საქმიანობას.

თავი IX. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების პედაგოგიური საბჭო

მუხლი 45. პედაგოგიური საბჭო

1. პედაგოგიურ საბჭოში ყველა მასწავლებელი და მასწავლებლობის მაძიებელი სარგებლობს თანაბარი ხმის უფლებით. საბჭოს სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება საბჭოს წევრთა ნახევარზე მეტი.

2. საბჭოს წევრთა ერთ მესამედს უფლება აქვს ნებისმიერ დროს მოიწვიოს პედაგოგიური საბჭოს სხდომა, მოითხოვოს სამეურვეო საბჭოში მათი წარმომადგენლის მოსმენა.

3. პედაგოგიურ საბჭოს ხელმძღვანელობს საბჭოს თავმჯდომარე, რომელიც აირჩევა 3 წლის ვადით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით. პედაგოგიური საბჭოს თავმჯდომარე იწვევს და წარმართავს საბჭოს სხდომებს.

4. პედაგოგიურ საბჭოში მის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე იქმნება ცალკეული სამუშაო ჯგუფები, რომლებიც ასრულებენ საბჭოს დავალებებს და ანგარიშვალდებულნი არიან მის წინაშე.

5. პედაგოგიური საბჭო გადაწყვეტილებას იღებს ხმების უმრავლესობით, არანაკლებ საერთო ხმების ერთი მესამედისა.

6. იმ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში, რომელიც ახორციელებს პროფილურ სახელოვნებო განათლებასა და მომზადებას, პედაგოგიური საბჭოს უფლებამოსილებები შეიძლება განახორციელოს სამხატვრო საბჭომ. სამხატვრო საბჭოს ხელმძღვანელობს სამხატვრო საბჭოს ხელმძღვანელი, რომელიც აირჩევა/ინიშნება წესდებით გათვალისწინებული წესით.

მუხლი 46. პედაგოგიური საბჭოს ფუნქციები

1. პედაგოგიური საბჭო:

ა) ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, დირექტორის მონაწილეობით შეიმუშავებს და სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებით ამტკიცებს სასკოლო სასწავლო გეგმებს;

ა1) საჭიროების შემთხვევაში, დირექტორთან შეთანხმებით ამტკიცებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას;

ბ) სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებით, საფეხურებისა და საგნების შესაბამისად ამტკიცებს სასწავლო მასალას, მათ შორის, გრიფმინიჭებული, პედაგოგების მიერ შერჩეული, სასწავლო წლის განმავლობაში გამოსაყენებელი სახელმძღვანელოების ნუსხას.

თავი X. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მოსწავლეთა თვითმმართველობა

მუხლი 47. მოსწავლეთა თვითმმართველობა

1. მოსწავლეთა თვითმმართველობა არის ამ კანონისა და სკოლის წესდების თანახმად არჩეული ორგანო. იგი წარმოადგენს სკოლის სტრუქტურულ ერთეულს.

2. საბაზო და საშუალო საფეხურების მოსწავლეები ირჩევენ საკუთარ თვითმმართველობებს.

3. მოსწავლეთა თვითმმართველობის არჩევნები ტარდება თანასწორობის საფუძველზე, ფარული კენჭისყრით, გამჭვირვალობისა და კლასების მიხედვით მოსწავლეთა თანაბარი წარმომადგენლობის პრინციპების დაცვით.

4. მოსწავლეთა თვითმმართველობას ხელმძღვანელობს თვითმმართველობის მიერ არჩეული თავმჯდომარე.

მუხლი 48. მოსწავლეთა თვითმმართველობის ფუნქციები

1. მოსწავლეთა თვითმმართველობა:

ა) შეიმუშავებს რეკომენდაციებს სკოლის შინაგანაწესის შესახებ;

ბ) უფლებამოსილია სამეურვეო საბჭოს წარუდგინოს წინადადებები სკოლისათვის მნიშვნელოვან ყველა საკითხთან დაკავშირებით;

გ) ირჩევს თავის წარმომადგენელს სამეურვეო საბჭოში;

დ) სკოლის წესდებით დადგენილი წესით და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მონაწილეობს მოპოვებული გრანტის განკარგვაში;

ე) წევრთა ერთი მეხუთედის ინიციატივით ქმნის სასკოლო კლუბებს.

თავი X[1]. საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატური, საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური

მუხლი 48 . საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატური, საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური

1. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სისტემაში ქმნის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურს (შემდგომ – საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური), რომლის ამოცანაა:

ა) საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფა;

ბ) კერძო სამართლის სამეწარმეო და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებში – საგანმანათლებლო დაწესებულებებში ხელშეკრულებების საფუძველზე საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფა;

გ) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სისტემაში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში ხელშეკრულებების საფუძველზე საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფა.

2. საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის საქმიანობის საერთო ხელმძღვანელობასა და კონტროლს ახორციელებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი.

[3[1]. საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურს საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ნიშნავს და ათავისუფლებს სკოლის დირექტორი სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებით. (ამოქმედდეს 2014 წლის 1 იანვრიდან)]

მუხლი 48 . საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის უფლება-მოვალეობები

1. საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის უფლება-მოვალეობებია:

ა) საგანმანათლებლო დაწესებულების და მისი მიმდებარე ტერიტორიის კონტროლი;

ბ) საგანმანათლებლო დაწესებულებაში ან/და მის მიმდებარე ტერიტორიაზე მომხდარი და გამოვლენილი

სამართალდარღვევების აღკვეთა და შესაბამისი სამართალდამცავი ორგანოების ინფორმირება;

გ) საგანმანათლებლო დაწესებულების სამეურვეო საბჭოს, პედაგოგიური საბჭოს, დირექციის, მასწავლებლის, რექტორის და აკადემიური პერსონალის თხოვნით, სოციალური ქცევის პრობლემების მქონე მოსწავლეებთან/სტუდენტებთან ურთიერთობა, მათთან ინდივიდუალური გასაუბრება, მათ ქცევაზე დაკვირვება;

დ) მოსწავლეებისათვის/სტუდენტებისათვის სამოქალაქო თავდაცვასთან, საგზაო მოძრაობის უსაფრთხოებასთან, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებთან და სისხლის სამართლის დანაშაულებთან და მათ შედეგებთან დაკავშირებულ საკითხებზე ინფორმაციის მიწოდება;

ე) მოსწავლეთა/სტუდენტთა მშობლებისა და საგანმანათლებლო დაწესებულების შესაბამისი უფლებამოსილი პირის ინფორმირება სოციალური ქცევის პრობლემების მქონე მოსწავლეთა/სტუდენტთა ქცევის შესახებ;

ვ) საგანგებო სიტუაციებში (ხანძარი, წყალდიდობა, მიწისძვრა და სხვა) მოსწავლეთა/სტუდენტთა, საგანმანათლებლო დაწესებულებაში მომუშავე და იქ მყოფი სხვა პირების დაცვა და მათი ევაკუაციისათვის ხელის შეწყობა;

ზ) დაპირისპირებულ მოსწავლეებს/სტუდენტებს შორის მედიატორის როლის შესრულება, კონფლიქტური სიტუაციის გამოვლენა და კონფლიქტის მოგვარება;

თ) სოციალური ქცევის პრობლემების მქონე მოსწავლეთა/სტუდენტთა მშობლებთან შეხვედრებში მონაწილეობა;

ი) დამოუკიდებლად ან საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციასთან ერთად საგანმანათლებლო დაწესებულების ტერიტორიაზე წესრიგისა და დისციპლინის დაცვა;

კ) საგანმანათლებლო დაწესებულებაში გამოვლენილი დარღვევის შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დამტკიცებული ფორმის შესაბამისი საგანმანათლებლო დაწესებულებაში დარღვევის აღრიცხვის ფურცლის შედგენა და საგანმანათლებლო დაწესებულების შესაბამისი უფლებამოსილი პირისათვის და საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის უფროსისათვის წარდგენა;

ლ) საგანმანათლებლო დაწესებულებაში გამოვლენილი დარღვევების ელექტრონული საინფორმაციო ბაზის შექმნა;

მ) დისციპლინური გადაცდომის იარაღის, იმ საგნის, რომელსაც დისციპლინური გადაცდომის კვალი ატყვია, დისციპლინური გადაცდომით მოპოვებული ნივთის და ფასეულობის, აგრეთვე იმ საგნის და დოკუმენტის, რომლებიც საჭიროა დისციპლინური გადაცდომის გარემოებათა გასარკვევად, აღმოჩენისა და ამოღების მიზნით პირადი გასინჯვის ჩატარება;

ნ) საქართველოს კანონმდებლობით პირდაპირ განსაზღვრულ შემთხვევებში სპეციალური საშუალებების გამოყენება.

2. საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატური მიწვევის საფუძველზე ესწრება საგანმანათლებლო დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების სხდომებს და გამოთქვამს მოსაზრებებს მისი უფლებამოსილებისთვის მიკუთვნებულ საკითხებზე.

მოდული 2:

მოქალაქეობის განმავითარებელი სასწავლო რესურსების შერჩევა და გამოყენება

2.1 ძირითადი სასწავლო საჭიროებები და სასწავლო რესურსები

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი განმარტავს საჭიროებას, როგორც პირობას, რომლის დაკმაყოფილებაც აუცილებელია დასახული მიზნის მისაღწევად.

ძირითადი სასწავლო საჭიროებები, იუნესკოს განმარტების თანახმად, მოიცავს არსებითად აუცილებელ გამჭოლ კომპეტენციებს (როგორიცაა წერა-კითხვა, ზეპირმეტყველება, რაოდენობრივი აზროვნება და პრობლემის გადაჭრის უნარი) და სწავლის ძირითად შინაარსს (როგორიცაა ცოდნა, უნარ-ჩვევები, ღირებულებები და განწყობა-დამოკიდებულებები), რაც აუცილებელია საკუთარი ძალების განვითარებისათვის, ღირსეული ცხოვრებისა და შრომისათვის, განვითარებაში სრულად მონაწილეობისათვის, საკუთარი ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებისათვის, დასაბუთებული გადაწყვეტილებების მიღებისა და სწავლის შედეგების მუდმივი გაუმჯობესებიდათვის *(იუნესკო. 1990წ. მსოფლიო კონფერენცია: ძირითადი სასწავლო საჭიროებები).*

ამ ზოგადი განმარტებიდან გამომდინარე, სამოქალაქო განათლებაც იმ გამჭოლი კომპეტენციებისა და სპეციფიური ცოდნის, უნარ-ჩვევებისა და დამოკიდებულებების ფორმირებას გულისხმობს, რაც აუცილებელია აქტიური და ინფორმირებული მოქალაქის ჩამოყალიბებისათვის. შესაბამისად, სამოქალაქო განათლების ფარგლებში ძირითადი სასწავლო საჭიროებები განსაზღვრულია ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებითა და ეროვნული სასწავლო გეგმით. თავისმხრივ, სამოქალაქო განათლების საგნის სწავლა-სწავლებაში მოსწავლეებისა და მასწავლებლების ერთობლივ წარმატება, ანუ ძირითადი სასწავლო საჭიროებების დაკმაყოფილება, მრავალი მნიშვნელოვან ფაქტორზეა დამოკიდებული.

დიაგრამა 1.2 განათლების სისტემის იერარქია



როდესაც ვფიქრობთ იმაზე, თუ რა არის საჭირო იმისათვის, რომ სამოქალაქო განათლების საგნის სწავლა-სწავლება წარმატებით წარიმართოს, პირველ რიგში მატერიალური რესურსები გვახსენდება, თუმცა სწავლა-სწავლების პროცესის წარმატებისათვის, ასევე, ძალიან მნიშვნელოვანია თანატოლებისა და კოლეგების მხარდაჭერა, წახალისება, ისეთი გარემო სკოლის შიგნით და გარეთ, რომელიც ხელს უწყობს როგორც მოსწავლის, ისე მასწავლებლის თვითრეალიზაციასა და განვითარებას. გარდა ამისა, მასწავლებლისა და მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროებები მუდმივად იცვლება და განპირობებულია ინდივიდუალური შესაძლებლობებითა და განვითარების დონით.

იმ საშუალებებს, რომლებსაც ვიყენებთ სასწავლო საჭიროებების დაკმაყოფილებისათვის, სასწავლო რესურსებს ვუწოდებთ.

ერთ-ერთი განმარტების თანახმად, სასწავლო რესურსი არის ნებისმიერი სახით შენახული ან წარმოდგენილი ინფორმაცია, რომელსაც გვეხმარება სასწავლო მიზნების დაძლევაში.

სასწავლო რესურსები, ძირითადად გულისხმობს ნაბეჭდ, ფოტო-ვიდეო, კომპიუტერულ/, ელექტრონულ, ფიზიკურ ან მათი კომბინაციით წარმოდგენილ მასალას , რომელიც განკუთვნილია მასწავლებლებისა და მოსწავლეებისათვის გამოსაყენებლად.

თუმცა, სასწავლო რესურსად შეიძლება ასევე მოვიაზროთ ადამიანი ან პროცესი. მაგალითად, სასწავლო რესურსად შეიძლება გამოვიყენოთ სკოლაში მიმდინარე არჩევნების პროცესი, საპროტესტო აქცია, მოვიწვიოთ გაკვეთილზე ცნობილი საზოგადო მოღვაწე, საჯარო მოხელე, რომელიმე პროფესიის წარმომადგენელი.

ხშირად, მოსწავლეები და მასწავლებლები ერთმანეთისათვის მნიშვნელოვან სასწავლო რესურსს წარმოადგენენ. მაგალითად, მასწავლებელმა შეიძლება იმგვარად დააკომპლექტოს ჯგუფები, რომ დავალების შესრულებისას ერთად მოხვდნენ სხვადასხვა კომპეტენციებისა და შესაძლებლობების მქონე მოსწავლეები. მასწავლებელთა კათედრების ეფექტური მუშაობისას მასწავლებლები ერთმანეთისათვის მნიშვნელოვან სასწავლო რესურსს წარმოადგენენ.

სასწავლო რესურსები სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და წარმართვაში გვეხმარება, თუმცა ისინი თავად სასწავლო პროცესშიც შეიძლება შეიქმნას. მაგალითად, მასწავლებელმა შეიძლება სთხოვოს მოსწავლეებს შეადგინონ პროექტის გეგმა, ხოლო შემდეგ კრიტიკულად შეაფასონ საკუთარი ნამუშევარი. ამ შემთხვევაში, მოსწავლეების მიერ შექმნილი პროექტის გეგმა სასწავლო რესურსს წარმოადგენენ.

სასწავლო რესურსებს, ასევე, განასხვავებენ ტიპების მიხედვით. კერძოდ, გამიჯნავენ ძირითად და დამხმარე სასწავლო რესურსებს.

სასწავლო რესურსები შეირჩევა ძირითადი სასწავლო საჭიროებების მიხედვით, რომლებსაც განსაზღვრავს ეროვნული სასწავლო გეგმა, მოსწავლის სპეციფიური, ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით.

2.2 ელექტრონული სასწავლო რესურსები

ა. სამოქალაქო განათლების პორტალი
www.civics.ge

<u>დამხმარე სახელმძღვანელოები სამოქალაქო განათლების სწავლებისათვის:</u>

თანამშრომლობა ადგილობრივ ხელისუფლებასთან

დამხმარე სახელმძღვანელოები მოსწავლეებისა და მასწავლებლისათვის

როგორ გავხდე აქტიური მოქალაქე

დამხმარე სახელმძღვანელოები მოსწავლეებისა და მასწავლებლისათვის

მონაწილეობა სკოლის თვითმმართველობაში

დამხმარე სახელმძღვანელოები მოსწავლეებისა და მასწავლებლისათვის

თანამშრომლობა საზოგადოებრივი სარგებლისათვის

დამხმარე სახელმძღვანელოები მოსწავლეებისა და მასწავლებლისათვის

სასკოლო სამოქალაქო კლუბის სახელმძღვანელო

სახელმძღვანელო წარმოადგენს გზამკვლევს სამოქალაქო ინიციატივების დაგეგმვისა და განხორციელებისათვის სკოლაში.

ვიდეო ადვოკატირება - აქტიური მოქალაქის სახელმძღვანელო

სახელმძღვანელო სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერებისა და რიგითი ადამიანებისათვის საკუთარი თუ სხვისი უფლებების დაცვისთვის საჭირო ინსტრუმენტებს განიხილავს. წიგნის მთავარი მიზანია გაგიზიაროთ ვიდეოს, როგორც ადვოკატირების კამპანიის ნაწილის, დაგეგმვის, გადაღებისა და გავრცელების ტექნიკა.

სტატიების კრებული სამოქალაქო განათლების მასწავლებლებისათვის

კრებული გამოცემულია სამ წიგნად და შეიცავს სტატიებს პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური თეორიების შესახებ. სტატიები შერჩეულია უმაღლესი საგანმანათლებლო ინსტიტუტების აკადემიური პერსონალის მიერ სპეციალურად სამოქალაქო განათლების პედაგოგე ისათვის.

სტატიების კრებული წიგნი 1

წიგნი მიმოიხილავს სოციალური მეცნიერებების საგანსა და ამოცანებს, მიკრო და მაკრო სოციალურ თეორიებს, გენდერის, რელიგიისა და კულტურის



სტატიების კრებული წიგნი 2

წიგნი შეიცავს ტექსტებს პოლიტიკის არსის, პოლიტიკური იდეოლოგიების ტიპოლოგიის, პოლიტიკური სისტემისა და პოლიტიკური რეჟიმების შესახებ. ამ თავში, აგრეთვე, საუბარია დეცენტრალიზაციის, გლობალიზაციის, ნაციონალიზმის, მულტიკულტურალიზმის, თავისუფლებისა და დემოკრატიის ცნებებზე.

სტატიების კრებული წიგნი 3

წიგნი აღწერს ეკონომიკის ძირითად პრინციპებს, ეკონომიკის ტიპებს, მსოფლიო ეკონომიკის განვითარების ტენდენციებს და სხვადასხვა ინსტიტუციების როლს ეკონომიკაში.

ბ. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი
www.tpdc.ge

ცხოვრება დემოკრატიულ საზოგადოებაში: სწავლება დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ-საგაკვეთილო გეგმები ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის საბაზო საფეხურისათვის

წიგნი III: ექვსი წიგნისგან შემდგარი სერიიდან, რომელიც ეხება სწავლებას დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ

რა უნდა გააკეთოს თითოეულმა მასწავლებელმა სამოქალაქო განათლებისა და ადამიანის უფლებების შესახებ სწავლების ხელშესაწყობად: მასწავლებელთა კომპეტენციების ჩარჩო

წიგნში განხილულია ის კომპეტენციები, რომლებიც მნიშვნელოვანია სამოქალაქო განათლებით გათვალისწინებული მიზნების მიღწევისათვის

ინტერკულტურული განათლება

წიგნი მიმოიხილავს ინტერკულტურული განათლების მნიშვნელობას გლობალიზაციისა და საბაზრო ეკონომიკის განვითარების კონტექსტში.

ჟურნალი მასწავლებელი

ჟურნალი „მასწავლებელი“ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის პერიოდული გამოცემაა, რომელიც შეიცავს პუბლიკაციებს მასწავლებლებისათვის აქტუალურ საკითხებზე

გ. გამოცდებისა და შეფასების ეროვნული ცენტრი

http://online.naec.ge/videolessons/

ვიდეო-ლექციები მოქალაქეობის შესახებ

საიტზე მოცემულია ვიდეო ლექციების ჩანაწერები გამოჩენილი ქართველი საზოგადო მოღვაწეების ცხოვრების, პარლამენტარიზმის ისტორიის, მედიის როლის, პოლიტიკური იდეოლოგიების და სხვა აქუალური საკითხების შესახებ.

დ. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

http://www.nplg.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=354

სამოქალაქო საზოგადოების ციფრული ბიბლიოთეკა

http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?site=localhost&a=p&p=about&c=civil2&l=ka&w=utf-8

საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების ციფრული ბიბლიოთეკა“ საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის სამოქალაქო განათლების განყოფილების პროექტია. მასში გაერთიანებულია ქართულ ენაზე გამოცემული ლიტერატურა სამოქალაქო განათლების, ადამიანის უფლებების, სამართლის, ეკონომიკის, საერთაშორისო ურთიერთობების დარგებში.

<u>სამოქალაქო განათლების ლექსიკონი</u>

http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=index&d=6

სამოქალაქო განათლების ელექტრონული ლექსიკონი წარმოადგენს საძიებო სისტემას, რომელიც აერთიანებს ტერმინებსა და განმარტებებს სხვადასხვა გამოცემებიდან (ლექსიკონებიდან და ცნობარებიდან) ქართულ ენაზე.

ე. ადამიანის უფლებათა საგანმანათლებლო ცენტრი

http://www.humaneducation.info/

<u>კომპასიტო</u>

”კომპასიტო” პირველი სახელმძღვანელოა იმ განათლების მუშაკების, მასწავლებლებისა და ინსტრუქტორებისთვის, რომლებიც მზად არიან 7-13 წლის ბავშვებს მისცენ განათლება ადამიანის უფლებების საკითხებზე.

<u>კომპასი</u>

ეს სახელმძღვანელო ადამიანის უფლებების სწავლებისათვის მნიშვნელოვან სასწავლო რესურს წარმოადგენს. ის დაეხმარება მასწავლებლებს, ამომწურავად და შემოქმედებითად განიხილონ ისეთი თემები, როგორიცაა დემოკრატია, ტოლერანტობა, სიღარიბე, რაც თავისთავად წარმოადგენს განათლებას ადამიანის უფლებების შესახებ.

ვ. საქართველოს ახალგაზრდულ ორგანიზაციათა ნაციონალური საბჭო

http://www.ncyog.ge/

<u>საქართველოს ახალგაზრდობის ეროვნული კვლევის ანგარიში</u>

ეს კვლევა კითხვარის მასშტაბურობიდან და კომპლექსურობიდან გამომდინარე, უპრეცედენტო შემთხვევაა საქართველოში. იგი ახალგაზრდებთან დაკავშირებულ თითქმის ყველა მნიშვნელოვან საკითხს შეისწავლის და ანალიზს უკეთებს თანამედროვე ეტაპზე საზოგადოების 16-30 ასაკობრივი ჯგუფის პრობლემებსა და დამოკიდებულებებს სხვადასხვა სოციალური თუ პოლიტიკური საკითხების მიმართ.

ზ. მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი

http://www.cipdd.org/

<u>კულტურათა დიალოგი და სამოქალაქო ცნობიერება</u>

გამოცემაში მიმოხილულია ინტერკულტურული განათლების პრობლემები და პერსპექტივები საქართველოში

<u>კულტურული მრავალფეროვნების დღე სკოლაში</u>

მასწავლებლის გზამკვლევი მომზადდა მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების კავკასიური ინსტიტუტის პროექტის ფარგლებში. ღონისძიების მეთოდოლოგია მომზადდა კონკურსის საფუძველზე შერჩეული ორი პროექტის საფუძველზე: ხაშურის რაიონის სოფ. ისტორიის საჯარო სკოლა (იდეის ავტორი: ცისანა კურტანიძე) და ქ. ბოლნისის კერძო სკოლა ”დავითიანი” (იდეის ავტორი: მარინა გორშკოვა).

თ. საქართველოს სახალხო დამცველი

http://www.tolerantoba.ge/index.php?news_id=44

ჟურნალი "სოლიდარობა" სახალხო დამცველის პერიოდული გამოცემაა, რომელსაც ტოლერანტობის ცენტრი ამზადებს. ჟურნალი ორ თვეში ერთხელ გამოიცემა და მასში აისახება როგორც ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების პრობლემატიკა, ასევე სოციალური თანასწორობის, კანონის უზენაესობის, ადამიანის უფლებებისა და დემოკრატიის განვითარებასთან დაკავშირებული საკითხები.

ი. სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი

http://css.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=24&info_id=250

<u>რაოდენობრივი კვლევის მეთოდები</u>

წიგნი გამოცემულია ქართულ ენაზე და მოცავს ზოგად საკითხებს რაოდენობრივი კვლევის განხორციელებისათვის: სოციალური კვლევის ბუნება, მასობრივი გამოკითხვა, კითხვარი, მონაცემთა ანალიზი და კვლევის ანგარიში

<u>თვისებრივი მეთოდები სოციალურ კვლევაში</u>

წიგნში განხილულია სოციალურ კვლევის თანამედროვე პრაქტიკაში ყველაზე გამოყენებადი ისეთი თვისებრივი მეთოდები, როგორებიცაა სიღრმისეული ინტერვიუ, ფოკუს-ჯგუფი, დაკვირვება და მონოგრაფიული გამოკვლევა. აღწერილ თითქმის ყველა მეთოდს თან ახლავს კვლევითი ინსტრუმენტის გამოყენების კონკრეტული მაგალითი, ყოველი თემის ბოლოს კი მოცემულია საკვანძო ლიტერატურის ნუსხა და პრაქტიკული დავალებები. გარდა ამისა, ნაშრომში ცალკე თავი ეთმობა სოციალური კვლევის ეთიკის საკითხს. წიგნის დანართში წარმოდგენილია კონკრეტული კვლევის ტრანსკრიპტი და თვისებრივი კვლევის მეთოდიკის ტერმინოლოგიის განმარტებითი ლექსიკონი.

მოდული 3:
ინტერაქტიული სწავლება

3.1 ინტერაქტიული სწავლა - სწავლება

ინტერაქტიური სწავლება-სწავლა არის თანამედროვე ჰუმანიზმის პრინციპებზე დამყარებული საგანმანათლებლო სისტემა. სწავლება-სწავლის აღნიშნული მიმართულება ითვალისწინებს მასწავლებლისა და მოსწავლის როლების შეცვლას, რაც გლისხმობს ავტორიტარული, მასწავლებელზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის შეცვლას მოსწავლეზე ორიენტირებულით. ასევე, ინტერაქტიური სწავლება საჭიროებს გაკვეთილის პროცესში სწავლების ახალი სტრატეგიებისა და შეფასების ახალი ხერხების დანერგვას. შესაბამისად, სწავლების მიზანიც იცვლება. იგი ორიენტირებულია არა მარტო ცოდნაზე, არამედ უნარჩვევების გამომუშავებაზეც.

მოსწავლე ინტერაქტიური სწავლების პროცესის სუბიექტია. იგი სწავლება-სწავლის პროცესის აქტიური მონაწილეა. სწავლის საფუძველს მოსწავლის ინდივიდუალური გამოცდილება, არსებული ცოდნა და პიროვნული მონაცემები წარმოადგენს. სწავლება-სწავლის ეს ახალი მიდგომა ეფუძნება მნიშვნელოვან საგანმანათლებლო თეორიას - კონსტრუქტივიზმს.

კონტრუქტივიზმი ბავშვის სწავლების პროცესზე დაკვირვებასა და მეცნიერულ მიღწევებზე დაფუძნებული მიმდინარეობაა. კონტრუქტივიზმის ძირითადი დებულების მიხედვით, სწავლის სუბიექტს შეუძლია მიღებული ინფორმაციის კონსტრუირება და მის გარშემო არსებული რეალური სამყაროს იტნერპრეტაცია. კონტრუქტივიზმის ძირითადი მიზანია ძველი და ახლად შეძენილი ცოდნის შეჯერებით მოსწავლეებს ვასწავლოთ ახალი ინფორმაციის მოპოვება, აზროვნება, ცოდნის კონტრუირება-შენება. აღნიშნული საგანმანათლებლო მიმართულების ფუძემდებლები არიან ჟან პიაჟე და ლევ ვიგოტსკი.

ჟან პიაჟე განასხვავებდა ცოდნის ორ მხარეს: ერთის მხრივ, აქტიური სწავლება-სწავლის პროცესში კონსტრუირებულ, კვლევა-ძიების შედეგად მიღებულ ცოდნას და, მეორეს მხრივ, - ფაქტობრივ, პასიურად შეძენილ ცოდნას.

აღსანიშნავია, რომ სწავლება-სწავლის პროცესი მნიშვნელოვნად ეფექტურია მაშინ,რ ოდესაც იგი მოსწავლის კვლევითი ინტერესებისაკენ არის მიმართული. ამგვარად აგებული სასწავლო პროცესი მოსწავლეს უვითარებს კრიტკულ და შემოქმედებით აზროვნებას, ინფორმაციის მოპოვების, პრობლემათა გადაჭრისა და კომუნიკაციის უნარებს.

ყოველივე ამის მიღწევა შესაძლებელია სწავლების ინოვაციური მეთოდების საშულებით.

ცნება_ "სწავლების მეთოდები", მოიცავს დიდაქტიკურ ძიებებს, სწავლების პროცესში განსახორციელებელი ეტაპების დროში განაწილებას, ურთიერთობის ხასიათს, ანუ მასწავლებლისა და მოსწავლის როლების ურთიერთდამოკიდებულაბას, მოსალოდნელი შედეგების განსაზღვრას.

თანამედროვე პედაგოგიკაში, ძირითადად, შემდეგი სახის სწავლების მეთოდები გამოიყოფა:

- კონკრეტული დავალების დასწავლა ("ტექნოლოგიურად" აგებული პროცესი).
- სასწავლო-კვლევითი საქმიანობა (ახალი ცოდნის ძიება, შეძენა; ახალი გამოცდილების, უნარ-ჩვევების ათვისება).
- თამაშის ორგანიზება (სიტუაციური მოდელირება, როლური თამაში).
- დისკუსია (დიალოგი, კომუნიკაცია).

მოკლედ და ცალ-ცალკე განვიხილოთ თითოეული მათგანი:

ტექნიკური სწავლების მეთოდი

XX საუკუნეში მსოფლიო პედაგოგიკა ცდილობდა სასწავლო პროცესის ტექნოლოგიზებას. თავდაპირველად იგი გულისხმობდა სასწავლო პროცესის ტექნიკური საშუალებით ორგანიზებას. ყოველივე ამას ხელი უნდა შეეწყო და გარდაექმნა მასობივი სწავლების პროცესი. დროთა განმავლობაში აღნიშნული ტერმინის მნიშვნელობა გარდაიქმნა. ამჟამად ტექნიკური სწავლების მეთოდები არ გულისხმობს მხოლოდ სწავლების ტექნიკური საშუალებების, ტელევიზიის, რადიოს, ვიდეოს, კომპიუტერის და სხვ., გამოყენებას სწავლების პროცესში, არამედ იგი მოიცავს სასწავლო პროცესის კონსტრუირებასაც, კერძოდ:

- შედეგზე ორიენტირებული კონკრეტული სასწავლო მიზნების დასახვას;
- დასახული მიზნების შესაბამისად, სასწავლო მასალების მომზადებასა და ორგანიზებას;
- სასწავლო პროცესში მიმდინარე შედეგების შეფასებას; საჭიროების შემთხვევაში,ს წავლების პროცესის კორექციას;
- საბოლოო შედეგების შეფასებას.

კვლევითი სწავლების მეთოდი

სწავლების პროცესის კვლევითი მიმართულება გულისხმობს ახალი ცოდნის კონსტრუირებას მოსწავლეთა უშუალო გამოცდილებაზე დაყრდნობით. თანამედროვე პედაგოგიკაში ეს მიდგომა დაკავშირებულია ე.წ. "თანამედროვე აღზრდის" ევროპულ მიმართულებასა და ამერიკულ "პროგრესულ აღზრდასთან". ორივე მიმართულება სწავლების პროცესს ბავშვის გამოცდილებაზე აგებს.

აღნიშნული სწავლების მოდელის ორიენტირი არა მარტო ახალი ცოდნის შეძენაა, არამედ უკვე არსებული ცოდნის გადამუშავებაც. მასწავლებელმა დიალოგის, წარმოსახვის, მეტაფორების, ანალოგიების და სხვა ხერხების გამოყენებით უნდა წაახალისოს მოსწავლეები და ხელი შეუწყოს შემეცნებითი აზროვნების განვითარებას.

ამგვარი სწავლების პროცესში მასწავლებელი ქმნის ისეთ სასწავლო გარემოს, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეს დამოუკიდებლად ჩასწვდეს შესასწავლი ცნებების არსს და გადაჭრას დასახული პრობლემა. სწავლება-სწავლისადმი ასეთი მიდგომა ზრდის

მოსწავლის დამოუკიდებლად სწავლის ხარისხს. მოსწავლე, უპირველეს ყოვლისა, გამოყოფს პრობლემას, შემდეგ სახავს მისი გადაჭრის ალტერნატიულ გზებს, არსებული ინფორმაციის საფუძველზე იკვლევს მათ, აკეთებს არჩევანს და გამოაქვს დასკვნები. პარალელს ავლებს მიღებულ დასკვნებსა და ახალ მონაცემებს შორის.

კვლევითი სწავლების პროცესში სამი დონე გამოიყენოფა:

1. პირველ დონეზე პედაგოგი აყენებს შესასწავლი საკითხის პრობლემას და თავად უძღვება პრობლემის გადაჭრის პროცესს;

2. მეორე დონეზე პედაგოგი აყენებს მხოლოდ გადასაჭრელ პრობლემას, გადაჭრის გზებსა და საშუალებებზე მუშაობენ მოსწავლეები;

3. მესამე, ყველაზე მაღალ დონეზე, მოსწავლეები აყენებენ პრობლემას და თავადვე ირჩევენ გადაჭრის გზებს.

კვლევითი, ძიებითი მიმართულება სასწავლო პროცესში, დაკავშირებულია კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების განვითარებასთან.

როგორც კრიტიკულად, ასევე შემოქმედებითად მოაზროვნე ბავშვის აღსაზრდელად მასწავლებელმა საკლასო ოთახში უნდა შექმნას შემოქმედებითი სასწავლო გარემო (შესაბამისად, ასეთივე გარემო უნდა შექმნას ტრენინგზე მწვრთნელმაც). ამ მიზნის მისაღწევად:

1. მასწავლებელი სკოლაში, ხოლო მწვრთნელი ტრენინგზე, უნდა ეცადოს აღმოფხვრას შემოქმედებითი აზროვნების ხელისშემშლელი ყოველგვარი შინაგანი წინააღმდეგობა და სწავლება-სწავლა იმგვარად უნდა წარმართოს, რომ წარმოჩნდეს სასწავლო პროცესის მონაწილეთა ძლიერი მხარე, მოხდეს მათი თვითდამკვიდრება, დარმუნება საკუთარ ძალებსა და შესაძლებლობებში, ისინი უნდა განთავისუფლდნენ შებოჭილობისაგან და ხმამაღლა, ისე გამოთქვან საკუთარი მოსაზრებები, რომ შეცდომაზე არ იფიქრონ.

2. საჭიროა თავი შევიკავოთ გამოთქმული აზრის შეფასებისაგან. დამოუკიდებელი აზროვნების განვითარებისას, დიდი დრო უნდა დაეთმოს პრობლემის ირგვლივ თავისუფალ აზროვნებასა და მსჯელობას. ასეთი ტიპის სწავლების დროს ფასდება პიროვნების შემოქმედებითი მახასიათებლები (ინიციატივა, დამოუკიდებლობა, ორიგინალური გადაწყვეტილების მიღების უნარი, მრავალფეროვანი მოსაზრება) და არა გამოთქმული აზრი. ასეთი მიდგომა ხელს უწყობს მრავალფეროვანი იდეების წარმოშობას.

3. განსაკუთრებით სასარგებლოა მეტაფორებისა და ანალოგიების მოშველიება, ახალი კავშირების, შეფასებებისა და ასოციაციების ძიება.

4. წარმოსახვისა და ფანტაზიის სტიმულირება ზოგადი რეკომენდაციაა იმ საყოველთაოდ გავრცელებული აზრის საწინააღმდეგოდ, თითქოს ფანტაზია ჩამოუყალიბებელი აზროვნების თვისებაა და რეკომენდირებული არ არის მისი გამოყენება სისტემურ სასწავლო პროცესში. საჭიროა ხელი შეეწყოს ფანტაზიის, თავისუფალი წარმოსახვის გამოვლენას, რადგან იგია შემოქმედებითი აზროვნების საფუძველი. ეს არის ახლის

შექმნის, წარმოდგენის, გარდასახვის რთული პროცესი ყოველივე ეს კი, სტიმულს აძლევს და ავითარებს მხატვრული, შემოქმედებითი, ესთეტიკური საქმიანობის სურვილს.

5. შინაგანი თავისუფლების გარემოს არსებობის მიუხედავად, პედაგოგსაც და მოსწავლესაც უნდა ახსოვდეთ, რომ გარკვეული მოსამზადებელი პერიოდის _ "იდეების მომწიფების" _ შემდეგ საკითხი თავიდან უნდა იქნეს კრიტიკული თვალით შეფასებული, ერთმანეთის მსგავსი იდეები _ გაერთიანებულ-გამსხვილებული, შემდეგ კი უნდა გამოიკვეთოს პრიორიტეტები. ამ დროს მოსწავლეს უვითარდება სწორი აქცენტების დასმის უნარი.

6. მოსწავლეებს უნდა მიეცეთ გონებრივი განტვირთვის საშუალება, წახალისდნენ ჯგუფური მუშაობისათვის. ხშირად უნდა იქნეს შეთავაზებული "მოთელვითი" სავარჯიშოები. განტვირთვისთვის უმჯობესია სავარჯიშოები არ იყოს დაკავშირებული მომავალ საქმიანობასთან.

7. საინფორმაციო ბაზის გაფართოება გულისხმობს, არსებული ცოდნის საფუძველზე, ახალი ძიებისა და ფიქრის შესაძლებლობებს.

8. სასწავლო პროცესის წარმმართველმა უნდა შეძლოს მსმენელთა შემოქმედებითი აქტივობისათვის საჭირო მიმართულების მიცემა, საკუთარი შესაძლებლობების, როგორც შემოქმედებითი მუშაობის სტიმულის, რწმენის ჩანერგვა.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ყველა ჩამოთვლილი რეკომენდაცია შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ აზრების თავისუფალი გაცვლა-გამოცვლის შემთხვევაში, შემოქმედებითი დისკუსიის საშუალებით.

ამრიგად, შემოქმედებითი აზროვნება ხელს უწყობს მოვლენების მიმართ შემოქმედებითი მიდგომის უნარის გაღვიძებას, მუშაობის პროცესში ორიგინალური, მხატვრული იდეების გენერირებასა და მოვლენების შეფასებას ინდივიდუალურად. შემოქმედებითი აზროვნების ძირითადი მახასიათებელია შედეგი, რომელიც მიიღწევა შემოქმედებითი სასწავლო-შემეცნებითი პროცესის საშუალებით. ამგვარი პროცესი ორგვარია: შინაგანი, რაც გულისხმობს გადაწყვეტილების მიღებას დასკვნის გამოტანის, ჰიპოთეზის შექმნის სახით, და გარეგანი, რომლის საშუალებითაც შედეგი მიიღწევა ნახატის შექმნის, საექსპერიმენტო გეგმის შემუშავების, რეფერატის მომზადებისა და სხვა გზით.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ინტერაქტიური სწავლება-სწავლა შემოქმედებით აზროვნებასთან ერთად ავითარებს კრიტიკულ აზროვნებასაც. კრიტიკული აზროვნება არის მიზნის მიღწევისაკენ მიმართული პროცესი, ანუ ის ყოველთვის პრობლემის გადაჭრაზეა ორიენტირებული და, ამასთან, აზროვნების განსხვავებულ უნარებს მოიცავს. ესენია: ანალიზი, დასკვნის გამოტანა,ა ხსნა, ინტერპრეტირება, შედარება და თვითდამკვიდრება (მეტაკოგნიცია).

მეტაკოგნიტური (მეტაშემეცნებითი) პროცესი ხელს უწყობს აქტიურ სწავლას. მეტაკოგნიტური (მეტაშემეცნებითი) ნიშნავს ადამიანის უნარს, წარმოადგინოს საკუთარი

შედეგები ამა თუ იმ ამოცანის გადაწყვეტასთან დაკავშირებით და თვალყური მიადევნოს მოცემულ მომენტში საკუთარი ცოდნისა და შემეცნების დონეს.

სწავლება თამაშის მეშვეობით

თამაში რთული სოციალურ-კულტურული ფენომენია, რომელსაც ეძღვნება მრავალი ფილოსოფიურ-კულტურულოგიური, ფსიქოლოგიური, პედაგოგიური გამოკვლევა. პედაგოგიურ გამოკვლევათა დიდი ნაწილი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს თამაშის გამოყენებას სასწავლო მიზნებისათვის. გამოყოფენ სასწავლო პროცესში გამოყენებული თამაშის რამდენიმე სახეს: მოდელირებას, იმიტაციასა და შეჯიბრს. სასწავლო თამაში არის ნებისმიერი შეჯიბრი მოთამაშეებს შორის, რომელთა მოქმედების არე იზღუდება წინასწარ დადგენილი პირობებით (წესებით) და მიმართულია დასახული მიზნისაკენ.

დიდაქტიკური თამაშებით წარმართულ სწავლების პროცესში ოთხი ეტაპი გამოიყოფა:

ორიენტაცია _ მასწავლებელი წარადგენს შესასწავლ თემას, ხსნის თამაშის წესებს და მიმოიხილავს თამაშის ზოგად მიმდინარეობას;

მომზადება _ მასწავლებელი მოსწავლეებს აცნობს სცენარს, თამაშის ამოცანებს, წესებს, როლებს, თამაშის პროცედურებს;

თამაშის ჩატარების პროცესი;

თამაშის განხილვა _ მასწავლებელი განიხილავს თამაშის მსვლელობას. მოსწავლეები მსჯელობენ სიძნელეებზე, წარმატებებზე. ანალიზი უკეთდება ჩატარებულ თამაშს, ხდება იმიტაციის შედარება რეალურ ცხოვრებასთან.

დისკუსიის საშუალებით სწავლება

თანამედროვე დიდაქტიკურ მეთოდებს შორის, ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უჭირავს სასწავლო დისკუსიას. დისკუსია თავისი არსით დიალოგის ხასიათს ატარებს. სწავლების დისკუსიური მეთოდი მოსწავლეებს უვითარებს კომუნიკაციის, მსჯელობის კულტურას. დისკუსია არის სწავლების მეთოდი, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია იდეების, შეხედულებების, მტკიცებულებების მიზანმიმართული, მოწესრიგებული ურთიერთგაცვლა ჭეშმარიტების დასადგენად (დისკუსიის სახეების, დებატებისა და დიალოგის წარმართვის პრინციპები იხ. 48 გვ.).

კონსტრუქტივიზმი

<u>განათლების</u> სფეროში კონსტრუქტივიზმის თეორია განსაკუთრებულ ხაზს უსვამს სწავლას სოციალურ კონტექსტში.

კონსტრუქტივიზმის ძირითადი იდეა არის ის, რომ ძველი და ახალი ცოდნის შეჯერების მეშვეობით ვასწავლოთ მოსწავლეებს ახალი ინფორმაციის მოპოვება, დასკვნების დამოუკიდებლად გამოტანა, დამოუკიდებლად აზროვნება, ცოდნის კონსტრუირება-შენება.

ასხვავებენ ცოდნის 2 სახეს: ერთი მხრივ, აქტიური სწავლება-სწავლის პროცესში კონსტრუირებულ, კვლევა-ძიების შედეგად მიღებულ ცოდნასა და, მეორე მხრივ, ფაქტობრივ, პასიურად შეძენილ ცოდნას. როდესაც სწავლება-სწავლის პროცესი მოსწავლის კვლევითი ინტერესებისაკენ არის მიმართული, მოსწავლეს უვითარდება კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება, ინფორმაციის მოპოვების, პრობლემათა გადაჭრისა და კომუნიკაციის უნარები.

კონსტრუქტივიზმის ერთ-ერთი წარმომადგენელია რუსი ფსიქოლოგი ლევ ვიგოტსკი (1896-1934). იგი ფიქრობდა, რომ მოსწავლე არის პატარა შეგირდი, რომელსაც მასწავლებელი ან/და სხვა მოზრდილი ეხმარება გამოცდილებების მიღებაში. ვიგოტსკის თეორია არის იმის დამტკიცების მცდელობა, რომ შემეცნება - ესაა სოციალიზაციის ანუ საზოგადოებრივი ურთიერთობის პროდუქტი. ვიგოტსკი საუბრობს განვითარების უახლოეს და აქტუალურ ზონებზე. აქტუალური განვითარების ზონა არის ფსიქიკური ფუნქციები, უნარები და ჩვევები, რომლებიც უკვე ჩამოყალიბებულია, მომწიფებულია და ბავშვი წყვეტს ამ უნარებთან დაკავშირებულ ამოცანებს უფროსების დახმარების გარეშე. უახლოესი განვითარების ზონა გულისხმობს იმ ფსიქიკურ ფუნქციებს, უნარებს, ჩვევებს, მოქმედებებს, რომელთა შესრულებაც ბავშვს დამოუკიდებლად არ შეუძლია.

მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს:

- კოგნიტური განვითარება საჭიროებს როგორც ფიზიკურ, ისე სოციალურ სტიმულაციას.
- აზროვნების განვითარებისთვის მნიშვნელოვანია სოციალური ინტერაქცია.
- ბავშვების სწავლება-განვითარება უახლოეს ზონაში უნდა ხდებოდეს.
- მასწავლებელმა ისეთი სიტუაცია უნდა შექმნას, რომ მოსწავლე აქტიურად იყოს ჩართული პრობლემის გადაწყვეტის პროცესში, მაგრამ, საჭიროების შემთხვევაში, დახმარება გაუწიოს.

კრიტიკული აზროვნება

კრიტიკული აზროვნება წარმოადგენს საკუთარი და სხვათა შეხედულებისა და სუბიექტური მოსაზრების გადასინჯვისა და კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენების უნარს. ეს უნარი ყალიბდება პრობლემის გაანალიზების დროს, ასევე, არსებული პრობლემების მიმართ საბოლოო მოსაზრების ჩამოყალიბების შედეგად.

კრიტიკული აზროვნება გულისხმობს ინფორმაციის ყურადღებით გაცნობას, სადავო პრობლემის ან კონფლიქტის სხვადასხვა კუთხით (თვალსაზრისით) განხილვას, ამავე დროს, კრიტიკული აზროვნება პიროვნებას ეხმარება სწორი გადაწყვეტილების მიღებაში, რაციონალური და ფაქტებზე დაფუძნებული დასკვნის გამოტანაში.

კრიტიკული აზროვნების დროს ადამიანი გადასინჯავს საკუთარ შეხედულებებს და ნაკლებ სუბიექტივიზმს ავლენს. თანაგრძნობასა და პატივისცემასთან ერთად, კრიტიკული აზროვნება უზრუნველყოფს ტოლერანტობის საფუძველს.

ხშირად ადამიანები ეყრდნობიან სუბიექტურ შეხედულებებსა და წარმოდგენებს, ურთიერთობისას უპირატესობას ანიჭებენ მხოლოდ საკუთარ მოსაზრებას. არ ითვალისწინებენ ალტერნატიულ შეხედულებებს, ყოველივე ეს კი არატოლერანტული ქცევის საწინდარია, გამოსავალი კი მხოლოდ არსებული სიტუაციის კრიტიკულ გადაფასებაშია.

აღსანიშნავია, რომ პედაგოგები სწავლება-სწავლის პროცესში ძირითადად **ლოგიკურ აზროვნებას** იყენებენ. უმჯობესია, სასწავლო პროცესში, ლოგიკურ აზროვნებასთან ერთად, კრიტიკული აზროვნებაც გამოვიყენოთ, ვცადოთ, გავიაზროთ, რა განსხვავებაა მათ შორის.

ლოგიკური აზროვნების შემთხვევაში, პრობლემა წინასწარ არის ცნობილი, ხოლო კრიტიკული აზროვნების დროს პრობლემა გამოსამჟღავნებელი და დასადგენია.

ლოგიკური აზროვნების შემთხვევაში, დასკვნა ორი წინამძღვრისგან კეთდება. სწორი დასკვნა შეიძლება ერთადერთი იყოს, ხოლო კრიტიკული აზროვნების დროს შესაძლებელია პრობლემის გადაჭრის რამდენიმე სწორი გზის პოვნა,

კრიტიკული აზროვნების ხუთი ძირითადი ნიშანია:

1. კრიტიკული აზროვნება დამოუკიდებელი აზროვნებაა:

2. ინფორმაციის მიღება კრიტიკული აზროვნების საწყისი ეტაპია და არა საბოლოო შედეგი:

3. კრიტიკული აზროვნება იწყება პრობლემის დასმიდან და მისი გაცნობიერებიდან;

4. კრიტიკული აზროვნება მოითხოვს დამაჯერებელ არგუმენტაციას;

5. კრიტიკული აზროვნება სოციალური აზროვნებაა.

შემოქმედებითი აზროვნება არის მოვლენათა ახლებურად ხედვისა და პრობლემათა გადაჭრის ორიგინალური, მანამდე არარსებული გზის პოვნის უნარი. შემოქმედებითი აზროვნების განმასხვავებელ ნიშნად ითვლება იდეათა ახლებური კავშირებისა და შესაბამისობების პოვნა.

პრობლემების შემოქმედებითად გადაჭრა ხშირად გვეხმარება ყველაზე რთულ სიტუაციებში. თანამედროვე პედაგოგიკაში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება სწავლების პროცესში შემოქმედებითი გარემოს შექმნას. გთავაზობთ რჩევებს კლასში შემოქმედებითი გარემოს შესაქმნელად;

მოიხსნას შემოქმედებითობის გამოვლენის ხელშემშლელი შინაგანი წინააღმდეგობები. კლასში მოსწავლეებს ხშირად ეშინიათ, რომ საკუთარი აზრის გამოთქმის დროს შეცდომას დაუშვებენ და მასწავლებლისგან შენიშვნას დაიმსახურებენ, ამიტომ ისინი თავს იკავებენ აზრის გამოთქმისას. დავეხმაროთ მათ რომ, დარწმუნდნენ საკუთარ შემოქმედებით ძალაში.

მივცეთ მოსწავლეებს დრო და საშუალება გონებრივი მოთელვისათვის. სასწავლო პროცესის ერთ-ერთ ძირითად საშუალებად ითვლება ჯგუფური მუშაობის მეშვეობით პრობლემის გადაჭრის გზის ძიება. მხარი დაუჭირეთ სიცხადეს, ფანტაზიას. აუცილებელია, რომ სწავლების პროცესში ჩავრთოთ მოსწავლეების წარმოსახვა.

3.2 რა არის აზროვნება?

ავტორი: დევიდ ქლუსთერი

I

განვიხილოთ გონებრივი მოქმედების ზოგიერთი სახეობა, რომელსაც ვერ ვუწოდებთ კრიტიკულ აზროვნებას, შევთანხმდეთ იმის თაობაზე, რომ უბრალო დამახსოვრება არაა კრიტიკული აზროვნება. დახსომება _ უმთავრესი ფსიქიკური ოპერაციაა, რომლის გარეშეც შეუძლებელია სასწავლო პროცესი, მაგრამ კრიტიკული აზროვნებისაგან ის კარდინალურად განსხვავდება. კომპიუტერის მეხსიერება ყველა ჩვენგანის მეხსიერებაზე უკეთესია, მაგრამ მისი მახსოვრობის უნარი ჯერ კიდევ არაა აზროვნება. მართალია, ბევრი სკოლის მასწავლებელი ისევ ძველებურად, ყოველგვარ აზროვნებაზე მეტად აფასებს მეხსიერებას, ამიტომაც ამოწმებს საკონტროლოებსა და გამოცდებზე მეხსიერების შესაძლებლობებს. მაგრამ ჩვენ, კრიტიკული აზროვნების მომხრენი, ორიენტირებულნი ვართ გონებრივი შესაძლებლობების უფრო რთულ სახეობებზე.

„არაკრიტიკული" აზროვნების სხვა სახე დაკავშირებულია რთული იდეების გაგებასთან და არც ამის გარეშე იქნება სასწავლო პროცესი. ბიოლოგიის, მათემატიკის, ისტორიის, ლიტერატურის გაკვეთილებზე მოსწავლეებს უწევთ გონების გარჯა, რათა გაიგონ მასწავლებლის ახსნილი ან სახელმძღვანელოს ტექსტი. გაგება რთული სააზროვნო ოპერაციაა, განსაკუთრებით, თუ მასალაც ძნელია მაგალითად, მოსწავლე ცდილობს გაიგოს შექსპირის სონეტი ან თავს იმტვრევს ექსტრემუმის წერტილის თეორემაზე. მის თავში მართლაც მიმდინარეობს რთული ინტელექტუალური პროცესი, მაგრამ კრიტიკულად მოაზროვნე ის ჯერ კიდევ არ არის.

ზოგი მასწავლებელი არ დამეთანხმება. ის თვლის, რომ ჭეშმარიტი გაგება ყოველთვის გულისხმობს კრიტიკულ აზროვნებას, რადგან მოსწავლე ხომ უცხო იდეებს მისთვის მისაწვდომ ენაზე და სააზროვნო დონეზე თარგმნის. მაგრამ, როდესაც ჩვენ უცხო იდეის აგებას ვცდილობთ, საკუთრივ ჩვენი აზროვნება პირველ ეტაპზე პასიურია. ჩვენ მხოლოდ აღვიქვამთ მას, რაც ჩვენამდე შექმნა ვიღაც სხვამ. კრიტიკულ აზროვნებასთან საქმე გვაქვს მაშინ, როდესაც ახალი, უკვე აღქმული იდეები მოწმდება, ფასდება, ვითარდება და გამოიყენება. ფაქტების დამახსოვრება და იდეების აღქმა აუცილებელი წინაპირობაა კრიტიკული აზროვნებისათვის, მაგრამ ეს, მიუხედავად საკუთარი თვითღირებულებისა, კრიტიკულ აზროვნებას არ წარმოადგენს.

აზროვნების მესამე სახე, რომელსაც ასევე ვერ ვუწოდებთ „კრიტიკულს", არის შემოქმედებითი ან ინტუიტიური აზროვნება. მორბენალი _ ათლეტი, მხატვარი, მუსიკოსი ასევე ურთულეს სამუშაოს ასრულებენ, მაგრამ თვითონ ამას ვერ ამჩნევენ, თუკი ახალბედასთან არა გვაქვს საქმე. ასეთი აზროვნების პროცესები გაუცნობიერებლად მიმდინარეობს. მოდით, ავიღოთ პროფესიონალი სპორტსმენი, მაგალითად, იარომირა იაგრა, ჩეხური ჰოკეის ვარსკვლავი (პრაღის 1968 წლის მოვლენების სამახსოვროდ მუდამ გამოდიოდა 68 ნომრით). დავუშვათ, რომ მან ჰოკიჯოხის მოქნევამდე დაახლოებით ასე იფიქრა: „სწორად შევარჩიე მომენტი? ხომ არ არის სხვა რომელიმე ალტერნატიული ვარიანტი? როგორ მოიქცეოდნენ ჩემს ადგილას სხვა დიდი მოთამაშეები? გაიტანდა ასეთ ვითარებაში უეინ გრეცკი, თუ დაელოდებოდა უკეთეს მომენტს? ეგება მას სულაც სხვისთვის ჩაეწოდებინა?" ცხადია, რომ ასეთი „გონიერი" მიდგომით იაგრა ვერც ერთ გოლს ვერ გაიტანდა და თუ მისი მაისურის ნომერი 6 უდავოდ წარმოადგენს კრიტიკული აზროვნების მაგალითს, ამას სულაც ვერ ვიტყოდით თამაშის დროს მის მიერ წარმოებულ „გონიერ" განსჯაზე. მხატვარი მუსიკოსიც თავიანთი სამუშაოს შესრულებისას ურთულეს აზრობრივ ოპერაციებს ასრულებენ, მაგრამ ამას ისინი გაუცნობიერებლად სჩადიან. მათი ინტუიტიური აზროვნება თუმც ძალზე ღირებულია, მაინც არ ჩაითვლება კრიტიკულად.

მაშ, როგორ ჩამოვაყალიბოთ, რა არის კრიტიკული აზროვნება? ჩემს მიერ შემოთავაზებული განსაზღვრება შეიცავს ხუთ ფუნქტს.

II

უპირველესად, კრიტიკული აზროვნება _ ესაა დამოუკიდებელი აზროვნება. როდესაც მეცადინეობა აგებულია კრიტიკული აზროვნების პრინციპებზე, ყოველი მოსწავლე ახდენს საკუთრივ თავისი იდეების, შეფასებების, მრწამსის ფორმულრებას. ვერავინ იფიქრებს კრიტიკულად ჩვენს მაგივრად, ჩვენ კი ამას ვაკეთებთ მხოლოდ ჩვენთვის. ამის შესაბამისად, აზროვნება კრიტიკულია მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი ინდივიდუალური ხასიათისაა. მოსწავლეებს უნდა ჰქონდეთ საკმარისი თავისუფლება, რათ აიფიქრონ და დამოუკიდებლად გადაჭრან ურთულესი საკითხები. მოვიყვანთ მაგალითს. რამდენიმე ხნის წინ სლოვაკეთის ერთ-ერთ უნივერსიტეტში ლექციების კურსს ვკითხულობდი ამერიკულ ლიტერატურაში. როგორც გაირკვა, ჩემს სტუდენტებს უამრავი ცნობები გააჩნდათ, უამრავი რამ ჰქონდათ დამახსოვრებული ბევრი ამერიკელი მწერლის, კერძოდ, უოლტ უიტსმენის შესახებ. მათ იცოდნენ, როდის დაიბადა და გარდაიცვალა უიტმენი. იცოდნენ მისი ყველა ძირითადი ნაწარმოების სახელწოდება. მათ შეეძლოთ განესაზღვრათ უიტმენის ადგილი ლიტერატურის ისტორიაში: ვინ მოახდინა მასზე გავლენა და, თავის მხრივ, თვითონ ვისზე იქონია გავლენა. მათთვის ცნობილი იყო უიტმენის პოეტური შემოქმედების ყველა ლაიტმოტივი. უიტმენის ცნობილი ლექსის _ „სიმღერა ჩემს შესახებ", დასაწყისი მათ ზეპირადაც კი იცოდნენ. მხოლოდ ერთი უბედურება იყო: ჩემს სტუდენტებს არ ჰქონდათ წაკითხული უიტმენის ლექსები. მთელი ეს ცოდნა მათ წინა ლექტორის ლექციებიდან მიეღოთ, რომელმაც წაუკითხა უიტმენი და აუხსნა სტუდენტებს, რა და როგორ ეფიქრათ და როდესაც მე სახელმძღვანელოების ნაცვლად, ჩემს სტუდენტებს

შევთავაზე უიტმენის ლექსები, მათ ახალი უნარების შეძენა დასჭირდათ _ პოეტური ტექსტების დამოუკიდებლად კითხვისა და მასზე საკუთარი წარმოდგენის ფორმულირებისა.

არაა აუცილებელი კრიტიკული აზროვნება იყოს სრულიად ორიგინალური. ჩვენ უფლება გვაქვს სხვა ადამიანის შეხედულება ისევე მივიღოთ, როგორც საკუთარი. სხვათა შეხედულების გაზიარება ჩვენთვის ერთგვარად სასიამოვნოც კი არის. ეს თითქოს ადასტურებს კიდევაც ჩვენს სიმართლეს. კრიტიკულად მოაზროვნე არცთუ იშვიათად იზიარებს მავანთა შეხედულებებს. როდესაც ჩემმა სლოვაკელმა სტუდენტებმა უიტმენი მაინც წაიკითხეს, გაიაზრეს მისი შემოქმედება და ამის შემდეგ დაუბრუნდნენ მის განხილვას, აღმოჩნდა, რომ ზოგჯერ მათი აზრები ემთხვეოდა მათთვის ცნობილი კრიტიკოსების აზრებს და ზოგჯერ მათი ყოფილი მასწავლებლის აზრებსაც კი, მაგრამ, მთავარი ისაა, რომ ამ დროს ყველა თავისით ფიქრობდა და წყვეტდა. ამრიგად, კრიტიკული აზროვნების პირველი და უმთავრესი მახასიათებელია დამოუკიდებლობა.

ინფორმაცია კრიტიკული აზროვნების საწყისია და არა საბოლოო წერტილი. ცოდნა ქმნის მოტივაციას, რომლის გარეშეც ადამიანს არ შეუძლია იაზროვნოს კრიტიკულად. როგორც იტყვიან, „ცარიელი თავით ძნელია იფიქრო"... ფაქტების, იდეების, ტექსტების, თეორიების, მოცემულობების, კონცეფციების და ამ უამრავი „ნედლეულის", „მასალის" მთები უნდა გადამუშავდეს, რომ ერთ მნიშვნელოვანი აზრი გაჩნდეს. სრულებითაც არ მსურს კრიტიკული აზროვნება გავუთანაბრო ეფექტების ტრადიციულ შესწავლას, ცხადია, ფაქტიური ცოდნა მთელ კრიტიკულ აზროვნებას ვერ ამოწურავს. მაგრამ არც მხოლოდ კრიტიკულია ზროვნების შესწავლაა მასწავლებლის ერთადერთი საქმე. ჩვენ ვასწავლით ჩვენს აღსაზრდელებს შესასწავლი საკითხის სხვადასხვაგვარად გაგებას და იმას, თუ როგორ დაიმახსოვრონ სულ უფრო განსხვავებული ცნობებიც. კრიტიკული აზროვნების სწავლება მასწავლებლის მრავალმხრივი საქმიანობის მხოლოდ ნაწილია.

კრიტიკულად აზროვნება საჭიროა ნებისმიერ ასაკში. არა მხოლოდ სტუდენტებს, არამედ პირველკლასელებსაც კი საამისოდ საკმარისი ცხოვრებისეული გამოცდილება და ცოდნა გააჩნიათ. ცხადია აზროვნების განვიტარების პროცესი სულ უფრო და უფრო დაიხვეწება, მაგრამ თუნდაც მათ, ვისაც ბავშვები ჰყავთ, მშვენივრად იციან, რომ ჩვილობის დროსაც კი ბავშვებს შეუძლიათ კრიტიკულად და სრულიად დამოუკიდებლად იფიქრონ. მოსწავლეები და მასწავლებლები, მწერლები და მეცნიერები თავიანთი შემოქმედებითი მოღვაწეობისას ყოველ ახალ ფაქტს კრიტიკულ განხილვას უქვემდებარებენ. **სწორედ კრიტიკული აზროვნების წყალობითაა, რომ შემეცნების ტრადიციული პროცესი იძენს ინდივიდუალობას და ხდება გააზრებული, უწყვეტი და ნაყოფიერი.**

III

კრიტიკული აზროვნება იწყება იმ საკითხთა დასმიდან და იმ პრობლემათა განხილვიდან, რომლებიც მოითხოვენ გადაჭრას. ადამიანები, თავიანთი ბუნებით ცნობისმოყვარენი არიან. შევამჩნევთ რაიმე ახალს და იმწამსვე გვინდა გავიგოთ, თუ რა არის ეს. დავინახავთ

რაიმე ღირშესანიშნავს და უკვე გვინდა მივეახლოთ, შიგნით შევიდეთ. ქიმიკოსი და ფილოსოფოსი მიქაელ პოლანი შენიშნავს: „მთელ ცოცხალ სამყაროში, დაწყებული ისეთ უბრალო ფორმებიდან, როგორიცაა ჭია და შესაძლოა ამებაც კი, შეიმჩნევა მუდმივი გაფაციცება, ფუთფუთი, წმინდა საკვლევი აქტიურობა, რომელიც არ უკავშირდება მოთხოვნილებათა პირდაპირ დაკმაყოფილებას. ჩვენ ვხედავთ ყველა ცოცხალი ორგანიზმის სწრაფვას გარემოზე ინტელექტუალური კონტროლის დამყარებისაკენ". ამრიგად, ცნოისმოყვარეობა ყოველგვარი ცოცხალი ორგანიზმის განუყოფელი თვისებაა. ჩვენ, თქვენთან ერთად, შევეჩვიეთ ამ თვისებებზე დაკვირვებას, უმთავრესად მცირეწლოვანებზე, ვინემ უფროსკლასელებზე და სტუდენტებზე. თუმცა სასკოლო განათლების ზემოქმედება ბავშვების გონებაზე სწორედ ასეთია (იგი ახდენს დაკვირვებას ბავშვთა ცნობისმოყვარეობაზე), მაგრამ ნამდვილი შემეცნებითი პროცესი ყველა მის ეტაპზე ხასიათდება იმით, რომ შემმეცნებელი მიისწრაფვის პრობლემის გადაჭრისაკენ, მისივე ინტერესებიდან და მოთხოვნილებებიდან წამოსულ კითხვებზე პასუხების ძიებისაკენ. „შესაბამისად, _ შენიშნავს ჯონ ბინი, _ კრიტიკული აზროვნების შესწავლის სირთულე მდგომარეობს იმაში, რომ დაეხმაროს მოსწავლეებს, გარსმომდგარ პრობლემათა დაუსრულებელი მრავალფეროვნებების დანახვასა და გარკვევაში".

ბრაზილიელი პედაგოგი პაულო ფეირე მხარს უჭერს იმ აზრს, რომ ტრადიციული „დამგროვებელი" განათლება უნდა შეიცვალოს „პრობლემების დასმის" განათლებით, ამასთან, განათლების პირველ მოდელში მოსწავლეთა თავები ერთგვარ „საანგარიშოებს" ჰგვანან, რომელზედაც მასწავლებლები „ცოდნებს" აღნუსხავენ, მეორე კი _ მოსწავლეები შეისწავლიან რეალური ცხოვრებიდან აღებულ პრობლემებს .პაულო თვლის, რომ სწავლების პროცესი უფრო წარმატებით წარიმართება, თუ მოსწავლე მისი, საკუთარი ცხოვრებისეული გამოცდილების საფუძველზე შეძლებს ეკონომიკური, საზოგადოებრივი, პოლიტიკური და სხვა სახის პრობლემათა ფორმულირებას. შემდეგ კი ეცდება, გადაჭრას ისინი მის ხელთ არსებული ყველა საშუალებით, რომელსაც კი სკოლა შესთავაზებს. განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ფეირი პიროვნების დათრგუნვას. ის დარწმუნებულია, რომ სწორად ორგანიზებულ განათლებას შეუძლია მოსწავლეთა განთავისუფლება დათრგუნვისაგან, ამიტომაც მის საგანმანათლებლო კონცეფციას ეწოდება „განმათავისუფლებელი პედაგოგიკა".

ამერიკელი ფილოსოფოსი და პედაგოგი ჯონ დიუი თვლის, რომ კრიტიკული აზროვნება მაშინ წარმოიშვება, როდესაც მოსწავლეები იწყებენ კონკრეტული პრობლემის შესწავლას. „მთავარი კითხვა, რომელიც სწავლების საწყის მომენტში სიტუაციის უ მოვლენის შესახებ უნდა დაისვას, არის ის, თუ რაგვარ პრობლემას აჩენს ეს სიტუაცია თუ მოვლენა".

დიუის აზრით, პრობლემებზე ფოკუსირება სტიმულს აძლევს მოსწავლის ბუნებრივ ცნობისმოყვარეობას და აღაგზნებს მის კრიტიკულ აზროვნებას. „ბავშვი ნამდვილად ფიქრობს მხოლოდ კონკრეტულ პრობლემასთან ჭიდილში, რთული სიტუაციიდან გამოსვლის გზების ძიების დროს".

ეს ნიშნავს, რომ მეცადინეობის მომზადებისას, მასწავლებელმა უნდა განსაზღვროს მოსწავლეთა წინაშე მდგარი პრობლემების წრე, შემდეგ კი, როდესაც მოსწავლეები

ამისათვის მზად იქნებიან, დაეხმაროს მათ ამ პრობლემების დამოუკიდებლად ფორმულირებაში. მონაცემთა შეგროვების, ტექსტის ანალიზის, ალტერნატიული შეხედულებების ურთიერთდაპირისპირების და კოლექტიური განხილვის შესაძლებლობათა გამოყენების გზით, მოსწავლეები ეძებენ და პოულობენ პასუხებს მათთვის ამაღელვებელ კითხვებზე.

VI

კრიტიკული აზროვნება ისწრაფვის დამაჯერებელი არგუმენტაციისაკენ. კრიტიკულად მოაზროვნე ადამიანი პოულობს პრობლემების მისეულ გადაწყვეტილებას და ამაგრებს ამ პოზიციას გონიერი, ძირეული დასაბუთებით. ის, ასევე, აცნობიერებს, რომ არსებობს იმავე პრობლემის გადაჭრის სხვა გზებიც და ცდილობს დაამტკიცოს, რომ მის მიერ არჩეული გადაწყვეტილება სხვებზე უფრო ლოგიკური და რაციონალურია.

ყოველგვარი არგუმენტაცია შეიცავს სამ ძირითად ელემენტს. არგუმენტაციის ცენტრი და მისი მთავარი შინაარსია მტკიცება (რომელსაც სხვანაირად თეზისი, ძირითადი იდეა ან მდგომარეობა ეწოდება). მტკიცება გამყარებულია მთელი რიგი საბუთებით. თავის მხრივ, ყოველი საბუთი ეფუძნება მტკიცებულებას. მტკიცებულებებად შეიძლება გამოყენებულ იქნას სტატისტიკური მონაცემები, ამონარიდები ტექსტიდან, პირადი გამოცდილება და საერთოდ, ყველაფერი, რაც მოცემული არგუმენტაციის სასარგებლოდ ლაპარაკობს და განხილვის სხვა მონაწილეთა მიერ შესაძლოა იქნეს გაზიარებული. არგუმენტაციის ყველა ზემოთ დასახელებულ ელემენტს _ მტკიცებას, საბუთს და მტკიცებულებას, ეყრდნობა მეოთხე ელემენტი _ საფუძვლები. საფუძვლები ერთგვარი შეტყობინებაა, ათვლის წერტილია, რომელიც საერთოა ორატორისათვის თუ მწერლისათვის და მისი აუდიტორიისათვის და რომელიც გვაძლევს ყველა არგუმენტაციის საფუძველს. მაგალითად, ავტორი ამბობს, რომ ქუჩის მხატვრებს უნდა შეეძლოთ თავიანთი ნამუშევრების შესრულება პირდაპირ საზოგადოებრივ შენობებზე (მტკიცება), რაგან ეს ნახატები გამოხატავს მათ პირად მრწამსს (საბუთი) და თავისთავად მხატვრული ღირებულებაც გააჩნიათ (კიდევ ერთი საბუთი). შემდეგ ავტორს მოაქვს მტკიცებულება, მაგალითად, სიტყვის თავისუფლების შესახებ არსებული ამონარიდი ქვეყნის კონსტიტუციიდან, ან პოლიტიკური ფილოსოფოსის ციტატა, რომელიც თითოეული ადამიანის თვითგამოხატვის თავისუფლებას ეძღვნება. გარდა ამისა, ავტორს შეუძლია „კედლის წარწერების" ისეთი ნიმუშებიც გაიხსენოს, რომელთაც მხატვრული ღირებულებაც გააჩნიათ. წარმოდგენილი არგუმენტაციის საფუძველია სიტყვის თავისუფლების იდეა _ ადამიანის ერთ-ერთი განსაკუთრებული უფლება.

არგუმენტაცია მოიგებს, თუ გაითვალისწინებს შესაძლო კონტრარგუმენტების არსებობას; განსხვავებულ შეხედულებათა აღიარება კიდევ უფრო აძლიერებს არგუმენტაციას. ქუჩის მხატვრების ჩვენი დამცველი, მაგალითად, კიდევ უფრო განიმტკიცებს პოზიციას, თუ აღიარებს, რომ სახლის მფლობელებსაც აქვთ უფლება, რომელიც უნდა გავითვალისწინოთ და ვეძებო კომპრომისი მხატვრის უფლებასა და იმ სახლის მფლობელის უფლებას შორის, რომლის ნაგებობის კედელსაც უპირებენ „მასალად" გადაქცევას. ძლიერი არგუმენტებით

აღჭურვილ კრიტიკულად მოაზროვნე ადამიანს ძალა შესწევს წინააღმდეგობა გაუწიოს ისეთ ავტორიტეტებსაც კი, როგორიცაა ბეჭდვითი სიტყვა, ტრადიციის ძალა, უმრავლესობის აზრი, რომლითაც პრაქტიკულად შეუძლებელია მანიპულირება. რთული გადასაწყვეტია უამრავი ღირებულების და ქცევის საკითხი, კრიტიკული აზროვნება კი მათ შესახებ სწორედ გონიერ, აწონდაწონილ მიდგომებს ითხოვს. რობერტ ენისი კრიტიკულ აზროვნებას ასე განმარტავს:

ესაა „გააზრებული გადაწყვეტილებების მიღება იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოვიქცეთ და რისა გვჯეროდეს".

კრიტიკული აზროვნება ესაა სოციალური აზროვნება. როდესაც რაიმე აზრი საზიარო ხდება, იგი საგულდაგულოდ მოწმდება და გამოიწვლილვება როგორც ფილოსოფოსი ჰანნა არენდი წერს: „სრულყოფილება შეიძლება მიღწეულ იქნეს სწორედ ვინმეს თანხლებით, ვინმესთან ერთად". როდესაც ვკამათობთ, ვკითხულობთ, განვიხილავთ, უარვყოფთ, ვეწინააღმდეგებით და ვცვლით აზრებს სხვა ადამიანებთან ერთად, ჩვენ ვაზუსტებთ და ვუღრმავდებით ჩვენსავე პოზიციას. ამდენად, პედაგოგები, რომლებიც კრიტიკული აზროვნების მიმართულებით წარმართავენ თავიანთ საქმიანობას, ყოველთვის ცდილობენ თავიანთ მეცადინეობებზე გამოიყენონ წყვილური და ჯგუფური მუშაობის ფორმები, დებატებისა და დისკუსიის ჩათვლით; ასევე, მონაწილეთა სხვადასხვა სახის წერილობითი პუბლიკაციები. კრიტიკული აზროვნების ჩემეული განსაზღვრების პირველ პუნქტში ვამბობდი, რომ ესაა დამოუკიდებელი აზროვნება. ახლა კი, ამ უკანასკნელ პუნქტში, გამოვკვეთე კრიტიკული აზროვნების სოციალური პარამეტრები, მაგრამ აქ თავს არ იჩენს წინააღმდეგობა. საბოლოოდ ხომ **კრიტიკული აზროვნება სწორედ საზოგადოებაში გამოიყენება და გაცილებით უფრო დიდ ამოცანებს წყვეტს, ვინემ ეს საკუთარი პიროვნების „აშენებაა".**

ამიტომაც კრიტიკული აზროვნების მიმართულებით მომუშავე პედაგოგები დიდ ყურადღებას უთმობენ აზრთა ნაყოფიერი გაცვლისათვის საჭირო უნარების გამომუშავებას: მოთმინების, სხვების მოსმენის, საკუთარ შეხედულებებზე პასუხისმგებლობის აღების უნარებს. ამ სახით მასწავლებლები სასწავლო პროცესს მნიშვნელოვნად უახლოებენ რეალურ ცხოვრებას, რაც საკლასო ოთახში მიმდინარეობს. საბოლოო ჯამში, ყველა პედაგოგიური შემოქმედება მიმართულია იდეალური საზოგადოების აშენებისაკენ.

ცხრილი 3.1 ტრადიციული და ინტერაქტიული გაკვეთილის შედარება

ტრადიციული გაკვეთილი	**ინტერაქტიური გაკვეთილი**
მიზანი: • **გაკვეთილი ორიენტირებულია მხოლოდ ცოდნაზე**	მიზანი: • გაკვეთილი ორიენტირებულია ცოდნაზე, უნარ-ჩვევებს შეძენასა და დამოკიდებულების შექმნაზე
დრო: • **მასწავლებელი მოსწავლეზე მეტს საუბრობს**	დრო: • მოსწავლეს საპასუხოდ უფრო მეტი დრო ეთმობა, ვიდრე მასწავლებელს

• **სწავლების ობიექტია ზოგადად მთელი კლასი (იშვიათად თითოეული მოსწავლე ან მცირე ჯგუფი)** • **გაკვეთილზე დროის განაწილება ყოველთვის ერთნაირი, მკაცრად განსაზღვრულია** • **მასწავლებელი უფრო ხშირად მიმართავს მხოლოდ ერთ საინფორმაციო წყაროს, ჩვეულებრივ, სახელმძღვანელოს**	• სწავლება კლასში ძირითადად ინდივიდუალურად ან მცირე (2-6 მოსწავლე) ჯგუფებში მიმდინარეობს • დროის განაწილების თვალსაზრისითაც, მეტი იმპროვიზაციისა და შემოქმედებითობის საშუალებაა • მასწავლებელი ხშირად, სახელმძღვანელოს გარდა, იყენებს სხვა საინფორმაციო წყაროებს, რაც ცოდნის განმტკიცებას უწყობს ხელს
გაკვეთილის ეტაპები: 1. **საორგანიზაციო ნაწილი** 2. **დავალებების გამოკითხვა** 3. **ახალი მასალის ახსნა** 4. **დანმტკიცება, საშინაო დავალების მიცემა**	გაკვეთილის ეტაპები: 1. პროვოცირება-გამოწვევა 2. სიღრმისეული წვდომა 3. გააზრება-რეფლექსია
დახურული კითხვები	ღია კითხვები
შეფასება: • **ზეპირი გამოკითხვისა და წერითი სამუშაოს შეფასება მხოლოდ ნიშნით**	შეფასება: • შეფასება ნიშნით • ტესტით • რუბრიკებით • საქაღალდის შექმნით (პორთ ფოლიო) • თვითშეფასება
საკლასო ოთახში მერხები და სკამები რიგებად არის განლაგებული; ინტერიერი სტატიკურია	საკლასო ოთახში მოწყობილია ისე, რომ მოსწავლეებმა იმუშაონ მცირე ჯგუფებში ან ინდივიდუალურად (მაგიდების, სკამებისა და მერხების განლაგება ხშირად იცვლება)
	სწავლა-სწავლების ახალი მიდგომები: • ინფორმაციის ცოდნად ქცევა • კრიტიკული, შემოქმედებითი აზროვნება • გადაწყვეტილების მიღების უნარი (დამოუკიდებლობა, ინიციატივა) • პასუხისმგებლობის გრძნობის გამომუშავება • თვითშეფასების უნარი • ის კი არ არის მნიშვნელოვანი, რა ვიცით, არამედ როგორ გამოვიყენოთ ცოდნა „ისწავლი უკეთ, როცა გეცოდინება, რისი სწავლა გინდა და როგორ“. (ჯონ დუი)
მასწავლებელი _ ავტორიტარი	მასწავლებელი _ შემოქმედი, თანამშრომელი

3.3 აქტიური ლექცია _ „თავისუფლება“

სიცოცხლე, თავისუფლება, ბედნიერებისაკენ სწრაფვა _ ის ბუნებრივი უფლებებია, რომლებიც დაბადებიდან ენიჭება ადამიანს. ადამიანები სწორედ ამ და სხვა უფლებათა დაცვის მიზნით ქმნიან ხელისუფლებას და თუ ეს უკანასკნელი ვერ ან არ იცავს მოქალაქეთა უფლებებს, ხალხს შეუძლია შეცვალოს ან გააუქმოს არსებული მმართველობა და აირჩიოს ახალი ხელისუფლება.

იმისათვის, რომ შევძლოთ ჩვენი უფლებების დაცვა, უნდა ჩავწვდეთ ამ უფლებათა არსს. განვიხილოთ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დაბადებითი უფლება _ თავისუფლება.

გაბრიელ იმერეთის ეპისკოპოსის აზრით, თავისუფლება „პირველი სიკეთეა კაცისა". თავისუფლება ქადაგებს _ „სხვას არ გაუკეთო ის, რასაც საკუთარ თავს არ უსურვებ", რომ შენი თავისუფლება თავდება იქ, სადაც იწყება სხვისი თავისუფლება".

განასხვავებენ თავისუფლების ორ მნიშვნელობას _ უარყოფითს (ნეგატიურს) და დადებითს (პოზიტიურს). თავისუფლება უარყოფითი აზრით, ნიშნავს რაღაც შებოჭილობებისგან, შეზღუდვებისგან დამოუკიდებლობას და პროცესის ნორმალურ, მისთვის ბუნებრივ პირობებში მიმდინარეობას. დადებითი მნიშვნელობით თავისუფლება მხოლოდ ადამიანის მოქმედების დასახასიათებლად იხმარება. ადამიანის ქცევა შეიძლება იყოს ან არ იოს თავისუფალი. ადამიანი თავისუფალია, როდესაც მოქმედებს საკუთარი ნებით _ ნებაყოფლობით, ხოლო არ არის თავისუფალი, როდესაც მოქმედებს სხვისი ნებით, კარნახით, იძულებით.

თავისუფლება ადამიანის ხვედრია, რადგან მხოლოდ ადამიანს გააჩნია სპეციფიკური უნარი _ ნება. ნება არის გადაწყვეტილების მიღების უნარი, რომლის საფუძველზე კეთდება არჩევანი და სრულდება შესაბამისი ქცევა.

თავისუფალი ქცევა უსათუოდ ნებელობითია, მაგრამ არა პირიქით _ ყოველი ნებელობითი ქცევა არ არის თავისუფალი. ადამიანმა შეიძლება არჩევანი გააკეთოს არა საკუთარი, არამედ სხვისი ნების კარნახით ე.ი. იძულებით.

ადამიანი ცხოვრების გარემოში, რომელიც მოიცავს ბუნებრივი და საზოგადოებრივი ფაქტორების ერთობლიობას. ბუნება თავისი მოვლენებით, სახელმწიფო თავისი კანონებით, საზოგადოება თავისი ტრადიციებით, ღირებულებებით და ზნეობრივი ნორმებით ახდენს მასზე ზემოქმედებას, ზეწოლას. გარემო ადამიანს უპირისპირდება როგორც გარეგანი, უცხო ძალა, რომელიც აიძულებს მას, იმოქმედოს შესაბამისად. მაგრამ ადამიანს შეუძლია წინ აღუდგეს ამ ზეწოლას და განახორციელოს მისი საპირისპირო ქმედება. ნება სწორედ ის უნარია, რომლის მეშვეობით ადამიანს შეუძლია გააკეთოს არა ის, რასაც გარემო მისგან მოითხოვს, არამედ ის, რაც მას უნდა, რასაც თვითონ ჩათვლის საჭიროდ და მიზანშეწონილად. ეს ნიშნავს, რომ ნება დამოუკიდებელია გარემო პირობებისაგან.

თავისუფალია მხოლოდ ისეთი ქცევა, რომელიც სრულდება ნებაყოფლობით და არა იძულებით. საკუთარი და არა სხვისი ნების რეალიზაცია არის თავისუფალი ქცევის აუცილებელი პირობა.

ადამიანი არ უნდა გახდეს „მინდა"-ს მონა, ანუ თავისუფლება არ უნდა იქცეს თვითნებობად. თავისუფლება იმის განხორციელებაა, რაც ადამიანს ნებავს, მაგრამ მას ის ნებავს, რაც აუცილებელი და სავალდებლოა. სწორედ ამ აუცილებლისა და სავალდებულოს ამოცნობა და განხორციელება უნდა ისწავლონ მოსწავლეებმა.

ამრიგად, თავისუფლება ისეთ მდგომარეობაა, როდესაც პიროვნებას არავინ აძალებს ამა თუ იმ საქმის გაკეთებას. თუმცა ადამიანს თითქმის არასოდეს ეძლევა სრული თავისუფლება, ანუ ყოველივე იმის გაკეთების უფლება, რაც თავში მოუვა. არსებობს აკრძალვები სისხლის სამართლის კოდექსში და სხვა კანონებში, მაგრამ მთავარი ცენზორი, პასუხისმგებლობაა. პასუხისმგებლობა თავისუფლების აუცილებელი პირობაა. იქ, სადაც თავისუფლება არაა, არც პასუხისმგებლობაა. ყოველი ადამიანი პასუხისმგებელია თავის ქმედებისთვის: პოლიტიკოსი _ თავისი პოლიტიკური საქმიანობისთვის (პოლიტიკური პასუხისმგებლობა), სისხლის სამართლის დამნაშავე დანაშაულის ჩადენისა და თანამონაწილეობისათვის _ (იურიდიული პასუხისმგებლობა). ზნეობრივი პასუხისმგებლობის მსაჯული კი საკუთარი სინდისი და საზოგადოებრივი აზრია.

პიროვნების უფლებები და თავისუფლებები ადამიანური ბუნებიდან გამომდინარეობს, ანუ ისინი იმიტომ გააჩნია, რომ ადამიანია. რაც შეეხება მოვალეობებს, პიროვნებას ისინი აკისრია სახელმწიფოს წინაშე და მათი შეუსრულებლობისათვის სახელმწიფოს შეუძლია იგი დასაჯოს, მაგრამ ეს მოვალეობები არ არის დაკავშირებული ადამიანის უფლებებთან; უფლებებისა და მოვალეობების ერთ კონტექსტში განხილვა ქმნის იმ აზრს, რომ უფლებები დამოკიდებულია მოვალეობებზე, სინამდვილეში კი _ მე უფლებები და თავისუფლებები მაქვს იმიტომ, რომ ადამიანი ვარ, ხოლო მოვალეობები მაქვს იმიტომ, რომ მოქალაქე ვარ.

ნიკო ლორთქიფანიძე

„მონა"

ჯვარედინ გზაზე ისმის:
_ გასწორდი წელში; ასწიე მაღლა, ამაყათ თავი; მოიღერე კისერი; თავისუფლება მიეც გულ-მკერდს _ ჰსუნთქე მსუბუქი ჰაერი; ნუ ჩამოგიშვია ცხვირი; დაიჭირე მზის სხივები, მიაპყარ სმენა გალობას, დასტკბი ვარდთა ყნოსვით!
_ მე მონა ვარ!..
_ რა ვუყოთ! იბრძოლე! განთავისუფლდები...
_ მე სუსტი ვარ...
_ თავისუფლების სიყვარული მოგცემს მოსეს კვერთხს და დავითის შურდულს...
_ არა მაქვს იმედი...
_ არაფერია, ბრძოლაში იმედიც დაიბადება.
_ მეშინია უარესის...
_ მონობაზე უარესი რაღა იქნება?
_ სიკვდილი... შიმშილი...
_ მონა ხარ მართლაც, ჭეშმარიტად მონა... ნაკლებათ საცოდავი, ვიდრე საზიზღარი.

ვაჟა-ფშაველა

„რას ჰქვიან თავისუფლება?"

როცა ჩვენს ნაცნობს, ან ნათესავს ატუსაღებენ, დაუყოვნებლივ მივესწრაფებით მის სანახავად ისე, როგორც სნეულისა. თან ვინანობთ: „ახ რა ცუდი საქმე მოუვიდაო! „რადა? რისთვის? იმისთვის, რომ კაცს წაართვეს ისეთი რამ, რითაც ადამიანი შეაწუხეს, წაართვეს სიხარული და მისცეს ვაება-ტანჯვა. თავისუფლება და ბედნიერება ერთი და იგივეა. დატუსაღებული ადამიანი უბედურადა გრძნობს თავს: ვერა ჰსვამს და სჭამს თავის ნებაზე, ვერ ადგება, ვერ დაწვება ისე, როგორც თვითონ უნდა, ვერც ტანთ იცვამს, რაც მოსწონს იმას; ვერა ჰხედავს იმას, ვინც უყვარს, ვერა აკეთებს იმას, რის გაკეთებაც სულით და გულით სწყურია; თავის ნებაზე ვერ დაილაპარაკებს, თავისუფლად ფეხს ვერ გადასდგამს უბედურ ყოფაშია ტუსაღი ჩავარდნილი. გვესმის ჩვენც მისი მდგომარეობა და გვებრალება. რაღა უნდა ვსთქვათ, როცა დატუსაღებულია მთელი საზოგადოება, ერი, სახელმწიფო? ნადირი ან ფრინველი ცოტად მოზრდილი, თავისუფფლებას ნაჩვევი, ნაგემი, რომ დაატყვევოთ, თუ ვერ მოახერხა გაპარვა ტყეში, მინდვრად, დარდისგან კვდება. მაგალითები აუარებელი ხდება. რაც უნდა კარგად მოუაროთ, ასვათ, აჭამოთ, საუკეთესო ბინა მიუჩინოთ, მაინც თავისუფლად ცხოვრება ურჩევნია. მზად მირთმეულ საზრდოს, თავის შრომით, წოწიალით, წვალებით მონაპოვარი ეუკეთესება. სიცივე და სიცხე არ აშინებს, ოღონდ კი თავისუფალი იყოს, თავის ნებაზე ცხოვრება, მოძრაობა შაეძლოს. აი, რამდენად ტკბილია თავისუფლება.

ნადირს და ფრინველს თითქმის ადამიანზე მეტად უყვარს თავისუფლება. მტრედი მშვიდი, უწყინარია და რომ შეიპყრო, ისიც კი გაინისკარტებს _ გამიშვიო, ნუ მატუსაღებო. დიაღ, ადამიანს, მით უმეტეს გაუნათლებელს, არ უყვარს თავისუფლება, არ იბრძვის მის მოსაპოვებლად იმიტომ, რომ მონობაში არის აღზრდილი, მოთმინებას არის ჩვეული და თანაც სიყვარულს თავისუფლებისადმი აძინებს გულში იმ მოსაზრებით, საწყალ კაცს თავისუფლებას ვინ აღირსებსო, თითქოს ხელმწიფის ქალს იყოს შეყვარბეული და ვერა ჰბედავს თხოვას, რადგან მისთვის ხელმისაწვდომი არაა. აბა კარგად დაუკვირდით, თუ ასე არ იყოს.

ადამიანი თავისუფალი იბადება. უცქირეთ ბავშვს, როგორ თავისუფლად მოქმედობს, როცა შეძლებს მოძრაობას, ეპოტინება ყვეალფერს, რასაც თვალი და ყური მიუწვდება; იქნევს ხელებს და ფეხებს, როცა აკვანში აწვენს დედა და ხელებზე არტახებს უჭირებს. მხოლოდ დიდების მოსაზრება, დაშლა, დაშინება ჰკვეცავს ფრთებს ბავშვის თავისუფალ მოქმედებას, რომელიც უსაზღვრო თავისუფლებისაკენ მიისწრაფის.

გაიზრდება, მოვა გონებაზე და მაშინ ხომ შინაურ უფროსებთან ერთად, უჩნდება გარეთ სხვა უფროსი _ საზოგადოება აუარებელი ზნე-ჩვეულებბბბ წესებით, რომელთა შორის მრავალი უვარგისი და პირდაპირ დამღუპველია ადამიანისა, შემბოჭველი იმის თავისუფლებისა, საღის მსჯელობისა. მშობლები საზოგადოება და უხეირო სკოლები

აჩვევენ ყრმას ისეთს აზროვნებას, რაც უხშავს მას გონებას, უნერგავს ცხოვრებისათვის მავნე აზრებს, ჩვევს გონებას მორჩილებას, მოთმენას, უკლავს სიყვარულს თავისუფლებისადმი. ასე, ადამიანი მოსისხლე მტერი ხდება ბუნებისა; იმის მაგივრად, რომ ხელი შეუწყოს და განავითაროს ეს ძვირფასი განძი _ თავისუფალი გრძნობა, მისცეს მას გონივრული მიმართულება, ცდილობს დაახშოს, მოსპოს იგი სრულად ამოაგდოს ძირიან-ფოჩვიანად ადამიანის გულიდან. ამ დროს საზოგადოება ვერა გრძნობს, რამდენად მოსისხლე მტერი ხდება იგი თავის თავისა. რატომ? მიტომ, რომ ხეს ტოტებს აჭრის, ქერქს აცლის გარშემო ტანზე, რის გამო იგი ხელს უწყობს შტოების გახმობას, რასაც ადრე თუ გვიან, თვით ხის გახმობაც მოსდევს. დიაღ, გამხმარია, ხმელია ის საზოგადოება, რომლის წევრებიც მონურად ყეყეჩ-ჩერჩეტად არიან აღზრდილნი და არ უყვართ თავისუფლება; ჰხვდება თავის თავის მტერი, სთელავს ფეხით თავისივე ბედნიერებას. ამისთანა საზოგადოება თუ სახელმწიფო ბუდეა ყოველნაირის უსამართლობისა. ადვილად ჩნდებიან დაჩაგრულნი, გაცარცლნი და მცარცველნი და იმართება მათ შორის ბრძოლა. დღეს ჩვენ ვართ მოწამე და მონაწილენი ამისთანა ბრძოლისა. ბედნიერებაწართმეული ნაწილი საზოგადოებისა (კლასი) ებრძვის მეორეს, რომელმაც მისი ბედნიერება მიითვისა, მისი თავისუფლება და ქონება. მჩაგვრელნი დღევანდლამდის თავისუფლად იქცეოდნენ: ფული, მიწა, ფაბრიკები, ქარხნები, სახლები იმათ ხელშია. ეს სულ მოტყუილებით, მტარვალობით, სხვისთვის თავისუფლების ჩამორთმევით მოიპოვეს. დღეს დაჩაგრულმა ნაწილმა იგრძნო ეს უსამართლობა, აახილა თვალები, გაიღვიძა მის გულში დაძინებულმა თავისუფლების სიყვაურლმა, დღეს იგი ამბობს: დამიბრუნეთ წართმეული ბედნიერებაო!

თავისუფლება, მტარვალთაგან (უმცირესობა) ხალხისთვის (უმრავლესობა) წართმეული ბედნიერებაა. თუ ერთს ადამიანს სტანჯავს, სჩაგრავს ტუსაღობა, თავისუფლების წართმევა, ფრინველს და ცხოველსა ჰკლავს, რა თქმა უნდა, ხეირს არ დააყრის არც საზოგადოებას, რომელიც ადამიანთა კრებულია. როცა დამონებაში იმყოფება ქვეყანა, თავისუფლებას მოკლებული, იგი დამწყვდეულია ციხეში. ის როდი კმარა მარტო, რომ როცა უნდა გამოვიდეს და ისეირნოს ქუჩებზე, იმღეროს, ითამაშოს, შეირთოს ცოლად ის ალი, ვისაც იგი მოსწონს და ვინც მას მოსწონს; მაგრამ, ამავე დროს, აკლია სახსარი ცხოვრებისა, არა აქვს მოსახნავი მიწა, მოსწონს იქვე ახლო მდებარეს ნაფუძარი და არ აზლევს ნებას მიწის პატრონი, რომელსაც ათასი ამისთანა ნაჭერი მიწა სხვა აქვს.

თავისუფლების მტერია ის ადამიანი, ვისაც არ უყვარს თავისი თავი. თავმოყვარეობა ორნაირია: ბრიყვული და გონივრული. ბრიყვული, როცა ადამიანი მარტოდმარტო თავის თავზე ზრუნავს. მხოლოდ ფიქრობს მას: „მე ვირგო და სხვა წყალმა ზიდოსო. მე მქონდეს უფლება სხვა შეურაცხვყო, და სხვას კიარ ჰქონდეს ნება პასუხი მომთხოვოს. მარტო მქონდეს ნება ვარცვო და მეორეს კი მოესპოს საშუალება თავის დაცვისა". სხვისი უფლება, ადამიანობა შელახოს დაუსჯელად, ხელშეუბრუნებლად. ამისთანა ადამიანი მსგავსია მხეცისა, იგივე მხეცია და მისი თავმოყვარეობა არის მხეცური. მგელიც ასე ფიქრობს, ოღონდ თვითონ გაძღეს დაიმის ჭირის ნაცვალი იყოს ათასი სული ცხვარი და ათიათასი. არაფერია მგლის ფიქრით ეს ცოდვა, ეს დანაშაული. თავისუფლება უნდა იყოს საერთო, საყოველთაო და არა საკუთრება რამდენიმე ადამიანისა, როგორც დღეს არის.

მაგრამ მაგარი ის არის, რომ დღეს არც მჩაგვრელები არიან თავისუფალნი; იმათაც ძვირად უჯდებათ თავისუფლების შენარჩუნება. მგელი კი თავისუფალია ვითომ? არა. ისიც მუდამ შიშს ქვეშ იმყოფება, დღეს თუ ხალ უნდა მომშხამდეს მგლობაო, ფიქრობს იგი. უნდა მომკლანო, ბოლო მგლისა მაინც ეს არი: უნდა მოკვდეს ტოფით, საწამლავით ან ხაფანგში გაებას, სიკვდილი თან სდევს ყოველს ნაბიჯზე. მგელს ადამიანი მაინც სდევნის, თუნდ არაფერს აშავებდეს, რადგან მგელია, ნადირია, ტყავი აქვს გამოსადეგი, ხოლო მგლად ქცეულს ადამიანს ასე არუნდა მოვეპყრათ! იმის გაწვრთნა, ჩვენ _ ადამიანთა ხელთ არი, ჩვენ უნდა მოვუსპოთ მას საშუალება, დავუკეტოთ ბილიკები მგლური ინსტიქტების, სურვილების სანავარდო და მორჩა მისი მგლობა.

თავისუფლების კანონთა თანახმად, შეიძლება მაშ, სხვას ცოლი, ცხენი წაართვა კაცმა, ვსთქვათ ივანემ პეტრეს, რადგან პირველს მოსწონს პეტრეს ცოლი და ცხენი? არა, თავისუფლება ამას არ გვიქადაგებს, რომ ყოველი ჩვენი სურვილი, გრძნობა დავაკმაყოფილოთ წინდაუხედავად. ჩვენის გრძნობების დაკმაყოფილება და ჩვენთა სურვილთა, მხოლოდ მაშინ არის შესაწყნარებელი, თუ ამით ჩვენ სხვას, ცალკე ადამიანს ან საზოგადოებას, არ წავართმევთ. რად უნდა წაართვას ივანემ პეტრეს ცოილ, როცა თვით პეტრე არა სწუნობს თავის ცოლს, არამედ მოსწონს და უყვარს იგი? ხომ ცოდოა, უნდა ტანჯვა-დარდში და ვარამში ჩავარდეს კაცი და მისი თავისუფლება შეილახოს. ვსთქვათ, პეტრე წუნობს ცოლს და არც ეწყინება, თუ იგი ივანეს წაჰყვება, მაგრამ შეიძლება თვით პეტრეს ცოლს არ მოსწონდეს ივანე. განა აქვს უფლება, ნება ივანეს, შეახოს მას ხელი? არა, ასჯერ არა. ამისთანა კანონებს არ ქადაგებს თავისუფლება. თუ ეს ასეა, მაშ რად ვართმევთ დიდის მამულისა, ტყის პატრონს თავიანთ საკუთრებას მამულ-დედულს? ხომ იმასაც უყვარს თავისი მამული? მამულის ჩამორთმევით ხომ ვართმევთ იმას თავისუფლებას? ვხელმძღვანელობთ ამ შემთხვევაში სიმართლის გრძნობით, თუ არა? იქნება უსამართლოდ ვიქცევით, როგორც ზოგიერთებს ჰგონიათ? არა, არ ვიქცევით უსამართლოდ და აი, რატომ. დიდი მამულის პატრონი, ჯერ ერთი, რომ სხვებს, ასს, ათასს ართმევს თავისუფლებას, რადგან სხვის ნაშრომს იტაცებს, სხვას ლუკმას სტაცებს. ეს უწესობაა, უსამართლობაა და როგორც უწესოების ჩამდენს, მას უნდა მოესპოს საშუალება ამგვარის ყოფაქცევის. მეორე, მამულ-დედული ხომ იმის შრომით შექმნილი არ არი, იგი ღვთისაგან ბოძებულია. იგი ძალმომრეობს, როცა ბუნებას სტაცებს მომეტებულს, რაშიც სხვებსაც წილი უდევთ. ყველა ეს საჭირო ერისთვის როგორც ცალკე ადამიანისთვის, კანონები უნდა იყოს თვით ხალხით დადგნილი.

მაშასადამე, თავისუფლებამ უნდ ამოგვცეს სიამოვნება. შეიძლება უსიამოვნებაც მიერგოს თავისუფალ ადამიანს, როგორც სასჯელი უხეირო საქციელისთვის, მაინც მისი თავისუფლება არ იქნება დარღვეული, რადგან ხალხისგან შექმნილი კანონი, რომლის დადგენათი თვით იმასაცმონაწილეობა აქვს მიღებული, სჯის მას. ხომ იცით ჩვენებური გლეხკაცი რას ამბობს: „სამართლისაგან მოჭრილი ხელი არ მეტკინებაო". ოღონდაც რომ ასეა. თავისუფლებამ უნდა მისცეს მუშას მთელი ნაყოფი შრომისა. უნდა მისცეს სწავლა, განათლება, თავის თავისა, თავის ერისა და კაცობრიობის გონივრული სიყვარული.

უნდა მიანიჭოს ნება, უფლება, იმ ხელობას დაადგეს, რომელიც მას მოსწონს და ეხერხება; იცხოვროს იქ, საცა მოისურვებს; ოღონდ ისე, რომ სხვისი თავისუფლება არ შეზღუდოს, სხვას უსიამოვნება არ მიაყენოს უნდა უპასპორტოთ წავიდეს და მოვიდეს, საცა უნდა. ვერავინ უნდა შეახოს მას ხელი, ვიდრე კანონი არ გადასწყვეტს. უნდა ილაპარაკო, სწერო საზოგადო საქმეებზე ისე, როგორც შენ გინდა. დაშლა არავის შეუძლია, უნდა გამოსთქვა შენი აზრი. დაჰგმო დასაგმობი, აქო საქებარი.

3.4 სწავლა-სწავლების ინტერაქტიული მეთოდები

„მოზაიკა" წარმოადგენს ერთობლივი სავლება-სწავლის მეთოდს, რომლის დახმარებით, ურთიერთსწავლების საშუალებით, ხდება „დანაწევრებული" ინფორმაციის გამთლიანება. თავდაპირველად მწვრთნელი შესასწავლ ტექსტს (მასალას) ჰყოფს ნაწილებად. შემდეგ ქმნის ჯგუფებს. ჯგუფში იმდენი წევრი უნდა იყოს, რამდენ ნაწილადაცაა ტექსტი დაყოფილი. მაგალითად, ჩვენს მიერ განხილული დევიდ ქლუსთერის სტატია _ „რა არის კრიტიკული აზროვნება", ოთხი ნაწილისაგან შედგება. ამდენად, თითოეულ ჯგუფში ოთხი წევრი უნდა გაერთიანდეს. პირველად შექმნილ ჯგუფებს ძირითადი ჯგუფები ეწოდებათ. ძირითად ჯგუფებში მონაწილეებს ეძლევათ 1-დან _ 4-მდე ნომრები და ურიგდებათ შესაბამისი ნაწილები. შემდეგ ყოველი პირველი, მეორე, მესამე და მეოთხე ნომერი ცალკე ექსპერტთა ჯგუფად ერთიანდება. თითოეულ მონაწილეს, გაკვეთილის პროცესში, ეძლევა საშუალება სხვადასხვა ადამიანთან იმუშაოს.

ექსპერტთა ჯგუფების მოვალეობაა, ამომწურავად შეისწავლონ სტატიის ერთი მონაკვეთი. მათ უნდა წაიკითხონ თავიანთი მონაკვეთები და განიხილონ ისინი სრულ გაგებამდე. ასევე, ჯგუფმა უნდა მოიფიქროს ამ მასალის თავისი ზირითადი ჯგუფისათვის გადაცემის საუკეთესო მეთოდი. ამ საქმიანობას საკმაო დრო სჭირდება.

სამუშაოს დასრულების შემდეგ, ექსპერტთა ჯგუფის წევრები თავიანთ ძირითად ჯგუფებს უბრუნდებიან და მათ ასწავლიან თავ-თავიანთ მონაკვეთებს.

უნდა აღინიშნოს, რომ ძირითადი ჯგუფის ყოველი წევრი სწავლობს სტატიის ყველა მონაკვეთის შინაარსს. ძირითადი ჯგუფის წევრებმა უნდა ჩაინიშნონ სტატიის ირგვლივ წარმოშობილი ნებისმიერი კითხვა. ამ კითხვებით უნდა მიმართონ შესაბამის მონაკვეთზე პასუხისმგებელ ექსპერტს. თუ კითხვაზე პასუხი ვერ იქნა გაცემული, მაშინ პასუხის გაცემას, სტატიის ამ მონაკვეთზე პასუხისმგებელი ექსპერტთა ჯგუფი ეცდება. ეს პროცესი მწვრთნელმა (მასწავლებელმა) უნდა წარმართოს. მან თვალყური უნდა ადევნოს ინფორმაციის დასწავლასა და კარგად გადაცემის პროცესს, თუ ექსპერტთა ჯგუფმა ვერ გასცა პასუხი, უპასუხოს წამოჭრილ შეკითხვებს.

აქტიური ლექცია

ტრადიციული ლექცია, ხშირ შემთხვევაში, სემინარის მთავარი ნაწილია. იგი სწავლების არაეფექტურ საშუალებად მიიჩნევა, რადგან მსმენელები ლექციის მოსმენისას ინფორმაციის ნაკლებ მოცულობას იმახსოვრებენ. 15-20 წუთის შემდეგ მსმენელის ყურადღება საგრძნობლად იკლებს. თუმცა, შესასწავლ თემაზე ლექცია, ზოგადი შთაბეჭდილების შექმნის ეფექტური საშუალებაა. ასევე, ლექცია სწავლების მნიშვნელოვანი საშუალებაა მაშინ, როდესაც შესასავლ თემაზე ლიტერატურა, მასალები ნაკლებად ხელმისაწვდომია.

იმისათვის, რომ ლექცია გახდეს აქტიური, ეფექტური, ლექტორმა (მწვრთნელმა, მასწავლებელმა) ჯერ მსმენელებში ინტერესი უნდა აღძრას, მაქსიმალურად გაზარდოს გაგების დონე, ჩართოს მონაწილეები ლექციის პროცესში და გაამყაროს ის მასალა, რომელიც გადაეცათ მონაწილეებს. ამის მისაღწევად რამოდენიმე გზა არსებობს. აქტიური ლექცია რამოდენიმე ეტაპისაგან შედგება:

I _ მოსამზადებელი ეტაპი (პროვოცირება, ინტერესის გამოწვევა). ტრენინგის დასაწყისში მწვრთნელი (მასწავლებელი) ამზადებს მსმენელებს შესასწავლი საკითხის ყურადღებით მოსასმენად. საშუალებას აძლევს მსმენელებს, გაიხსენონ, რა იციან განსახილველი თემის შესახებ. მწვრთნელს რამოდენიმე მეთოდის შერჩევა შეუძლია ამ ამოცანის განსახორციელებლად:

იგი სთხოვს მსმენელებს, დაწერონ რაიმე შესასწავლ თემაზე ხუთი წუთის განმავლობაში. მათ უნდა წარმოაჩინონ, რა იციან განსახილველი საკითხის გარშემო;

მსმენელებს უსვამს მაპროვოცირებელ კითხვებს;

მწვრთნელი აცნობს მსმენელებს მომავალ ლექციასთან დაკავშირებულ საკვანძო სიტყვებს და სთხოვს მათ, ახსნან, მათი აზრით, როგორ უკავშირდება ეს ლ ექსიკური ერთეულები მომავალ ლექციას;

მწვრთნელს (მასწავლებელს), მსმენელების დაინტერესების მიზნით შეუძლია გამოიყენოს თვალსაჩინოებები (ვიდეო, აუდიო ჩანაწერები, პლაკატები და სხვა).

II ეტაპი _ საკუთრივ ლექცია.

ლექტორი (მწვრთნელი, მასწავლებელი) კითხულობს ლექციას 10-15 წუტის განმავლობაში. დრო შეზღუდულია, რადგან მსმენელთა ყურადღებაზე დაკვირვებამ აჩვენა, რომ 15-20 წუთის შემდეგ ის საგრძნობლად იკლებს.

III ეტაპი _ გააზრება.

ლექციის ჩატარების შემდეგ, მასწავლებელი სთხოვს მსმენელებს, შეადარონ თავიანთი ნააზრევი ლექციაზე წარმოდგენილ მოსაზრებებს. შესაძლებელია წარმიართოს დისკუსია ლექციის ძირითადი საკითხის ირგვლივ ან მწვრთნელი სთხოვს მონაწილეებს, დაწერონ თავისუფალი თემა ლექციაზე დასმულ ერთ-ერთ საკითხზე. <u>თავისუფალი ხასიათის წერა</u>

არის წერითი მეთოდი, რომლის დროსაც მოსწავლე შესასწავლი (პროვოცირების დროს), ან შესწავლილი (გააზრების ეტაპი) საკითხის ირგვლივ, გარკვეული დროის განმავლობასი (5-10 წთ.), წერს ყველაფერზე, რაც თავში მოუვა.

მართული კითხვის მეთოდი „შნსეკა"

ტექსტის, სტატიის კითხვის დროს, წაკითხულის უკეთ აღსაქმელად, შესაძლებელია გამოვიყენოთ შეწყობილ ნიშანთა სისტემა ეფექტური კითხვისა და აზროვნებისათვის (შნსეკა). ამ მეთოდის გამოყენებისას მკითხველი ტექსტის კიდეებზე გარკვეულ აღნიშვნებს აკეთებს.

„✓" _ ნიშნით აღინიშნება მკითხველისათვის უკვე ნაცნობი ინფორმაცია;

„+" _ ნიშნით აღინიშნება მკითხველისათვის ახალი ინფორმაცია;

„_" _ დაისმის, თუ მკითხველის მიერ ამოკითხული ინფორმაცია უპირისპირდება იმას, რაც უკვე იცის ან ჰგონია, რომ იცის;

„?" _ ნიშნით აღინიშნება გაუგებარი ინფორმაცია ან დაისმის იმ შემთხვევაში, თუ მკითხველს მეტი ინფორმაციის გაგება სურს საკითხის ირგვლივ.

ამგვარად, ტექსტზე მუშაობისას, „შნსეკა" _ ს გამოყენების დროს, ოთხნაირი ნიშანი უნდა დაისვას კიდეებზე. არ არის აუცილებელი ყოველი სტრიქონისა და აზრის აღნიშვნა, მაგრამ ამ აღნიშვნებმა უნდა გამოავლინონ მკითხველის დამოკიდებულება ინფორმაციისადმი.

შესაძლებელია, გარკვეულ შემთხვევებში, შევამციროთ აღნიშვნების რაოდენობა, გამოვიყენოთ მხოლოდ ორი ან სამი.

3.5 დემოკრატიის პრინციპები:

1.**მოქალაქეთა მონაწილეობა ქვეყნის მართვაში**

ქვეყნის მართვაში მოქალაქეთა მონაწილეობა არის დემოკრატიის ერთ-ერთი მთავარი პრინციპი.

ქვეყნის მართვაში მონაწილეობის მიღება არის მოქალქის ძირითადი ფუნქცია დემოკრატიულ საზოგადოებაში. ქვეყნის ცხოვრებაში მოქალაქის ჩართულობა, მისი უფლებაც არის და მოვალეობაც.

მოქალაქის მონაწილეობა გამოიხატება სხვადასხვა ფორმით:

არჩევნებში მონაწილეობით, ხმის მიცემით, ქვეყნაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესებზე ინფორმაციის ქონით, მნიშვნელოვან პრობლემებზე მსჯელობით, სხვადასხვა საზოგადოებრივ შეკრებებსა თუ მშვიდობიან და საპროტესტო აქციებში მონაწილეობით, მოხალისეობრივი მუშაობით, გადასახადების გადახდით, პროტესტით გამოხატვით,

პეტიციებზე ხელმოწერით, პოლიტიკოსებისათვის წერილის მიწერით, სხვადასხვა საზოგადოებრივ ჯგუფებსა და ასოციაციებში გაწევრინებით და სხვ.

ჩამოთვლილი მონაწილეობის ფორმები, მნიშვნელოვანი მექანიზმებია დემოკრატიულ საზოგადოებაში საკუთარი პოზიციის დასაფიქსირებლად. ისეთ სემთხვევებში, როდესაც საზოგადოება ქვეყანაში მიმდინარე პროცესებისაგან იზოლირებულია, ხელისუფლების კონტროლი, „შემოწმებისა და დაბალანსების“ სისტემის ძირითადი ელემენტები არ ხორციელდება. ასეთ შემთხვევაში მთავრობის წარმომადგენლებმა და საჯარო მოხელეებმა შესაძლოა სრული თავისუფლება იგრძნონ და იმოქმედონ შეზღუდვების გარეშე, იმოქმედონ საკუთარი ინტერესების სასარგებლოდ. ხელისუფლების ამგვარი ქმედება საზოგადოების კეთილდღეობას მიაყენებს ზიანს და შესაძლოა ადამიანის უფლებების დარღვევის მიზეზიც გახდეს.

2. **პასუხისმგებლობა ხალხის წინაშე, ანგარიშვალდებულება**

დემოკრატიულ სახელმწიფოში არჩეული სახელმწიფო მოღვაწეები და დანიშნული საჯარო მოხელეები თავის ქმედებებზე პასუხისმგებელნი და ანგარიშვალდებულნი არიან მოქალაქეების წინაშე. ისინი ასევე ანგარიშვალდებულნი არიან ხელისუფლების სხვა შტოების მიმართ (საკანონმდებლო, სასამართლო). ანგარიშვალდებულება ავალდებულებს მთავრობას მიიღოს ისეთი გადაწყვეტილებები და იმოქმედოს ხალხის ნების გათვალისწინებით. ხელისუფლებას არ აქვს თვთნებური მოქმედების უფლება.

3. კანონის უზენაესობა

დემოკრატიულ საზოგადოებაში არც მეფე, და არც საყოველთაოდ არჩეული პრეზიდენტი არ შეიძლება იდგეს კანონზე მაღლა. ეს არის კანონის ძალაუფლება, რაც ნიშნავს იმას, რომ სახელმწიფოს მოქალაქეები უნდა დაემორჩილონ კანონს და მისი დარღვევის შემთხვევაში პასუხი აგონ კანონის წინაშე. დემოკრატიის პრინციპები ასევე ითხოვენ, რომ კანონის წინაშე ყველა თანასწორი იყოს.

ამრიგად, კანონის უზენაესობა მდგომარეობს იმაში, რომ არავინ დგას კანონზე მაღლა. ყველა ვალდებულია დაიცვას კანონი და თანაბრად აგოს პასუხი კანონის დარღვევის შემთხვევაში.

4. ხელისუფლების კონტროლი, ხელისუფლების მიერ ძალაუფლების ბოროტად გამოყენების კონტროლი

საზოგადოება უნდა ეცადოს არ დაუშვას ძალაუფლების ბოროტად გამოყენება არც ერთი არჩეული პირის ან პირთა ჯგუფის მიერ. კორუფცია არის ხელისუფლების ბოროტად გამოყენების ყველაზე გავრცელებული ფორმა. კორუფცია სახეზეა მაშინ, როდესაც

მთავრობის წარმომადგენლი, ან საჯარო მოხელე ხარჯავს სახელმწიფო ქონებას პირადი მიზნებისთვის. ასევე, როდესაც ხელისუფლების წარმომადგენელი სამსახურეობლივ ძალაუფლებას არაკანონიერად იყენებს.

კორუფციის თავიდან აცილების მიზნით, სხვადასხვა ქვეყანა სხვადასხვა გზას იყენებს. ძირითადად ხდება მოქალაქეების, კანონმდებლობისა და სხვადასხვა ინსტიტუციების მხრიდან კონტროლი. ამ პრინციპის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ასპექტს „შემოწმება დაბალანსების“ ძლიერი სისტემა წარმოადგენს. „შემოწმება დაბალანსება“ გულისხმობს ძალაუფლების კონსტიტუციურ გადანაწილებას ხელისუფლების შტოებს შორის.

სახელმწიფოში არსებობს **ხელისუფლების 3 შტო**:

ა) საკანონმდებლო - რომლის ფუნქციაა ქვეყანაში ძირითადი საკანონმდებლო ბაზის შექმნა. არსებობს ერთ და ორპალატიანი პარლამენტები. ორპალატიანში, როგორც წესი, ზედა პალატა ფორმირდება მაჟორიტარული წესით, ანუ წარმომადგენლებით რეგიონებიდან, ხოლო ქვედა – პროპორციული წესით, ანუ პოლიტიკური პარტიების სიების მიხედვით; ერთპალატიანში – შერეულად

ბ) აღმასრულებელი - რომლის ფუნქციაა ქვეყანაში მიღებული კანონების აღსრულება. აღმასრულებელ ხელისუფლებაში შეიძლება შედიოდეს პრეზიდენტიც და აუცილებლად არის მთავრობის მეთაური.

გ) სასამართლო – რომლის ფუნქციაა ქვეყანაში მართლმსაჯულების განხორციელება. მართლმსაჯულება არსებობს ადმინისტრაციული (იხილავს დავებს კანონქვემდებარე აქტებთან დაკავშირებით, ანუ მოქალაქე უჩივის აღმ. ხელისუფლებას, აგრეთვე მცირე მნიშვნელობის სამართალდარღვევებს), სამოქალაქო (იხილავს კერძო ხასიათის დავებს მოქალაქეთა შორის), სისხლის (იხილავს დანაშაულებთან დაკავშირებულ საქმეებს) და საკონსტიტუციო (იხილავს კანონების და სხვა აქტების შესაბამისობას კონსტიტუციასთან).

5. ადამიანის უფლებები

ადმიანის უფლებები - ეს არის ღირებულებები, რომლებიც გამოხატავენ პატივისცემას ადამიანის სიცოცხლისა და ღირსების მიმართ. დემოკრატიულ სისტემაში თითოეული ადამიანის სიცოცხლე მნიშვნელოვანია

. ადამიანის უფლებების მაგალითებია: სიტყვის თავისუფლება, შეკრების თავისუფლება, თანასწორობის უფლება, განათლების უფლება და სხვ.

ხელისუფლების ერთ-ერთი მოვალეობაა ადამიანის უფლებების დაცვა.

6. თანასწორობა

დემოკრატიული საზოგადოება დიდ მნიშვნელობას ანიჭებს თანასწორობის პრინციპს. ეს ნიშნავს, რომ ყველა მოქალაქეს თანაბარად ღირებულია. ყველას უნდა ჰქონდეს თანაწორი შესაძლებლობები და მართმსაჯულების უფლებები. გამოირიცხოს მათი დისკრიმინაცია რასის, რწმენის, სქესის (გენდერის), ეთნიკური მიკუთვნებულობის მიუხედავად.

დემოკრატიულ ქვეყნებში, ყოველ ადამიანსა და ადამიანთა ჯგუფებს აქვთ უფლება დაიცვან თავიანთი კულტურა, სარწმუნოება, ინდივიდუალობა, ენა.

7. უფლებათა ბილი/უფლებების კანონპროექტი

უფლებათა ბილი/უფლებების კანონპროექტი - არის დოკუმენტი, რომელშიც ჩამოთვლილია უფლებები და თავისუფლებები, რომლებითაც გარანტირებულები არიან სახწელმწიფოს მოქალაქეები.

ბევრი დემოკრატიული ქვეყანა ქმნის უფლებების კანონპროექტს, რომლის საშუალებითაც ხდება მოქალაქეთა დაცვა ხელისუფლების მხრიდან ძალაუფლების ბოროტად გამოყენებისგან.

იმ შემთხვევაში, როდესაც უფლებების ბილი, კანონპროექტი, ქვეყნის კონსტიტუციის ნაწილი ხდება, სასამართლოს მათი აღსრულების საშუალება ეძლევა. უფლებების ბილი, კანონპროექტი ზღუდავს მთავრობის ძალაუფლებას და ასევე შეუძლია დააკისროს პასუხისმგებლობები კერძო პირებსა და ორგანიზაციებს.

8. რეგულარული,თავისუფალი და სამართლიანი არჩევნები

მოქალაქეების არჩევნებში მონაწილეიბის მიღება ხალხის ნების გამოხატვის ერთ-ერთი საშუალებაა. დემოკრატიული პრინციპები მოითხოვენ, რომ ხალხის რჩეულები არჩეულნი, ან გადარჩეულები იყვნენ თავისუფალი და სამრთლიანი პროცედურებით. ამომრჩეველთა დაშინება, კორუფცია, მოქრთამვა ან დამუქრება არჩევნებამდე ან არჩევნების პროცესში, ეწინააღმდეგება დემოკრატიის პრინციპებს.

დემოკრატიულ საზოგადოებაში არჩევნები ტარდება რეგულარულად, განსაზღვრული დროის გასვლის შემდეგ. არჩევნებში მონაწილეობის მიღება, არ უნდა იყოს დამოკიდებული ამომრჩევლის ჯანმრთელობაზე, მატერიალურ მდგომარეობაზე. არ უნდა არსებობდეს დაბრკოლებები, რომლებიც მოქალაქეებს არჩევნებში მონაწილეობის მიღებას უშლის ხელს.

თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების ჩასატარებლად, მოქალაქეების უმრავლესობას უნდა მიეცეს საკუთარი კანდიდატურის წარდგენის საშუალება. არავინ არ უნდა შეუშალოს ხელი მოქალაქეებს მიიღოს მონაწილეობა ხმის მიცემაში.

ამრიგად, რეგულარული,თავისუფალი და სამართლიანი არჩევნები აუცილებელია, რათა პოლიტიკური ლიდერები ანგარიშვალდებულები იყვნენ იმ მოქალაქეების წინაშე ვინც მათ ირჩევს და ვისაც ემსახურებიან. თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების შემადგენელი კომპონენტი ასევე არის ის, რომ საზოგადოების წევრებს ჰქონდეთ საჯარო სამსახურში არჩევისა და დანიშვნის საშუალება. ეს პროცესი ამცირებს მდიდარი და მმართველი კლასის ძალაუფლებას.

9. მრავალპარტიული სისტემა

ისტორიამ აჩვენა, რომ ერთპარტიულ სისტემას მივყავართ დიქტატურამდე. მრავალპარტიული სისტემა, მოქალაქეებს აძლევს საშუალებას აირჩიოს კანდიდატები,

პარტიები და სტრატეგიები, რომლებიც ხელს შეუწყობენ საზოგადოების განვითარებას. ეს ხელს შეუწყობს, განსახილველ თემებთან მიმართებაში, ხელისუფლებაში სხვადასხვა შეხედულებების არსებობას. ასევე მრავალპარტიული სისტემის დროს, შესაძლებლობა იქმნება, შეიქმნას მმართველი პარტიის ოპოზიცია.

10. ეკონომიკური თავისუფლება

დემოკრატიულ საზოგადოებაში ადამიანებს მინიჭებული უნდა ჰქონდეთ ეკონომიკური თავისუფლება. ეს იმას ნიშნავს, რომ დაცულია კერძო საკუთრება, კერძო მეწარმეობა, მოქალაქეებს შეუძლიათ სამუშაოს არჩევა და პროფკავშირებში გაერთიანება. სახელმწიფოს როლი საზოგადოების ეკონომიკურ ცხოვრებაში ღიად განიხილება.

საყოველთაოდ აღიარებულია, რომ დემოკრატიული სახელმწიფოს ეკონომიკის საუკეთესო ფორმა თავისუფალი ბაზარია. სახელმწიფო სრულად არ უნდა აკონტროლებდეს ეკონომიკას.

ზოგი ფიქრობს, რომ სახელმწიფო მეტად უნდა ერეოდეს ეკონომიკაში, განსაკუთრებით იმ ქვეყნებში, სადაც შეიმჩნევა დიდი ქონებრივი უთანასწორობა საზოგადოებაში დისკრიმინაციისა და სხვა არასამართლიანი ქმედებების გამო.

ამრიგად, დემოკრატიულ სისტემაში ზოგადად მიღებულია, რომ ხელისუფლებამ უნდა დაუშვას კერძო მესაკუთრეობის, ბიზნესისა და სამუშაოს თავისუფლად არჩევის უფლება. ხელისუფლების მიერ ეკონომიკის რეგულირების ხარისხი განსხვავდება ქვეყნების მიხედვით.

11. პოლიტიკური ტოლერანტობა

ზოგადად ტოლერანტობა არის პატიება, თანაგრძნობა, მოთმინება, კეთილგანწყობა სხვათა მიმართ, შერიგებისათვის მზადყოფნა, უკონფლიქტო ურთიერთობა განსხვავევულ ადამიანებთა.

რას ნიშნავს პოლიტიკური ტოლერანტობა?

დემოკრატიული საზოგადოება პოლიტიკურად ტოლერანტულია. ეს იმას ნიშნავს, რომ, მართალია მართვის სდაავეები უმრავლესობის ხელშია, დაუშვებელია უმცირესობათა უფლებების ხელყოფა. ადამიანებს, რომლებიც ხელისუფლებაში არ არიან, უნდა შეეძლოთ შექმნან თავიანთი ორგანიზაციები და პროპაგანდა გაუწიონ თავიანთ პრინციპებს. ზოგჯერ უმცირესობებს „ოპოზიციას“უწოდებენ, რადგან ისინი არ იზიარებენ უმრავლესობის შეხედულებებსა და პრინციპებს. ინდივიდებსაც უნდა შესწევდეთ უნარი ტოლერანტული დამოკიდებულება ჰქონდეთ ერთმანეთთან.

დემოკრატიული საზოგადოება შედგება სხვადასხვა კულტურის, რასის, რელიგიის, ეთნიკური ჯგუფებისგან, რომელთა შეხედულებები განსხვავდება მოსახლეობის უმრავლესობისგან. პლურალიზმი აძლიერებს დემოკრატიულ საზოგადოებას. თუ უმრავლესობას არ სურს და არ იცავს უმცირესობის უფლებებს, ამ შემთხვევაში ფერხდება დემოკრატიის განვითარება.

12. ხელისუფლების გამჭირვალობა

იმისათვის, რომ ხელისუფლება ანგარიშვალდებული იყოს საკუთარი მოქალაქეების წინაშე, მმოსახლეობამ უნდა იცოდეს, თუ რა პროცესები მიმდინარეობს ქვეყანაში. დემოკრატიის ამ პრინციპს ხელისუფლების გამჭირვალობა ეწოდება.

ხელისუფლების გადაწყვეტილებებს მოსახლეობა მედიის საშუალებით იგებს.

გამჭირვალე და ღია ხელისუფლება აწყობს საჯარო შეხვედრებს, რომელთაც რიგითი მოქალაქეები ესწრებიან.

13. არჩევნების შედეგების აღიარება

დემოკრატიულ არჩევნებში არიან როგორც გამარჯვებულები, ასევე დამარცხებულებიც. დემოკრატიული პრინციპები მოითხოვენ, რომ დამარცხებულებმა აღიარონ არჩევნების წაგება. დამაცხებულებს ხშირად მიაჩნიათ, რომ მათი კანდიდატი საუკეთესოა და უჭირთ არჩევნების შედეგების აღიარება. არჩევნების არაღიარებას შესაძლებელია ძალადობაც მოჰყვეს, რაც დემოკრატიულ პრინციპებს ეწინააღმდეგება.

3.6 დებატები და დიალოგი

მოკლე ისტორიული მიმოხილვა

თითქმის 2000 წლის წინათ ძველმა ბერძენმა ფილოსოფოსებმა შექმნეს ადამიანის ურთიერთობის მნიშვნელოვანი ფორმა _ დიალოგი, იმ მიზნით, რომ ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრებების არსებობის შემთხვევაში, იოლად მოეძებნათ სიმართლის მიღწევის საუკეთესო გზები. დიალოგი ათენის საზოგადოებისათვის ურთიერთობის საუკეთესო ფორმა გახდა. ურთიერთობის ამ ფორმამ ხელი შეუწყო პირველი დემოკრატიის განვითარებას. კერძოდ, მთავრობა, პოლიტიკური და საზოგადოებრივი საკითხების გადაჭრისას, ხელმძღვანელობდა დიალოგის გზით მიღწეული შედეგებით.

დიალოგის საშუალებით გადაწყვეტილების მიღება ბევრი კულტურისათვისაა დამახასიათებელი. მაგალითად, საქართველოში ამის მაგალითს ე.წ. „ხევისბერის ინსტიტუტი" წარმოადგენდა. ხევისბერი საზოგადოებისათვის მნიშვნელოვან საკითხებს თემის წინაშე წარადგენდა, იმართებოდა დიალოგი და ამის შემდეგ იღებდნენ გადაწყვეტილებას. ამერიკის რევოლუციის წინა პერიოდში არსებობდა „ქალაქის შეკრებების" ტრადიცია, სადაც იხილავდნენ პრობლემებს, მართავდნენ დიალოგს ალტერნატიულ საკითხებზე და იღებდნენ გადაწყვეტილებას.

დიდი ფილოსოფოსის, სოკრატეს, მიმდევრებმა შექმნეს აკადემია, რომელმაც 500 წელი იარსება. სწორედ ამ სასწავლო დაწესებულებამ ჩაუყარა საფუძველი შემდგომში უმაღლესი განათლების მოდელს. რენესანსის პერიოდში სწავლება-სწავლის პროცესში განახლდა დიალოგური ურთიერთობის ფორმა. მას შემდეგ უმაღლეს სასწავლებელთა უმეტეს ნაწილში დიდი ყურადღება ექცეოდა დიალოგის წარმართვის უნარ-ჩვევების განვითარებას.

დღესაც დიალოგი სკოლებსა და უნივერსიტეტებში სემინარული მუშაობის საუკეთესო მეთოდია. სწავლება _ სწავლის პროცესი მიზნად ისახავს არა მარტო მშრალი ფაქტების შესწავლას, არამედ მოსწავლეებში კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების განვითარებას. მოსწავლეს უნდა გამოუმუშავდეს თანამშრომლობითი, სწორი გადაწყვეტილების მიღების, პრობლემების გადაჭრის უნარ-ჩვევები. დიალოგი კი ხელს უწყობს ამ უნარ-ჩვევების განვითარებას. მწვრთნელმა უნდა ახსნას დებატების და დიალოგის წარმართვის პრინციპები და გააკეთოს დებატებისა და დიალოგის შედარებითი დახასიათება.

ქრისტეფორე კოლუმბი

პოზიცია „ა"

ქრისტეფორე კოლუმბს შეიძლება ეწოდოს ეროვნული გმირი. მაშნ, როდესაც ყველა ფიქრობდა, რომ დედამიწა ბრტყელია, მან სიცოცხლე საფრთხეში ჩაიგდო და დაამტკიცა, რომ ის მრგვალია. მისმა წარმატებულმა მოგზაურობამ მრავალ სხვა მოგზაურს გაუხსნა გზა ემრიკისკენ. მაგალითად, კოლონისტებს, რომლებმაც დააარსეს აშშ. ამერიკის აღმოჩენამ დასაბამი დაუდო ურთიერთობის დამყარებას ადგილობრივ ამერიკელებსა და ევროპელებს შორის. ამ ურთიერთობას ბევრი დადებითი მხარე ჰქონდა: ადგილობრივი ამერიკელი ტომები კარგი ფერმერები იყვნენ და მათ მიერ მოყვანილი მარცვლეული და ბოსტნეული კულტურები (კარტოფილი, პომიდორი, სიმინდი) მთელ მსოფლიოში გავრცელდა. ევროპელებმა ამერიკაში შემიტანეს ცოდნა, მეცნიერება და ტექნოლოგიები. კოლუმბი იყო პიველი ადამიანი, რომელმაც ქრისტიანული სარწმუნოება გააცნო მილიონობით ადგილობრივ ამერიკელს. კოლუმბმა დიდი გამბედაობა გამოიჩინა 1492 წლის მოგზაურობისას, რამაც პროგრესისაკენ გზა გაუკვალა ევროპასა და ამერიკას. ის იმსახურებს ეროვნული გმირის წოდებას.

პოზიცია „ბ"

ქრისტეფორე კოლუმბი არ იმსახურებს გმირის წოდებას, რადგან ის სასტიკად ექცეოდა ადგილობრივ მოსახლეობას. როდესაც აზიისკენ სავაჭრო გზის აღმოსაჩენად გაემგზავრა, კოლუმბმა თავისი ეკიპაჟის წევრები კარიბის კუნძულზე გადმოსხა. იქ მცხოვრებ მოსახლეობას შეცდომით ინდიელები უწოდეს. მათ გულთბილად მიიღეს სტუმრები და თანაბრად გაუნაწილეს, რაც გააჩნდათ. როდესაც კოლუმბმა მათი ოქროს სამკაულები ნახა, ოქროს მოტანა უბრძანა. დაუმორჩილებლობის შემთხვევაში კი ხელის მოკვეთით დაემუქრა. მართლაც, ამგვარად ბევრს გაუსწორდნენ, ხოლო ორასი კაცი შეიპყრეს და მონებად წაიყვანეს ესპანეთში. კოლუმბი და მისი მეგობრები ისევ დაბრუნდნენ, რათა შეექმნათ კოლონია, ოქრო გაეტანათ და მონები წაეყვანათ. ესპანელების სისასტიკისა და მათ მიერ შემოტანილი ავადმყოფობების გავრცელების გამო, 40 წლის განმავლობაში არავოკების მთელი ტომი განადგურდა. საბოლოო ჯამში ევროპელმა ერებმა, რომლებმაც ამერიკა დაიპყრეს, გაანადგურეს 50 მილიონზე მეტი ადგილობრივი მოსახლე და დაიტაცეს მათი მიწები.

მიუხედავას იმისა, რომ ევროპული კულტურისა და ცივილიზაციის შესვლას და დამკვიდრებას ამერიკის კონტინენტზე ჰქონდა გარკვეული პროგრესული მნიშვნელობა, ინდუსტრიის განვითარებამ აქ მაინც გამოიწვია ჰაერის დაბინძურება და ტყეების გაჩანაგება... ადგილობრივი ამერიკელები საუკუნეების მანძილზე ცხოვრობდნენ ბუნებასთან ჰარმონიაში. ამერიკელებისა და ევროპელების ურთიერთობა ბევრად უკეთესად აეწყობოდა, რომ არ ყოფილიყო კოლუმბის მიმდევრების მიერ ორგანიზებული მკვლელობები და დატაცებები. კოლუმბი არ იმსახურებს, რომ იგი ეროვნულ გმირად აღიარონ.

დებატები:

- დებატები ორატორული შეჯიბრია, რომლის მიზანია რომელიმე მონაწილე მხარის გამარჯვება;
- დებატებისას ერთ მხარე ყურადღებით ისმენს მეორე მხარის არგუმენტებს, რათა იპოვოს ხარვეზები და გააბათილოს;
- დებატების მონაწილენი მცდარ პოზიციასაც ისე იცავენ, როგორც სწორს;
- დებატების მონაწილენი იცავენ საკუთარ პოზიციას, როგორც საუკეთესო გადაწყვეტილებას;
- დებატებისას პოზიციის შეცვლა სისუსტედ მიიჩნევა;
- დებატები ავითარებს მოვლენისადმი სუბიექტურ მიდგომას;
- დებატები მოითხოვს გარკვეული შეხედულებების კრიტიკას.

დიალოგი:

- დიალოგი არის თანამშრომლობა, მისი მიზანია შეთანხმება;
- დიალოგის დროს ერთი მხარე უსმენს მეორეს, რათა გაიგოს და აღმოაჩინოს განსხვავებები პოზიციებს შორის;
- დიალოგი გამოავლენს მცდარ შეხედულებას;
- დიალოგისას მისაღებია პოზიციის შეცვლა;
- დიალოგი იძლევა უფრო მეტ შესაძლებლობას, იპოვო საუკეთესო გადაწყვეტილება, ვიდრე დაეთანხმო რომელიმე მხარის ორიგინალურ პოზიციას;
- დიალოგი ავითარებს მოვლენებისადმი შემოქმედებით, ობიექტურ მრავალმხრივ დამოკიდებულებას;
- დიალოგი მოითხოვს ადამიანების და მათი იდეების პატივისცემას.

3.7 გენდერული სტერეოტიპები

წარმოდგენები, შეხედულებები, ცრურწმენები ქალისა და მამაკაცის სოციალური როლის, ფუნქციის, დანიშნულების, შესაძლებლობების, სტატუსის შესახებ, რომელიც თაობიდან თაობას გადაეცემა. „არსებობს კეთილი საწყისი, რომელმაც შექმნა წესრიგი, სინათლე და მამაკაცი და ბოროტი საწყისი, რომელმაც შვა ქაოსი, სიბნელე და ქალი“ - ამბობდა პითაგორა. \ გენდერული სტერეოტიპების შექმნაში, ბუნებრივია, უდიდესი როლი ენიჭება ოჯახსა და საზოგადოებაში არსებულ ტრაიდიციებს, ასევე კულტურულ, რელიგიურ, სამართლებრივ, ეკონომიკურ, პოლიტიკურ წარმოდგენებსა და ტექსტებს. გაბატონებულია აზრი, რომ ქალი უნდა იყოს ლამაზი, ჩუმი, ნაზი, დამთმობი, პასიური, არაავტორიტარული, არარაციონალური, ემოციურ-სპონტანური, ინტუიციური, კონსრევატიულად მოაზროვნე არსება, ხოლო მამაკაცი - ძლიერი, აქტიური, „მაიმუნზე ოდნავ ლამაზი“, პრინციპული, რაციონალური, ლოგიკური, ბრძენი, წარმატებაზე ორიენტირებული, განზოგადების კარგი უნარის მქონე. ბიოლოგიური დანიშნულებიდან გამომდინარე, ქალს ევალება ოჯახის, ბავშვების მოვლა, ხოლო მამაკაცი კონცენტრირებულია „ფულის შოვნაზე“, არასაოჯახო ეკონომიკაზე და პოლიტიკურ საქმიანობაზე. როლების ამგვარი სტერეოტიპიზაცია მამაკაცს საშუალებას აძლევს მიაღწიოს დომინირებულ მდგომარეობას საზოგადოებაში, სამაგიეროდ, იგი ნაკლებად მონაწილეობს საკუთარი შვილის აღზრდაში. გენდერული უთანასწორობა და გენდერული სტერეოტიპები უშუალოდაა ერთმანეთთან დაკავშირებული. იქმნება მოჯადოებული წრე, არსებული შაბლონი ერთგვარად სოციალურ შეკვეთას წარმოადგენს და დეკლარიებული ეგალიტარული კანონების სიმრავლის მიუხედავად, საკმაოდ რთულია მისი დაძლევა. გენდერული სტერეოტიპები სექსიზმის ერთგვარი მეთოდოლოგიაა და საფუძვლად უდევს შრომის არათანაბარ დაყოფას. არსებობს წარმოდგენა, რომ პოლიტიკა, ეკონომიკა, ბიზნესი, ტექნიკა, მაღალი ტექნოლოგიები ხელეწიფება მამაკაცურ გონებას, ხოლო სამზარეულო, სახლი, ოჯახი, საექიმო საქმე, პედაგოგიკა - ქალური პროფესიებია. თუმცა თანამედროვე რეალობა გვიჩვენებს, რომ ამგვარ სტერეოტიპებს არაფერი აქვს ცხოვრებისეულ სინამდვილესთან. განსაკუთრებით ეს მკაფიოდ გამოიხატა გარდამავალ პერიოდში, როცა ეკონომიკური კრიზისი ქალის მხრებს დააწვა და სწორედ მან იტვირთა ოჯახის ფიზიკური გადარჩენა. მიუხედავად ამისა, გენდერული სტერეოტიპები კვლავ სიცოცხლისუნარიანია. ქალი - ცოლი, დედა, ბებია, საყვარელი, სექსუალური ობიექტი, „მეორე სქესი“, მამაკაცის სატელიტი, დამოკიდებული არსება; მამაკაცი - ოჯახის უფროსი, მარჩენალი, მთავარი გადაწყვეტილების მიმღები.

გენდერულ ტერმინთა მოკლე ლექსიკონი - მერკვილაძე ია; [რედ.: ნაირა პოპიაშვილი ; თარგმანი ჰამლეტ ზუკაკიშვილისა] - თბ. : კავკას. სახლი, 2003 - 112გვ. ; 20სმ. - ISBN 99928-71-46-6 : [ფ.ა.]

3.8 გენდერული სტერეოტიპები არ შეცვლილა

24 დეკემბერი, 2013

რატომ არის კაცების ინტერესში გენდერული თანასწორობა

24 საათს გაერო-ს განვითარების პროგრამის დემოკრატიული მმართველობის მიმართულების ხელმძღვანელს ნათია ნაცვლიშვილს ესაუბრა.

- რატომ არის მნიშვნელოვანი გენდერული თანასწორობა და ბალანსი?

თანასწორობა ადამიანის ფუნდამენტური უფლებაა, თუმცა ამასთანავე გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა განვითარებული საზოგადოების ფორმირების საშუალებაა. გენდერულ საკითხებს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში ვაწყდებით და ვხედავთ, რომ არსებული უთანასწორობა ხელს უშლის შემდგომ განვითარებას. მაგალითისთვის განვიხილოთ ეკონომიკა. ქალები საქართველოს მოსახლეობის ნახევარზე მეტს წარმოადგენენ, ეს მნიშვნელოვანი სამუშაო ძალაა, თუმცა ეკონომიკურად აქტიური ქალების რაოდენობა 12 პროცენტით ჩამორჩება კაცების რაოდენობას. საგულისხმოა ისიც, რომ საქართველოში უმაღლეს განათლებას უფრო მეტი ქალი იღებს, ვიდრე კაცი, მაგრამ ეს ქალები შრომის ბაზარზე ნაკლებად ჩანან. ანუ ქალების განათლებაში ჩადებული ინვესტიცია ნაკლებად ხმარდება ქვეყნის განვითარებას. დადასტურებულია, რომ ქალების ეკონომიკური გაძლიერება პირდაპირ აისახება ოჯახის კეთილდღეობაზე, ბავშვების ჯანმრთელობასა და განათლებაზე. თუ ამ საკითხს ბიზნესის ჭრილში განვიხილავთ, მრავალი კვლევა ადასტურებს, რომ ის კომპანიები, რომელთა მმართველ რგოლში ქალების რაოდენობა 30 პროცენტს მაინც აღწევს, უფრო მომგებიანი და წარმატებულია. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია, დავასკვნათ, რომ გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა პირდაპირ კავშირშია თითოეული ოჯახისა და ზოგადად საზოგადოების კეთილდღეობასთან. - პრობლემურია თუ არა გენდერული თანასწორობა ქართული საზოგადოებისთვის? - რამდენიმე კვირის წინ საზოგადოებას წარვუდგინეთ ჩვენი კვლევის შედეგები, რომელშიც შესწავლილია „საზოგადოებრივი დამოკიდებულებები გენდერულ თანასწორობაზე პოლიტიკასა და ბიზნესში“. აღნიშნული კვლევის შედეგების წინა წლებში ჩატარებულ ანალოგიურ კვლევებთან შედარება ცხადყოფს, რომ გენდერული თანასწორობის მიმართ საზოგადოების დამოკიდებულება თითქმის არ შეცვლილა. საქართველო კვლავაც პატრიარქალურ ქვეყნად რჩება, სადაც კაცი გადაწყვეტილების მთავარ მიმღებად, ოჯახის მარჩენლად და უფროსად მოიაზრება. მოსახლეობის მხოლოდ 11 პროცენტი მიიჩნევს, რომ ოჯახის რჩენაში ქალმა და კაცმა თანაბარი წვლილი უნდა შეიტანონ. 88 პროცენტი ამ ფუნქციას მხოლოდ კაცს აკისრებს. გამოკითხული კაცების მხოლოდ 37 პროცენტი ემხრობა მოსაზრებას, რომ ოჯახში გადაწყვეტილებას ქალი და კაცი თანაბრად უნდა იღებდნენ. თუ ოჯახში ერთი შვილია, საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობას ურჩევნია, რომ ეს იყოს ბიჭი. ვაჟს ასევე ენიჭება უპირატესობა განათლებისა და საკუთრების უფლების საკითხებშიც. იგივე მდგომარეობაა პოლიტიკასა და ბიზნესში. გამოკითხულთა 54 პროცენტი მიიჩნევს, რომ პოლიტიკა „ბინძური საქმეა“ და ამიტომ ქალს არ შეეფერება. შესაბამისად, ქალ კანდიდატებს ამომრჩევლის მხარდაჭერის ნაკლები შანსი აქვთ. მოსახლეობის 68 პროცენტს საპრეზიდენტო კანდიდატად კაცი უფრო წარმოუდგენია, ვიდრე ქალი. კაცს ენიჭება უპირატესობა ბიზნესშიც, განსაკუთრებით მაღალ თანამდებობებზე. ამ მოსაზრებას გამოკითხულთა 57 პროცენტი ადასტურებს. კვლევამ ასევე გამოავლინა ის ბარიერები, რომლებიც ხელს უშლის გენდერულ თანასწორობას საქართვე-

ლოში. ოჯახებში არსებული სტერეოტიპული გენდერული როლები ამ მხრივ ყველაზე მნიშვნელოვანია. გენდერული როლები მკვეთრად განსაზღვრავს ქალისა და კაცის თვითრეალიზაციის სფეროებსა და მოვალეობებს. ქალის როლი დაქვემდებარებულია და შემოიფარგლება საოჯახო საქმით, ხოლო კაცი მარჩენალია და ოჯახის უფროსი. ეს სტერეოტიპები იმდენად ძლიერი და ფესვგამდგარია, რომ თითქმის უცვლელად გადაეცემა თაობიდან თაობას.

კვლევამ გვაჩვენა, რომ სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფების დამოკიდებულებებში განსხვავება საკმაოდ უმნიშვნელოა. ყოველივე ზემოთ თქმული ცხადყოფს, რომ საქართველოში გენდერული თანასწორობა კვლავაც პრობლემაა და ამ მხრივ აქტიური მუშაობაა საჭირო. უფრო მეტიც, გენდერული უთანასწორობა მძიმე ტვირთად აწევს როგორც ქალებს, ასევე კაცებს. გენდერული სტერეოტიპების ანალიზი გვიჩვენებს, რომ საზოგადოებრივი ცხოვრების გარკვეულ ეტაპებზე ქალს დაქვემდებარებული პოზიცია უკავია, ხოლო კაცების მიმართ ზომაზე მეტი მოლოდინია. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ გასულ წლებში საქართველომ გენდერული თანასწორობის ხელშესაწყობად კანონმდებლობისა და პოლიტიკის დონეზე წარმატებული ნაბიჯები გადადგა. თუმცა საზოგადოებრივი დამოკიდებულებების ფუნდამენტურ ცვლილებებს მეტი დრო და ძალისხმევა სჭირდება. - თქვენი აზრით, გენდერული უთანასწორობა აზარალებს როგორც ქალებს, ასევე კაცებსაც? - რა თქმა უნდა, გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა თანაბრად მნიშვნელოვანია როგორც ქალებისთვის, ასევე კაცებისთვის. როგორც წესი, კაცები ამ თემას ირონიით უყურებენ, თუმცა გენდერული სტერეოტიპები მათთვისაც წამგებიანია. მაგალითად, ის უზომო პასუხისმგებლობა, თუნდაც ოჯახის ერთპიროვნულად რჩენის მოლოდინი, რომელსაც საზოგადოება კაცს აკისრებს, ხშირად სტრესის საფუძველი ხდება. სტერეოტიპი არჩევანის თავისუფლებას ართმევს არა მარტო ქალს, არამედ კაცსაც. მაგალითად, წინასწარ განსაზღვრული გენდერული როლი მამაკაცს არ აძლევს შესაძლებლობას, უფრო მეტი ყურადღება მიაქციოს შვილების აღზრდას ან აქტიურად ჩაებას ოჯახის საქმეებში სურვილის შემთხვევაშიც კი. პასუხისმგებლობისა და მოვალეობის გადანაწილებას გაცილებით კარგი შედეგი მოაქვს ყველასთვის. ამიტომ გენდერული თანასწორობა კაცების ინტერესის საგანიც უნდა იყოს. - რა პროექტებს ახორციელებს გაერო-ს განვითარების პროგრამა გენდერული თანასწორობის ხელშესაწყობად? - გენდერული თანასწორობის ხელშესაწყობად გაერო, შვედეთის მთავრობის მხარდაჭერით, ერთობლივ პროგრამას ახორციელებს, სადაც სხვადასხვა კუთხით ჩართულია გაეროს სამი სააგენტო, მათ შორის, გაეროს განვითარების პროგრამა, რომელიც ქალთა პოლიტიკური და ეკონომიკური ჩართულობის გაძლიერებაზე მუშაობს. ჩვენ აქტიურად ვთანამშრომლობთ პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოსთან და საკრებულოს წევრ ქალებთან ყველა მუნიციპალიტეტში. ასევე ვმუშაობთ მეწარმე ქალბატონებთან საქართველოს ბევრ ქალაქსა და სოფელში. ვცდილობთ, მათთვის ბიზნესგანათლება უფრო ხელმისაწვდომი გავხადოთ და საკუთარი საქმის დაწყებაში ხელი შევუწყოთ. - გაეროს განვითარების პროგრამის ინიციატივით მიმდინარეობს საკომუნიკაციო კამპანია „შეიცვალე აზრი“. თბილისის ქუჩებში უკვე ვიხილეთ ყველაზე გავრცელებული გენდერული კლიშეების ამსახველი ნახატები, ე.წ. სტენსილები, რომლებმაც დიდი სჯა-ბაასი გამოიწვია. რა არის ამ კამპანიის მიზანი და რა შედეგებს ელოდებით? - საზოგადოებრივი დამოკიდებულებების ცვლილებას დიდი დრო სჭირდება, თუმცა ამ ცვლილების დასაწყებად საჭიროა, საზოგადოებამ პრობლემა აღიაროს და ამ თემაზე ღიად იმსჯელოს. სწორედ ამიტომ გადავწყვიტეთ, რომ არსებული გენდერული სტერეოტიპები პირდაპირ მიგვეწოდებინა საზოგადოებისთვის და ამით დისკუსია გამოგვეწვია. მარტივი და ყველასთვის გასაგები ტრაფარეტული ნახატები ანუ სტენსილები სწორედ ის მეთოდია, რომელიც პირდაპირ მიგვიყვანდა საზოგადოების ყველა ჯგუფთან.

ეს ინტერაქტიული კამპანიაა, მასში მონაწილეობის მიღება და საკუთარი აზრის ღიად გამოხატვა ყველას შეუძლია. ჩვენს „ფეისბუქის“ გვერდს უკვე 19 000-ზე მეტი მოწონება აქვს და 10 000-მდე ადამიანი აქტიურად არის ჩართული დისკუსიაში. ეს მხოლოდ დასაწყისია. კამპანია გაგრძელ-დება და საქართველოს მოსახლეობას კიდევ ბევრ საინტერესო თემას, ინფორმაციას და ღონისძი-ებას შესთავაზებს. მოხარულები ვართ, რომ კამპანია ასეთი რეზონანსულია და გვჯერა, რომ დისკუსიის დაწყება სტერეოტიპების ნგრევის დასაწყისიც იქნება. - See more at: http://www.24saati.ge/news/story/42073-genderuli-stereotipebi-ar-shetsvlila#sthash.R75AvchH.dpuf

3.9 როგორ შევადგინოთ გაკვეთილის გეგმა

სანამ დავიწყებთ გაკვეთილის გეგმაზე მუშაობას, სამი კითხვა დავუსვათ საკუთარ თავს:
1. რას უნდა მიაღწიონ ჩვენმა მოსწავლეებმა? (შედეგი)
2. როგორ უნდა მივაღწიოთ სასურველ შედეგს?
3. როგორ გავიგოთ მიღწეულია თუ არა სასურველი შედეგი?
ამის შემდეგ დავიწყოთ გეგმის შედგენა. დაგეგმვის პროცესში, ყოველ ეტაპზე, უნდა გამოვიყენოთ შემოთავაზებული შეკითხვები, რაც დაგვეხმარება თვალნათლივ წარმოვიდგინოთ მთელი გაკვეთილის მსვლელობა.

მიზანი

გაკვეთილის მიზანი განსაზღვრავს შედეგს - რას უნდა მიაღწიონ თქვენმა მოსწავლეებმა გაკვეთილის განმავლობაში.

- რა არის გაკვეთილის პერსპექტიული მიზნები?
- რა მიზნები გვაქვს კონკრეტულ გაკვეთილზე?
- რას ველით მოსწავლეებისაგან? რა ცოდნასა და უნარ-ჩვევებს შეიძენენ გაკვეთილის ბოლოს?

ამოცანები:

ამ ეტაპზე მასწავლებელმა უნდა ჩამოაყალიბოს, რას გააკეთებენ მისი მოსწავლეები გაკვეთილის მსვლელობისას.

- რა უნდა გააკეთონ მოსწავლეებმა გაკვეთილის განმავლობაში?
- რომელ ეტაპზე უნდა დამთავრდეს გარკვეული სამუშაო?
- რა კრიტერიუმები გამოიყენება მოსწავლეთა მიღწევების შესაფასებლად?
- როგორ მოხდება მიღებული ცოდნისა და შეძენილი უნარ-ჩვევების დემონსტრირება?

აუცილებელი პირობები:

ამ ეტაპზე უნდა განისაზღვროს, მზად არიან თუ არა მოსწავლეები მომავალი აქტივობების ჩასატარებლად.

- რა ცოდნა უნდა ჰქონდეთ მოსწავლეებს ამ გაკვეთილამდე.
- რომელი საკითხები უნდა დაამუშაონ წინასწარ, რომ დასახულ მიზნებს მიაღწიონ?

მასალა:

ამ ეტაპს ორი ფუნქცია აკისრია: მასწავლებლის მიერ უნდა განისაზღვროს მოსამზადებელი დრო და ის რესურსები, რაც მას სჭირდება გეგმის წარმატებით განსახორციელებლად - (წიგნები, ციტატები, სამუშაო სქემები და სხვა თვალსაჩინოება).

- რა მასალაა საჭირო?
- რა ლიტერატურაა საჭირო? (სრული ბიბლიოგრაფია)
- როგორ უნდა მომზადდეს და დაიგეგმოს სამეცნიერო და პრაქტიკული სამუშაოები?

გაკვეთილის აღწერა:

სასურველია, მასწავლებელმა იმგვარად აღწეროს გაკვეთილის მსვლელობა, რომ იგი, სურვილის შემთხვევაში, მისმა კოლეგებმაც გამოიყენონ.

- რა არის მნიშვნელოვანი ამ გაკვეთილებში?
- რით შევძლებთ მოსწავლეთა დაინტერესებას?
- სწავლების რომელი დონეა გათვალისწინებული გაკვეთილზე ბლუმის ტაქსონომიის მიხედვით: ცოდნა, გაგება, გამოყენება, ანალიზი, სინთეზი, თუ შეფასება?

გაკვეთილის პროცედურა (მსვლელობა):

გეგმის ეს ნაწილი წარმოადგენს გაკვეთილის დეტალურ აღწერას. როგორ უნდა განვახორციელოთ გაკვეთილის მიზნები. როგორ უნდა იმუშაონ მოსწავლეებმა გაკვეთილზე. ეს პროცესი სამი ნაწილისაგან შედგება: შესავალი, მთავარი აქტივობა, (ძირითადი ნაწილი) და დასკვნითი ნაწილი.

შესავალი:

- როგორ გავაცნობთ მოსწავლეებს გაკვეთილის იდეებსა და მიზნებს?
- როგორ მოვახერხოთ მოსწავლეთა პროვოცირება?
- როგორ შევძლოთ მოსწავლეთა ყურადღების მობილიზება და მოტივაცია?
- როგორ დავუკავსიროთ გაკვეთილის მიზნები მოსწავლეთა ინტერესებს?
- რას ელიან მოსწავლეები?

ძირითადი ნაწილი:

- რა არის გაკვეთილის მთავარი თემა?
- რას აკეთებს მასწავლებელი იმისათვის, რომ უფრო მარტივი და საინტერესო გახადოს გაკვეთილი? რა ხერხებს იყენებს?
- საილუსტრაციო მაგალითების ჩამოთვლა.
- როგორ უნდა წარმიართოს პრეზენტაცია, რათა მოსწავლეებმა თვალნათლივ დაინახონ მიღებული ცოდნის საჭიროება?

ბლუმის ტაქსონომია

ბლუმის ტაქსონომია არის პედაგოგიური მიზნებისათვის შექმნილი კოგნიტური (შემეცნებითი) იერარქიული სისტემა. მისი ავტორია ამერიკელი პედაგოგი და ფსიქოლოგი ბენჟამენ ბლუმი. ტაქსონომია ხელს უწყობს აზროვნების განვითარებას. იგი ბერძნული სიტყვაა (**Taxis** და **nomos**), რას ნიშნავს დიფერენცირებას რიგისა და კანონის მიხედვით. ტაქსონომია ბიოლოგიურ ტერმინთა ნუსხიდანაა ნასესხები და აღნიშნავს იმგვარ კლასიფიკაციას, რომელიც ობიექტს ახასიათებს მარტივი კატეგორიიდან რთულისაკენ. ამრიგად, ბლუმის ტაქსონომია აზროვნების განმავითარებელი ექვსსაფეხურიანი მოდელია:

1. **ინფორმაციის ცოდნა, ფაქტების გახსენება -** ამ ეტაპზე (საწყისი საფეხური) მოსწავლემ გონებაში უნდა აღიდგინოს ინფორმაცია, რომელიც რაიმე ნიშნით უკავშირდება საგაკვეთილო თემას... (შესწავლილი მასალის გახსენება).
2. **გაგება -** მოსწავლე კომუნიკაციის გზით შეიმეცნებს ახალ მასალას და იძენს ცოდნას (მასალის არსში წვდომის უნარი).
3. **გამოყენება** - მოსწავლე იყენებს მიღებულ ცოდნას. (ნასწავლი მასალის ახალ და კონკრეტულ სიტუაციებში გამოყენების უნარი).
4. **ანალიზი -** მოსწავლე ნაწილებად შლის მიღებულ ცოდნას (მთლიანი მასალის დანაწილება კონსტიტუენტებად ისე, რომ მთლიანი ორგანიზებული სტრუქტურა იყოს გასაგები).
5. **სინთეზი** - მოსწავლე ამთლიანებს ელემენტებსა და ნაწილებს. (ნაწილების დაკავშირების და ერთ მთლიანობად ჩამოყალიბების უნარი).
6. **შეფასება -** მოსწავლე აფასებს მასალას, მეთოდებს, რომლებიც გამოყენებულ იქნა დასახული მიზნის მისაღწევად (იმსჯელეთ, რამდენად ღირებულია მასალა დასახული მიზნის მისაღწევად).

სასურველია, მასწავლებელმა სამუშაო პრინციპად აქციოს აზროვნების სხვადასხვა დონის განმავითარებელი შეკითხვების თანმიმდევრული გამოყენება.

წესი №1

გაითვალისწინე, რას სწავლობს და ამუშავებს მოსწავლე (წესს, ფორმულას, კონცეფციას/ფაქტს/იდეას, ახალ უნარჩვევებს, დამოკიდებულას საკითხისადმი, თუ ღირებულებას).

გაკვეთილისათვის ამოვირჩიოთ ჩამონათვალიდან რომელიმე ტექნიკა:

- ***დემონსტრირება -*** *დაწვრილებით და თანმიმდევრულად აღწერა მოქმედების ყველა დეტალის;*
- ***ახსნა -*** *ასახსნელი ინფორმაციის განსაზღვრა;*
- ***დისკუსია -*** *დისკუსიის წასამართი ძირითადი კითხვების ჩამოწერა;*

შემოგთავაზებთ ზმნებს, რომლებიც გაგიადვილებთ კითხვის დასმას აზროვნების სხვადასხვა საფეხურზე: ინფორმაციული ცოდნის აღსადგენად საჭირო კითხვებიდან (უიოლესი) - შეფასების ჩასატარებლად საჭირო კითხვებამდე (ურთულესი).

შეფასება: *იმსჯელე, განსაჯე, დაასკვენი, გააკრიტიკე, აწონ -დაწონე, შეაჯამე, გაითვალისწინე, გაამართლე/გაამტყუნე*

სინთეზი: *შექმენი, ააწყე, მიუსადაგე, შეათავზე, დაგეგმე, განაზოგადე, თეორიულად ჩამოაყალიბე, ფორმულირება მიეცი, წარმოიდგინე*

ანალიზი: *შეადარე, განასხვავე, გამოარჩიე შემადგენელი ნაწილები, გამოიკვლიე, დაანაწევრე, დაყავი კატეგორიებად, გააანალიზე*

გამოყენება: *მოამზადე, დააკავშირე, შექმენი რუკა, სქემა, მოახდინე კლასიფიცირება*

გაგება: *ამოარჩიე, აღწერე, შეაჯამე, ახსენი, დაახასიათე, ივარაუდე, გააკეთე*

ცოდნა: *გაიმეორე, ჩამოთვალე, დაასახელე, გაიხსენე, მიუსადაგე, მოიტანე ციტატა*

დასკვნითი ნაწილი:

- რას გამოიყენებთ აზრების შეჯამებისათვის გაკვეთილის ბოლოს?
- როგორ განვახორციელებთ უკუკავსირს მოსწავლეებთან (ხარვეზების შესავსებად და ცოდნის განსამტკიცებლად)?

შემდგომი გაკვეთილები / აქტივობები:

- რა აქტივობები გამოიყენება ახსნილი მასალის ასათვისებლად?
- რომელი გაკვეთილები მოყვება ამ გაკვეთილს?

შეფასება:

ამ ნაწილში აისახება მიღწეული შედეგები. სასურველია, თავი მოვუყაროთ მოსწავლის მიერ ამ თემაზე შესრულებულ ნამუშევრებს (საშინაო დავალებებს, თხზულებებს, პლაკატებს, ნახატებს და სხვა). ყოველთვის შესაძლებელია მოსწავლეთა ცოდნის შეფასება სხვადასხვა გზით: (რუბრიკები, ტესტი, საქაღალდე, ზეპირი გამოკითხვა და სხვა).

- როგორ შეაფასებთ დასახულ მიზნებს?
- იციან თუ არა მოსწავლეებმა, როგორ, რა კრიტერიუმებით შეაფასებთ მათ მასწავლებელი?

წესი №2

მოსწავლეებს გააცანით, რას შეაფასებთ და როგორ. შეფასების დროს მიზანშეწონილი არ არის მიაწოდოთ ახალი მასალა, თეორიული ცოდნა პრაქტიკულად განამტკიცეთ.

სრულყოფილი შეფასებისათვის მასწავლებელს მრავალი ხერხი უნდა ჰქონდეს თავის არსენალში. მაგ., გაზეთის შექმნა, ესეის დაწერა, გამოფენის მომზადება, საქაღალდის შექმნა განსაზღვრულ თემასთან დაკავშირებით. შეფასებას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სამკუთხედში.



შეფასება პედაგოგს ეხმარება, დაადგინოს მიღწევათა დონეები და შეიმუშაოს სწავლების გზები, ასევე ეხმარება მასწავლებელსა და მოსწავლეს, უკეთ გაუგონ ერთმანეთს.

ლიტერატურული ნაწარმოების ანალიზი და შეფასება

გთავაზობთ ლიტერატურული ნაწარმოების ანალიზისა და შეფასებისათვის საჭირო შეკითხვების სისტემის ერთ-ერთ ვარიანტს.

სიუჟეტი:

1. ვინ არის ნაწარმოების გმირი (გმირები)? როგორ არის ნაწარმოებში მოცემული კონფლიქტების არსი? როგორია ეს კონფლიქტები - მატერიალური, ინტელექტუალური, მორალური, თუ ემოციური? ადვილად იმიჯჯნება თუ არა თხზულებაში ერთმანეთისაგან სიკეთე თუ ბოროტება?

2. აქვს თუ არა ნაწარმოებს მთლიანი სიუჟეტი? სიუჟეტის განვითარებისათვის ყველა ეპიზოდი მნიშვნელოვანია თუ არა; იქნებ ზოგიერთი მათგანი არ უკავშირდება მთავარ ხაზს? როგორი დასასრული აქვს ნაწარმოებს - კეთილი, ცუდი თუ გაურკვეველი? როგორ დასრულდა აღწერილი მოვლენები?

3. რა მნიშვნელობა ენიჭება შემთხვევითობას სიუჟეტში? შემთხვევა ართულებს თუ ჭრის პრობლემას? რამდენად რეალურია აღწერილი მოვლენა?

4. როგორ ხერხდება სიუჟეტისადმი ინტერესის გაღვიძება? ინტრიგით (რა მოხდება შემდეგ?), თუ მწერალი სხვა რამით ახერხებს მკითხველის დაინტერესებას? არის თუ არა სიუჟეტში მოცემული დილემა? დაფარული აზრი?

5. გვაქვს თუ არა სიუჟეტში მოულოდნელი გადახვევები და რამდენად ბუნებრივადაა ისინი ჩართული სიუჟეტში?

მოქმედი პირები:

1. რა საშუალებებით გვიხსნის ავტორი გმირების ხასიათს? მკაფიოდ იხატება თუ არა თხზულებაში მოქმედ პირთა ხასიათი? როგორ იყენებს ავტორი დაპირისპირებას მოქმედი პირების დასახასიათებლად?

2. არიან თუ არა პერსონაჟები თანმიმდევრულნი თავიანთ ქმედებაში? შეესაბამება თუ არა მათი მოქმედება სინამდვილეს?

3. ვითარდება თუ არა მოქმედ პირთა ხასიათი თხრობის პროცესში? თუ ვითარდება, როგორ? შესამჩნევია თუ არა ცვლილებები? რამდენად შეესაბამება ეს ცვლილებები სინამდვილეს?

ნაწარმოების იდეა:

1. აქვს თუ არა ნაწარმოებს იდეა? პირდაპირ არის იგი მოცემული, თუ შეფარვით?

2. ემთხვევა თუ არა ნაწარმოებში გატარებული აზრი საზოგადოებაში მიღებულ შეხედულებებს? ნაწარმოების იდეა ნოვატორულია, თუ აღრმავებს ტრადიციულ შეხედულებებს ცხოვრებაზე?

ავტორის პოზიცია:

1. როგორია ავტორის პოზიცია ნაწარმოებში აღწერილი ამბის მიმართ? იცვლება თუ არა ავტორის პოზიცია თხრობის პროცესში და თუ იცვლება, რის საფუძველზე?

2. რა ხერხებით, რა მხატვრული საშუალებებითაა გადმოცემული ნაწარმოებში ავტორის პოზიცია?

3. ემთხვევა თუ არა ერთმანეთს ავტორისა და რომელიმე პერსონაჟის შეხედულება?

მხატვრული ხერხები - შედარება, მეტაფორა, სიმბოლოო, ირონია და ა.შ.

1. იყენებს თუ არა ავტორი მხატრულ ხერხებს, ტროპებს და თუ იყენებს, გვეხმარება თუ არა ეს თხზულების უკეთ გაგებაში, თუ ორაზროვნებას სძენს ნაწარმოებს?

2. აღწერილია თუ არა ნაწარმოებში იუმორისტული, ტრაგი-კომიკური სიტუაციები? იყენებს თუ არა ავტორი სიტყვათა თამაშს? რა ფუნქცია აკისრია იუმორს?

თხრობის ემოციური მხარე

1. ავტორი უშუალოდ ზემოქმედებს მკითხველის ემოციებზე, თუ ნაწარმოებსი მოთხრობილი ამბავი იწვევს მკითხველში ემოციურ განწყობას?

2. არის თუ არა ნაწარმოებში მოცემული თვით ავტორის განცდები, ემოციები და თუ არის, რა საშუალებებით გადმოიცემა ეს? როგორია ავტორის დამოკიდებულება თხზულებაში აღწერილი ამბების მიმართ, რამდენად არგუმენტირებულია მისი ემოციები მოცემულ სიუჟეტში? ზედმეტად სენტიმენტალურად ხომ არ აღწერს იგი მოვლენებს?

ფანტასტიკური ელემენტები ნაწარმოებში:

1. იყენებს თუ არა ავტორი ფანტასტიკურ ელემენტებს? თუ იყენებს, როგორ?

2. რა აზრობრივი დატვირთვა აქვს ნაწარმოებში ჩართულ ფანტასტიკურ დეტალებს?

ზოგადი შეკითხვები:

1. რა არის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწარმოებში: სიუჟეტი, მოქმედ პირთა ხასიათი, იდეური შინაარსი, თუ სხვა რამ?

2. რა როლს თამაშობს გარემო, რომელშიც ნაწარმოებში აღწერილი მოვლენები ვითარდება?

3. როგორ სეიძლება დავახასიათოთ ავტორის სტილი? შეესაბამება თუ არა სტილი ნაწარმოებში აღწერილ მოვლენებს?

4. როგორ იხსნება ნაწარმოებში სათაურის აზრი?

5. შეიძლება თუ არა ითქვას, რომ ნაწარმოებში ყველა და ყველაფერი ხელს უწყობს მთავარი აზრის გადმოცემას? არის თუ არა ისეთი დეტალები და ეპიზოდები, რომლებიც შეიძლება ზედმეტად მოგვეჩვენოს და ნაწარმოების აღქმაში შეგვიშალოს ხელი?

6. როგორ გგონიათ, რა მიზანს ისახავდა ავტორი? მიაღწია თუ არა მან მიზანს?

7. გვთავაზობს თუ არა ავტორი თხზულებაში მოცემული კონფლიქტის გამოსავალს, თუ მხოლოდ მოვლენებს აღწერს?

8. როგორ გგონიათ, შეგეცვლებათ თუ არა შეხედულება ნაწარმოებზე მისი ხელმეორედ წაკითხვისას? (უფრო მეტად მოგეწონებათ, თუ ნაკლებად).

3.10 საგანმანათლებლო მიზნების მნიშვნელობა

ჩვენ განვიხილეთ სწავლების მეთოდების სახეები, ანუ როგორ ჩავაბათ სწავლების პროცესში და ვასწავლოთ მოსწავლეებსა და მოზრდილებს; თუმცა ამ პროცესის წარმატებით წარმართვისათვის, ეს არ არის საკმარისი. პედაგოგს უნდა ესმოდეს, რომ სასწავლო პროცესის საფუძველს წარმოადგენს კონკრეტულად დასახული საგანმანათლებლო მიზნები.

მართლაც, რა შედეგის მიღწევა სურს მასწავლებელს (სკოლას)? თითქოს პასუხი მარტივია. გარკვეული თემის სწავლებისას, მასწავლებელი მიზნად ისახავს, მოსწავლეებმა გაიგონ და შეისწავლონ საგნის არსი, მიიღონ საჭირო ცოდნა და ისწავლონ მისი გამოყენება. მაგრამ რას ნიშნავს გაგება, ათვისება, გამოყენება?

როგორ განსაზღვროს მასწავლებელმა მიღწეულია თუ არა დასახული მიზანი?

მხოლოდ იმ შემთხვევაშია მასწავლებელი დარწმუნებული საკუთარი მუშაობის ეფექტურობაში, თუ მას გააჩნია საიმედო საშუალება, რომლის მეშვეობითაც იგი განსაზღვრავს, მიღწეულია თუ არა დასახული მიზანი.

სქემა 3.1 მიზნების იერარქიული განლაგება



დღევანდელი საგანმანათლებლო სისტემის დეცენტრალიზაციის პროცესში, მასწავლებელს უნდა შეეძლოს საკუთარი სასწავლო პროგრამის დამოუკიდებლად შედგენა, სახელმწიფო მიზნებისა და სტრატეგიების გათვალისწინებით.

განვიხილოთ შედეგზე ორიენტირებული მიზნების დასახვის საშუალებები.

სასწავლო მიზნების დასახვის საშუალებები

ზოგადი საგანმანათლებლო მიზნები ხელს უწყობს მასწავლებელს, მოსწავლეს შეუქმნას განვითარების ისეთი პირობები, რომ მან, როგორც საზოგადოების წევრმა, შეძლოს მთლიანად წარმოაჩინოს თავისი პოტენციური ფიზიკური, სულიერი, ინტელექტუალური, უნარები; ანუ მოსწავლეს უნდა გამოუმუშავდეს გარკვეული კომუნიკაციური უნარ-ჩვევები. კერძოდ, ზეპირი და წერითი მეტყველება, კითხვისა და წაკითხულის აღქმის უნარ-ჩვევები.

მას უნდა შეეძლოს თანატოლებთან იქონიოს სწორი ურთიერთობა _ პატივი სცეს მათ ინდივიდუალობას, გაიზიაროს მათი გრძნობები. მოსწავლეებს უნდა შეეძლოთ არჩევანის გაკეთება და სხვა.

ამ ზოგადი მიზნების (ფიზიკური, ინტელექტუალური პოტენციალის, კომუნიკაციის, სოციალური და პიროვნული განვითარების) გათვალისწინებით, პედაგოგმა უნდა შეძლოს კონკრეტული სასწავლო საგნის (კურსის) მიზნების დასახვა. სწორედ ამ ეტაპზე მუშაობს პედაგოგი საგნის შინაარსზე, აზუსტებს სწავლება-სწავლის მიზნებს, გეგმავს სასწავლო პროცესს.

როგორ უნდა დასახოს მასწავლებელმა ამა თუ იმ საგნის სასწავლო მიზნები? გთავაზობთ მიზნების დასახვის სხვადასხვა საშუალებებს:

- შესასწავლი საკითხის არსზე ორიენტირებული სასწავლო მიზნების დასახვა; მაგალითად, რომელიმე პარაგრაფის შინაარსის შესწავლა. რა შედეგს მივიღებთ ასეთი მიზნის დასახვით? მხოლოდ ერთს _ ორიენტაციას შესასწავლი საკითხის შინაარსზე. შესაძლებელია, ამ შემთხვევაში, ვიმსჯელოთ მიღწეულია თუ არა დასახული მიზანი? სხვაგვარად რომ ვთქვათ, ამგვარად დასახული მიზნით მივაღწევთ სასურველ შედეგს? სავარაუდოა, რომ ნაკლებად. ამდენად, დასახული მიზანი სრუყოფილი არ არის.
- მიზნის დასახვა მასწავლებლის საქმიანობაზე დაყრდნობით; მაგალითად, „ვაჩვენოთ მოსწავლეებს გეოგრაფიულ რუკაზე პირობითი აღნიშვნები". მიზნის ამგვარად დასავა მიმართულია მასწავლებლის ქმედებაზე. მასწავლებელი გეგმავს თავის საქმიანობას და არის ორიენტირებული სწავლების შედეგზე.
- მიზნის დასახვა მოსწავლის ინტელექტუალური, ემოციური, პიროვნული და სხვა მახასიათებლების გათვალისწინებით; მაგალითად, „განვუვითაროთ მოსწავლეებს მხატვრული კითხვის უნარ-ჩვევა", „გამოვუმუშაოთ მოსწავლეებს მათემატიკური

ამოცანის პირობის დამოუკიდებლად გაანალიზებისა და ამოხსნის უნარ-ჩვევა". მიზნის ამგვარი ფორმულირების დროს, მასწავლებელი სახავს ზოგად საგანმანათლებლო მიზნებს _ სკოლის, საგნის და არა გაკვეთილის დონეზე. აქტიური და ინტერაქტიური სწავლება-სწავლის მხარდამჭერები მიზნის ამ საშუალებას უარყოფენ. თუმცა აღსანიშნავია, რომ მიზნის დაკონკრეტების შემთხვევაში შედეგს ვაღწევთ.

- მიზნის დასახვა მოსწავლეების საქმიანობაზე დაყრდნობით; მაგალითად, „გაკვეთლის მიზანია გამრავლების ტაბულის დასწავლა", „არსებითი სახელის ბრუნება", „მცენარის აგებულების შესწავლა" და სხვა.

ერთი შეხედვით, სასწავლო მიზნების ამგვარი ფორმულირება ნათელს ხდის გაკვეთილის მსვლელობას, თუმცა ამ შემთხვევაშიც არ არის გათვალისწინებული მთავარი _ სწავლების მოსალოდნელი შედეგი, რის საზომსაც წარმოადგენს მოსწავლის განვითარების დონე, რომელიც მის ამა თუ იმ საქმიანობაში ვლინდება.

ძნელია არ დავეთანხმოთ სწავლება-სწავლის ინოვაციური მეთოდის მომხრეებს იმაში, რომ სწავლების მიზნების დასახვა საგნის შინაარსზე, მასწავლებლის თუ მოსწავლის საქმიანობაზე დაყრდნობით, არ გვაძლევს სწავლების შედეგის სრულ სურათს. მათ მიერ შემოთავაზებული სწავლების მიზნების დასახვის საშუალებები გამოირჩევა იმით, რომ მიმართულია სწავლების შედეგებზე, რომლებიც მოსწავლეთა ქმედებებში აისახება. ამასთან, სწავლების პროცესის წარმმართველებმა ადვილად უნდა შეძლონ მათი ამოცნობა. ეს საკმაოდ რთული პროცესია, და მაინც, როგორ უნდა მოვახერხოთ სწავლების შედეგებზე ორიენტირება? დასახული ამოცანის გადაჭრა ორი ძირითადი ხერხითაა შესაძლებელი:

- მიზნების დასახვისას იერარქიული პედაგოგიური ტაქსონომიების სისტემის შექმნა;
- სწავლების მიზნების ნათლად, კონკრეტულად აღწერა.

პედაგოგიური მიზნების ტაქსონომიები

„ტაქსონომია" აღნიშნავს იმგვარ კლასიფიკაციას, რომელიც ობიექტს ახასიათებს მარტივი კატეგორიიდან რთულისაკენ. პედაგოგიური მიზნების ამგვარი სქემის შექმნა პირველად ამერიკის შეერთებულ შტატებში დაისახეს. მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ, პედაგოგთა ჯგუფმა, ცნობილი მეცნიერის ბენჟამენ ბლუმის ხელმძღვანელობით, ჩაატარა მრავალწლიანი კვლევა იმისათვის, რომ შეემუშავებინა პედაგოგიური მიზნების დასახვის საერთო საშუალებები და წესები. 1956 წელს გამოქვეყნდა „ტაქსონომიის" პირველი ნაწილი. იგი აღწერდა მიზნებს შემეცნებით (კოგნიტურ) სფეროში. ამ სისტემას იყენებენ სწავლების დაგეგმვის დროს და შედეგების შეფასებისას .შემდგომ, სხვა მეცნიერების მიერ, შეიქმნა „ტაქსონომიის" მეორე ნაწილი, რომელიც აფექტურ სფეროს მოიცავდა.

მიგვაჩნია, რომ პედაგოგთათვის საინტერესო იქნება აღვწეროთ, თუ როგორ უნდა გამოიყენონ აღნიშნული სისტემა. ამიტომ, პირველყოვლისა, დავახასიათებთ სამოქმედო სფეროებს, რომლებსაც „ტაქსონომია" მოიცავს:

კოგნიტური (შემეცნებითი სფერო;

ეს სფერო მოიცავს სწავლების მიზნებს შესასწავლი მასალის დამახსოვრებიდან მის გააზრებამდე და პრობლემის გადაწყვეტამდე. ამ პროცესში აუცილებელია, არსებული ცოდნა გარკვეული მეთოდებით გადამუშავდეს, ახლად მიღებულ ცოდნასთან მიმართებაში.

აფექტური (ემოციურ-ღირებულებითი) სფერო;

ეს სფერო მიზნად ისახავს გარემოსთან ემოციური, პიროვნული დამოკიდებულების ფორმირებას. იგი იწყება შესასწავლი საკითხისადმი ინტერესის აღძვრით და მათდამი დამოკიდებულებას, ურთიერთობების ჩამოყალიბებას, ყოველივე ამის გაცნობიერებასა და ყოველდღიურ ცხოვრებაში გამოყენებას.

ფსიქომოტორული სფერო მიზნად ისახავს სხვადასხვა მოძრაობითი (მოტორული), ნერვულკუნთოვანი კოორდინაციის ფორმირებას (მაგალითად, წერას, მეტყველების უნარ-ჩვევებს, ფიზიკურ აღზრდას, შრომით სწავლებას).

საიმედო სასწავლო მიზნების სისტემის შექმნა მხოლოდ თეორეტიკოსთა ინტერესების სფეროს არ წარმოადგენს. სასწავლო მიზნების ნათელი, თანმიმდევრული, იერარქიული კლასიფიკაციის გამოყენება პრაქტიკოს პედაგოგთათვისაც მნიშვნელოვანია, პირველ ყოვლისა, შემდეგი გარემოების გამო:

მიიღწევა მთავარზე კონცენტრაცია.

ტაქსონომიის გამოყენებით, მასწავლებელი არა მარტო გამოყოფს და აკონკრეტებს მიზნებს, არამედ აწესრიგებს მათ და გამოკვეთს მთავარ ამოცანას. სახავს მომავალი მუშაობის გეგმას.

მასწავლებლისა და მოსწავლის თანამშრომლობა ნათელი და ღიაა.

კონკრეტული სასწავლო მიზნები მასწავლებელს საშუალებას აძლევს, მოსწავლეებს დაუსახოს სწავლება-სწავლის ორიენტირები, იმჯელოს მათზე. ასევე, სასწავლო პროცესი ნათელი და გამჭვირვალეა ყველა დაინტერესებული პირისათვის (მაგალითად, მშობლები).

განისაზღვრება სწავლების შედეგის კრიტერიუმები.

შედეგზე ორიენტირებული, ნათლად დასახული მიზნები ხელს უწყობს საიმედო, ობიექტურ შეფასებას. აღსანიშნავია, რომ სავალდებულო არ არის, მარტო მასწავლებელმა შეიმუშაოს შეფასების კრიტერიუმი. შესაძლებელია მისი მოსწავლეებთან ერთად შემუშავება.

„ტაქსონომია", როგორც ყველა მეცნიერულად დამუშავებული სისტემა, მოქნილია; იგი არ გულისხმობს მის სწორხაზოვნად მიდევნებას.

გთავაზობთ „ტაქსონომიის" ძირითად სახეებს, რომლებიც ხელს უწყობს კოგნიტურ და აფექტურ სფეროში მიზნების დასახვასა და განხორციელებას (სქემა 1 და 2).

შევადაროთ ამ ორ სფეროში დასახული მიზნების მიღწევის საშუალებები. კონკრეტული მიზნები შეიძლება მიღწეულ იქნეს გაკვეთილზე (ან გაკვეთილებზე). აფექტური მიზნები უფრო ღრმა, პიროვნული ხასიათისაა. მათი განხორციელება, ანუ შედეგის მიღწევა ხანგრძლივი პროცესია. ეს ორი სფერო განსაზღვრავს სასწავლო პროცესის ორ ძირითად მიმართულებას: კოგნიტურს _ სწავლება-სწავლას და აფექტურს _ აღზრდას. XX საუკუნის ბოლოს გადამუშავდა და შეიქმნა პედაგოგიური მიზნების ტაქსონომიების რამდენიმე ვარიანტი: კოგნიტური, აფექტური, ფსიქომოტორული. აღსანიშნავია, რომ ყველაზე გავრცელებულია ბ. ბლუმის მიერ შექმნილი სისტემა კოგნიტურ სფეროში.

სქემა 3.2 სასწავლო მიზნების კატეგორიები კოგნიტურ სფეროში

სასწავლო მიზნების ძირითადი კატეგორიები	სასწავლო მიზნების სახეების განზოგადებული მაგალითები
1. ცოდნა	მოსწავლე
ეს კატეგორია განსაზღვრავს დამახსოვრებასა და შესწავლილი მასალის გადმოცემას. საუბარია სხვადასხვა შინაარსზე _ კონკრეტული ფაქტებიდან, მთლიანი თეორიის ჩათვლით. ამ კატეგორიის ზოგადი მახასიათებელია შესასწავლ საკითხებზე შესაბამისი ინფორმაციის გახსენება	• იცის ტერმინების მნიშვნელობა; • იცის კონკრეტული ფაქტები; • იცის მეთოდები და ხერხები; • იცის ძირითადი ცნებები; • იცის წესები და პრინციპები
2. გაგება	მოსწავლე
შესწავლილი საკითხის მნიშვნელობის გაგების მაჩვენებლად შესაძლებელია იქცეს მასალის ერთი ფორმის მეორეთი შეცვლა, ერთი 'ენიდან" მეორეზე გადასვლა (მაგ., სიტყვიერი ფორმიდან _ მათემატიკურზე); მასალის ინტერპრეტაცია (ახსნა, შინაარსის გადმოცემა); ასევე, მოვლენების შემდგომი განვითარების ვარაუდი (შედეგის ვარაუდი). ამგვარი სწავლება-სწავლის შედეგი სცდება მასალის დამახსოვრებას	• ესმის ფაქტები, წესები და პრინციპები; • ხსნის ახალ ტერმინებს; • შეუძლია შესწავლილი მასალის სქემებით, დიაგრამებით წარმოდგენა; • არსებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, შეუძლია ივარაუდოს, აღწეროს მომავალი შედეგი
3. გამოყენება	მოსწავლე
ეს კატეგორია განსაზღვრავს შესასწავლი მასალის კონკრეტულ პირობებში და ახალ გარემოებებში გამოყენების უნარ-ჩვევას. იგი გულისხმობს წესების, მეთოდების, ცნებების, კანონების, პრინციპების, თეორიების გამოყენებას.	• იყენებს ცნებებსა და პრინციპებს ახალ სიტუაციებში; • პრაქტიკაში იყენებს შესწავლილ კანონებს, თეორიებს და ა.შ.
4. ანალიზი	მოსწავლე
ეს კატეგორია განსაზღვრავს მასალის დაყოფას შემადგენელ ნაწილებად ისე, რომ ნათლად ჩანდეს მისი სტრუქტურა. იგულისხმება მთელის ნაწილებად დაყოფა, მათ შორის კავშირების დამყარება, ნაწილებიდან მთელის ფორმირების პროცესის ორგანიზება. ანალიზთან დაკავშირებული სასწავლო მიზნები, გაგებასთან და გამოყენებასთან შედარებით, უფრო მაღალი ინტელექტუალური დონით ხასიათდება, რადგან ანალიზი სასწავლო მასალის შინაარსისა და მისი სტრუქტურის გააზრებასაც გულისხმობს	• აღიქვამს ქვეტექსტს; • აღმოაჩენს შეცდომებსა და უზუსტობებს ლოგიკური მსჯელობის მეშვეობით; • ხედავს განსხვავებას ფაქტებსა და მიმდინარე პროცესებს შორის.
5. სინთეზი	მოსწავლე
ეს კატეგორია გულისხმობს ელემენტების ურთიერთდაკავშირებას ერთი მთლიანის (ახლის) მისაღებად. ასეთ ახალი „პროდუქტი" შეიძლება იყოს:მოხსენება, საჯარო გამოსვლა, სამოქმედო გეგმა და სხვა. შესაბამისი სასწავლო შედეგები გულისხმობს საკითხისადმი შემოქმედებით მიდგომას. კერძოდ, ახალი სქემების, სტრუქტურების შექმნას.	• წერს შემოქმედებით თხზულებას; • ადგენს ექსპერიმენტის ჩატარების გეგმას; • იყენებს ცოდნას სხვადასხვა სფეროდან, რათა შეადგინოს ამა თუ იმ პრობლემის გადაჭრის გეგმა.
6. შეფასება	მოსწავლე

ეს კატეგორია გულისხმობს ამა თუ იმ მასალის კონკრეტული მიზნით შეფასების უნარს. მოსწავლის მსჯელობა უნდა ეყრდნობოდეს კონკრეტულ კრიტერიუმებს; ეს კრიტერიუმები შესაძლებელია იყოს როგორც შინაგანი (სტრუქტურული, ლოგიკური), ისე გარეგანი, დასახული მიზნის შესაბამისად. მასწავლებლის დახმარებით, მოსწავლეებმა უნდა შეიმუშაონ შეფასების ინდიკატორები. შეფასება არის დასახული შედეგის მიღწევა ყველა ჩამოთვლილი კატეგორიების გამოყენებით, რასაც ემატება კონკრეტული კრიტერიუმებით განსაზღვრული შეფასებითი, შემაჯამებელი მსჯელობა.	• აფასებს მასალის ლოგიკურ აგებულებას; • აფასებს გამოტანილი დასკვნებისა და შინაარსის შესაბამისობას; • აფასებს ამა თუ იმ საკითხის მნიშვნელობას, შინაგანი კრიტერიუმებიდან გამომდინარე; • აფასებს ამა თუ იმ საკითხის მნიშვნელობას, გარეგანი კრიტერიუმებიდან გამომდინარე.

სქემა 3.3 სასწავლო მიზნების კატეგორიები აფექტურ სფეროში

სასწავლო მიზნების ძირითადი კატეგორიები	სასწავლო მიზნების სახეების განზოგადებული მაგალითები
1. აღქმა	მოსწავლე
ეს კატეგორია განსაზღვრავს მოსწავლის მზადყოფნასა და უნარს, აღიქვას სხვადასხვ ამოვლენა. ამგვარი მიზნის მისაღწევად, მასწავლებელმა უნდა მოახდინოს მოსწავლეთა ყურადღების კონცენტრაცია და გახადოს მოსწავლე უფრო აქტიური	• აღიქვამს სწავლის მნიშვნელობას; • ყურადღებით უსმენს საუბარს კლასში; • შეგნებული აქვს ესთეტიკური ფაქტორების მნიშვნელობა; • გამოხატავს თანაგრძნობას სხვა ადამიანებისა და საზოგადოებრივი პრობლემებისადმი.
2. რეაგირება (გამოხმაურება	მოსწავლე
ეს კატეგორია განსაზღვრავს თავად მოსწავლის აქტიურ მოქმედებას. აღნიშნულ დონეზე ის არა მარტო აღიქვამს, არამედ რეაგირებს გარეშე სოციალურ სტიმულზე, მოვლენაზე. აღნიშნული მიმართულების ქვეკატეგორიებია: დაქვემდებარებული გამოხმაურება; ნებაოფლობითი გამოხმაურება; რეაგირებით მიღებული კმაყოფილება.	• ასრულებს მასწავლებლის მიერ მიცემულ დავალებას; • ემორჩილება შიდა სასკოლო განაწესსა და ქცევის წესებს; • მონაწილეობას იღებს სასკოლო და საკლასო დისკუსიებში; • ავლენს ინტერესს სასწავლო საგნისადმი.

3.11 თანამშრომლობითი სწავლების მეთოდები

მასწავლებლებს, მოცემული პროგრამის განხორციელებისას, ხშირად მოუწევთ ისეთი თანამშრომლობითი სწავლების ფორმების გამოყენება, როგორიცაა დისკუსია, პროექტი, როლური თამაში.

დისკუსია

დისკუსია ინტერაქტიული სწავლების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მეთოდია, რომლის გამოყენებაც ზრდის მოსწავლეთა ჩართულობას სასწავლო პროცესში და ხელს უწყობს მათში თანამშრომლობითი უნარების განვითარებას. დისკუსიის მეშვეობით, შესაძლებელია იდეების, შეხედულებების, მტკიცებულებების ურთიერთგაცვლა ჭეშმარიტების დასადგენად.

გაკვეთილზე დისკუსია შეიძლება წარიმართოს:

- ✓ თანამშრომლობითი ჯგუფური მუშაობის დროს მოსწავლეებს შორის;
- ✓ მასწავლებელსა და მოსწავლეებს შორის, მთელი კლასის მონაწილეობით.

დისკუსიის მიზანია:

- ✓ დაეხმაროს მოსწავლეებს
- ✓ საკუთარი აზრის აქტიურად გამოხატვაში;
- ✓ კრიტიკული აზროვნების ჩამოყალიბებაში;
- ✓ სხვათა აზრის გათვალისწინებასა და კონსენსუსის უნარის გამომუშავებაში;
- ✓ სხვათა მოსაზრებების და შეხედულებების საფუძველზე ცოდნის გაღრმავებაში;
- ✓ კომუნიკაციის უნარის განვითარებაში.

<u>რა უნდა გაითვალისწინოს მასწავლებელმა დისკუსიის ეფექტურად მართვისთვის?</u>

- ✓ დისკუსია უნდა იყოს კარგად ორგანიზებული. დისკუსიისთვის მომზადებული უნდა იყოს როგორც მასწავლებელი, ასევე, კლასი. სასურველია, იგი ეფუძნებოდეს განვლილ მასალას, უნდა დავადგინოთ მოსწავლეთა ცოდნის დონე და საჭირო უნარ-ჩვევები, შემდეგ უნდა განვსაზღვროთ საჭირო ინფორმაცია და მივუთითოთ მოსწავლეებს ამ ინფორმაციის წყაროები, რათა ისინი მოემზადონ დისკუსიისთვის. ასევე, დისკუსია შესაძლებელია მოჰყვეს მოსწავლის ან მასწავლებლის მიერ შემოთავაზებულ პრეზენტაციას.
- ✓ წესებისა და პროცედურების დაცვა:
  - საკითხის განსაზღვრა;
  - დისკუსიის დროის განსაზღვრა;
  - სივრცის ორგანიზება ისე, რომ ყველა მოსწავლეს შეეძლოს ერთმანეთთან თვალით კონტაქტი. ასეთი განლაგება ამცირებს კომუნიკაციის ბარიერებს მოსწავლეებს შორის; ასევე, წრიულად ერთ სიბრტყეზე განლაგება მათ უქმნის თანაბარი მონაწილეობის განცდას და სურვილს.
  - დისკუსიის წესების განსაზღვრა.
- ✓ ფოკუსირება კონკრეტულ მიზანსა და სფეროზე. მასწავლებელმა ნათლად უნდა განმარტოს დისკუსიის მიზანი და დააფიქსიროს დაფაზე;
- ✓ მუდმივი კონტროლი, რათა მოსწავლეები არ გადაერთონ სხვა საგანზე ან თემაზე;
- ✓ ეფექტური კომუნიკაციის (როგორც ვერბალურის, ასევე, არავერბალურის) სტრატეგიების ფლობა და გამოყენება;
- ✓ დისკუსიის შეჯამება. მასწავლებელმა მოსწავლეებთან ერთად კიდევ ერთხელ უნდა ჩამოთვალოს ძირითადი საკითხები, შეაფასოს პროცესის წარმატებულობა, თუ რა გაკეთდა კარგად და რა საჭიროებს გამოსწორებას.

<u>რაში მდგომარეობს მასწავლებლის როლი დისკუსიის დროს?</u>

- ✓ ნათლად განსაზღვრავს გაკვეთილის მიზანს;
- ✓ არ ერევა დისკუსიის შინაარსობრივ მხარეში;
- ✓ ხელს უწყობს მოსწავლეების დისკუსიაში ჩართვას;

- ✓ აძლევს მოსწავლეებს საკუთარი აზრის გამოთქმის შესაძლებლობას;
- ✓ აკონტროლებს, რომ მოსწავლეებმა მოუსმინონ ერთმანეთს, არ გადაუხვიონ სადისკუსიო თემას და დაიცვან რეგლამენტი.

<u>დისკუსიის ძლიერ მხარედ შეიძლება დავასახელოთ:</u>

- დისკუსიის გზით განხილული საკითხები მეხსიერებაში უფრო ღრმად ჯდება;
- მაშინაც კი, თუ მოსწავლეებს ნაკლები ცოდნა აქვთ, დისკუსია საუკეთესო მეთოდია მათში კრიტიკული აზროვნების გამომუშავებისათვის;
- დისკუსია კარგი მოტივატორია მოსწავლეებისთვის, დამოუკიდებლად მოიძიონ ინფორმაცია სადისკუსიო თემაზე, რომ უშუალოდ დისკუსიის დროს სათანადო ინფორმაცია ჰქონდეთ;
- დისკუსია ზრდის მოსწავლეთა ჩართულობას;
- დისკუსია ავითარებს მოსწავლეებში ისეთ ზოგად უნარებს, როგორიცაა თანამშრომლობისა და კომუნიკაციური უნარები.

<u>დისკუსიის სუსტ მხარედ შეიძლება მივიჩნიოთ:</u>

- ცუდად დაგეგმილმა დისკუსიამ შეიძლება ბევრი დრო მოითხოვოს და არასასურველ შედეგზე გაგვიყვანოს;
- შეზღუდულ დროში ნაკლებსავარაუდოა სადისკუსიო თემის ყველა სადავო ასპექტის სრული განხილვა.

<u>დისკუსიას შეიძლება ჰქონდეს სხვადასხვა ფორმა და ჩატარდეს სხვადასხვა ხერხით. გავრცელებულია დისკუსიის შემდეგი ძირითადი ფორმები:</u>

1. მრგვალი მაგიდა - საუბარი, რომელშიც თანაბარ საწყისებზე მონაწილეობენ მოსწავლეები.
2. ფორუმი - ჯგუფს ჰყავს ლიდერი, ჯგუფი საკითხს განიხილავს დამოუკიდებლად და წარუდგენს კლასს. ჯგუფის თითოეულ წევრს აქვს აზრის გამოთქმის უფლება.
3. სიმპოზიუმი - მონაწილეები გამოთქვამენ საკუთარ თვალსაზრისს, ასევე, უპასუხებენ კლასის შეკითხვებს.
4. დებატები - განსხვავებული პოზიციის მქონე ორ მხარეს შორის საუბარი. დებატების მონაწილეებს არგუმენტები მოჰყავთ განსახილველი საკითხის ან მხარდასაჭერად, ან საწინააღმდეგოდ. დებატების მონაწილეების მიზანია, მსმენელი დაარწმუნოს საკუთარ არგუმენტებში. კარგი დებატი გამოირჩევა არა მარტო დამაჯერებელი არგუმენტებით, არამედ საუბრის სტილით, მოსაუბრის რიტორიკული უნარით. დისკუსიისაგან განსხვავებით, დებატებს მოსდევს აზრის გამოთქმა.
5. სასამართლო სხდომა - განსჯა, რომელიც სასამართლოში საქმის გარჩევის, განხილვის იმიტირებას წარმოადგენს.
6. სავარჯიშო „მიკროფონი“ მასწავლებელს ეხმარება დისკუსიის ორგანიზებულად მართვაში. მხოლოდ იმ მოსწავლეს შეუძლია საუბარი, რომელსაც მიკროფონს გადასცემენ. მიკროფონი შესაძლებელია იყოს კალამი, ფანქარი და ასე ა.შ.

7. სავარჯიშო „აკვარიუმის“ დროს, დისკუსიის მონაწილენი აზრს გამოთქვამენ თანმიმდევრულად ისე, როგორც სხედან, წრიულად ან მერხებთან. ყოველმა გამომსვლელმა უნდა დაიცვას 2-3 წუთიანი რეგლამენტი.

<u>განვიხილოთ დისკუსიის ჩატარების რამდენიმე ხერხი:</u>

- ✓ დისკუსიაში მონაწილეობს მთელი კლასი. დისკუსიის საკითხი მასწავლებელმა წინასწარ გააცნო მოსწავლეებს, მისცა დრო მოსამზადებლად, მოსწავლეებთან ერთად შეიმუშავა დისკუსიის წესები. დისკუსიის დროს არ ცდილობს მოსწავლეთა მანიპულირებას.
- ✓ მოსწავლეები წინასწარ ამზადებენ საშინაო დავალებას, წერენ მოკლე ანალიზს და დასკვნას მოცემულ საკითხთან დაკავშირებით. კლასში წყვილებში ან მცირე ჯგუფებში განიხილავენ თითოეულს და დისკუსიის საფუძველზე აფასებენ ნამუშევრებს. შეფასების კრიტერიუმები წინასწარ მზადდება მასწავლებლებისა და მოსწავლეების მიერ. თითოეულმა ჯგუფმა უნდა აირჩიოს ერთი დასკვნა, რომელიც დისკუსიის საგანი გახდება.
- ✓ პრობლემის ან შეკითხვის დასმის შემდეგ სთხოვეთ მოსწავლეებს ნახევარი წუთის განმავლობაში დამოუკიდებლად იფიქრონ, შემდეგ შებრუნდნენ გვერდზე მჯდომი მოსწავლისკენ, გამართონ დისკუსია პასუხის მოსაძებნად (ერთი წუთი); შემდეგ წყვილები გაერთიანდნენ ოთხკაციან ჯგუფებად, აჯერებენ წყვილებში მიღებულ გადაწყვეტილებებს (2 წუთი). ეს ხერხი მაშინ გამოიყენება, როცა მარტივი კითხვაა და მასწავლებელს უნდა სწრაფი პასუხის მიღება.

ამრიგად, თანამედროვე მეთოდებს შორის, სასწავლო დისკუსიას ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უჭირავს. იგი, თავისი არსით, დიალოგს წარმოადგენს. დისკუსიის მეთოდი მოსწავლეებს უვითარებს კომუნიკაციის უნარს, მსჯელობის კულტურას. დისკუსიის მეშვეობით შესაძლებელია ჭეშმარიტების დადგენა იდეების, შეხედულებებისა და მტკიცებულებების გაცვლის საფუძველზე. დისკუსიის სწორად წარმართვისათვის აუცილებელია მისი ორგანიზება და რეგულირება, დისკუსიის მონაწილენი უნდა იცავდნენ წესებს, რომლებსაც მასწავლებელთან ერთად თავად ჩამოაყალიბებენ. წესების ჩამონათვალი შეიძლება ამგვარი იყოს;

1. როცა ერთი ლაპარაკობს, სხვები უსმენენ;
2. აიწიეთ ხელი, როცა რაიმეს თქმა გსურთ;
3. არ გააწყვეტინოთ სხვას სიტყვა;
4. კამათში ყველა მონაწილეობს;
5. და სხვა წესები (რასაც მოსწავლეები შემოგვთავაზებენ).

<u> დისკუსიის მსვლელობა</u>

- დისკუსი იწყება განსახილველი საკითხის ან გადასაჭრელი პრობლემის დასმით;

- შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეებს უსვამს შეკითხვებს: რა? როგორ? რატომ? რა მოხდება, რომ...? რამ იქონია გავლენა?
- იმისათვის რომ თავიდან ავიცილოთ ხმაური და ქაოსი გაკვეთილზე, თითოეულ მონაწილეს შეუძლია გამოსვლა წამყვანის/ მასწავლებლის ან კლასის მიერ არჩეული ლიდერის ნებართვით;
- დაუშვებელია მონაწილეთა შორის დაპირისპირება;
- თითოეულ მონაწილეს უნდა მიეცეს აზრის გამოთქმის საშუალება;
- გამომსვლელმა უნდა დაიცვას რეგლამენტი;
- დისკუსიის მონაწილენი უნდა შეეცადონ, რომ გამოთქმული აზრი იყოს დასაბუთებული და ფაქტებით განმტკიცებული;
- განხილვისას უნდა დავიცვათ კორექტულობა, დაუშვებელია დაცინვა, აბუჩად აგდება.

მასწავლებლის მოვალეობაა არა რომელიმე კონკრეტული პოზიციის დაკავება, არამედ, დისკუსიის წარმართვა ისე, რომ დიალოგში განსახილველ საკითხთან დაკავშირებით, კონკრეტული აზრი გამოიკვეთოს.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ შეიძლება რამდენიმე საკლასო საათი დაგვჭირდეს, ვიდრე დისკუსიის მონაწილეთა უმრავლესობა თავს კომფორტულად იგრძნობს და შეძლებს აზრის თავისუფლად გადმოცემას.

პროექტი

სასწავლო პროექტი კონკრეტული პრობლემის გადაჭრის ან ინიციატივის განხორციელებისკენ მიმართული მრავალფეროვანი სამუშაოა, რომლის დროსაც ვითარდება კვლევითი, შემოქმედებითი, თანამშრომლობისა და საკომუნიკაციო უნარები. პროექტი აქტიური და მიზანმიმართული სწავლის საშუალებას იძლევა.

მოსწავლეები მუდმივად სვამენ შეკითხვებს: რატომ გვასწავლით ამა თუ იმ საკითხს? რაში გამომადგება ეს ცოდნა? ამ კითხვებზე დამაჯერებელი პასუხის გაცემაში მასწავლებელს დაეხმარება სასწავლო პროექტებში მოსწავლეების ჩართვა. პროექტზე მუშაობის დროს რეალური პრობლემის გადაჭრისას მოსწავლეები შეძენილ ცოდნასა და უნარ-ჩვევებს იყენებენ პრაქტიკაში. პროექტით სწავლების მეთოდი იწვევს მოსწავლეთა მოტივირებას და ზრდის მათ პასუხიმგებლობას. ისინი ხალისით ასრულებენ სამუშაოებს, მაშინაც კი, თუ მათი შესრულება ხანგრძლივ ძალისხმევას მოითხოვს.

პროექტზე მუშაობა ნათელყოფს, რომ როგორც მასწავლებლის, ასევე, მოსწავლეების წინაშე სრულიად ახალი ამოცანები დგება, რომელიც არსებითად განსხვავდება ტრადიციული გაკვეთილისგან. პროექტით სწავლება გულისხმობს სკოლისგარეშე დაწესებულების ჩართვას სასწავლო პროცესში, პროექტით სწავლებასთან ერთად, იზრდება ორივე მხარის *(როგორც მასწავლებლის, ასევე, მოსწავლის)* კომპეტენციის

მოპოვების პოტენციალი და შესაძლებლობები. პროექტგაკვეთილი მასწავლებელს მისცემს შესაძლებლობას, სრულად წარმოაჩინოს თავისი აღმზრდელობითი და პროფესიული კომპეტენცია როგორც სასწავლო პარტნიორმა. პროექტების მიმდინარეობისას, მასწავლებელი კონსულტანტის როლს ასრულებს, ხელმძღვანელობს სამუშაოებს, ძიებისა და კვლევის დროს მოსწავლეებს მიმართულებას აძლევს. ასევე, იგი უთითებს საინფორმაციო წყაროებს.

პროექტზე მუშაობის დროს, მოსწავლეებს უნდა ჰქონდეთ საინფორმაციო სივრცეში ორიენტაციისა და დამოუკიდებელი სწავლის უნარ-ჩვევები, ასევე, ანალიტიკური, შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნების უნარები. აუცილებელია, მასწავლებელმა, როგორც ექსპერტმა, იგრძნოს, თუ როდის არის ჩარევა საჭირო და როდის უნდა მისცეს მოსწავლეებს დამოუკიდებელი მუშაობის საშუალება. მასწავლებელი ახდენს მოსწავლის პროვოცირებას პასიური მდგომარეობიდან აქტიურ მდგომარეობაში გადასაყვანად, რათ მან შეიძინოს ის აუცილებელი კომპეტენციები, რომლებიც გაუადვილებს პროექტზე მუშაობას:

- თანამშრომლობის კომპეტენცია, რაც აუცილებელია ჯგუფური პროექტების განხორციელებისთვის;
- კომუნიკაციის კომპეტენცია - კონტაქტების დამყარებისთვის, პროექტში საერთო განსჯისა და მუშაობისთვის;
- ორგანიზაციის კომპეტენცია, რომელიც მოსწავლეს გამოადგება დაგეგმვის პროცესში;
- პროდუქციის შექმნის კომპეტენცია, რაც მოსწავლეს გამოადგება ტექსტების, ვიდეოების, ფოტოების, რეპორტაჟების, ვებგვერდების და სხვათა მოსამზადებლად;
- ცოდნის ტრანსფერი - ერთ სიტუაციაში ნასწავლის სხვა სიტუაციაში გამოყენების უნარი;
- პასუხისმგებლობის კომპეტენცია;
- თვითშეფასების კომპეტენცია, რაც ნიშნავს თვითდამკვიდრების, თვითრეფლექსიის უნარს და მოსწავლეთა დამოუკიდებლობას;
- პრეზენტაციის კომპეტენცია.

<u>პროექტის სტრუქტურა</u>

პროექტის დაგეგმვის დროს, გასათვალისწინებელია შემდეგი:

- რამდენად მნიშვნელოვანია/აქტუალურია პრობლემა, რომლის განხორციელებასაც ვაპირებ;
- საკმარისია თუ არა გუნდის წევრების კომპეტენცია პროექტით დასახული მიზნებისა და დაგეგმილი შედეგების მისაღწევად;
- პრობლემა ან მისი გადაჭრის გზები წარმოადგენს თუ არა სიახლეს და ითხოვს თუ არა შემოქმედებითობას;

- დაგეგმილი აქტივობები ემსახურება თუ არა თეორიული ცოდნის პრაქტიკულ გამოყენებას;
- არსებობს თუ არა საკმარისი მატერიალური და ადამიანური რესურსები პროექტის განსახორციელებლად;
- საკმარისია თუ არა ვადები პროექტის შედეგების მისაღწევად;
- არის თუ არა გუნდის წევრებს შორის ფუნქციები განაწილებული ისე, რომ წარმოჩინდეს ყოველი წევრის ძლიერი მხარე.

<u>პროექტის ფაზები</u>

პროექტებს გააჩნიათ განსაზღვრული სტადიები. ყველა სტადიაზე მთავარია მოსწავლეს შესაძლებლობა მიეცეს, თავად იყოს პასუხისმგებელი საკუთარ ნამუშევარზე.

> თემა და პრობლემა - შეიძლება შერჩეული იყოს მასწავლებლის მიერ და წარედგინოს კლასს ამოსარჩევად, ან უშუალოდ კლასის მიერ იყოს ამორჩეული, მაგალითად, „გონებრივი იერიშით“. ძალიან კარგია, როდესაც საკითხი ან პრობლემა მოსწავლეთა ინტერესის სფეროს წარმოადგენს. საკითხი უნდა იყოს კონკრეტული, რათა არ დავაბნიოთ მოსწავლეები.

მოსწავლეებს, პროექტზე მუშობისას, შეგიძლიათ შესთავაზოთ განსაკუთრებული მეთოდი ან ტექნიკური მოწყობილობა, რომელსაც გამოიყენებენ მუშაობის პროცესში.

> დაგეგმვა - მასწავლებელმა და მოსწავლეებმა ერთობლივად უნდა გადაწყვიტონ, როდის იწყებენ პროექტზე მუშაობას, რა დრო დასჭირდებათ, რა რესურსებს გამოიყენებენ და სად შეიძლება მათი მოძიება, მოსწავლეები სათითაოდ იმუშავებენ თუ ჯგუფებში, იმუშავებენ ერთი და იმავე, თუ სხვადასხვა თემაზე.

მასალის შეგროვება, ანალიზი და მეთოდები. პროექტზე მუშაობა ძალიან სწრაფად გამოუმუშავებს მოსწავლეებს სხვადასხვა უნარს. მაგ. კვლევითი პროექტისას - ინტერვიუს აღების, ლიტერატურაზე მუშაობის, სტატისტიკური ინფორმაციის დამუშავების, მასალის ანალიზის და სხვა უნარებს. შემოქმედებითი პროექტის შესრულებისას - შეიძლება საჭირო გახდეს ისეთი ტექნიკური ცოდნა და უნარები, როგორიცაა ვიდეოკამერასთან მუშაობა;

საუკეთესოა პროექტი, რომელიც მოსწავლეებისგან მოითხოვს მათი ყველა უნარის გამოყენებას: კვლევითის, შემოქმედებითის, სოციალურის. ამ საფეხურზე მასწავლებელს შეუძლია უპასუხოს მოსწავლეთა კითხვებს ან მისცეს მათ რჩევები, მაგრამ საკუთარ სამუშაოზე პასუხისმგებელნი თავად მოსწავლეები არიან.

კვლევის შედეგები შეიძლება იყოს ანგარიში, ფილმი, გამოფენა, აუდიოკასეტა, ლექცია, სურათი, კონფერენცია... უმჯობესია, თუ წარმოდგენილი იქნება არა მარტო

კვლევის შედეგები, არამედ პროექტზე მათი მუშაობის ყველა სტადია; ჩანდეს, რას გრძნობენ მოსწავლეები შესწავლილ პროექტთან დაკავშირებით. სამუშაო შეიძლება წარდგენილი იყოს კლასის, ან უფრო ფართე აუდიტორიის წინაშე.

შეფასება და თვითშეფასება. იმდენად, რამდენადაც ერთი და იგივე პროექტი ხშირად რამდენიმე სფეროს მოიცავს, სამუშაოს შეფასება შეიძლება რამდენიმე პედაგოგს მოუწიოს. შეფასებისას გათვალისწინებული უნდა იყოს არა მარტო აკადემიური კრიტერიუმი, არამედ პროექტში გამოყენებული ყველა ცოდნა და უნარი. პროექტის დაგეგმვის დროს აუცილებლად გასათვალისწინებელია მონიტორინგის მექანიზმი.

ემერ ლენცენის (2002) მიხედვით, სკოლის პროექტგაკვეთილის მიმდინარეობა იყოფა შემდეგ ფაზებად:

- ინიციატივა - ინიციატივა, იდეები პროექტგაკვეთილისათვის ნაპოვნია;
- დასაწყისი - პროექტი დაიწყო და დაიგეგმა;
- განხორციელება - პროექტი ხორციელდება;
- პრეზენტაცია - პროექტის შედეგების წარდგენა;
- შეფასება (რეფლექსია) - პროექტი ფასდება და გრძელდება.

უნარები, რომლებიც შეიძლება შეფასდეს პროექტის განხორციელების პროცესში:

- პრობლემის განსაზღვრა (იდენტიფიცირება);
- ინფორმაციის მოძიება;
- თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება;
- საქმიანობის ორგანიზება;
- შემოქმედებითობა;
- მოძიებული ინფორმაციის კლასიფიკაცია და კატეგორიზაცია;
- შედეგების ანალიზი;
- პრობლემის გადაჭრა;
- გადაწყვეტილებების მიღება.

როლური თამაში

თამაში რთული სოციალურ-კულტურული ფენომენია. მას მრავალი მეცნიერება შეისწავლის, მათ შორის, პედაგოგიკაც.

პედაგოგიური გამოკვლევათა დიდი ნაწილი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს თამაშის გამოყენებას სასწავლო მიზნებისათვის. გამოყოფენ სასწავლო პროცესში გამოყენებული თამაშის რამდენიმე სახეს: სიმულაციას, როლურ თამაშს, შეჯიბრს.

სიმულაცია არის თანამშრომლობითი სწავლების ერთ-ერთი მეთოდი, რომელიც მოსწავლეთათვის განსაკუთრებით სახალისოს ხდის სასწავლო პროცესს. სიმულაცია გულისხმობს ხელოვნური სიტუაციების შექმნას, რომელიც რეალობის მსგავსია. სხვაგვარად

რომ ვთქვათ, სიმულაცია არის რეალობის გათამაშება. სიმულაციას ადამიანების მონაწილეობით როლურ თამაშს უწოდებენ.

როლური თამაშები სწავლების აქტიური ფორმაა; ამ დროს მოსწავლეები არა მხოლოდ გონებრივად, არამედ ფიზიკურადაც აქტიურები არიან, მათ საშუალება აქვთ, გამოხატონ თავიანთი დამოკიდებულებები, ემოციები, რაც აადვილებს სწავლის პროცესს და მასალის ათვისებას.

<u>როლური თამაშის მიზანია:</u>

სხვა ადამიანის როლის თამაშით, მოსწავლეებმა ერთსა და იმავე პრობლემას რამდენიმე განსხვავებული კუთხით შეხედონ, რაც მათ თვალსაწიერს განუვითარებს;

შესაძლებელია, მიცემული როლები მეტად განსხვავებული იყოს პიროვნების ხასიათისაგან, ან ძალიან ჰგავდეს მას. როლების გაცვლით, შესაძლებელი ხდება მოსწავლეები ჯგუფის იმ წევრის გრძნობებსა და ფიქრებს ჩასწვდნენ, რომელთა ხასიათიც შეესაბამება გათამაშებულ როლს. ეს კი მათ უვითარებს ემაპათიის/თანაგანცდის უნარს.

სწავლების პროცესში როლური თამაშის გამოყენებას აქვს როგორც კოგნიტური, ასევე, აფექტური (ემოციური) და ფსიქომოტორული მიზანი. მისი გამოყენებით, მოსწავლეები შეძლებენ:

- თემატურად მსგავსი შინაარსების ურთიერთდაკავშირებას;
- ინფორმაციისა და გამოცდილებების როლური გათამაშებით გადმოცემას;
- შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნების განვითარებას;
- ტოლერანტობისა და ემპათიის გრძნობის გამომუშავებას;
- კომუნიკაციური უნარების განვითარებას;
- შესაძლო პერსპექტივების წარმოსახვას;
- თვითრეფლექსიას;
- თვითრეალიზებას;
- ქმედებაზე ორიენტირებული კომპეტენციისა და გადაწყვეტილების მიღების უნარის გამომუშავებას;
- სოციალური კომპეტენციების გამომუშავებას;
- განსაზღვრული/მოცემული ქმედებების იმიტაციას და დახვეწას.

<u>როლური თამაში სამი ფაზისაგან შედგება:</u>

- მომზადება;
- გათამაშება;
- განხილვა.

<u>სასწავლო პროცესში როლური თამაშების გამოყენების დადებითი ეფექტებია:</u>

- თამაშში მონაწილე ყოველთვის ხალისით ერთვება;
- თამაშში მონაწილეობა ინტერესსა და ენთუზიაზმს იწვევს მოსწავლეებში.

- მონაწილეები უკუკავშირს მაშინვე იღებენ.

<u>როლურ თამაშს ახლავს შემდეგი სირთულეები:</u>

- როლური თამაშები მოსწავლისა და მასწავლებლის მხრიდან მოითხოვს წარმოსახვის კარგად განვითარებულ უნარს;
- როლური თამაშის დროს მოსწავლესა და მასწავლებელს შორის განვითარებულმა ურთიერთობამ შეიძლება ზედმეტად არაფორმალური ხასიათი მიიღოს, რამაც შეიძლება კლასის მართვასთან დაკავშირებული პრობლემები წარმოშვას;
- ჯგუფის ყველა წევრი ჯგუფში შეიძლება ვერ გრძნობდეს თავს კომფორტულად, ადამიანებს ზოგჯერ უჭირთ დავალების სიმულაცია, ემოციებისა და დამოკიდებულებების სხვების თანდასწრებით თავისუფლად გამოხატვა;
- ვინაიდან როლური თამაშის დროს განსხვავებული აზრები წარმოიშობა, შეიძლება ჯგუფის წევრებმა ერთმანეთს ვერ გაუგონ და ჯგუფის წევრებს შორის ნეგატიური ურთიერთგანწყობა წარმოიშვას; შესაძლებელია ჯგუფის წევრებს გაუჭირდეთ როლიდან გამოსვლა;
- როლური თამაშების ჩატარება ძნელია დიდ ჯგუფებთან.

მოდული 4:

მონაწილეობა და პროექტული სწავლება

4.1 მონაწილეობის არსი, მონაწილეობის კიბე და მონაწილეობის ციკლი

ტერმინი **სამოქალაქო მონაწილეობა** გულისხმობს საზოგადოებრივ სარბიელს, სადაც ნებისმიერ ადამიანს შეუძლია ნებაყოფლობით და მიზანმიმართულად ჩაერთოს საზოგადოებრივ საქმიანობაში. ამ პროცესში ის აცნობიერებს როგორც საკუთარ, ისე საზოგადოებრივ საჭიროებებს, პრობლემებს, როლებს და პასუხისმგებლობებს. ნებაყოფლობითობა და საკუთარი როლის მნიშვნელობის გააზრება ადამიანებს თვითრწმენას უმაღლებს. ისინი საკუთარი ინიციატივით იწყებენ საკუთარი პრობლემების მოგვარებას.

ადამიანებს, ადამიანთა ჯგუფებს ან ორგანიზაციებს, რომლებზეც გავლენას ახდენს კონკრეტული პროცესი, ან პირიქით, რომლებიც გავლენას ახდენენ ამ პროცესზე, ამ პროცესით დაინტერესებულ მხარეებს უწოდებენ.

გამოცდილება გვიჩვენებს, რომ სამოქალაქო მონაწილეობის მასშტაბები და ხარისხი ყველგან ერთნაირი არ არის. ზოგიერთ შემთხვევაში სამოქალაქო მონაწილეობა მოდური სიტყვაა, ზოგჯერ კი მონაწილეობა იმდენად მასშტაბურია, რომ საზოგადოება აკონტროლებს პროექტის ყველა დონეს დაგეგმვიდან განხორციელებამდე. იმისათვის, რომ უზრუნველვყოთ ადამიანების მონაწილეობა პროცესებში, ჩვენ უნდა ვიცნობდეთ სამოქალაქო მონაწილეობის სხვადასხვა ფორმებს. ქვემოთ ჩამოთვლილია ხუთი ასეთი ფორმა, რომლებიც იერარქიულადაა დაწყობილი, ამ ფორმების ერთობლიობას ხშირად მონაწილეობის კიბესაც უწოდებენ.

მონაწილეობის კიბე

მონაწილეობის პროცესის სხვადასხვა დონეების აღსანიშნავად სიმბოლურ იერარქიას, ე.წ. მონაწილეობის კიბეს იყენებენ. მონაწილეობის კიბე ხუთი ძირითადი საფეხურისაგან შედგება:

1. <u>ინფორმაციის მიღება:</u> ამ საფეხურზე საზოგადოება, დაინტერესებული მხარეები მხოლოდ მცირე ინფორმაციას ფლობენ განვითარების პროექტის შესახებ. განმახორციელებელი ორგანიზაცია არ ცდილობს მათი აზრის გაგებას, იგი უბრალოდ ატყობინებს მათ საკუთარ გადაწყვეტილებებს. მაგალითად, სკოლამ გადაწყვიტა კონკრეტული კლუბის დაარსება, სკოლის თემი უბრალოდ იგებს ამ ინიციატივის შესახებ.

2. <u>აზრის გაზიარება და კონსულტირება:</u> ამ შემთხვევაში ადამიანები არ კმაყოფილდებიან ინფორმაციის მიღებით, ისინი საკუთარ მოსაზრებებსაც გამოთქვამენ. ჩვენს მაგალითში, განმახორციელებელი ორგანიზაცია შეეცდება, გაიგოს სკოლის თემის აზრი კლუბის დაარსების შესახებ. შედეგად ხდება აზრთა ურთიერთგაცვლა ორ მხარეს შორის. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ ადამიანებს

შეუძლიათ აზრის გამოთქმა, ისინი არ იღებენ მონაწილეობას გადაწყვეტილების მიღებაში. კონსულტაციის შემთხვევაში გადაწყვეტილების უბრალო კომენტირების ნაცვლად, განმახორციელებელი მხარე რჩევას თხოვს სხვა დაინტერესებულ მხარეებს გადაწყვეტილების მიღების პროცესში. მან შეიძლება შეცვალოს გადაწყვეტილება სხვათა აზრის გათვალისწინებით. მაგალითად, თუ კონკრეტული კლუბის შექმნის ნაცვლად მშობლებსა და მოსწავლეებს სხვა კლუბის დაარსება ურჩევნიათ, გადაწყვეტილება შეიძლება შეიცვლოს. ეს ნიშნავს, რომ განმახორციელებელი ორგანიზაცია რთავს საზოგადოებას გადაწყვეტილების მიღების პროცესში, თუმცა საბოლოო გადაწყვეტილების მიღებაზე მაინც თვითონაა პასუხისმგებელი.

3. <u>გარე ინიციატივა:</u> საზოგადოების მონაწილეობის უზრუნველყოფის გავრცელებული ფორმაა ასოციაციების, კავშირების დაარსება ან საინიციატივო ჯგუფების შექმნა. მაგალითად, კლასში იქმნება ჯგუფი, რომელიც ალაგებს სკოლის ეზოს. ან მოსწავლეები აგროვებენ თანხას და ქმნიან მიზნობრივ ფონდს. თუმცა ამგვარი საინიციატივო ჯგუფები ხშირად გარე ზეგავლენის შედეგად იქმნება. მაგალითად, მასწავლებლის კარნახით. გარე ინიციატივით შექმნილ ჯგუფებს და ორგანიზაციებს უჭირთ გადაწყვეტილების მიღების პროცესზე კონტროლისა და გავლენის მოპოვება. მაგალითად, მოსწავლეები აგროვებენ თანხას, მაგრამ თავად არ წყვეტენ რა მიზნით დახარჯონ ის - მარტოხელა მოხუცებს დაეხმარონ თუ ბავშვთა სახლში გადარიცხონ თანხები

4. <u>შიდა ინიციატივა:</u> სკოლისათვის მნიშვნელოვანი, პრიორიტეტული საკითხების მოგვარებისათვის დაინტერესებული მხარეებმა (მაგალითად, მოსწავლეებმა) შეიძლება თავადაც მოახდინონ თვითორგანიზება, გარე ჩარევის გარეშე. მაგრამ ახალბედა ჯგუფებს ზოგჯერ უჭირთ გავლენისა და პროცესებზე კონტროლის მოპოვება.

5. <u>მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღებაში:</u> განვითარების პროგრამის წარმატებისათვის ძალიან მნიშვნელოვანია კონსენსუსი საზოგადოებაში მიზნებთან და შედეგებთან დაკავშირებით. მაგალითად, სკოლის ბიუჯეტის შემუშავებისას მიღებული უნდა იქნას ბევრი გადაწყვეტილება - რა პრიორიტეტები აქვს წელს ორგანიზაციაში, რომელ პრიორიტეტებზე უნდა დაიხარჯოს თანხა, რა ოდენობით და ა.შ. ამ გადაწყვეტილებების მიღებაში აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს სკოლის საზოგადოებამაც. მონაწილეობის ამ უმაღლეს საფეხურზე თვითორგანიზებული ჯგუფები ფლობენ ძალაუფლებას, შეუძლიან თავად განსაზღვრონ პრიორიტეტული საკითხები, საკუთარი ძალებით გადაჭრან პრობლემები და მონაწილეობა მიიღონ მნიშნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებაში, ასეთი ჯგუფები ნაკლებად ექვემდებარებიან გარე ზეწოლასა და ზეგავლენას.

შესაბამისად, შეიძლება გამოვყოთ განვითარების პროექტებში მონაწილეობის 5 ფორმა, რომლებიც შეჯამებულია ცხრილში.

ცხრილი 4.1 მონაწილეობის ფორმები

	მონაწილეობის ხარისხი		
მონაწილეობის ფორმები	სუსტი	საშუალო	მაღალი
ინფორმაციის მიღება			
აზრის გამოთქმა,კონსულტირება			
გარე ინიციატივა			
შიდა ინიციატივა			
გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობა			

მონაწილეობაზე დაფუძნებული და არამონაწილეობითი ინიციატივების სუსტი და ძლიერი მხარეები

საზოგადოებისათვის მნიშნელოვანი პროცესები შეიძლება იყოს როგორც მონაწილეობითი, ისე არამონაწილეობითი. ცხრილში მოცემულია თითოეულის სუსტი და ძლიერი მხარეები

ცხრილი 4.2 მონაწილეობითი და არამონაწილეობითი პროცესების სუსტი და ძლიერი მხარეები

დისკრეტული ჩარევა	საჭიროებებზე დაფუძნებული ჩარევა
შეზღუდული რესურსები	დამატებითი რესურსების მობილიზების შესაძლებლობა
სწრაფი განხორციელება	ნელი განხორციელება
ნაკლები იდეები	მეტი იდეები
დაბრკოლებები მდგრადობის უზრუნველყოფის პროცესში	მდგრადობის კარგი პერსპექტივა

შესაბამისად, მონაწილეობითი მიდგომის უპირატესობებია:

- ერთობლივი პასუხისმგებლობა
- დამატებითი რესურსები
- საჭიროებებზე ორიენტირება
- რესურსების ეფექტური გამოყენება
- მდგრადობის უზრუნველყოფა
- ერთობის ჩამოყალიბება, გავლენის ზრდა

მონაწილეობის ციკლი

განვითარების პროექტებში სამოქალაქო მონაწილეობის უზრუნველყოფისათვის საჭიროა გარკვეული ეტაპების განხორციელება. ეტაპები თანმიმდევრულია და ამ თანამიმდევრობას აქვს ციკლური ხასიათი. კერძოდ, მონაწილეობის ციკლის შემადგენელი ეტაპებია:

- სიტუაციის ანალიზი

- საჭიროებების შეფასება
- მიზნების დასახვა
- კონკრეტული აქტივობების განსაზღვრა
- რესურსების მობილიზაცია
- როლების განაწილება
- განხორციელება
- შეფასება

4.2 მოტივაციის თეორიები

ჰოი უ.კ. , მისკელ, ს.გ. 2012. განათლების სფეროს ადმინისტრირება: თეორია, კვლევა და პრაქტიკა. თავი 4 (ადაპტირებული ვერსია)

ადამიანების ქცევას მათი მოთხოვნილებები და მოტივაცია განსაზღვრავს, ამიტომ მშობლები ითვალისწინებენ შვილების სურვილებს, პოლიტიკოსები - ამომრჩეველთა მოთხოვნებს, მასწავლებლები – მოსწავლეების საჭოროებებს.

ედვინ ა. ლოქეს (1991) განმარტების თანახმად, **მოთხოვნილება** არის წონასწორობის დარღვევის შინაგანი მდგომარეობა, რაც აიძულებს ადამიანს, იმოქმედოს შინაგანი წონასწორობის აღსადგენად (Steers and Porter, 1991). შედეგად, ადამიანის ქცევის საბოლოო მიზანს სწორედ ამა თუ იმ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება წარმოადგენს.

მოთხოვნილებათა იერარქია (მასლოუს თეორია)

ჰუმანისტური ფსიქოლოგიის წარმომადგენელმა, აბრაამ მასლოუმ (1970) შეიმუშავა თეორია ადამიანური მოთხოვნილებების შესახებ; მოთხოვნილებათა იერარქიის მისეული მოდელი ფართო მსჯელობის საგანი გახდა და მოტივაციის ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან თეორიად ჩამოყალიბდა.

მასლოუს თეორიის თანახმად, არსებობს მოთხოვნილებათა ხუთი ძირითადი კატეგორია, რომლებიც განლაგებულია იერარქიულ დონეებად.

- იერარქიის პირველ დონეზე ფიზიოლოგიური მოთხოვნილებებია, მაგალითად წყურვილი და შიმშილი;
- მეორე დონეს ქმნის უსაფრთხოების, სტაბილურობის, წესრიგის მოთხოვნილება;
- მესამე დონეს განეკუთვნება სიყვარულისა და სოციალური მიკუთვნებულობის მოთხოვნილებები;

- მეოთხე დონის მოთხოვნილებებში გაერთანებულია პატივისცემის, მიღწევის, აღიარების სურვილი;
- მეხუთე დონის მოთხოვნილებად კი მასლოუ თვითაქტუალიზაციის სურვილს მიიჩნევდა. დეფინიციის თანახმად, ეს არის ინდივიდის მოთხოვნილება, იყოს ის, რაც მას სურს, მიაღწიოს ცხოვრებისეულ მიზნებს და მოახდინოს საკუთარი პიროვნული პოტენციალის რეალიზაცია (Campbell and Pritchard, 1976). თვითაქტუალიზაციას მასლოუ თვლიდა პროცესად, და არა საბოლოო მდგომარეობად. მასლოუს აზრით, ინდივიდები უწყვეტად იმყოფებიან თვითაქტუალიზაციის, საკუთარი თავის რეალიზაციის პროცესში (Cherringron, 1991).

მასლოუ თვლიდა, რომ მაღალი დონის მოთხოვნილებები აქტიურდება მას შემდეგ, რაც დაკმაყოფილდება უფრო დაბალი დონის მოთხოვნილებები. ადამიანი ცხოვრობს მხოლოდ პურის შოვნის სურვილით, როცა მას პური არ აქვს, მაგრამ შიმშილის დაკმაყოფილების შემთხვევაში წარმოიქმნება სხვა, უფრო მაღალი დონის მოთხოვნილებები. ამდენად, ინდივიდუალური ქცევა მოტივირებულია მოცემულ მომენტში უმნიშვნელოვანესი მოთხოვნილების დაკმაყოფილების სურვილით (Lawler, 1973).

მასლოუს მოთხოვნილებათა იერარქიის თეორია, ეყრდნობა სამ ფუნდამენტურ პოსტულატს (Cherringron, 1991):

- ადამიანის მოტივაციას განაპირობებს დაუკმაყოფილებელი მოთხოვნილებები ;
- ინდივიდუალური მოთხოვნილებები უნივერსალურია და განლაგებულია იერარქიულად;
- იმისათვის, რომ ინდივიდმა მიზნად დაისახოს უფრო მაღალი დონის მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, უნდა დაკმაყოფილდეს უფრო დაბალი დონის მოთხოვნილებები.

მოთხოვნილებები და სამუშაოთი კმაყოფილება (ჰერცბერგის ორი ფაქტორის თეორია)

მოტივაციის კიდევ ერთი ცნობილი თეორია ფრედერიკ ჰერცბერგსა და მის კოლეგებს ეკუთხვნის (Herzberg, Mausner, and Snyderman, 1959). ამ თეორიას მოტივაციურ-ჰიგიენური თეორია ან სხვაგვარად ორფაქტორიანი თეორია ეწოდა.

ჰერცბერგის თეორია, ძირითადად, სამუშაოთი კმაყოფილებისა და სამუშაო ადგილზე მოტივაციის საკითხებს ეხება. ამ თეორიის თანახმად, სამუშაოთი კმაყოფილებაზე ფაქტორების ორი ჯგუფი ახდენს გავლენას.

ფაქტორების პირველ ჯგუფს **მოტივატორებს** უწოდებენ.

მოტივატორებად წოდებულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება მნიშვნელოვნად ზრდის სამუშაოთი კმაყოფილებასა და სამუშაოს შესრულების მოტივაციას. (ეს ფაქტორებია

მიღწევის, აღიარების, დაწინაურების სურვილი). როდესაც ეს მოთხოვნილებები არ არის დაკმაყოფილებული, მოტივაცია უმნიშვნელოდ მცირდება.

ფაქტორების მეორე ჯგუფს **ჰიგიენური** ფაქტორები ეწოდება.

ჰიგიენური ფაქტორების დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში მოტივაცია და სამუშაოთი კმაყოფილება მკვეთრად ეცემა (ეს ფაქტორებია ინტერპერსონალური ურთიერთობები, სამუშაო პირობები, ანაზღაურება, პირადი ცხოვრება), ხოლო ამ ფაქტორების დაკმაყოფილების შემთხვევაში კმაყოფილება და მოტივაცია უმნიშვნელოდ იზრდება. მაგალითად, თუ არ მოგცემენ ნებას, რომ სკოლის ქსეროასლების აპარატზე გააკეთოთ ასლები, ეს სავარაუდოდ გამოიწვევს უკმაყოფილებას, მაგრამ ასეთი მომსახურების ხელმისაწვდომობა, სავარაუდოდ, დიდად არ შეუწყობს ხელს სამუშაოთი კმაყოფილებას. ერთი სიტყვით, მოტივატორები ქმნიან სამუშაოთი კმაყოფილებას, მაშინ როცა ჰიგიენური ფაქტორები წარმოქმნიან სამუშაოთი უკმაყოფილებას. რატომ ეწოდება უკმაყოფილების გამომწვევ ფაქტორებს ჰიგიენური და რატომ არის ისინი შედარებით უმნიშვნელო კმაყოფილების ხელშეწყობაში? ეს მეტაფორა გახლავთ: მიუხედავად იმისა, რომ ჰიგიენა ძალზე მნიშვნელოვანია სერიოზული ინფექციების პრევენციისათვის, თავად ჰიგიენა, ტიპიურად, არ გვთავაზობს მკურნალობას, ისევე როგორც ცალკე აღებული ჰიგიენური ფაქტორები არ წარმოქმნიან სამუშაოთი კმაყოფილებას და არ იწვევენ მოტივაციის მნიშვნელოვან ზრდას.

მიზნის დასახვის თეორია

მიუხედავად იმისა, რომ მიზნების, როგორც მოტივაციის მნიშვნელოვანი ასპექტის გააზრება მეთორმეტე საუკუნეში იღებს სათავეს, მიზნის დასახვასთან დაკავშირებული მოტივაციის თეორია მეოცე საუკუნეში შეიქმნა და ედვინ ა. ლოქესა და მის კოლეგას, გარი პ. ლეთამს ეკუთვნის (Locke, 1968; Locke and Latham, 1984, 1990).

მიზნის დასახვის თეორია გულისხმობს, რომ ადამიანს ზოგჯერ ამოძრავებს წინასწარდასახული, კონკრეტული საბოლოო მდგომარეობის მიღწევის სურვილი. ხშირად, ამგვარი მდგომარეობა თავისთავად წარმოადგენს ჯილდოს მის მისაღწევად გაწეული ძალისხმევისათვის.

მიზნის ეფექტიანობა განისაზღვრება სამი მახასიათებლით: დროში სიახლოვით, სირთულით და მკაფიოობით.

იდეალურ შემთხვევაში მიზნის დასახვიდან მიღწევამდე დრო უნდა იყოს შეძლებისდაგვარად მოკლე. ეს ხსნის, რატომ არიან ბავშვები უფრო მოტივირებულნი, რომ ისწავლონ ველოსიპედის ტარება, ვიდრე ალგებრა.

მიზანი უნდა იყოს საშუალო სირთულის, არც ძალიან მარტივი, არც ძალიან რთული. ორივე შემთხვევაში, ადამიანები არ არიან საკმარისად მოტივირებული, რადგან მათ სჭირდებათ შედარებით რთული ამოცანა (რაც გულისხმობს გარკვეული სახის გაურკვევლობას საწყის ეტაპზე და წარმატებას საბოლოო ეტაპზე). ამავე დროს, ადამიანები უნდა გრძნობდნენ, რომ არსებობს წარმატების მიღწევის გარკვეული ალბათობა.

მკაფიოობა გულისხმობს მიზნის ობიექტურობას. ასევე, მიზნის განმარტება უნდა იყოს გასაგები. ცუდად განმარტებული მიზნის კლასიკური ნიმუშია - მიიღეთ შეძლებისდაგვარად მაღალი ნიშანი. ბავშვების უმეტესობისათვის გაუგრებარია, რამდენი ძალისხმევა დასჭირდებათ ამ მიზნის მისაღწევად.

იმისათვის, რომ მიზანმიმართული საქმიანობის მოტივაცია გაიზარდოს, ძალიან მნიშვნელოვანია კორექტული უკუკავშირი. მოტივაციისათვის ადამიანს სჭირდება ზუსტი ინფორმაცია იმის შესახებ, თუ "სად იმყოფება იგი" დასახულ მიზანთან მიმართებაში. უკუკავშირი ადამიანებს ეხმარება, შეაფასონ თავიანთი პროგრესი.

წარუმატებლობის შემთხვევაში, მათ შეუძლიათ მეტი ძალისხმების გაწევა, ალტერნატიული გზის მოსინჯვა. როცა უკუკავშირი ხაზს უსვამს მიღწევას, ის ხელს უწყობს შესრულების ხარისხის გაუმჯობესებას (Bandura, 1993).

შინაგანი და გარე მოტივაცია

ჩვენ ვნახეთ, თუ რა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მოტივაციაზე მოთხოვნილებები და მიზნები. მოტივაცია, ძირითადად, განისაზღვრება როგორც შინაგანი მდგომარეობა, რომელიც ახდენს ქცევის სტიმულირებას. ზოგიერთი განმარტების თანახმად მოტივაცია შეიძლება იყოს შინაგანი, და ეფუძნება საჭიროებებს, ინტერესებს, ცნობისმოყვარეობასა და სიამოვნებას. სხვა განმარტებების მიხედვით მოტივაცია დაკავშირებულია გარე ფაქტორებთან, როგორიცაა სტიმულები, ჯილდოები, ზეწოლა, დასჯა და ა.შ.

მოტივაციას, რომელიც განპირობებულია ისეთი ფაქტორებით, როგორიცაა ინტერესი და ცნობისმოყვარეობა, შინაგანი მოტივაცია ეწოდება (Woolfolk, 1998). ტენდენცია (Deci and Ryan, 1985; Reeve, 1996). დასჯა და ჯილდოები არ არის საჭირო, რადგან თავად აქტივობა წარმოადგენს ჯილდოს (წახალისებას). მარტივად რომ ჩამოვაყალიბოთ, შინაგანი მოტივაცია არის ის, რაც ახდენს ჩვენს სტიმულირებას, ვაკეთოთ რაიმე, როცა არ ვართ ვალდებულნი (Raffini, 1996). გარე მოტივაცია, ამისაგან განსხვავებით, ეფუძნება ჯილდოებსა და დასჯას. ჩვენ ვმოქმედებთ, რომ მივიღოთ მაღალი ნიშანი, პრემია, დაწინაურება ან თავიდან ავიცილოთ საყვედური. ჩვენ გვაინტერესებს არა თავად აქტივობა, არამედ ის, თუ რას მოგვიტანს ეს აქტივობა. გარე მოტივაცია გვაიძულებს ვიმოქმედოთ სტიმულების გათვალისწინებით.

შიდა და გარე მოტივაციას შორის ძირითადი განსხვავებას ქმნის ინდივიდის მოქმედების მიზეზი, Mმოქმედების ლოკუსი. თუ ადამიანი ირჩევს მოქმედებას პირადი მიზნების საფუძველზე, მიზეზი შინაგანია და მოტივაციაც შინაგანია. შიდა და გარე მოტივაციად დაყოფა პირობითია, რადგან ქმედებათა უმეტესობა ორივე სახის მოტივაციას ეყრდნობა. მაგალითად, ის, რაც გარე მოტივაციით იწყება (მაგ. კარგი ნიშნების მისაღებად სწავლა), შეიძლება შინაგან მოტივაციად იქცეს, როცა მოსწავლეს საგნისადმი ინტერესი უჩნდება.

ამ თავში ჩვენ განვიხილეთ რამდენიმე თეორია მოტივაციის შესახებ. ცხრილში მოცემულია ამ და მოტივაციის სხვა მნიშვნელოვანი თეორიების ძირითადი იდეები.

ცხრილი 4.3 მოტივაციის თეორიების ძირითადი იდეები

თეორია	ძირითადი იდეები
მოთხოვნილებათა იერარქიის თეორია	ვარაუდობს, რომ ადამიანები უფრო მოტივირებულნი არიან, როცა: • საბაზო მოთხოვნილებები დაკმაყოფილებულია – ფიზიოლოგიური, უსაფრთხოების და მიკუთვნებულობის მოთხოვნილებები. • გამოწვევას წარმოადგენს მაღალი დონის მოთხოვნილებები – პატივისცემისა და თვითაქტუალიზაციის სურვილი.
მოტივაცია-ჰიგიენის თეორია	ვარაუდობს, რომ: • დაუკმაყოფილებელი დაბალი დონის მოთხოვნილებები იწვევს სამუშაოთი უკმაყოფილებას. • დაკმაყოფილებული მაღალი დონის მოთხოვნილებები იწვევს სამუშაოთი კმაყოფილებას და ზრდის მოტივაციას.
მიზნის დასახვის თეორია	ვარაუდობს, რომ ადამიანები უფრო მოტივირებულნი არიან, როცა: • მათ აქვთ დასახული რეალისტური, სპეციფიური მიზნები. • ისინი იღებენ უკუკავშირს მიზნებთან მიმართებაში პროგრესის შესახებ.
ატრიბუციის თეორია	ვარაუდობს, რომ ადამიანები ბეჯითად შრომობენ, თუ სჯერათ, რომ: • წარმატება დაკავშირებულია პირად მცდელობასთან, მონდომებასთან • წარმატება არის კონტროლირებადი - შეიძლება მიღწეულ იქნას ბეჯითი შრომით, სათანადო სტრატეგიის გამოყენებით და ა.შ.
თანასწორობის თეორია	ვარაუდობს, რომ ადამიანების მოტივაცია იზრდება, როცა ისინი თვლიან, რომ მათ სამართლიანად ექცევიან: • მათ აძლევენ იმ ჯილდოს, რომელსაც ისინი იმსახურებენ • ჯილდოების განაწილება სამართლიანია. • მათ ექცევიან პატივისცემითა და თავაზიანად.
მოლოდინის თეორია	ვარაუდობს, რომ მოტივაცია იზრდება, როცა: • სჯერათ, რომ დამატებითი მცდელობა გაუმჯობესებს შედეგებს. • კარგი შესრულება შემჩნეული და დაჯილდოებული იქნება. • ჯილდო ფასეულია.
თვითეფექტიანობის თეორია	ვარაუდობს, რომ ადამიანები ბეჯითად შრომობენ, როცა: • თვლიან, რომ მათ შეუძლიათ იყვნენ წარმატებულნი. • თვლიან, რომ ამოცანა არ არის მეტისმეტად რთული. • მათ ჰქონიათ წარმატება მსგავსი ამოცანების განხორციელებისას. • მათ აქვთ წარმატების კარგი მოდელები.

4.3 პროექტული სწავლება, როგორც სამოქალაქო განათლების სწავლების ერთ-ერთი მეთოდი

„პროექტი“ გავრცელებული სიტყვაა, რომელიც სხვადასხვა აზრით გამოიყენება, მაგალითად: ცენტრალურმა ხელისუფლებამ შეიძლება შეიმუშაოს ერთი კონკრეტული რეგიონის განვითარების პროექტი; სკოლამ შეადგინოს და განახორციელოს სკოლაში სოციალური მეცნიერებების ხელშეწყობის პროექტი, პროექტი შეიძლება დაგეგმოს და განახორციელოს ინდივიდმაც, რომელსაც საკუთარ ცხოვრებაში გეგმაზომიერი და კარგად გათვლილი ცვლილებების შეტანა გადაუწყვეტია (მაგალითად, მეათეკლასელის წლევანდელ პროექტს შეიძლება წარმოადგენდეს კომპიუტერული სოციალური ქსელების კარგად გაცნობა ან წლის ბოლოს დაგეგმილი მარათონის ბოლომდე გარბენა). ერთი სიტყვით, პროექტი წარმოადგენს ჩვენს საქმიანობაში, ცხოვრებაში, სოციალურ რეალობაში ცვლილების გასატარებლად შედგენილ გეგმას, რომელსაც ჩვენ ვთხზავთ, ვახორციელებთ და ვაფასებთ ჩვენ მიერ არჩეული ფორმატის მიხედვით.

სამოქალაქო განათლების სწავლებისათვის პროექტულ სწავლებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს: პირველ რიგში, პროექტის შედგენა და განხორციელება პრაქტიკული საქმიანობებია, რომლებშიც მონაწილეობითაც მოსწავლეები და პედაგოგები ახერხებენ სამოქალაქო ღირებულებების ყოველდღიურ ცხოვრებაში გამოყენებას. მათი ამ საქმიანობაში ჩართვით იზრდება მონაწილეობა, მოსწავლეები იკვლევენ სათემო და საზოგადოებრივ ცხოვრებაში საკუთარი წვლილის შეტანის შესაძლებლობებს, აგრეთვე იძენენ მონაწილეობისათვის აუცილებელ უნარ-ჩვევებს.

პროექტული სწავლება, მნიშვნელოვანი სასწავლო მეთოდია. თუმცა, პროექტის მნიშვნელობა ამით არ შემოიფარგლება; პროექტი თავისთავად წარმოადგენს თემის, როგორც სოციალური გარემოს, კვლევის საშუალებას, რომლის დახმარებითაც ჩვენ შეგვიძლია უშუალოდ ვიმოქმედოთ ყოველდღიურ რეალობაზე და განვსაზღვროთ განვითარების მიმართულებები. შევიძინოთ აქტიური მოქალაქეობისთვის მნიშვნელოვანი უნარ-ჩვევები:

- კრიტიკული აზროვნება;
- საპასუხისმგებლო გადაწყვეტილების მიღება;
- ინფორმაციის ანალიზი;
- საკითხის განხილვა და სხვადასხვა მოსახრებების გათვალისწინება;
- მიმდინარე მოვლენებისა და საკითხების შესწავლა;
- ინფორმაციის საფუძველზე კითხვების ფორმულირება;
- ინფორმაციის მოსაპოვებლად ეფექტური სტრატეგიების გამოყენება;
- წერილობით, ზეპირი და ცხრილის სახით ინფორმაციის შეჯერება;
- მიზნის მისარწევად სხვებთან თანამშრომლობა;
- ლიდერობა;

- პრობლემის გადაჭრა;
- ეფექტური და რაციონალური არგუმენტების მოყვანა.

4.4 პროექტის საჭიროებების განსაზღვრა

პროექტის საჭიროებათა განსაზღვრა პროექტის საწყისი ფაზაა, რომელიც რამდენიმე გამოკვეთილი ეტაპისაგან შედგება:

პრობლემის ანალიზი და მიზეზშედეგობრივ ფორმატში მისი განხილვა

ამ ეტაპზე პროექტის მესვეურთა ჯგუფი ცდილობს პრობლემის/პრობლემების აღმოჩენას, მათ შორის ურთიერთკავშირის დამყარებას, პრობლემის მთლიანობით კონტექსტში განხილვას, პრობლემის ეგრეთწოდებულ მეფინგს (პრობლემებისა და მასთან დაკავშირებული საკითხების ჩამოთვლასა და მათ შორის მიმართებების დამყარებას). მაგალითად, თუკი საქმე ეხება თემში ნარკოტიკების მოხმარების ზრდას და ნარკოტიკების მიმართ შემრიგებლურ-ტოლერანტულ დამოკიდებულებას, პრობლემის გამოკვლევისას აუცილებელია, დავსვათ კითხვა, თუ თემში მიმდინარე რომელ სოციალურ პროცესებთან არის დაკავშირებული ეს პრობლემა: როდის დაფიქსირდა ნარკოტიკების მოხმარების ზრდა? რომელ სოციალური ფენას, ასაკობრივ ჯგუფს, სქესს მიეკუთვნებიან მომხმარებლები? სად ახერხებენ ნარკოტიკული ნივთიერებების შეძენას? ვის მიერ და რა გზებით ხდება ნარკოტიკების მიმართ საზოგადოების მხრიდან შემრიგებული დამოკიდებულების წახალისება? ვინ ზარალდება ნარკოტიკების მოხმარებით, მხოლოდ უშუალოდ მომხმარებელი, თუ მისი ოჯახი, სამეგობრო? რა პირდაპირი თუ ირიბი გავლენა აქვს ნარკოტიკების მომხმარებელს თემზე?

ჯგუფს შეიძლება დასჭირდეს ინტერვიუს აღება ამ საკითხის ექსპერტებთან: ექიმ-ნარკოლოგებთან, ფსიქოლოგებთან, ორგანიზაციებთან, რომლებსაც შეხება აქვთ ზემოხსენებულ საკითხთან.

უნდა შეეცადოთ, გამოიკვლიოთ, რომელი საზოგადოებრივი ჯგუფი მუშაობს ამ საკითხზე თემში. მოხდა თუ არა ჩარევა და პროექტების განხორციელება ამ კონკრეტული მიმართულებით და რა შედეგებით დამთავრდნენ ისინი. ხორციელდება თუ არა პროექტები რომელიმე მეზობელ თემში და კონკრეტულად რომელ პრობლემას თუ სამიზნე ჯგუფს შეეხება ეს პროექტები. ასეთი ტიპის ინფორმაციის მოპოვება არა მხოლოდ პრობლემის ირგვლივ გაამდიდრებს თქვენს ცოდნას, არამედ გაგათვითცნობიერებთ სამიზნე თემისა და მასთან მუშაობის სპეციფიკაში, წარმოგიდგენთ შესაძლო პარტნიორებს და ინფორმაციას მიიღებთ შესაძლო რისკებისა და პრობლემების შესახებ.

ნარკოტიკების მიმართ სამიზნე თემის დამოკიდებულების შესახებ ინფორმაციის მოსაძიებლად სასურველია ჩაატაროთ ჯგუფური ინტერვიუ, სადაც გამოიკვეთება, თუ რა ტიპის ცოდნას ფლობს სამიზნე ჯგუფი ამ საკითხის გარშემო, სად იქნება უკეთესი პროექტით ჩარევა.

რადგან თემი მრავალფეროვანი შემადგენლობისაა და ასეთივე არაერთგვაროვანია პრობლემის აღქმა სხვადასხვა ჯგუფის მიერ, ამ ეტაპზე აუცილებლად უნდა გამოიძიოთ, რა კუთხით და როგორ ხედავს ნარკომანიას თემის სხვადასხვა წევრი. ასეთმა კომპლექსურმა გამოკითხვამ შეიძლება საინტერესო აღმოჩენამდე მიგიყვანოთ.

საჭიროებათა შესახებ კვლევის შედეგების ანალიზი

მასალის მოგროვების შემდეგ ჯგუფი იწყებს კვლევის შედეგების ანალიზს. რომელი ძირითადი საჭიროებები გამოიკვეთა კვლევისას. რა დაასახელა პრობლემად და მისი გადაჭრის გზად თემის სხვადასხვა წევრმა. არის თუ არა კავშირი ამ კონკრეტულ პრობლემასა და სხვა სოციალურ პრობლემას/პრობლემებს შორის, რომელთა გათვალისწინებაც პროექტის უკეთ დაგეგმვაში დაგვეხმარება. რომელ ორგანიზაციებს მოიაზრებთ შესაძლო პარტნიორებად დაგეგმვის ან განხორციელების ეტაპზე. რას შესძენს მათი გამოცდილება/ცოდნა თქვენს პროექტს.

ზემოქმედების არეალის განსაზღრა

რადგან პროექტის რესურსები შეზღუდულია, შემდგომ ეტაპზე უნდა განისაზღვროს პროექტის ზემოქმედების არეალი. მაგალითად, ძნელი წარმოსადგენია, პროექტის მიზნად, დავისახოთ ნარკოტიკებზე დამოკიდებული ადამიანების დახმარება დამოკიდებულების მოხსნის მიზნით. ეს არარეალისტური პროექტია, რა თქმა უნდა, თუკი თქვენ ჯანდაცვის სისტემასთან ასოცირებულ, ამ კონკრეტულ სფეროში გამოცდილ ორგანიზაციას არ წარმოადგენთ. უფრო ხელშესახები და ადვილად შესასრულებელი იქნებოდა საზოგადოების ცნობიერების ამაღლება ნარკოტიკების ზემოქმედების შესახებ.

ზემოქმედების არეალის გამოსაკვეთად აგრეთვე საჭიროა გაითვალისწინოთ სხვა ორგანიზაციების მოღვაწეობაც, რათა პროექტებმა ერთმანეთი არ გადაფარონ, თუმცა სხვების პროექტებთან პროექტის შეხამება არცთუ ურიგო იდეაა. როგორც წესი, კოორდინირებული პროექტები გაცილებით ეფექტურია, ვიდრე ორგანიზაციების შეუთანხმებელი ინტერვენცია.

ადამიანური და სხვა რესურსების მოძიება

თემში არსებული რესურსების მოძიება-მეფინგი პროექტის ციკლის მართვის მნიშვნელოვანი ეტაპია. უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენს გარშემო ადამიანებსა და ორგანიზაციებს - ინსტიტუტებს, განსხვავებული ბიოგრაფია, განათლება, ნაცნობთა წრე და გამოცდილება აქვს. ამიტომ ერთი კონკრეტული მიზნისათვის სამუშაოს შესრულებისას უნდა გამოვიკვლიოთ და აღვწეროთ, თუ ვის რა ცოდნის, გამოცდილების, სარგებლის მოტანა შეუძლია პროექტისათვის. მაგალითად, ნარკოტიკების წინააღმდეგ მიმართული პროპაგანდის პროექტს შეიძლება მრავალი სხვადასხვა უნარი, ცოდნა თუ გამცდილება, ან ნაცნობთა წრე (ეგრეთწოდებული ნეთვორკი) წაადგეს. თუკი სკოლაში გვყავს მოსწავლე, რომელსაც კომპიუტერთან მუშაობის (ინფორმაციის მოძიების) კარგი გამოცდილება აქვს და უცხო ენაც იცის, ნარკოტიკების მავნებლობის შესახებ ვიზუალური ინფორმაციის მოსაძიებლად ის ძალზედ საჭირო კადრია. ასეთივე შეუცვლელი შეიძლება აღმოჩნდეს კაცი, რომელსაც ბიუჯეტის დაგეგმვის გამოცდილება ან ჯგუფური ინტერვიუს ფასილიტაციის

კარგი უნარი აქვს. არ უნდა დაგვავიწყდეს სკოლის პედაგოგები, რომელთაც ადრეც განუხორციელებიათ პროექტები, ან - მოსწავლეები, რომლებსაც მონაწილეობა მიუღიათ პროექტების დაგეგმვა-განხორციელებაში. ინდივიდების გარდა, ყურადღება უნდა მივაქციოთ მატერიალურ რესურსებს სკოლასა და თემში, და რომელთა გამოყენებასაც პროექტის ფარგლებში შევძლებთ. ნეთვორქინგი ხშირად რესურსების მოძიების შესანიშნავი გზაა. საქართველო პატარა ქვეყანაა, სადაც ნაცნობ-მეგობართა წრე ხშირად ურთიერთგადამფარავია. ამიტომ პროექტის დაგეგმვისას სასურველია იმ ხალხისა და ორგანიზაციების მოძიება, რომელთა დახმარებაც შეიძლება დაგვჭირდეს.

რაც მთავარია, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ რესურსების მოძიება პირდაპირ არის დაკავშირებული საჭიროებების ანალიზსა და საქმიანობების დაგეგმვასთან. მაგალითად, თუკი ჩვენი პროექტის საჭიროებების ანალიზის ეტაპზე გაირკვა, რომ ჩვენი სამიზნე ჯგფის უმეტესობამ არ იცის, რომ ნარკოტიკების მიმართ დამოკიდებულების განვითარება რამდენიმე მოხმარების შედეგადაც შეიძლება, გამოიკვეთება ამ ცოდნის მოძიების, ჩამოყალიბებისა და გადაცემის საჭიროება. იმისათვის, რომ ჩვენს მიერ მიწოდებული ინფორმაცია სწორი, დამარწმუნებელი და ადვილი აღსაქმელი იყოს, საჭიროა იმ ინფორმაციის წყაროს, ადამიანის/ადამიანების მოზიდვა, ვინც ფლობს ცოდნას დამოკიდებულების განვითარების შესახებ. ასეთები შეიძლება იყვნენ: ექიმი ნარკოლოგი, ამ სფეროში მოღვაწე მკვლევარი ან შესაბამისი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი. ინტერნეტის ეპოქაში ინფორმაციის ნაკლებობას არ ვუჩივით, მაგრამ ინფორმაციის ხარისხი სულ სხვა საქმეა. ჩვენ დაგვჭირდება ადამიანი-ადამიანები, რომლებიც მიგვითითებენ, თუ როგორ უნდა მოვიძიოთ ხარისხიანი ინფორმაცია ინტერნეტსივრცეში და როგორ მოვარგოთ იგი სკოლის - თემის რეალობას.

მთავრობის როლი საკვლევ თემასთან მიმართებაში

რა კონკრეტული პასუხისმგებლობები აკისრია საქართველოს ხელისუფლებასთქვენ მიერ გამოვლენილი პრობლემის მოგვარების მიმართულებით?

> ა) დაასახელეთ საქართველოს კონსტიტუციის ის ასპექტები, რომლებიც თქვენს საკვლევ თამასა და ხალხის წინაშე ხელისუფლების შასაბამის მოვალეობებს უკავშირდება. მოიყვანეთ კონკრეტული მუხლი.
>
> ბ) დაასახელეთ კანონმდებლობა, რომელიც თქვენ მიერ გამოვლენილი პრობლემის მოსაგვარებლად ხელისუფლების პასუხისმგებლობებს განსაზღვრავს.

პრობლემის შესახებ განხორციელებული კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, როგორ ფიქრობთ, არსებობს საკმარისი სამართლებრივი საფძველი ხელისუფლების მიერ მოცემული პრობლემის გადასაჭრელად? დადებითი პასუხის შემთხვევაში, უპასუხეთ შემდეგ კითხვებს:

> ა) დაასახელეთ კონკრეტული კანონი ან საკონსტიტუციო დებულება;

ბ) როგორ ფიქრობთ, სახელმწიფოს მიერ მიღებული ზომების მიუხედავად, რატომ ვერ მოხერხდა პრობლემის აღმოფხვრა?

როგორ ფიქრობთ, დამატებით რა ღონისძიებების გატარებაა საჭირო? კითხვაზე პასუხის გასაცემად შესაძლოა დამატებითი კვლევის ჩატარება დაგჭირდეთ. შემდეგ უპასუხეთ ქვემოთ მოყვანილ კითხვებს:

ა) ფიქრობთ, რომ პრობლემა კანონის აღსრულებაში მდგომარეობს?

ბ) ფიქრობთ, რომ არსებულ კანონმდებლობაში საჭიროა ცვლილებების განხორციელება? განმარტეთ.

გ) ფიქრობთ, რომ ახალი კანონმდებლობის მიღებაა საჭირო? თუ კი, რას უნდა ითვალისწინებდეს ახალი კანონმდებლობა?

როგორ ფიქრობთ, პრობლემის გადასაჭრელად რა უნდა მოიმოქმედოს საქართველოს ხელისუფლებამ?

ადამიანის უფლებები და საკვლევი თემა

გადხედეთ საკვლევ პრობლემასტან დაკავშირებულ გარემოებებს. რა ზიანს აყენებს ის საზოგადოებას.

1. გააანალიზეთ მიყენებული ზიანი ადამიანის უფლებებთან დაკავშირებით. ჩამოწერეტ ის ადამიანის უფლებები (მიუთითეთ შესაბამისი კანონი, შეთანხმება თუ კონვენცია), როლიც ირღვევა.
2. (თუ გაარკვევთ, ღომ ადამიანის უფლებების დარღვევას არ აქვს ადგილი, მესამე და მეოთხე კითხვებს შეგიძლიათ არ უპასუხოთ.
3. ადამიანის უფლებების მოცემულ დარღვევაზე რეაგირების რა მექანიზმები არსებობს? ჩამოწერეთ შესაბამისი ადამიანის უფლებები.
4. თქვენ მიერ გამოვლენილი ადამიანის უფლების დარღვევასთან მიმართებაში, რა სახის რეაგირება მიგაჩნიათ მიზანშეწონილად?

4.5 პროექტის დაგეგმვა

პროექტის დაგეგმვას ვიწყებთ პროექტის მიზნის/მიზნებისა და ამოცანების გამოკვეთით.

პროექტის მიზანი ის სასურველი შედეგია, რომლის მიღწევასაც პროექტის საშუალებით ვფიქრობთ. მიზანი ზოგადი უნდა იყოს. მაგალითად, სასკოლო პროექტის მიზანს შეიძლება წარმოადგენდეს თემის ცნობიერების ამაღლება ოჯახური ძალადობის შესახებ.

პროექტის ამოცანები, პროექტის მიზნიდან გამომდინარე, უფრო ხელშესახები და კონკრეტული ქვემიზნებია, რომელთა შესრულებაც პროექტის მიზნის მიღწევის ტოლფასია.

ზემოხსენებული მიზნის მქონე პროექტის ამოცანები ასე უნდა გამოიყურებოდეს:

1. თემის ცოდნის გაზრდა ოჯახური ძალადობის არსის, სახეებისა და ფორმების შესახებ
2. თემის ინფორმირება ოჯახური ძალადობის ფიზიკური, ფსიქოლოგიური, სოციალური და საკანონმდებლო ასპექტების შესახებ
3. თემის ინფორმირება ძალადობის პრევენციის შესაძლებლობებისა და მეთოდების შესახებ.

ყოველი ამოცანა უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მახასიათებლებს: იყოს კონკრეტული, რეალისტური, გაზომვადი, დროში მიღწევადი.

მაგალითად, ზემოთ დასახელებული სამივე ამოცანა საკმაოდ კონკრეტულია, რეალისტურია და განუზომელ ძალისხმევასა და რესურსებს არ მოითხოვს. ამ ამოცანების მიღწევის გაზომვა ადვილია სამიზნე ჯგუფის გამოკითხვის საშუალებით. მათი შესრულება შესაძლებელია შეზღუდულ (ჩვენს ხელთ არსებულ) დროში.

პროექტის შედეგებზე მუშაობა გაგვიადვილდება, თუკი მათ გაწერას პროექტის ამოცანების დაკონკრეტების საშუალებით შევეცდებით. პროექტის მოსალოდნელი შედეგები უნდა იყოს ადვილად გაზომვადი, კონკრეტული და თვალსაჩინო. ჩვენ უნდა წარმოვიდგინოთ, რომ პროექტი დამთავრდა წარმატებულად, რაში გამოიხატება ეს წარმატება?

1. პროექტის დამთავრების შემდეგ მოსწავლეთა (ან ჩვენი უშუალო ბენეფიციარების) 80 პროცენტს შეუძლია ძალადობის ფორმების ჩამოთვლა;
2. ბენეფიციარების 80 პროცენტი კარგად ერკვევა ოჯახურ ძალადობასთან დაკავშირებულ საკანონმდებლო საკითხებში;
3. ბენეფიციართა 80 პროცენტს შეუძლია ძალადობის სხვადასხვა სახის ამოცნობა.

პროექტის საქმიანობები გამომდინარეობს პროექტის ამოცანებიდან და მათი შესრულებისათვის აუცილებელ მოქმედებებს წარმოადგენს. ზემოთ განსაზღვრული სამი ამოცანის შესაბამისი საქმიანობები შეიძლება იყოს:

1. საგანმანათლებლო მასალების მოძიება ოჯახური ძალადობის შესახებ;
2. თემში ოჯახური ძალადობის საკითხით დაინტერესებული არასამთავრობო ორგანიზაციების მოძიება და თანამშრომლობის ფორმების გამოკვეთა;
3. ცნობიერების ამაღლების მეთოდებისა და ფორმების მოძიება;
4. თემში საინფორმაციო სესიის, კინოჩვენების მოწყობა;
5. მოსწავლეების მიერ ოჯახური ძალადობის შესახებ "უტყვი სცენების" დადგმა-წარმოდგენა და ნახატების კონკურსი.

პროექტის რისკფაქტორები ყველაზე თვალსაჩინოდ პროექტის საქმიანობების გაწერის შემდეგ გამოიყვანება. ვიღებთ თითოეულ საქმიანობას და გამოგვყავს მასთან დაკავშირებული რისკი/რისკები. მაგალითად, თემში საინფორმაციო კინოჩვენების მოწყობას

შეიძლება ახლდეს შემდეგი რისკები: 1. ფილმი აღიქვან გარე პროდუქტად (თუკი ის კარგად შერჩეული არ არის) და ვერ დააკავშირონ საკუთარი თემის რეალობას. 2. ფილმის ჩვენების დღე დაემთხვა დღესასწაულს, პარასკევ საღამოს, სამუშაო საათებს და ასე შემდეგ, რაც მშობლების დასწრებას შეამცირებს. 3. ფილმში ჭარბად იყოს ძალადობის სცენები, რომლებიც ბავშვებისათვის არაჯანსაღს გახდის კინოჩვენებას; და ასე შემდეგ.

4.6 პროექტის შედეგების ანალიზი

პროექტის შედეგების ანალიზს რამდენიმე დანიშნულება აქვს: პირველ რიგში ის გვეხმარება, გადავამოწმოთ, თუ როგორი წარმატებით შესრულდა პროექტის მიზნები, რა იყო წარუმატებლობის მიზეზი თუ მიზეზები, რომელი დადებითი ან უარყოფითი გაუთვალისწინებელი მოვლენები დაფიქსირდა პროექტის მიმდინარეობისას და რა როლი ითამაშეს ამ მოვლენებმა/ფაქტორებმა. გამართლდა თუ არა ჩვენს მიერ გათვალისწინებული რისკები.

პროექტის შედეგების ანალიზი გვაწვდის ინფორმაციას არა მხოლოდ პროექტის წარმატების, არამედ ჩვენი ორგანიზაციის, ჯგუფის რესურსების, მუშაობის სტილის, მისი ძლიერი და სუსტი მხარეების შესახებაც.

პროექტის შედეგების შეფასების რამდენიმე სახე/ეტაპი უნდა გამოვყოთ;

1. პროექტის ამოცანებისა და მიზნების შესრულების შეფასება პროექტის დაგეგმვისას შემუშავებული შესრულების ინდიკატორების მიხედვით;
2. პროექტის გავლენის შეფასება (შეფასების ეს ტიპი, როგორც წესი, საკმაოდ რთული დასაგეგმი და განსახორციელებელია).

ორგანიზაციებისა და ჯგუფების მიერ განხორციელებული მცირე პროექტებისათვის სასურველია შეფასების პირველი ტიპის გამოყენება.

შეფასების კითხვები ასეთია:

1. მიაღწია თუ არა პროექტმა დასახულ მიზნებს, ამოცანებს?
2. რა შესრულდა მოსალოდნელი შედეგებიდან და რისი შესრულება ვერ მოხერხდა?
3. რა იყო დასახული შედეგების შეუსრულებლობის მიზეზი?
4. რა გავლენა ჰქონდა ამ პროექტს ზოგადად თემზე (პირდაპირი და არაპირდაპირი შედეგები)
5. პროგრამის მსვლელობისას ხომ არ გამოიკვეთა ახალი საჭიროებები?
6. რომელი მეთოდების გამოყენებაა მიზანშეწონილი ამა თუ იმ მაჩვენებლის გადასამოწმებლად?
7. დაფიქსირდა თუ არ ცოდნის, დამოკიდებულებისა და ქცევის ფორმის ცვლილების ანალიზი? (თუმცა ეს უკანასკნელი ძალიან რთული შესაცვლელია, ამიტომ, როგორც

წესი, ცვლილების მაჩვენებლად ცოდნის ამაღლებასა და დამოკიდებულების ცვლილებას იღებენ).

შეფასების თვისობრივი და რაოდენობრივი მეთოდები

პროექტის შეფასებისას გამოიყენება როგორც რაოდენობრივი, ასევე თვისობრივი მეთოდები პროექტის მიზნებისა და ამოცანების გათვალისწინებით.

მაგალითად, რაოდენობრივი მეთოდების გამოყენებით ვადგენთ ბენეფიციართა რამდენმა პროცენტმა შეიძინა ცოდნა, მიიღო ინფორმაცია ამა თუ საკითხის შესახებ, რამდენმა კაცმა შეიცვალა ან არ შეიცვალა დამოკიდებულება ჩვენთვის საინტერესო სოციალური მოვლენის, ფენომენის მიმართ. რაოდენობრივი მეთოდების მაგალითია გამოკითხვა (ანკეტირება ან პირისპირ ინტერვიუ).

თვისობრივ მეთოდებს ვიყენებთ ფენომენის უფრო სიღრმისეული გაცნობისათვის. მაგალითად, ნარკოტიკების საწინააღმდეგო პროპაგანდის პროექტის შეფასებისას ჩვენ შეგვიძლია გამოვიკვლიოთ რა არის ცალკეული სოციალური ჯგუფების ნარკოტიკებისადმი ლოიალურად განწყობის მიზეზი; დამაჯერებელი იყო თუ არა პროექტის მესიჯები; ემთხვევა თუ არა პროექტის მიერ წარმოდგენილი დამოკიდებულების შეცვლის მექანიზმი რეალურ სურათს.

თვისობრივი მეთოდების სახეებია: ფოკუსური ჯგუფი, ჩაღრმავებული ინტერვიუ. დაკვირვება. ბენეფიციართა უკუკავშირი უშუალოდ პროექტის მსვლელობის, მისი დასრულებისა და დასრულებიდან რამდენიმე თვის შემდეგ შეფასების ერთ-ერთი ყველაზე ღირებული ნაწილია.

გთხოვთ, იხილოთ მაგალითი სკოლის ფარგლებში პროექტის მართვის ციკლის შესახებ, რომელშიც ჰიპოთეტური სცენარია წარმოდგენილი.

4.7 სასწავლო პროექტები - ყველა პედაგოგისათვის ხელმისაწვდომი ინსტრუმენტი

პავლე თვალიაშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი,
საერთაშორისო საგანმანათლებლო პროექტების კოორდინატორი

ამ სტატიის მიზანია, დამწყებ პედაგოგებს დაეხმაროს სასწავლო პროექტების არსის გარკვევაში. აჩვენოს მათ, რომ სასწავლო პროექტები საკმაოდ მარტივი შესასრულებელია, თუ მათ გეგმაზომიერად განავითარებენ. დაიწყებენ იმ პროექტებით, რომელთა შესრულებისთვისაც მცირე დრო, ნაკლები მომზადება და არსებული რესურსები (ტექნიკა, მასალები, გარემო, ბუნება...) საკმარისია.

სხვადასხვა საგნის პედაგოგებთან შეხვედრისას ხშირად განვიხილავდი სასწავლო პროექტების განხორციელების გამოცდილებას. ბოლო პერიოდში იმატა სკოლების რაოდენობამ, სადაც პედაგოგები მოსწავლეებთან მუშაობისას იყენებენ ამ ინსტრუმენტს.

პედაგოგების და მოსწავლეების სასწავლო პროექტებში ჩართულობის აღმწერი არაერთგვაროვანი ფრაზა შეიძლება მოისმინო:

თბილისის ერთ-ერთი სკოლის პედაგოგის პასუხი ჩემს წერილზე, სადაც ვეკითხებოდი, თუ როგორ მიდის მის მიერ ინიცირებული გრძელვადიანი პროექტი:

„სკოლაში ვერავინ ავიყოლიე, რომ დამეხმაროს. ყველას „მოცლილი“ ვეგონე, როცა ვთხოვდი, რომ ჩართულიყვნენ ამ პროექტში. ახლა მაგის დროც აღარ მაქვს, მაგრამ იმედს ვიტოვებ, პროექტს მაინც გავიტან ბოლომდე და დავაინტერესებ ვინმეს მაინც.”

დ.ლ.

სასწავლო პროექტების განხილვისას პედაგოგები ამბობდნენ, რომ მიუხედავად სახელმძღვანელოებში არსებული მითითებისა, პროექტებს იმიტომ არ აკეთებენ, რომ კარგად არ ესმით მისი არსი, თუმცაღა ტრენინგებმა, რომლებშიც სხვადასხვა გამოცდილების პედაგოგები იყვნენ ჩართული გვიჩვენა, რომ პედაგოგები სიამოვნებით ეცნობიან სასწავლო პროექტის დაგეგმვისა და მართვის პრინციპებს. მონაწილეები აღნიშნავდნენ, რომ პროექტების კეთება ხელმისაწვდომია ნებისმიერი ფინანსური შესაძლებლობისა და გამოცდილების პირობებში. გვირჩევენ, პროექტი არ უნდა იქცეს ხანგრძლივ მონოტონურ, მომქანცველ საქმიანობად.

მიუხედავად იმისა, რომ პროექტი მრავალფეროვნად შეიძლება იყოს წარმოდგენილი, ჩნდება აზრი, რომ არ არსებობს ერთიანი მიდგომა პროექტების მიმართ.

რიგ შემთხვევაში პედაგოგების მიერ პროექტი განხილულია, როგორც ინტერნეტიდან ინფორმაციის მოძიება, თემის დაწერა, ან ღონისძიების ჩატარება.

ცალკეულ შემთხვევებში პედაგოგები მშვენივრად ართმევენ თავს, ეფექტურად შეაზავონ ის კომპონენტები, რომელთა გარეშეც საქმიანობათა ერთობლიობას პროექტს ვერ უწოდებ. ამის მაგალით მრავლად შეიძლება ნახოთ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ გამოცხადებულ კონკურსებში.

სასწავლო პროექტი არის კონკრეტული პრობლემის გადაჭრის ან ინიციატივის განხორციელებაზე მიმართული მრავალმხრივი სამუშაო, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეთა კვლევითი, შემოქმედებითი, თანამშრომლობითი და კომუნიკაციური უნარ-ჩვევების განვითარებას. პროექტზე მუშაობა მოიცავს დაგეგმვის, კვლევის, პრაქტიკული ქმედებისა და შედეგების წარმოდგენის ეტაპებს არჩეული საკითხის შესაბამისად. ნებისმიერ პროექტს მოეპოვება რესურსები (ადამიანური, მატერიალურ-ტექნიკური და დროითი), რომლებიც წინასწარ არის განსაზღვრული პროექტის აღწერაში.

ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, პროექტი პედაგოგებმა უნდა გამოიყენონ მიღწეული შედეგების გასააზრებლად: ყველა ეტაპზე მიმდინარე და შემაჯამებელი, განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებისას.

ძნელია ნახო კონკრეტული განსაზღვრება სასწავლო პროექტისა, თუმცა ყველაზე ახლოს სასწავლო პროექტთან ე.წ. განვითარების პროექტის განმარტებაა - ადამიანთა ჯგუფი გარკვეულ დროში განსაზღვრული რესურსებითა და კონკრეტული საქმიანობებით გეგმავს არსებული სიტუაციის შეცვლას სასურველი სიტუაციით.

აუცილებელი კომპონენტები თანამშრომლობითი სასწავლო პროექტის განხორციელებისთვის:

- იდეა/პრობლემა/მიზანი
- საქმიანობათა ერთობლიობა
- განმახორციელებელთა ჯგუფი/გუნდი
- რესურსები/ბიუჯეტი
- დაწყებისა და დამთავრების დრო

შეიძლება განვიხილოთ სასწავლო პროექტის 4 ეტაპი:

- იდეის ჩამოყალიბება (დაგეგმვა)
- მომზადება
- განხორციელება
- შედეგების წარდგენა

მრავალწლიანმა პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ მართვის თვალსაზრისით არსებობს სასწავლო პროექტების რამდენიმე ფორმა:

- პედაგოგი აყალიბებს იდეას, გეგმავს, ამზადებს და აანალიზებს ინდივიდუალურად; მოსწავლეები, როგორც შემსრულებლები, მხოლოდ ჩატარების პროცესში ერთვებიან.

- პედაგოგი აყალიბებს იდეას, გეგმავს, ამზადებს, ატარებს და აანალიზებს, მოსწავლეების თანამონაწილეობით სრულდება სხვადასხვა ეტაპები.
- მოსწავლეები აყალიბებენ იდეას, გეგმავენ, ამზადებენ, ატარებენ და აანალიზებენ. მასწავლებელი მონიტორინგს ახორციელებს და შეფასებებს გადაამოწმებს.

ამ დონეებს შორის საზღვარი ნათელი და მკაცრი არ არის; შესაძლოა გარკვეულ ფორმებს შორისაც მოხდეს დონეების გამოკვეთა, როდესაც მოსწავლეებსა და პედაგოგს შორის ხდება პასუხისმგებლობების გადანაწილება.

სასწავლო პროექტად შეიძლება იქცეს ნებისმიერი ღონისძიება, თუ:

- იგი ემსახურება კონკრეტული მიზნის მიღწევას (პრობლემის მოგვარებას);
- მასში (დაგეგმვა-მომზადება-განხორციელება-გააზრება) ჩართული არიან ის ადამიანები (მოსწავლეები), ვინც უნდა ისწავლოს; ჩართულ პირებს შორის განაწილებულია საქმიანობები და პასუხისმგებლობები;
- მას აქვს განსაზღვრული (წინასწარ დაგეგმილი ან სავარაუდო) ვადები;
- არსებობს საქმიანობების ჩამონათვლის გაწერა დროის მიხედვით (სამოქმედო გეგმა);
- საქმიანობების მიხედვით გაწერილია საჭირო რესურსები (შედგენილია ბიუჯეტი).

განვიხილოთ ერთი მაგალითი და ვნახოთ, როგორ შეიძლება კონკრეტული საქმიანობა ვაქციოთ პროექტად.

წარმოვიდგინოთ, რომ ვართ პედაგოგი, რომელიც მოსწავლეებისთვის პირველი დონის პროექტს გეგმავს.

მოყვანილი მაგალითი შეგიძლიათ გამოიყენოთ ჩონჩხად, შეცვალოთ და გააუმჯობესოთ.

იდეა - **კედლის გაზეთის გამოშვება გარკვეულ თემაზე**

მასწავლებელი გეგმავს: მოსწავლეები გამოუშვებენ კედლის გაზეთს (ჩვეულებრივი საქმიანობა, რომელიც არა ერთ პედაგოგს და უამრავ მოსწავლეს განუხორციელებია). რა არის საჭირო, რომ ეს საქმიანობა პროექტად იქცეს?

განვიხილოთ ნაბიჯ-ნაბიჯ:

- რა მიზნით ვაკეთებინებთ მოსწავლეებს კედლის გაზეთს? ჩავიწეროთ შედეგები, რომლებიც გვინდა გვქონდეს მას შემდეგ, რაც მოსწავლეები დაასრულებენ გაზეთზე მუშაობას. აღმოვაჩენთ, რომ საკმაოდ ბევრი რამ შეიძლება იყოს ჩვენი მიზანი. ავარჩიოთ ერთი ან მეტი კონკრეტული მიზანი (მაგ.: მოსწავლეებს შეეძლებათ დაწერონ კედლის გაზეთისთვის ესე; მოსწავლეებს ეცოდინებათ რა განსხვავებაა ხმაურსა და მუსიკას შორის; მოსწავლეებს გაუჩნდებათ სურვილი, მეტი შეისწავლონ მინერალების შესახებ; ან მოსწავლეებს ეცოდინებათ, ცვლადი დენი და მასთან დაკავშირებული მოვლენები და სხვა...);
- მიზნიდან გამომდინარე, ვგეგმავთ, რა კონკრეტული საქმიანობები უნდა გააკეთონ მოსწავლეებმა;

- თითოეული საქმიანობისთვის განვსაზღვრავთ დაწყების და დამთავრების სავარაუდო დროს;
- საქმიანობებისთვის ვაკონკრეტებთ რესურსებს (მათ შორის ადამიანურ რესურსებს- პასუხისმგებლებსა და შემსრულებლებს);
- ვაძლევთ მოსწავლეებს დავალებებს და დროს ამ დავალების შესასრულებლად, უზრუნველვყოფთ შესაბამისი რესურსებით (წიგნები, ჟურნალები, საინტერესო ადამიანების ტელეფონის ნომრები; ფლომასტერები, ფოტოები, ფურცლები...);
- ორგანიზებას ვუკეთებთ მოსწავლეების მიერ შესრულებული დავალების (კედლის გაზეთის) პრეზენტაციას;
- პრეზენტაციის დასრულების შემდეგ ერთად განვიხილავთ, რა გამოვიდა კარგად და რისი გაუმჯობესება შეიძლება მომავლისათვის.

თუ ყველაფერ ამას გავაკეთებთ, პროექტი „კედლის გაზეთი“ წარმატებით დასრულებულად ჩაითვლება.

მართვის შემდეგ დონეებზე პედაგოგის ჩარევა მცირდება და იზრდება მოსწავლეთა აქტიურობა ყველა ეტაპზე.

უნდა აღვნიშნოთ, რომ დროთა განმავლობაში პროექტებში მონაწილეობა სასკოლო, ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე, ხელს უწყობს, რომ მოსწავლეებს განუვითარდეთ ის საკვანძო კომპეტენციები, რომლებიც ევროკავშირის მიერ არის შემუშავებული მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლისთვის:

- მშობლიურ ენაზე კომუნიკაცია;
- უცხო ენაზე კომუნიკაცია;
- მათემატიკური კომპეტენცია და საბაზისო კომპეტენციები მეცნიერებასა და ტექნოლოგიაში;
- ციფრული კომპეტენცია;
- დამოუკიდებლად სწავლის უნარი;
- პიროვნებათაშორისი, კულტურათაშორისი, სოციალური კომპეტენციები და მოქალაქეობრივი კომპეტენცია;
- მეწარმეობა;
- კულტურული გამომხატველობა

დაინტერესებული პედაგოგები 300-მდე ქართულ და 200-მდე საერთაშორისო პროექტის იდეას შეგიძლიათ გაეცნოთ საიტებზე. www.iearn.org (Projects), www.gearn.blogspot.com (საცდელი და დამტკიცებული პროექტები). მათ კი, ვისთვისაც ინტერნეტი ხელმისაწვდომი არაა, შეუძლიათ შეეკითხონ კოლეგებს, მოსწავლეებს, ან უბრალოდ გააკეთოთ ჩამონათვალი:

”მე ამისგან გავაკეთებ: ...”

4.8 როგორ დავგეგმოთ და განვახორციელოთ პროექტ- გაკვეთილი

სოფიკო ლობჟანიძე
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
პროფესორი

მასწავლებლის პორტფოლიოს ერთ-ერთი კომპონენტი უნდა იყოს მის მიერ დაგეგმილი და განხორციელებული პროექტგაკვეთილი, რომელსაც ეძღვნება წინამდებარე სტატია.

პროექტგაკვეთილი არის სწავლების განსაკუთრებული ფორმა, რომლის დროსაც მასწავლებლები და მოსწავლეები მიმართავენ ერთობლივად ფორმულირებულ თემას/საკითხს, პრობლემას, მის დასამუშავებლად ადგენენ გეგმას, მონაწილეობენ ამ გეგმის შესრულებაში და წარმოადგენენ ერთ საერთო პროდუქტს.

პედაგოგიურ ლიტერატურაში პროექტგაკვეთილის სხვადასხვა სინონიმი გვხვდება: პროექტმეთოდი, პროექტზე დაფუძნებული სწავლება, სასწავლო პროექტი და სხვ.

პროექტგაკვეთილი როგორც მასწავლებლის, ასევე მოსწავლეების წინაშე სრულიად ახალ ამოცანებს აყენებს, რომლებიც მას არსებითად განასხვავებს ტრადიციული გაკვეთილისგან. პროექტით სწავლება გულისხმობს სასწავლო პროცესში სკოლისგარეშე დაწესებულების ჩართვას. პროექტით სწავლებასთან ერთად იზრდება ორივე მხარის - როგორც მასწავლებლის, ასევე მოსწავლის - კომპეტენციის მოპოვების პოტენციალი და შესაძლებლობები. პროექტგაკვეთილი მასწავლებელს მისცემს შესაძლებლობას, როგორც სასწავლო პარტნიორმა, სრულად წარმოაჩინოს თავისი აღმზრდელობითი და პროფესიული კომპეტენცია.

პროექტ- გაკვეთილის დამახასიათებელი ნიშნები:

სწავლების სხვა მეთოდებისგან პროექტგაკვეთილი შემდეგი ტიპობრივი ნიშნებით გამოირჩევა:

- პროექტის ინიციატივა მომდინარეობს პროექტის მონაწილეთაგან - როგორც მასწავლებლისგან, ასევე მოსწავლეებისგან;
- პროექტის მონაწილეები თანხმდებიან ერთმანეთთან ურთიერთობის ფორმებზე;
- ერთად ავითარებენ პროექტის ინიციატივას, რათა საქმიანობა იყოს გააზრებული და რაციონალური;
- თანხმდებიან პროექტგაკვეთილის მიზანზე, აქტივობებზე, მუშაობის პირობებზე, სავარაუდო შედეგებზე;
- თავად შემოსაზღვრავენ დროით ჩარჩოს და ამ დროს სხვადასხვა აქტივობაზე ანაწილებენ;

- თანხმდებიან სამუშაოს ჩარჩოებზე - შესაძლებლობებისა და ინტერესების გათვალისწინებით ინაწილებენ სამუშაოს;
- მთელი პროექტის მიმდინარეობისას ამჟღავნებენ როგორც ინდივიდუალურ, ასევე ჯგუფურ ინტერესს, ანგარიშს უწევენ ორივეს, ორივეს კრიტიკულად აფასებენ და ავითარებენ;
- მოსწავლეებს უვითარდებათ თვითორგანიზაციისა და თვითპასუხისმგებლობის გრძნობა;
- აფასებენ როგორც საკუთარ, ასევე პროექტის სხვა მონაწილეთა საქმიანობას;
- გრძნობენ მუშაობის პროცესში თავჩენილ პრობლემებს, დაძაბულობასა და კონფლიქტებს და ცდილობენ მათ მოგვარებას;
- მზად არიან სხვადასხვა სიტუაციაში ერთმანეთის დასახმარებლად, მაშინაც კი, როცა მათი ინდივიდუალური ინტერესი არ არის წინა პლანზე;
- საქმე აქვთ რეალურ, ცხოვრებისეულ სიტუაციებსა და საგნებთან;
- მსჯელობენ აქტუალურ და პრობლემურ საკითხებზე, რომლებსაც თავად აწყდებიან, ეძებენ მათი მოგვარების გზებს;
- თავად გეგმავენ და აწარმოებენ კვლევის პროცესს;
- თვალნათლივ ხედავენ პროექტის შედეგს;
- ხშირად იღებენ მათთვის გამოსადეგ პროდუქტს.

რა სფეროებს შეიძლება მოიცავდეს პროექტგაკვეთილის თემა?

პროექტზე დაფუძნებული სწავლება ხელს უწყობს მონაწილეთა წინარე ცოდნასა და გამოცდილებაზე ახლის დაშენებას. ამასთან, პროექტმეთოდში დიდი მნიშვნელობა ენიჭება მონაწილეთა მოთხოვნილებებს, მიდრეკილებებსა და ინტერესებს. პროექტგაკვეთილის თემა უნდა იყოს აქტუალური და იგი შესაძლოა:

- ეხებოდეს პრობლემას, რომლის გადაჭრა ერთი საგნის დისციპლინარული ცოდნით შემოიფარგლება, ანდა დისციპლინათაშორისი გამოცდილების გამთლიანებას ემსახურება.

  სასურველია, სხვადასხვა საგნისა და საგნობრივი ჯგუფის პედაგოგებმა ერთობლივად დაგეგმონ და განახორციელონ პროექტგაკვეთილები, რადგან საგანთა მომცველ - ინტერდისციპლინარულ - პროექტებში მონაწილეობა მოსწავლეებს ერთი და იმავე საკითხის მრავალი კუთხით დანახვაში ეხმარება. ამ დროს მოსწავლეებს გამოუმუშავდებათ ტრანსფერისა (ერთ სიტუაციაში მიღებული ცოდნის სხვა სიტუაციაში გამოყენების) და სხვადასხვა დისციპლინური გამოცდილების სინთეზის უნარი.

- სცილდებოდეს სასწავლო პროგრამას და განპირობებული იყოს აღმზრდელობითი მიზნით, საზოგადოებაში/თაობაში არსებული პრობლემით, მოსწავლეთა ინტერესით.

<u>პროექტგაკვეთილის დაგეგმვისას მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს, რომ:</u>

- სასწავლო პროექტის თემის შერჩევაში, დაგეგმვასა და პრობლემის მართვაში აქტიურად უნდა მონაწილეობდეს მოსწავლე. ის არ უნდა იყოს მხოლოდ შემსრულებლის, მით უმეტეს, ტექნიკური შემსრულებლის როლში;
- გადასაჭრელი პრობლემა პროექტის მონაწილეთათვის იყოს მნიშვნელოვანი, აქტუალური;
- პროექტ-გაკვეთილი დაიგეგმოს პრაქტიკული საქმიანობისთვის და არა ღირსშესანიშნავი/საჩვენებელი დღეებისთვის; მაშასადამე, დაგეგმილი აქტივობები უნდა ემსახურებოდეს თეორიული ცოდნის პრაქტიკულ გამოყენებას.

გარდა ამისა, გასათვალისწინებელია:

- მოსწავლეთა ასაკობრივი მზაობა და ამ მზაობის შესაბამისი რესურსების გამოყენება;
- საკმარისია თუ არა მოსწავლეთა კომპეტენცია პროექტით დასახული მიზნებისა და დაგეგმილი შედეგების მისაღწევად;
- საკმარისია თუ არა ვადები პროექტის შედეგების მისაღწევად;
- არის თუ არა გუნდის წევრებს შორის ფუნქციები განაწილებული ისე, რომ წარმოჩნდეს ყოველი წევრის ძლიერი მხარე.

უნარები, რომლებიც აუცილებელია პროექტზე სამუშაოდ:

პროექტზე მუშაობის დროს მოსწავლეებს უნდა ჰქონდეთ საინფორმაციო სივრცეში ორიენტაციისა და დამოუკიდებელი სწავლის უნარ-ჩვევები, ასევე - ანალიტიკური, შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნების უნარები. აუცილებელია, მასწავლებელმა როგორც ექსპერტმა იგრძნოს, როდის არის საჭირო ჩარევა და როდის უნდა მისცეს მოსწავლეებს დამოუკიდებელი მუშაობის საშუალება. სპეციალისტები მასწავლებლის ამ როლს „მონაწილე ხელმძღვანელს“ უწოდებენ და ამით ნათელყოფენ, რომ მასწავლებელი ახდენს მოსწავლის პროვოცირებას პასიურიდან აქტიურ მდგომარეობაში გადასაყვანად, რათა მან შეიძინოს ის აუცილებელი კომპეტენციები, რომლებიც პროექტზე მუშაობას გაუადვილებს:

თანამშრომლობის კომპეტენცია, რაც აუცილებელია ჯგუფური პროექტების განსახორციელებლად;

- კომუნიკაციის კომპეტენცია კონტაქტების დასამყარებლად, ერთობლივი განსჯისა და მუშაობისთვის;
- ორგანიზაციის კომპეტენცია, რომელიც მას პროექტის დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში გამოადგება;
- პროდუქციის შექმნის კომპეტენცია, რაც მას გამოადგება ტექსტების, ვიდეოჩანაწერების, ფოტოების, რეპორტაჟების, ვებგვერდებისა და სხვათა მოსამზადებლად;

- ცოდნის ტრანსფერი - ერთ სიტუაციაში ნასწავლის სხვა სიტუაციაში გამოყენების უნარი;
- პასუხისმგებლობის კომპეტენცია;
- თვითშეფასების კომპეტენცია;
- პრეზენტაციის კომპეტენცია, რომელიც აუცილებელია პროდუქტის პლენუმზე ან სულაც საზოგადოების წინაშე წარსადგენად.
- პროექტგაკვეთილების ხანგრძლივობა და მოცულობა
- სასწავლო პროექტები მცირე, საშუალო და დიდ პროექტებად იყოფა.

მცირე პროექტები ორიდან ექვს საათამდე გრძელდება და ხშირად მხოლოდ ორი ან სამი კომპონენტისგან შედგება. საშუალო პროექტების ხანგრძლივობა საშუალოდ ერთი კვირა ან ორმოცი საათია, რომელიც შეიძლება გადანაწილდეს ერთ სემესტრზეც. დიდი პროექტები შესაძლოა რამდენიმე წელი გრძელდებოდეს და მასში მონაწილეობდეს რამდენიმე ჯგუფი ან ინსტიტუტი.

პროექტმეთოდის სქემა

პროექტგაკვეთილს აქვს განსაზღვრული სტადიები. ნებისმიერ სტადიაზე მთავარია, მოსწავლეს შესაძლებლობა მიეცეს, თავად იყოს პასუხისმგებელი საკუთარ ნამუშევარზე.

მოკლედ განვიხილოთ პროექტმეთოდის სქემა.

<u>პროექტის ინიციატივა</u>

მასწავლებელი ან ჯგუფის ერთი ან რამდენიმე წევრი აღძრავენ სტიმულს კონკრეტულ პროექტზე. ისინი ჯგუფს გააცნობენ იდეას, მის აქტუალობას, მოუხაზავენ ამოცანებს. ეს არის მხოლოდ აუდიტორიისადმი/მომავალი პროექტის პოტენციური მონაწილეებისადმი მიმართული წინადადება. განვითარდება თუ არა ამ წინადადებისგან პროექტი, დისკუსიის შედეგად გადაწყდება.

<u>დისკუსია პროექტინიციატივის ირგვლივ (შედეგი - პროექტის მონახაზი)</u>

ამ ეტაპზე ხდება პროექტინიციატივის განხილვა. შემოთავაზებული პროექტინიციატივა დისკუსიის დროს შესაძლოა შეივსოს, დაიხვეწოს. ხშირად ხდება, რომ ინიციატივა ახალ იდეებს წარმოშობს. პროექტის პოტენციური მონაწილეები განიხილავენ ყველა შეთავაზებულ იდეას, მათ აქტუალობას, მიზანს, განხორციელების შესაძლებლობას, მონაწილეობის სურვილს და სხვ.

დისკუსია პროექტინიციატივის ირგვლივ შესაძლოა ნეგატიური შედეგით დასრულდეს - პროექტის იდეამ ვერ პოვოს თანხმობა. პოზიტიური შეთანხმების შემთხვევაში დისკუსია სრულდება პროექტის მონახაზით.

<u>ქმედების სფეროს ერთობლივი განვითარება (შედეგი - პროექტის გეგმა)</u>

ამ ეტაპზე მასწავლებელმა და მოსწავლეებმა ერთობლივად უნდა გადაწყვიტონ, როდის იწყებენ პროექტზე მუშაობას, რა აქტივობებია/ამოცანებია განსახორციელებელი მიზნის მისაღწევად, რამდენი ხანი დასჭირდება თითოეული აქტივობის შესრულებას, რა რესურსებია აუცილებელი, სად შეიძლება მათი მოძიება, მოსწავლეები სათითაოდ იმუშავებენ თუ ჯგუფებად, ერთსა და იმავე თემებზე იმუშავებენ თუ სხვადასხვაზე, განსაზღვრავენ, რა წვლილის შეტანა შეუძლიათ პროექტის წარმატებით განხორციელებაში. ამ დროს მნიშვნელოვანია, მოსწავლეებმა ადეკვატურად შეაფასონ საკუთარი შესაძლებლობები.

მაშასადამე, ამ ეტაპზე მნიშვნელოვანია დამუშავდეს, ვინ, როგორ, რას და რა ხნის განმავლობაში აკეთებს. დასასრულ, უნდა შედგეს პროექტის გეგმა.

<u>დაგეგმილის განხორციელება</u>

როდესაც პროექტის მონაწილეები შეთანხმდებიან პროექტის გეგმაზე და წერილობით გააფორმებენ მას, იწყება პროექტის განხორციელება. პროექტის თითოეული მონაწილე პასუხისმგებელია იმ ამოცანაზე, რომლის შესრულებაც თავად იკისრა ან სხვა მონაწილეებმა დააკისრეს. პროექტის მიმდინარეობის პროცესში სასურველია მოხდეს მისი შუალედური შეფასება/მონიტორინგი, რაც გათვალისწინებული უნდა იყოს პროექტის გეგმითაც.

<u>პროექტის დასასრული</u>

პროექტგაკვეთილი სრულდება შედეგების პრეზენტაციით (წერილობითი ანგარიში, მაკეტი, აქცია, გამოფენა, კონფერენცია და ა.შ.).

<u>განხორციელებული პროექტის განხილვა და საბოლოო შეფასება</u>

ამ ეტაპზე მონაწილეები კიდევ ერთხელ მსჯელობენ პროექტზე, მის შედეგზე, ამ შედეგის ძლიერ და სუსტ მხარეებზე, რაც ხშირად ბადებს ახალი პროექტის განხორციელების იმპულსს. მაშასადამე, პროექტი მთავრდება და იბადება ახალი პროექტის იდეა.

როგორ უნდა გაფორმდეს პროექტის გეგმა?

<u>პროექტის დასახელება</u> – პროექტის სათაურში ლაკონურად ასახეთ პროექტის ძირითადი არსი.

<u>პრობლემის განსაზღვრა</u> და მისი აქტუალობის დასაბუთება - აღნიშნეთ კონკრეტული პრობლემა, რომლსაც ეძღვნება პროექტი და არგუმენტირებულად დასაბუთეთ მისი აქტუალობა.

<u>მიზანი</u> - ჩამოაყალიბეთ პროექტის მიზანი, მოახდინეთ მისი ფორმულირება ნათლად და კომპაქტურად, აღწერეთ მოსალოდნელი შედეგები.

<u>ამოცანები</u> და განხორციელების გზები - ამოცანები ის ეტაპებია, რომელთა თანამიმდევრული და ზუსტი განხორციელებით რეალიზდება მიზანი. მაშასადამე, ამოცანები არის საშუალება მიზნის მისაღწევად.

პროექტის განსახორციელებლად დაგეგმილი თითოეული ამოცანისთვის წარმოადგინეთ:
. მოკლედ და მკაფიოდ ფორმულირებული ამოცანების აღწერა;
. ამოცანის განსახორციელებლად საჭირო დრო;
. ამოცანის განსახორციელებლად საჭირო რესურსები;
. ამოცანის მოსალოდნელი შედეგი;
. მოსალოდნელი შედეგის ამსახველი მასალა;
. ამოცანის შესრულებაზე პასუხისმგებელი მთავარი პირი;

<u>მოსალოდნელი შედეგები</u> - ამ ნაწილში უნდა აღწეროთ ის სავარაუდო ეფექტი ან მოსალოდნელი შედეგი, რაც მოჰყვება პროექტის წარმატებით განხორციელებას. შედეგები რეალისტური უნდა იყოს და პროექტის მიზნებიდან და ამოცანებიდან გამომდინარეობდეს.

პროექტი განხორციელებულად ჩაითვლება, თუკი მისი შედეგები თვალსაჩინოდ და დამაჯერებლად, კორექტული ფორმით იქნება წარმოდგენილი. შედეგი შეიძლება იყოს ანგარიში, ფილმი, გამოფენა, აუდიოკასეტა, ლექცია, სურათი, კონფერენცია... უმჯობესია, თუ აუდიტორიას გააცნობენ არა მარტო შედეგებს, არამედ პროექტზე მუშაობის ყველა სტადიის ამსახველ დოკუმენტებსაც, სადაც ჩანს, რას გრძნობენ მოსწავლეები პროექტთან დაკავშირებით, რა ცოდნა და უნარები შეიძინეს. სამუშაო შეიძლება წარდგენილი იყოს კლასის ან უფრო ფართო აუდიტორიის წინაშე.

<u>პროექტის შეფასება და თვითშეფასება</u> - ვინაიდან ერთი და იგივე პროექტი ხშირად რამდენიმე სფეროს მოიცავს, სამუშაოს შეფასება შესაძლოა რამდენიმე პედაგოგს მოუწიოს. შეფასებისას გათვალისწინებული უნდა იყოს არა მარტო აკადემიური კრიტერიუმები, არამედ პროექტში გამოყენებული ყველა ცოდნა და უნარი. პროექტის დაგეგმვის დროს აუცილებლად გასათვალისწინებელია შეფასების მექანიზმი და პერიოდულობა - როგორ წარმოუდგენიათ პროექტის მონაწილეებს (როგორც მასწავლებლებს, ასევე მოსწავლეებს) პროექტის შუალედური და საბოლოო მონიტორინგი. შიდა მონიტორინგის დროს პროექტის განმხორციელებლები აფასებენ, როგორი წარმატებით მიმდინარეობს პროექტი. შუალედური შიდა მონიტორინგის (თვითშეფასების) მუდმივი წარმოება პროექტის მონაწილეებს დაეხმარება, დაინახონ მუშაობის პროცესში დაშვებული შეცდომები, გამოასწორონ ისინი, შეძლონ დასახული ამოცანების ადაპტირება, ეს კი ხელს შეუწყობს პროექტის წარმატებით განხორციელებას და სასურველი შედეგის მიღებას. გარე მონიტორების მხრიდან შუალედური შეფასებისთვის პროექტში ჩართულმა პირებმა პერიოდულად უნდა მოამზადონ შუალედური წერილობითი თუ ზეპირი ანგარიშები. გარე მონიტორების მიერ მიცემული შენიშვნების, რჩევების, რეკომენდაციების გათვალისწინება აგრეთვე შეუწყობს ხელს პროექტის წარმატებით განხორციელებას. პროექტის საბოლოო შეფასება კი საშუალება აძლევს პროექტის განმხორციელებლებს, დაინახონ მისი ძლიერი თუ სუსტი მხარეები და ეს მომდევნო პროექტზე მუშაობისას გაითვალისწინონ.

<u>პროექტის ბიუჯეტი</u> - არსებობს პროექტგაკვეთილები, რომელთა წარმატებით განხორციელებისთვის გარკვეული სახსრებია აუცილებელი. ამ შემთხვევაში პროექტის გეგმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პუნქტია პროექტის ბიუჯეტი, რომელიც ლოგიკურად

უნდა უკავშირდებოდეს პროექტის აღწერაში მითითებულ ამოცანებს. მნიშვნელოვანია, რომ ბიუჯეტის შედგენისას თანხები ყველა საჭირო აქტივობასა და რესურსზე რაციონალურად და ადეკვატურად იყოს განაწილებული.

მაშასადამე, სკოლის პროექტგაკვეთილის მიმდინარეობა შეიძლება დაიყოს შემდეგ ფაზებად:

. ინიციატივა - ინიციატივა ჩნდება, იდეები პროექტგაკვეთილისთვის ნაპოვნია;

. დასაწყისი - პროექტი დაიწყო და დაიგეგმა;

. განხორციელება - პროექტი ხორციელდება;

. პრეზენტაცია - პროექტის შედეგების წარდგენა;

. შეფასება (რეფლექსია) - პროექტი ფასდება და გრძელდება.

მოდული 5:

შეფასების მეთოდები

5.1 შეფასების არსი, ტიპები და ინსტრუმენტები

შეფასება არის სწავლის შედეგების ანალიზის პროცესი წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით. სწავლის შედეგები აღიწერება კომპეტენციებით. საკვანძო კომპეტენციების ევროპული ჩარჩოს თანახმად, კომპეტენცია არის კონტექსტის შესაბამისი ცოდნის, უნარ-ჩვევებისა და დამოკიდებულებების კომბინაცია.

შეფასება სწავლისა და სწავლების პროცესის ერთ–ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილია. შეფასების სხვადასხვა მეთოდები და სტრატეგიები პირველ რიგში **მოსწავლის აკადემიური მიღწევების შესამოწმებლად გამოიყენება**, თუმცა შეფასებას, როგორც პროცესს, გაცილებით უფრო ფართო მიზნები აქვს:

მაგალითად, შეფასების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დანიშნულება **თავად სწავლა - სწავლის პროცესის გაუმჯობესებაა.** შეფასების პროცესში მოსწავლეც მეტს იგებს საკუთარი სუსტი და ძლიერი მხარეების შესახებ, მონაწილეობს სწავლა-სწავლების პროცესის გაუმჯობესების სტრატეგიების დაგეგმვაში.

მოსწავლეთა შეფასების შედეგები, ასევე, ირიბად მიგვანიშნებს **სწავლა-სწავლების კონკრეტული მეთოდიკის ეფექტურობაზე, ხელს უწყობს საწავლო პროგრამების ეფექტურობის განსაზღვრასა და სრულყოფას.**

გარდა ამისა, შეფასება მოსწავლეებს, მშობლებსა და მასწავლებლებს შორის **კომუნიკაციის დამყარების საშუალებაა.**

შეფასების პროცესის სწორად და ეფექტურად დაგეგმვა რთული და კომპლექსური პროცესია, მაგრამ სამოქალაქო განათლების სწავლების პროცესში ეს კიდევ უფრო რთულ ამოცანას წარმოადგენს. სამოქალაქო განათლებაში მოსწავლის შეფასების სირთულეს წარმოადგენს ის, რომ ძირითადად ხდება უნარ-ჩვევებისა და დამოკიდებულებების შეფასება, რისთვისაც მასწავლებელს სჭირდება მოსწავლის ქცევაზე დაკვირვება კომპლექსური დავალებების შესრულებისას (ჯგუფური მუშაობა, დისკუსია, როლური თამაში და ა.შ.). ამიტომ სამოქალაქო განათლების ფორმატში დიდი მნიშვნელობა ენიჭება შეფასების მრავალმხრივი მეთოდების გამოყენებასა და ამ მეთოდების სწორად შერჩევას, შეფასების ამოცანებიდან და დავალების სპეციფიკიდან გამომდინარე.

შეფასების ფორმები

მოსწავლის შეფასება სხვადასხვა მიზანს ემსახურება, შესაბამისად, არსებობს შეფასების სხვადასხვა ფორმები. შეფასების ორი უმნიშვნელოვანესი ფორმა, რომელიც სწავლისა და სწავლების განუყოფელ და სისტემურ ნაწილს წარმოადგენს არის განმავითარებელი და

განმსაზღვრელი შეფასება. მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელმა იცოდეს, თუ როდის და რა მიზნით უნდა გამოიყენოს შეფასების ესა თუ ის ფორმა.

- **განმსაზღვრელი შეფასება** აკონტროლებს სწავლის ხარისხს, ადგენს მოსწავლის მიღწევის დონეს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მიზნებთან მიმართებაში. განმსაზღვრელ შეფასებაში იწერება ქულა.
- **განმავითარებელი შეფასება** აკონტროლებს თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკას და ხელს უწყობს სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას.

განმავითარებელ შეფასებას შეიძლება ჰქონდეს როგორც წერილობითი ისე ვერბალური ფორმა. იგი უნდა შეიცავდეს დეტალურ ინფორმაციას მოსწავლის სუსტ და ძლიერ მხარეებზე და, ამავდროულად, შეიცავდესს რეკომენდაციებს სწავლის გაუმჯობესების შესახებ.

განმავითარებელი შეფასების მიმღები პირველ რიგში მოსწავლეა, თუმცა განმავითარებელი შეფასების შედეგები მასწავლებლისთვისაც შეიცავს საინტერესო ინფორმაციას, ეხმარება მას სასწავლო პროცესის მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებაში, სწავლების პროცესის ხარვეზების გამოვლენაში.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ შეფასებას ყოველთვის მასწავლებელი არ ახდენს. შეფასებაში უნდა მონაწილეობდნენ მოსწავლეებიც, მაგალითად თვითშეფასების ან ურთიერთშეფასების გზით. თვითშეფასება და ურთიერთშეფასება მოსწავლეს საკუთარი და თანაკლასელების სწავლის შედეგების კრიტიკულ გააზრებაში ეხმარება.

მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელი სისტემატურად იყენებდეს როგორც განმსაზღვრელ ისე განმავითარებელ შეფასებას. ამავე დროს, სასურველია განმავითარებელი შეფასების წილი უფრო მეტი იყოს, ვიდრე განმსაზღვრელის.

შეფასების ინსტრუმენტები

შეფასების პროცესში მასწავლებელი მრავალ განსხვავებულ ინსტრუმენტს იყენებს. ამ ინსტრუმენტებს მიეკუთვნება:

- ტესტები დახურული კითხვებით
- კითხვარი ღია კითხვებით (თემატურ შეკითხვებზე წერილობითი პასუხები/მოკლე ჩანაწერის ფორმატი)
- ვრცელი წერითი ნამუშევარი (ესსე, თემა, ანგარიში)
- ვიზულარი ნამუშევარი (კედლის გაზეთი, საპრეზენტაციო პოსტერი, ელექტრონული პრეზენტაცია)
- ზეპირი გამოსვლა (თხრობა, ზეპირი ანგარიში, დისკუსია, დებატი და სხვა)
- როლური თამაში
- ჩანაწერების ან მიმოწერის დღიური
- არაფორმალური დაკვირვება

- ფორმალური დაკვირვება განსაზღვრული ინდიკატორების მიხედვით
- მოსწავლეთა თვითშეფასება
- აღრიცხვის ფურცელი
- ინტერვიუ
- გამოკითხვა
- პორტფოლიო
- თანამშრომლობითი სასწავლო აქტივობები (მაგ. ჯგუფური მუშაობა და სხვა)
- მოსწავლეთა ურთიერთშეფასება

ჩამოთვლილი ინსტრუმენტების უმრავლესობის გამოყენება შესაძლებელია როგორც განმავითარებელი, ისე განმსაზღვრელი შეფასებისას.

განმავითარებელი შეფასების სტრატეგიები

იმისათვის, რომ განმავითარებელმა შეფასებამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს მოსწავლეთა სწავლის შედეგების გაუმჯობესების პროცესში, მნიშვნელოვანია რამდენიმე მნიშვნელოვანი პირობის დაცვა.

პირველი ძალიან მნიშვნელოვანი პირობა არის ის, რომ მოსწავლეთა შეფასება მოხდეს წინასწარ განსაზღვრული, მკაფიო **კრიტერიუმების** მიხედვით. ამგვარი კრიტერიუმების არსებობა მნიშვნელოვანია როგორც მასწავლებლის მიერ მოსწავლეთა შეფასების, ისე თავად მოსწავლეთა თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების პროცესში.

კრიტერიუმები შეიძლება განისაზღვროს შეფასების ნებისმიერი ინსტრუმენტისათვის. კრიტერიუმების არსებობა ეხმარება მასწავლებელსა და მოსწავლეს, გაამახვილოს ყურადღება სწავლის პროცესის ყველაზე მნიშვნელოვან მიზნებზე, შეაფასოს შედეგები და დასახოს გაუმჯობესების სტრატეგიები ამ მიზნებთან მიმართებაში.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პირობა, რომელიც დაცული უნდა იყოს შეფასებისას, არის **უკუკავშირის გაცემის კორექტურლი ფორმა.** მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელმა თავად დაიცვას უკუკავშირის გაცემის წესები და, ასევე, ხელი შეუწყოს ამ წესების დაცვას იმ შემთხვევაში, როცა მოსწავლეები ახდენენ ურთიერთშეფასებას.

მოტივაციის თეორიებზე მსჯელობისას ჩვენ განვიხილეთ, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს სწორად გაცემულ უკუკავშირს მოტივაციის გაზრდისათვის. არაკორექტულ უკუკავშირს კი, პირიქით, შეუძლია გამოიწვიოს მოსწავლეთა დემოტივაცია. ამიტომ, განმავითარებელი შეფასების გაცემის სპეციფიკას ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

უკუკავშირის გაცემის მნიშვნელოვანი წესები შემდეგში მდგომარეობს:

- გაეცით უკუკავშირი შეძლებისდაგვარად დროულად;
- გაამახვილეთ ყურადღება პოზიტიურზე;
- უკუკავშირი კომუნიკაციის პროცესის ნაწილია - გამოიყენეთ ისეთი ტექნიკები, როგორიცაა არეკვლა, რაპორტი;

- დაამყარეთ ნდობა, პატივისცემით მოეპყარით მოასწავლეს;
- ყურადღება გაამახვილეთ იმ ასპექტებზე (ქცევაზე), რომელიც შეიძლება შეიცვალოს და არა პერსონალურ თვისებებზე;
- ისაუბრეთ და აღწერეთ სპეციფიური ქცევა და არა მოტივებილ
- როდესაც სთავაზობთ უარყოფით უკუკავშირს, აჩვენეთ ალტერნატივა;
- მიაქციეთ ყურადღება ვერბალური და არავერბალური გზავნილის თანხვედრაზე;
- ხელი შეუწყვეთ რეფლექსიას, დასვით ღია კითხვები: „ხელმეორედ რომ აკეთებდე დავალებას, შეცვლიდი რამეს? რას?“
- ნუ გადატვირთავთ გზავნილს, კონცენტრირება გააკეთეთ რამდენიმე მნიშვნელოვან ასპექტზე;
- გაეცით უკუკავშირი „სენდვიჩის პრინციპით“ - ყურადღება გაამახვილეთ პოზიტიურ ასპექტებზე, შემდეგ ნეგატიურზე, შემდეგ კი ისევ პოზიტიურზე.

5.2 შეფასების სქემები/ რუბრიკები

რუბრიკა არის მკაცრად განსაზღვრული კრიტერიუმებისა და მათი გამოყენების წესების ერთობიობა, რომლის მიხედვითაც მასწავლებელი აფასებს მოსწავლის აკადემიურ მოსწრებას ამა თუ იმ დისციპლინაში. როგორც წესი შეფასების სქემებს, რუბრიკებს ცხრილის ფორმა აქვთ. ცხრილის პირველ სვეტში (ან ალტერნატიული დიზაინის შემთხვევაში - სტრიქონში), მოცემულია სხვადასხვა კომპონენტი, რომელთა მიხედვითაც ხდება მოსწავლის მოსწრების შეფასება. მას მოსდევს აკადემიური მოსწრების სხვადასხვა დონეები და მათი შეფასების შესაბამისი რიცხვითი მნიშვნელობები.

მაგალითად, კარგი ნაშრომის (ესსე, რეფერატი) კრიტერიუმები შეიძლება იყოს: ტექსტის წყობა, წინადადებების სტრუქტურა, სიტყვების გამოყენება და ფორმატი.

შეფასების სქემებით, როგორც წესი, ფასდება კომპლექსური დავალებები ან აქტივობები, როგორიცაა, მაგალითად, თხუზულება, ზეპირი პრეზენტაცია, ჯგუფური მუშაობა, როლური თამაში ან პროექტზე მუშაობა. ტესტის შემთხვევაში რუბრიკების საჭირო არ არის.

არსებობს განსხვავებული ტიპის და დანიშნულების შეფასების სქემები. იმისა მიხედვით, თუ რა მიზანს ისახავს კონკრეტული შეფასება და როგორ მიიღწევა ეს მიზანი, განასხვავებენ ანალიტიკურ და პოლისტურ, ზოგად და კონკრეტულ შეფასების სქემებს.

ანალიტიკური და ჰოლისტური შეფასების სქემები

ისეთ შემთხვევებში, როდესაც მასწავლებელს სურს, რომ მოსაწავლის ცოდნა შეაფასოს ორი ან მეტი კრიტერიუმის მიხედვით, იგი იყენებს ან ქმნის ანალიტიკური შეფასების სქემას. იმის მიხედვით თუ რის შემოწმება/გაუმჯობესება სურს მასწავლებელს, მან სქემა შეიძლება 2-ზე მეტ კრიტერიუმად დაყოს. ანალიტიკური სქემის უპირატესობა არის ის, რომ მისი გამოყენების შემთხვევაში მასწავლებელსაც და მოსაწავლესაც ეძლევა კონკრეტული

ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, თუ რაში აქვს პრობლემები მოსწავლეს. ერთი და იგივე სქემის სისტემატიურად გამოყენება პროგრესის კარგი მონიტორინგის საშუალებას იძლევა.

ცხრილი 5.1 ანალიტიკური რუბრიკის მაგალითი: საკალასო პროცესებში მონაწილეობა

	კრიტერიუმები				ქულა
	4	**3**	**2**	**1**	
ჩართულობა	მოსწავლე პროაქტიულად მონაწილეობს საკლასო პროცესებში სვამს კითხვებს და გამოთქვამს იდეებს **რამდენჯერმე** გაკვეთილის განმავლობაში	მოსწავლე პროაქტიულად მონაწილეობს საკლასო პროცესებში სვამს კითხვებს და გამოთქვამს იდეებს **ერთხელ** გაკვეთილის განმავლობაში	მოსწავლე იშვიათად მონაწილეობს პროაქტიულად საკლასო პროცესებში - **იშვიათად** სვამს კითხვებს და გამოთქვამს იდეებს გაკვეთილის განმავლობაში	მოსწავლე არასოდეს მონაწილეობს პროაქტიულად საკლასო პროცესებში - **არასოდეს** სვამს კითხვებს და გამოთქვამს იდეებს გაკვეთილის განმავლობაში	____
მოსმენის უნარი	მოსწავლე **უსმენს სხვებს,** საკლასო და ჯგუფური დისკუსიების დროს. მოსწავლე ახდენს **სხვათა აზრების, იდეების ინტეგრირებას.**	მოსწავლე **უსმენს სხვებს,** საკლასო და ჯგუფური დისკუსიების დროს.	მოსწავლე **არ უსმენს სხვებს,** საკლასო და ჯგუფური დისკუსიების დროს.	მოსწავლე **არ უსმენს სხვებს,** საკლასო და ჯგუფური დისკუსიების დროს. **აწყვეტინებს სხვას საუბარს ან ხელს უშლის აზრის გამოთქმაში**	____
ქცევა	მოსწავლე **თითქმის არასოდეს** არღვევს კლასში ქცევის წესებს	მოსწავლე **იშვიათად** არღვევს კლასში ქცევის წესებს	მოსწავლე **ზოგჯერ** არღვევს კლასში ქცევის წესებს	მოსწავლე **თითქმის ყოველთვის** არღვევს კლასში ქცევის წესებს	____
მომზადების დონე	მოსწავლე **თითქმის ყოველთვის** მზადაა გაკვეთილისთვის, აქვს დავალება და შესაბამისი მასალები	მოსწავლე **უმეტესად** მზადაა გაკვეთილისთვის, აქვს დავალება და შესაბამისი მასალები	მოსწავლე **იშიათად** მზადაა გაკვეთილისთვის, აქვს დავალება და შესაბამისი მასალები	მოსწავლე **თითქმის არასოდესაა** მზად გაკვეთილისთვის, არ აქვს დავალება და შესაბამისი მასალები	____
				ჯამი---->	____

ანალიტიკური სქემისაგან განსხვავებით, ჰოლისტური შეფასების სქემაში ქულა იწერება არა ცალ-ცალკე კრიტერიუმების მიხედვით, არამედ ერთიანად. სქემის თითოეული დონე წარმოადგენს მოსწავლის შედეგების აღწერას ყველა კრიტერიუმისათვის.

ცხრილი 5.2 ჰოლისტური შეფასების სქემა; წერითი დავალება

დავალების მოთხოვნას პასუხობს სრულად. აზრი მკაფიოდ და თანმიმდევრულად არის გადმოცემული. გრამატიკა და ლექსიკა მოთხოვნის შესაბამისია. შეცდომების რაოდენობა უმნიშვნელოა.	3 ან 10–9
დავალების მოთხოვნას პასუხობს ნაწილობრივ. აზრი თანამიმდევრულად მხოლოდ ზოგ შემთხვევაშია გადმოცემული. გრამატიკა და ლექსიკა მოთხოვნაზე მარტივია. შეცდომების რაოდენობა ზოგ შემთხვევაში ხელს უშლის აზრის გაგებას.	2 ან 8–7
დავალების მოთხოვნას პასუხობს მცირედ. აზრის გაგება ჭირს. გრამატიკული და ლექსიკური შეცდომები არის წინადადებების უმეტესობაში.	1 6–5
ნაწერი დავალებას არ პასუხობს, ან აზრის გაგება შეუძლებელია, ან ფურცელი ცარიელია.	0 4–1

ზოგადი და კონკრეტული შეფასების სქემები

შეფასების სქემები შეიძლება იყოს როგორც დავალებათა ან უნარ-ჩვევათა ერთობლიობის შესაფასებლად, ისე ერთი კონკრეტული დავალების შესაფასებლად. დავუშვათ, მასწავლებლის მიზანია მოსწავლეებში პრეზენტაციის უნარების განვითარება. ამ მიზნისათვის მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად ქმნის პრეზენტაციის შეფასების სქემას (ან იყენებს მზა შეფასების სქემას), რომლის საშუალებითაც მოწმდება ზეპირი პრეზენტაციისათვის აუცილებელი უნარ–ჩვევების ერთობლიობა. ასეთი ზოგადი შეფასების სქემების უპირატესობა ისაა, რომ მათი გამოყენება მრავალჯერადად შეიძლება მანამ, სანამ მოსწავლე სასუველ შედეგს არ მიაღწევს. გარკვეული დროის განმავლობაში ერთი და იმავე შეფასების სქემის სისტემატიური გამოყენება და შედეგების შედარება მოსწავლის განვითარების ეფექტური საშუალებაა.

ქვემოთ მოცემულია შეფასების სქემის ზოგადი ნიმუში. შეფასების სქემის მიხედვით ფასდება პრეზენტაციის უნარები ზოგადად. თითოეული კატეგორია ფასდება სამი ქულით. 0 – დაბალი შეფასება, 1– საშუალო შეფასება, 2– მაღალი შეფასება. ქულების მინიჭება პირობითია, მასწავლებელი შემოხაზავს იმ ქულას, რომელსაც ანიჭებს მოსწავლეს.

ცხრილი 5.3 პრეზენტაციის შეფასების სქემა

მაქსიმალური ქულა:10 კრიეტერიუმები	ქულა
მომზადებულია; საუბრობს ფაქტებზე და არგუმენტებზე დაყრდნობით; პერიოდულად იყენებ წინასწარ მომზადებულ მოკლე ჩანაწერებს.	0–1–2
აუდიტორიას თავდაჯერებულად მიმართავს; ამყარებს თვალით კონტაქტს; ხმა და ინტონაცია დამაჯერებელია. წარმოთქმა –კარგი.	0–1–2
იყენებს ვიზუალურ მასალას: ფოტოებს, სურათებს და ა.შ. იყენებს ეკრანს, დაფას. არსებული რესურსებს იყენებს ეფექტურად.	0–1–2
პრეზენტაციის დასაწყისი და დაბოლოება ეფექტრია.	0–1–2
იცავს დროის ლიმიტს.	0–1–2

მასწავლებელს პერიოდულად უწევს ერთი კონკრეტული ფაქტის და მოვლენის ცოდნის შემოწმება/შეფასებაც. შესაბამისად, ასეთი ტიპის ამოცანისათვის უნდა აიგოს შეფასების

კონკრეტული სქემა. მაგალითად, ისეთ შემთხვევაში, როდესაც პრეზენტაცია კონკრეტულ ისტორიულ ფაქტზეა ან მოვლენაზეა, შეფასების სქემაც ისე უნდა შეიქმნას, რომ მასში სწორედ ამ კონკრეტული ფაქტის ან მოვლენის, ასევე მისი გამომწვევი მოვლენების და ფაქტორების შეფასება იყოს გათვლისწინებული. ასეთ შემთხვევაში დგება ერთჯერადად გამოსაყენებელი შეფასების სქმეა. ასეთი სქემა ამოწმებს მოსწავლის ცოდნას ერთ კონკრეტულ საკითხში.

შესაძლებელია ისეთი შეფასების სქემის შედგენაც, რომელიც აერთიანებს ზოგადი და კონკრეტული შეფასების სქემების მახასიათებლებს. მაგალითად, იმ შემთხვევაში, როდესაც შეფასების მიზანია, როგორც ზოგადად პრეზენტაციის უნარების, ასევე კონკრეტული ფაქტის ცოდნის შემოწმება და შეფასება.

რეკომენდაციები რუბრიკების შემუშავებისათვის

შეფასების სქემების (რუბრიკების) შექმნის ან შერჩევისას მნიშვნელოვანია, გავითვალისწინოთ შემდეგი:

- საშუალება მივცეთ მოსწავლეებს, რომ ერთხელ მაინც მიიღონ მონაწილეობა თითოეული ტიპის რუბრიკის შექმნაში, მის დახვეწასა და შეფასებაში. ამას ორი მიზანი აქვს: პირველ რიგში, ეს მათ საშულებას მისცემს, უკეთ გაერკვნენ, რას ითხოვს მათგან მათი მასწავლებელი, როგორ აფასებს მათ ნამუშევარს (თამაშის წესები თავიდანვე ცნობილი/გარკვეული უნდა იყოს ყველა მხარისთვის). მეორეს მხრივ, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, რუბრიკების შექმნაში, შეფასებასა და დახვეწაში მონაწილეობა მათ გაუჩენთ დადებით დამოკიდებულებასა და პასუხისმგებლობას, რადგანაც ისინი შეფასების პროცესის მონაწილეები გახდებიან.

- საკმარისი დრო დავუთმოთ რუბრიკების შერჩევას, ადაპტირებას და/ან მომზადებას, რათა რუბრიკის შესრულების შემდეგ შეგროვებული მონაცემები მასწავლებლისთვის სასარგებლო იყოს. კრიტერიუმებისა და შესრულების დონეებს ყურადღებით უნდა შერჩევა იმ მიზეზით, რომ ისინი ადეკვატურად უნდა ზომავდნენ მოსწავლის წარმატებას/მოსწრებას.

- უნდა შევქმნათ ისეთი ინსტრუმენტი, რომელიც გამოდგება გაზომვა-შეფასებითვის აქტივობების მთელი სერიის შემთხვევაში, ყოველი კონკრეტული აქტივობისთვის საკუთარი რუბრიკის შექმნის ნაცვლად. აგრეთვე, მოვერიდოთ ძალიან ზოგადი ხასითის რუბრიკის შექმნას, იმ მოსაზრებით, რომ იგი სასარგებლო იქნება ყველა სიტუაციაში.

- არ არის საჭირო ზედმეტი დეტალიზაცია. უამრავი არასაჭირო წვრილმანი ინფორმაციის ჩართვა იწვევს ძირითადი განზრახვიდან გადახვევას ან საერთოდ დაკარგვას და მიუღწეველს გახდის უმთავრეს მიზნებს. რუბრიკა მზადდება და

გამოიყენება კონკრეტული მიზნის მისაღწევად/ მიზანმიმართულად; რუბრიკის შექმნა/გამოყენება არ არის თვითმიზანი..

- შეზღუდოთ კრიტერიუმების რაოდენობა - ყურადღება გავამახვილოთ გონივრული რაოდენობის კრიტერიუმებზე. მხოლოდ ოთხ-ხუთ კრიტერიმზე ფოკუსირება საშუალებს მოგვცემს, შევქმნათ ეფექტიანი ინტრუმეტი, რომელიც მიზანმიმართულად აფასებს, ზომავს იმას რაც არსებითია, რასაც თავად ვანიჭებთ მნიშვნელობას.

- ყურადღებით შევამოწმოთ, რომ ყველა კრიტერიუმი გაზომვადი იყოს; ეს ნიშნავს, რომ ყველა კომპონენტი გაზომვადია რიცხვით სკალაზე ან შეიძლება მათი აღნიშვნა „არის" ან „არ არის" გზით.

- მაქსიმალურად კორექტულნი ვიყოთ კრიტერიუმების დონეების ჩამოყალიბებისას; არ გამოვიყენოთ პირადი დამოკიდებულების გამომხატველი სიტყვები (მაგ „მოსაწყენი", „უინეტერესო" პრეზენტაცია და ა.შ.). ყოველთვის მივუთითოთ ის ობიექტური კატეგორიები და შემდგენელი დეტალები, რომელთა მიხედვითაც ხდება საბოლოო შეფასება.

- გამოვიყენოთ გაზომვის დაახლოებით ოთხი დონე. დონეების ძალიან მცირე რაოდენობა არ იძლევა საკმარისი რაოდენობის მონაცემებს იმისათვის, რომ მოხდეს კორექტული დისკრიმინაცია, ზუსტი დიფერენეცირება.

ზოგადი დოკუმენტები

ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები

საქართველოს მთავრობის განკარგულება

N 84 2004 წლის 18 ოქტომბერი ქ. თბილისი

¨ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების¨ დამტკიცების შესახებ

განათლებისა და მეცნიერების სფეროში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის გატარების უზრუნველსაყოფად, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარდგინებით, საქართველოს კონსტიტუციის 78-ე მუხლის 1-ლი პუნქტისა და ¨საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ¨ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის ¨ჰ¨ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. დამტკიცდეს თანდართული ¨ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები¨.

2. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ ზოგადი განათლების სფეროში საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები შეიმუშავოს ¨ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების¨ შესაბამისად.

პრემიერ-მინისტრი ზურაბ ჟვანია

ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები

საქართველოში ზოგადი განათლების სისტემა მიზნად ისახავს შექმნას ხელსაყრელი პირობები ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მატარებელი, თავისუფალი პიროვნების ჩამოყალიბებისათვის.

ამასთან ერთად განათლების სისტემა უვითარებს მოზარდს გონებრივ და ფიზიკურ უნარ-ჩვევებს, აძლევს საჭირო ცოდნას, ამკვიდრებს ჯანსაღი ცხოვრების წესს, მოსწავლეებს უყალიბებს ლიბერალურ და დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებულ სამოქალაქო ცნობიერებას და ეხმარება მათ ოჯახის, საზოგადოებისა და სახელწმიფოს წინაშე საკუთარი უფლება-მოვალეობების გაცნობიერებაში.

საქართველოს ზოგადი განათლების სისტემაში მიღებული გამოცდილების საფუძველზე მოზარდმა უნდა შეძლოს:

ა) ქვეყნის ინტერესების, ტრადიციებისა და ღირებულებების მიმართ საკუთარი პასუხისმგებლობის გააზრება: სასკოლო განათლებამ უნდა განუვითაროს მოზარდს უნარი, რომ სწორად განსაზღვროს საკუთარი ქვეყნის სახელმწიფოებრივი, კულტურული, ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესები, და მისცეს მას სასიკეთო გადაწყვეტილებათა მიღებისა და აქტიური მოქმედების შესაძლებლობა;

ბ) ბუნებრივი გარემო პირობების შენარჩუნება და დაცვა: მოზარდმა უნდა იცოდეს, რა ბუნებრივ გარემოში ცხოვრობს, რა ზიანი შეიძლება მიაყენოს გარემოს ადამიანის ამა თუ იმ მოქმედებამ, როგორ შეინარჩუნოს და დაიცვას ბუნებრივი გარემო;

გ) ტექნოლოგიური თუ სხვა ინტელექტუალური მიღწევების ეფექტიანად გამოყენება; ინფორმაციის მოპოვება, დამუშავება და ანალიზი: დღეს, როდესაც ადამიანისათვის მისაწვდომია დიდი მოცულობისა და სხვადასხვა შინაარსის ინფორმაცია, მისი ეფექტიანად გამოყენების უნარი სასიცოცხლო მნიშვნელობას იძენს. მოზარდს უნდა შეეძლოს არა მხოლოდ ინფორმაციის მოპოვება, არამედ მისი შეფასებაც შინაარსის, დანიშნულებისა და ხარისხის მიხედვით, დასახული მიზნებისათვის მისი გამოყენების ფორმების განსაზღვრა; ტექნოლოგიური მიღწევების ეფექტიანი გამოყენება

ყოველდღიური ცხოვრების, მუშაობის, ინტელექტუალური თუ სულიერი მოღვაწეობის პირობების გასაუმჯობესებლად;

დ) დამოუკიდებლად ცხოვრება, გადაწყვეტილებების მიღება: სასკოლო განათლებამ უნდა განუვითაროს მოზარდს პირად, ოჯახურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში დამოუკიდებელ გადაწყვეტილებათა მიღების უნარჩვევები;

ე) იყოს შემოქმედი, თავად შექმნას ღირებულებები და არ იცხოვროს მხოლოდ არსებულის ხარჯზე: სასკოლო განათლებამ უნდა უზრუნველყოს მოზარდის იმ უნარჩვევების განვითარება, რომლებიც მისცემს მას საშუალებას, უკვე არსებული გამოცდილება და მიღწევები გამოიყენოს ახალი მატერიალური, ინტელექტუალური თუ სულიერი ღირებულებების შესაქმნელად;

ვ) საკუთარი შესაძლებლობებისა და ინტერესების უწყვეტი განვითარება მთელი ცხოვრების განმავლობაში და მათი მაქსიმალური რეალიზება როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის საზღვრებს გარეთაც; სასკოლო განათლებამ უნდა ჩამოუყალიბოს მოზარდს უწყვეტი განვითარების, მთელი ცხოვრების განმავლობაში ახალი ცოდნისა და ჩვევების დამოუკიდებლად შეძენის უნარი, რათა შეძლოს საკუთარი შესაძლებლობებისა და სულიერი მიდრეკილებების ადეკვატურად განსაზღვრა და ამის მიხედვით საზოგადოებრივ ცხოვრებაში საკუთარი ადგილის დამკვიდრება; მოზარდი მზად უნდა იყოს, არჩევანი გააკეთოს მომავალი განათლებისა და შრომითი საქმიანობისათვის.

ზ) კომუნიკაცია ინდივიდებთან და ჯგუფებთან: სასკოლო განათლებამ უნდა უზრუნველყოს, რომ საზოგადოების მომავალ წევრებს განუვითაროს ზოგადი საკომუნიკაციო უნარ-ჩვევები (წერა, კითხვა, მეტყველება, მოსმენა), საორგანიზაციო და ჯგუფური მუშაობის ჩვევები, მათ შორის იმათ, ვისთვისაც საქართველოს სახელმწიფო ენა მშობლიური არ არის;

თ) იყოს კანონმორჩილი, ტოლერანტი მოქალაქე: დღევანდელ დინამიკურ, ეთნიკურად და კულტურულად მრავალფეროვან სამყაროში საზოგადოების ფუნქციონირებისათვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ურთიერთპატივისცემის, ურთიერთგაგებისა და ურთიერთშემეცნების ჩვევები. სკოლამ უნდა გამოუმუშაოს მოზარდს ადამიანის უფლებების დაცვისა და პიროვნების პატივისცემის უნარი, რომელსაც იგი გამოიყენებს საკუთარი და სხვისი თვითმყოფადობის შესანარჩუნებლად. მოზარდს უნდა შეეძლოს ადამიანის არსებითი უფლებების შესახებ მიღებული თეორიული ცოდნის განხორციელება და ამ პრინციპებით ცხოვრება.

ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების მიღწევის ძირითადი საშუალებები:

ზემოთ აღწერილი უნარ-ჩვევების განვითარებისათვის საქართველოს სახელმწიფო კისრულობს პასუხისმგებლობას, შეიმუშაოს და დანერგოს:

1. ზოგადი განათლების პოლიტიკა და კანონმდებლობა
საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკითა და კანონმდებლობით განისაზღვრება როგორც სასკოლო განათლების სფეროში ჩაბმული მხარეების უფლებები და მოვალეობები, ისე მიზნების მიღწევის ძირითადი გზები და საშუალებები.

2. ზოგადსაგანმანათლებლო სასკოლო სისტემა
ზოგადსაგანმანათლებლო სასკოლო სისტემას ქმნიან სხვადასხვა სამართლებრივ-ორგანიზაციული ფორმისა და დაფინანსების წყაროების მქონე დამოუკიდებელი იურიდიული პირები, რომლებიც ახორციელებენ საგანმანათლებლო საქმიანობას საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული მართვის პრინციპებისა და ეროვნული სასწავლო გეგმის, სასკოლო წესდებების მიხედვით. სასკოლო სისტემა მოიცავს მუდმივად განვითარებად მატერიალურ და ადამიანურ რესურსებს.

3. ზოგადსაგანმანათლებლო სასკოლო სისტემის რეგულირებისა და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები
სასკოლო სისტემის მართვის აუცილებელი კომპონენტებია: ლიცენზირება, აკრედიტაცია და ატესტაცია; სკოლის ადმინისტრაციული, ფინანსური და ადამიანური რესურსების მართვის განვითარება; სასკოლო სისტემის მართვის ძირითადი ფორმების განსაზღვრა და მათი შესრულების უზრუნველყოფა; ეროვნული სასწავლო გეგმის

დანერგვისა და ფუნქციონირების ხარისხის შეფასება; ეროვნული შეფასებისა და საგამოცდო სისტემების შექმნა და მართვა.

4. ეროვნული სასწავლო გეგმა
ეროვნული სასწავლო გეგმის შემუშავება ხდება ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების საფუძველზე. ეროვნული სასწავლო გეგმა განსაზღვრავს: მოსწავლეთა დატვირთვის აუცილებელ ოდენობას; ცოდნის განვითარების ზოგად ხერხებს; საჭირო ინფორმაციის ოდენობასა და შესაბამის უნარ-ჩვევებს თითოეული საფეხურის დამთავრებისას; საგნებსა და პრიორიტეტებს სასკოლო განათლების ყველა საფეხურზე.

საზოგადოებრივი აქტიურობისა და არსებული რესურსების ეფექტიანი ამოქმედების გარეშე ეს ცალკეული საშუალებები ვერ უზრუნველყოფს მოზარდში ზემოთჩამოთვლილ უნარ-ჩვევათა სრულყოფილ განვითარებას. ამიტომ ამ ჩვევების გამომუშავება უნდა მოხდეს სასკოლო გარემოს სრული ჩართვით: მოსწავლეების, მასწავლებლების, მშობლების, ადმინისტრატორებისა და სხვა დაინტერესებული პირების მონაწილეობით ისეთ განსხვავებულ პირობებში, როგორიცაა გამოცდები თუ არჩევნები, საკლასო ოთახი თუ სახლი, კლუბი, სპორტული დარბაზი, სკოლის ეზო თუ სახელოსნო. მოსწავლეების, მათი მშობლების, მასწავლებლების, დირექციისა თუ გარემომცველი საზოგადოების აქტიური მონაწილეობა განაპირობებს მიზნების მიღწევის ხარისხსა და წარმატებულობას.

სახელმწიფო მიზნად ისახავს ისეთი სასკოლო სისტემის შექმნას, რომელიც თითოეულ მოსწავლეს მისცემს აღნიშნული უნარ-ჩვევების შეთვისების თანაბარ შესაძლებლობას. სახელმწიფო არ დაუშვებს მოსწავლის დისკრიმინაციას სოციალური, რასობრივი, ეთნიკური, რელიგიური ან პოლიტიკური კუთვნილების, ფიზიკური შესაძლებლობებისა თუ სხვა ნიშნების მიხედვით.

მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი

თავი XVI. საბაზო ან/და საშუალო საფეხურის საქართველოს ისტორიის, საქართველოს გეოგრაფიისა და სხვა საზოგადოებრივი მეცნიერებების მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი

მუხლი 39. საბაზო ან/და საშუალო საფეხურის საქართველოს ისტორიის, გეოგრაფიისა და სხვა საზოგადოებრივი მეცნიერებების მასწავლებლის პროფესიული უნარ-ჩვევები

საბაზო ან/და საშუალო საფეხურის საქართველოს ისტორიის, საქართველოს გეოგრაფიისა და სხვა საზოგადოებრივი მეცნიერებების მასწავლებელს შეუძლია:

ვ) სამოქალაქო განათლება:

ვ.ა) მიმართულება კვლევა:

ვ.ა.ა) საზოგადოებრივ ცხოვრებაში საკუთარი შესაძლებლობების, ადგილისა და მნიშვნელობის გაანალიზება;

ვ.ა.ბ) საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის მნიშვნელოვანი მოვლენებისა და პროცესების ამოცნობა და გაანალიზება;

ვ.ა.გ) საზოგადოებრივი, რელიგიური, საგანმანათლებლო, სამართლებრივი, სახელმწიფო და ეკონომიკური ინსტიტუტების ფუნქციებისა და მნიშვნელობის გაანალიზება. დემოკრატიული პრაქტიკის ანალიზი ქვეყნის ინტერესებთან, ტრადიციებთან და ღირებულებებთან მიმართებაში.

ზ) მიმართულება შეფასება:

ზ.ა) საზოგადოებრივ მოვლენებსა და პროცესებთან მიმართებაში პოზიციის გამომუშავება და არგუმენტირებულად დაცვა;

ზ.ბ) საზოგადოებრივ მოვლენებსა და პროცესებთან მიმართებაში სხვადასხვა მიდგომისა თუ პოზიციის კრიტიკულად შეფასება;

ზ.გ) მოვლენების, პროცესებისა და პოზიციების შეფასებისას შესაბამისი კრიტერიუმების გამოყენება.

თ) მიმართულება კომუნიკაცია:

თ.ა) საზოგადოებრივი ინტერესების განსახორციელებლად მოსწავლეებთან, კოლეგებთან, მშობლებთან, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა;

თ.ბ) საზოგადოებრივ საკითხებზე მსჯელობისას სხვადასხვა არგუმენტისა და გამოხატვის ფორმების მიზნობრივად გამოყენება;

თ.გ) იმ პროცესებსა თუ გადაწყვეტილებებში მონაწილეობა, რომლებიც ეხება მოსწავლეებისა და საკუთარ პიროვნულ განვითარებას, მშობლებისა და სკოლის, საზოგადოების ინტერესებს.

მუხლი 40. საბაზო ან/და საშუალო საფეხურის საქართველოს ისტორიის, საქართველოს გეოგრაფიისა და სხვა საზოგადოებრივი მეცნიერებების მასწავლებლის პროფესიული ცოდნა

საბაზო ან/და საშუალო საფეხურის საქართველოს ისტორიის, საქართველოს გეოგრაფიისა და სხვა საზოგადოებრივი მეცნიერებების მასწავლებელმა იცის:

ვ)სამოქალაქო განათლება:

ვ.ა) საზოგადოებრივი მეცნიერებების საფუძვლები და ძირითადი ცნებები:

ვ.ა.ა) სამყაროს, ადამიანისა და საზოგადოების წარმოშობის ძირითადი თეორიები;

ვ.ა.ბ) საზოგადოების განვითარების კანონზომიერებათა შესახებ ძირითადი თეორიები;

ვ.ა.გ) კულტურის არსი, რაობა და მისი მრავალფეროვნება;

ვ.ა.დ) მეცნიერება და მეცნიერული აზროვნების ძირითადი თავისებურებები;

ვ.ა.ე) რელიგია, როგორც კულტურული ფენომენი;

ვ.ა.ვ) საზოგადოებრივი მეცნიერებების ძირითადი მიმართულებები და ობიექტები.

ზ) საზოგადოებრივი მეცნიერებებში გამოყენებული ძირითადი მეთოდები:

ზ.ა) დაკვირვება და ექსპერიმენტი;

ზ.ბ) მსჯელობა – ფაქტი და მოსაზრება;

ზ.გ) სტატისტიკა და ანალიზი;

ზ.დ) თეორიები და დასკვნები.

თ) ადამიანის უფლებები და თავისუფლებები:

თ.ა) ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების საფუძვლები;

თ.ბ) მათი განვითარების ძირითადი ისტორიული ეტაპები;

თ.გ) უფლებებისა და თავისუფლებების არსი;

თ.დ) ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების კლასიფიკაცია;

თ.ე) ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების განმსაზღვრელი ფუძემდებლური დოკუმენტები.

ი) კონფლიქტი და მშვიდობის მშენებლობა:

ი.ა) კონფლიქტი: მისი მართვა, გადაჭრა, ტრანსფორმაცია, კონფლიქტის ანალიზის ტექნიკები;

ი.ბ) კონფლიქტურ სიტუაციაში ქცევის სტრატეგიები და ტიპები;

ი.გ) სამშვიდობო განათლება;

ი.დ) მშვიდობა, როგორც პროცესი; მისი არსი და სწავლების სტრატეგიები;

ი.ე) ფორმალური და არაფორმალური სამშვიდობო განათლება.

კ) მშვიდობიანი თანაარსებობა და მრავალფეროვანი გარემო:

კ.ა) უმრავლესობა, უმცირესობები, მოწყვლადი ჯგუფები;

კ.ბ) თანასწორობა და დისკრიმინაცია;

კ.გ) ინტეგრაცია და ასიმილაცია;

კ.დ) სტერეოტიპები;

კ.ე) ტოლერანტობა: მისი არსი და განზომილებები.

ლ) დემოკრატიის არსი და მისი ძირითადი ინსტიტუტები:

ლ.ა) დემოკრატიის საფუძვლები და პრინციპები;

ლ.ბ) დემოკრატიის განვითარების ძირითადი ისტორიული ეტაპები;

ლ.გ) დემოკრატიული ინსტიტუტები და მათი მნიშვნელობა საზოგადოების განვითარებაში.

მ) ძირითადი საზოგადოებრივი ინსტიტუტები და მათი ურთიერთქმედება:

მ.ა) ამოქალაქო საზოგადოება: არასამთავრობო სექტორი, მედია, ინტერესთა ჯგუფები და საზოგადოებრივი გაერთიანებები.

ნ) მოქალაქეობა და მისი ასპექტები:

ნ.ა) მოქალაქეების სოციალური როლები;

ნ.ბ) მოქალაქის უფლებები, მოვალეობები და პასუხისმგებლობა;

ნ.გ) საზოგადოებრივ ცხოვრებაში მოქალაქის მონაწილეობის ფორმები.

ო) გლობალური პრობლემები და მისი მოგვარების გზები:

ო.ა) სიცოცხლის უფლება და ბავშვთა სიკვდილიანობა;

ო.ბ) სოციალური დაავადებები - ალკოჰოლიზმი და ნარკომანია;

ო.გ) არასრულწლოვანთა დამნაშავეობა;

ო.დ) განათლება და მისი ხელმისაწვდომობა;

ო.ე) დევნილები და ლტოლვილები;

ო.ვ) სიღარიბე და მისი დაძლევის გზები;

ო.ზ) ადამიანი და გარემო;

ო.თ) მდგრადი განვითარება და მისი ასპექტები;

ო.ი) არათანაბარი განვითარება და კორუფცია;

ო.კ) ტრეფიკინგი;

ო.ლ) სახელმწიფოს ძლიერების თანამედროვე მახასიათებლები და გლობალიზაცია;

ო.მ) საერთაშორისო სახელმწიფოთაშორისი და არასამთავრობო ორგანიზაციები.

პ) სახელმწიფოსა და სამართლის განვითარების ძირითადი თეორიები:

პ.ა) ძირითადი პოლიტიკური თეორიები და მათი არსი;

პ.ბ) სახელმწიფოს ნიშნები, ფუნქციები, მოწყობა;

პ.გ) სახელმწიფოს ტიპები: მმართველობის ფორმები, საზოგადოებრივი წესწყობილება და პოლიტიკური რეჟიმები;

პ.დ) სახელმწიფოს წარმოშობა საქართველოში და მისი განვითარების ეტაპები;

პ.ე) სამართლის წარმოშობა და განვითარება;

პ.ვ) სამართლებრივი სახელმწიფო და მისი მახასიათებლები;

პ.ზ) კანონის უზენაესობა და კანონიერება;

პ.თ) საერთაშორისო სამართალი (ჰუმანიტარული, გარემოსდაცვითი, ადამიანის უფლებების, შრომის და ა.შ.) და მისი მნიშვნელობა;

პ.ი) საქართველოს სახელმწიფოს კანონმდებლობა და მისი კავშირი საერთაშორისო სამართალთან (საქართველოს კონსტიტუცია).

ჟ) ეკონომიკის ძირითადი ცნებები, კატეგორიები და თეორიები:

ჟ.ა) ძირითადი ეკონომიკური სისტემები;

ჟ.ბ) ეკონომიკური კატეგორიები და კანონზომიერებები;

ჟ.გ) ბაზრები და მათი ტიპები;

ჟ.დ) ეკონომიკური საქმიანობის ტიპები, სტიმულები და კეთილდღეობა;

ჟ.ე) ფული და მისი ფუნქციები;

ჟ.ვ) ბიზნესის ორგანიზაცია და დაფინანსება;

ჟ.ზ) საზოგადოებრივი სარგებლობის საქონელი და მომსახურება;

ჟ.თ) სოციალურ-ეკონომიკური უსაფრთხოება და პოლიტიკა;

ჟ.ი) ეკონომიკური ურთიერთობების გარემო;

ჟ.კ) სახელმწიფოს ეკონომიკური ფუნქციები.

მუხლი 41. სწავლების მეთოდები

საბაზო ან/და საშუალო საფეხურის საქართველოს ისტორიის, საქართველოს გეოგრაფიისა და სხვა საზოგადოებრივი მეცნიერებების მასწავლებელი ფლობს საგნის სწავლების მეთოდებს და შეუძლია:

ა) მოსწავლეზე და შედეგზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვა:

ა.ა) გრძელვადიანი და მოკლევადიანი მისაღწევი სასწავლო მიზნების, შესაბამისი ამოცანებისა და მოსალოდნელი შედეგების განსაზღვრა;

ა.ბ) სასწავლო თემის სასწავლო პროცესის საჭიროებებისათვის მისადაგება; საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივ პროგრამაზე დაფუძნებული ისეთი სასწავლო გეგმის შექმნა, რომელიც ითვალისწინებს მოსწავლეების ინტერესებს, ასაკობრივ თავისებურებებს, ცოდნას, შესაძლებლობებსა და გამოცდილებას;

ა.გ) ცოდნის გადაცემის, უნარ-ჩვევების გამომუშავებისა და განვითარებისათვის სწავლების სტრატეგიების განსაზღვრა;

ა.დ) ისეთი შეფასების ტიპების (განმავითარებელი და განმსაზღვრელი) შემუშავება, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელი იქნება შეფასდეს მოსწავლეთა როგორც ცოდნა, ასევე უნარ-ჩვევები;

ა.ე) შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრა და შეფასების ცხრილების შედგენა შემდეგი ტიპის აქტივობებისათვის: პრობლემის იდენტიფიკაცია, ინფორმაციის მოძიება, პრობლემის გადაჭრის ალტერნატიული გზების განსაზღვრა და მათი ეფექტურობის შეფასება, ისტორიულ-გეოგრაფიული საშუალებების გამოყენება, ისტორიულ-გეოგრაფიული წყაროების ანალიზი, ისტორიული და გეოგრაფიული კვლევის დაგეგმვა, ჩატარება და პრეზენტაცია, საზოგადოებრივი მეცნიერებების თემებზე საკლასო დისკუსიებში მონაწილეობა, სხვადასხვა ტიპის წერითი დავალებების შესრულება და სხვა;

ა.ვ) სხვა საგნობრივი ჯგუფების მასწავლებლებთან ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე საგნის სწავლების სტრატეგიის შემუშავება და აქტივობების დაგეგმვა.

ბ) სწავლების პროცესის წარმართვა:

ბ.ა) საზოგადოებრივი მეცნიერებების სწავლის მოტივაციის ხერხების გამოყენება;

ბ.ბ) თანამედროვე პედაგოგიური მეთოდებისა და აქტივობების გამოიყენება, რათა მოსწავლეებს გაუღრმავდეთ ცოდნა და განუვითარდეთ უნარები ისტორიაში, გეოგრაფიასა და სამოქალაქო განათლებაში;

ბ.გ) მოსწავლეებში კვლევითი უნარების განვითარებისა ხელშეწყობა;

ბ.დ) მოსწავლეებში საზოგადოებრივი მეცნიერებების საკითხებზე სადისკუსიო და წერითი უნარების განვითარებისათვის ხელშეწყობა;

ბ.ე) საზოგადოებრივი მეცნიერებების შესწავლის პროცესში ყველა მოსწავლის (მათი ინდივიდუალური თავისებურებების მიუხედავად) ჩართულობის უზრუნველყოფა;

ბ.ვ) აქტივობების ისეთნაირად წარმართვა, რომ მოსწავლეებმა შეძლონ მიღებული ცოდნის ყოველდღიურ ცხოვრებასთან დაკავშირება;

ბ.ზ) მოსწავლეთათვის ხელმისაწვდომი და მოხერხებული ისტორიულ-გეოგრაფიული საშუალებების, მედია- და ტექნოლოგიური რესურსების გამოყენება (საჭიროების შემთხვევაში თავად შექმნა);

ბ.თ) აქტივობების ისეთნაირად წარმართვა, რომ მოსწავლეებს განუვითარდეთ საკუთარი კვლევისადმი კრიტიკულად მიდგომის უნარი.

გ) შეფასება:

გ.ა) საზოგადოებრივი მეცნიერებების სასწავლო მიზნების შესაბამისი შეფასების კრიტერიუმებისა და სქემების შედგენა და გამოყენება;

გ.ბ) საზოგადოებრივ მეცნიერებებში მოსწავლეთა პროგრესისა და მიღწევების მონიტორინგის წარმართვა;

გ.გ) საზოგადოებრივ მეცნიერებებში მოსწავლეთა საჭიროებების, პროგრესისა და მიღწევების აღნუსხვა და ანგარიშის სახით წარმოდგენა;

გ.დ) მომავალი სასწავლო პროცესის დასაგეგმავად შეფასების მონაცემების გამოიყენება;

გ.ე) საკუთარი სწავლების შეფასება;

გ.ვ) მისთვის შეთავაზებული თანამედროვე სწავლების კონცეფციების, მეთოდებისა და ტექნიკის კრიტიკულად შეფასება.

დ) ისტორიის, გეოგრაფიისა და სამოქალაქო განათლების სწავლება მოსწავლის პიროვნული, კულტურული განვითარებისა და ესთეტიკური აღზრდის უზრუნველსაყოფად:

დ.ა) ისეთი დავალებებისა და აქტივობების შერჩევა ან მოფიქრება, რომლებიც დაეხმარება მოსწავლეებს შემოქმედებითი უნარის განვითარებაში;

დ.ბ) ისეთი დავალებებისა და აქტივობების შერჩევა ან მოფიქრება, რომლებიც ხელს უწყობს მოსწავლეებში კრიტიკული აზროვნების უნარის განვითარებას;

დ.გ) ისეთი დავალებებისა და აქტივობების შერჩევა ან მოფიქრება, რომლებიც ხელს შეუწყობს მოსწავლეებში მაღალზნეობრივი ღირებულებების გამომუშავებასა და მაღალი გემოვნების განვითარებას;

დ.დ) ისეთი დავალებებისა და აქტივობების შერჩევა ან მოფიქრება, რომლებიც ხელს შეუწყობს მოსწავლეებში ცოდნაზე დაფუძნებული პატრიოტიზმის განვითარებას;

დ.ე) ისეთი დავალებებისა და აქტივობების შერჩევა ან მოფიქრება, რომლებიც ხელს შეუწყობს მოსწავლეების პროფესიულ ორიენტაციის ჩამოყალიბებას.

ეროვნული სასწავლო გეგმა - საზოგადოებრივი მეცნიერებები[1]

საზოგადოებრივი მეცნიერებების სწავლება სხვადასხვა საფეხურზე

საბაზო საფეხური

საბაზო სკოლაში ისტორიის, გეოგრაფიის და სამოქალაქო განათლების სწავლებამ მოსწავლეს უნდა დაანახოს ადამიანის გამოცდილების მრავალფეროვნება. კაცობრიობის მონაპოვართა ფონზე თავისი ქვეყნის მიღწევების მნიშვნელობა. მოსწავლეს უნდა მიეწოდოს ინფორმაცია როგორც საქართველოს, ასევე მსოფლიოს ბუნებრივ, პოლიტიკურ, სოციალურ, ეკონომიკურ, კულტურულ, რელიგიურ და ეთნიკურ მრავალფეროვნებაზე. ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით მან უნდა შეძლოს წარსულისა და თანამედროვეობის უმნიშვნელოვანესი ისტორიული თუ გეოგრაფიული მოვლენების, პროცესების გააანალიზება და სხვადასხვა ეპოქებისა და საზოგადოებების განვითარების მსგავსება-განსხვავებების დანახვა.

სამოქალაქო განათლება

ჰუმანურ ღირებულებებზე დაფუძნებული სამოქალაქო განათლება მოსწავლეს უნდა დაეხმაროს: საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე თავისი უფლება-მოვალეობების გაცნობიერებაში; ადამიანის უფლებების, მმართველობისა და ეკონომიკის განვითარების შესახებ მიღებული თეორიული ცოდნის ყოველდღიურ ცხოვრებასთან მისადაგებაში. საგნის სწავლისას მას უნდა განუვითარდეს მნიშვნელოვანი სამოქალაქო უნარ-ჩვევები: საკუთარი პოზიციის ჩამოყალიბება და დაცვა; საკუთარი საქციელის კრიტიკულად შეფასება; განსხვავებული აზრის, ეროვნების, სარწმუნოებისა და კულტურის მქონე ადამიანების პატივისცემა; საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობაში მონაწილეობა და კანონის პატივისცემა.

სამოქალაქო განათლება მოსწავლეს უნდა დაეხმაროს იდენტობის/თვითგამორკვევის განვითარებაში. კერძოდ: მოზარდმა უნდა შესძლოს საკუთარი თავისა თუ სხვების სხვადასხვა კონტექსტების წევრად აღქმა და პიროვნებებად გაცნობიერება; გაიაზროს თავისუფლება, როგორც უფლება და იმავდროულად პასუხისმგებლობა; შეძლოს საზოგადოების, როგორც განსხვავებული ინტერესების, ღირებულებების, მოთხოვნილებების

[1] დღეისათვის მიმდინარეობს ეროვნული სასწავლო გეგმის რევიზია დაწყებითი საფეხურისათვის. მომდევნო წლებში დაგეგმილია ეროვნული სასწავლო გეგმის ცვლილება საბაზო და საშუალო საფეხურებისათვის. სიახლეები გამოქვეყნდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის ვებ-გვერდებზე (www.mes.gov.ge; www.tpdc.ge)

მქონე სუბიექტების რთული ურთიერთკავშირების გააზრება. რაც მთავარია, სამოქალაქო განათლების დახმარებით მოსწავლემ უნდა შესძლოს საკუთარი მომავალი საგანმანათლებლო თუ შრომითი გზის განსაზღვრა.

სამოქალაქო განათლება მოსწავლეს ეხმარება: გარემოს დაცვის აუცილებლობისა და საზოგადოების მდგრად განვითარებასთან მისი კავშირის გააზრებაში; მდგრადი განვითარების მნიშვნელობის გააზრებაში თანამედროვე სამყაროს გადარჩენისთვის. მოსწავლემ უნდა ისწავლოს აქტიური მონაწილეობა ისეთი გარემოს შექმნაში, სადაც კეთილგანწყობა, ადამიანური ღირსების პატივისცემა, ურთიერთდახმარება, თანაზიარობა ცხოვრების წესია.

სამოქალაქო განათლების დანიშნულებაა მოსწავლის მიერ: საქართველოს, როგორც სახელმწიფოს გაცნობიერება და საკუთარი თავის მის მოქალაქედ აღქმა; საზოგადოებრივ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ, კულტურულ ცხოვრებაში მონაწილეობის ფორმებისა და საშუალებების შესწავლა; დემოკრატიის, კონსტიტუციის, ეროვნული და საერთაშორისო კანონმდებლობის, როგორც სახელმწიფოს სამართლებრივი ბაზის მნიშვნელობის გააზრება; საკუთარ და სხვის უფლებებსა და პასუხისმგებლობებს შორის ურთიერთკავშირის გააზრება და საკუთარი თუ სხვისი უფლებების დაცვისთვის კონკრეტული ნაბიჯების გადადგმა; ადამიანის/ბავშვთა უფლებების მნიშვნელობის გააზრება და მათი დაცვისთვის კონკრეტული ქმედების განხორციელება; ადამიანთა სპეციფიკური ჯგუფების უფლებების დაცვის მნიშვნელობა და მათი დაცვისთვის კონკრეტული ნაბიჯების გადადგმა.

საშუალო საფეხური

ისტორიის, გეოგრაფიისა და სამოქალაქო განათლების სწავლება ზოგადი განათლების მესამე, საშუალო საფეხურზე ეფუძნება სკოლაში საბაზო საფეხურზე მოსწავლის მიერ მიღებულ ცოდნას და საშუალებას აძლევს მოზარდს უფრო ღრმად შეისწავლოს სავალდებულო და მის მიერ არჩეული საგნები, დაეუფლოს სამეცნიერო კვლევის ზოგად სპეციფიკას.

სამოქალაქო განათლება

ამ საფეხურზე სამოქალაქო განათლება მოსწავლეს საშუალებას მისცემს დაეუფლოს პოლიტიკური, იურიდიული და ეკონომიკური მეცნიერებების საფუძვლებს; დაეხმარება მას სოციალური, მორალური, სამოქალაქო პასუხისმგებლობის გაცნობიერებასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის კომპეტენციების განვითარებაში.

სამოქალაქო განათლების სავალდებულო და არჩევითი კურსები მოსწავლეს დაეხმარება პიროვნული განვითარების, იდენტობის ახალი ასპექტების შემეცნებაში: საკუთარი და სხვისი პიროვნული თავისებურებების ანალიზი; საკუთარი და სხვების ღირსებებისა და ნაკლოვანებების ანალიზი; საზოგადოებაში საკუთარი ადგილისა და მნიშვნელობის განსაზღვრა; საკუთარი მომავლის დაგეგმვა; მე-სა და ჩვენ-ის ინტერესების გათვალისწინებით დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების მიღება; პროფესიის, როგორც იდენტობის მიღწევის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საფეხურისა და მისი არჩევისთვის კონკრეტული ნაბიჯების გადადგმა; კონკურენტრუნარიანობა, დამოუკიდებლობა, გადაწყვეტილების მიღება, არჩევანის თავისუფლება როგორც ღირებულება და მის განვითარებაზე ზრუნვა;

სამოქალაქო განათლება დაეხმარება მოსწავლეს: თანამედროვე სამყაროში მდგრადი განვითარების პროცესში საკუთარი როლის დანახვასა და შესაბამისი ნაბიჯების გადადგმაში; ეკონომიკურად აზროვნებასა და მისი მნიშვნელობის გააზრებაში მდგრადი განვითარების კონტექსტში; ინტერკულტურულ წიგნიერებასა და ურთიერთობებში; საზოგადოებრივი უსაფრთხოების მნიშვნელობისა და მასში საკუთარი როლის გაცნობიერებაში; საზოგადოებრივი საქმიანობის მნიშვნელობის გააზრებასა და შესრულებაში; ჯანსაღი ცხოვრების წესის მნიშვნელობის გააზრებაში ინდივიდუალურ და საზოგადოებრივ დონეზე, მისი დაცვისთვის შესაბამისი ნაბიჯების გადადგმაში; პროფესიონალიზმის, როგორც ღირებულების და მდგრად განვითარებაში მისი მნიშვნელობის დადგენაში; თანამშრომლობის კულტურის განვითარებაში; ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ ინტერესთა კონფლიქტებისა და მათი მოგვარების მექანიზმების საფუძვლების ცოდნაში.

საშუალო საფეხურზე სამოქალაქო განათლების დანიშნულებაა, დაეხმაროს მოსწავლეს: საქართველოს, როგორც მრავალფეროვანი ქვეყნის გაცნობიერებაში; საკუთარი თავის საქართველოს მოქალაქედ გააზრებაში; მოქალაქეობით განპირობებული უფლებების, მოვალეობებისა და პასუხისმგებლობების დაცვა/შესრულებისთვის კონკრეტული ქმედებების განხორციელებაში; სამოქალაქო საზოგადოებისთვის საკუთარი და სხვისი უფლებების დაცვის მნიშვნელობის გააზრებასა და განხორციელებაში;

საგნების სწავლების ორგანიზება

საბაზო საფეხური

VII კლასიდან ისტორისა და გეოგრაფიის სწავლება იწყება დამოუკიდებელ საგნებად. სამოქალაქო განათლების სწავლება VII-VIII კლასებში მიმდინარეობს ისტორიასთან ინტეგრირებით.

IX კლასში სამივე საგანი - ისტორია, გეოგრაფია და სამოქალაქო განათლება ცალ-ცალკე ისწავლება.

VII - IX კლასებში სამოქალაქო თავდაცვისა და უსაფრთხოების საგანში შემავალი თემატიკა ინტეგრირებულია ბიოლოგიის, ფიზიკის, ქიმიის, გეოგრაფიის, ისტორიის, სამოქალაქო განათლებისა და სპორტის სასწავლო პროგრამებში. VIII კლასში ერთი სემესტრის განმავლობაში ჯამურად 12 საათი სპეციალურად გამოყოფილია საგნისათვის "უსაფრთხოება საგანგებო ვითარებებში" (რეკომენდებულია სასწავლო წლის მეორე სემესტრში).

საშუალო საფეხური

ამ საფეხურზე სამივე კლასში (X-XII) ისტორია რჩება სავალდებულო საგნად.

X-XI კლასებში გეოგრაფია არის სავალდებულო, ხოლო X –XII კლასში მოსწავლეებს საშუალება აქვთ აირჩიონ დამატებითი არჩევითი საგნები, მაგ: გეოგრაფიული კვლევა.

ისტორიის, გეოგრაფიისა და საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ჯგუფი X კლასში მოსწავლეს სთავაზობს სამოქალაქო განათლების სავალდებულო კურსს, ხოლო X-XII კლასებში კი – არჩევით საგნებს, მაგ: სახელმწიფო, მოქალაქეობა, მეწარმეობის საფუძვლები, პრაქტიკული სამართალი და სხვა.

X კლასში სამოქალაქო თავდაცვისა და უსაფრთხოების გარკვეული საკითხების შესწავლა ინტეგრირებულია სამოქალაქო განათლების, ბიოლოგიისა და სპორტის სასწავლო პროგრამებში. XI კლასში საგანში შემავალი თემატიკა ინტეგრირებულია ფიზიკისა და ქიმიის სასწავლო პროგრამებში. XII კლასში დამატებით ისწავლება ცალკე საგანი "სამოქალაქო თავდაცვა და უსაფრთხოება". მისთვის საჭიროა 14 საათი (სასწავლო წლის პირველ სემესტრში).

სტანდარტში მითითებული ინდექსები

სტადარტის შედეგებს აქვს ინდექსი. ინდექსი საგნის, კლასის და შედეგის ნომრის შესახებ იძლევა ინფორმაციას. მაგ.:

საზ.მეც. V-VI. 7. - **საზოგადოებრივი მეცნიერება** - საგანი

V-VI. - კლასი

7. - შედეგის ნომერი

საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნების შემოკლებები ინდექსებში:

ისტ. - ისტორია

გეო. - გეოგრაფია

მოქ. - სამოქალაქო განათლება

უსაფ. - სამოქალაქო თავდაცვა და უსაფრთხოება

საგნების სწავლების მიმართულებების აღწერა

ეროვნულ სასწავლო გეგმაში განსაზღვრულია ყოველი კლასის ან საფეხურის ბოლოს სასწავლო პროცესის შედეგები და მოსწავლის მიერ მათი მიღწევის ინდიკატორები. შედეგები დაჯგუფებულია მიმართულებების მიხედვით. თითოეული მიმართულება ასახავს საგნის სწავლების ძირითად დანიშნულებას და ეფუძნება ერთ ან რამდენიმე კომპეტენციის სფეროს. ისტორიის X და გეოგრაფიის XII კლასების სტანდარტის მიმართულებები განსაზღვრულია კვლევითი და საკომუნიკაციო უნარ-ჩვევების შესაბამისად.

სწავლების მიმართულებები საგნებისა და კლასების მიხედვით

მიმართულებები	ჩვენი საქართველო	ისტორია	გეოგრაფია	სამოქალაქო განათლება	სამოქალაქო თავდაცვა და უსაფრთხოება
დრო და სივრცე	5-6	7, 8, 9,10	7-11	7-8	
გარემო და ეკონომიკა	5-6	7, 8, 11, 12	7-11	7-8	
სახელმწიფო მმართველობა და პოლიტიკა	5-6	7-9, 11-12		7-8	
კულტურა და რელიგია	5-6	7-9, 11-12		7-8	
ადამიანი და საზოგადოება	5-6	7-9, 11,12		7-8	

გარემო და სოციალური სისტემები			7- 11		
პიროვნული განვითარება				9-10	
მდგრადი განვითარება				9-10	
თვითმმართველობა და მმართველობა				9-10	
ისტორიული ინტერპრეტაცია და კვლევა		10			
კომუნიკაცია		10	12		
გეოგრაფიული კვლევა			12		
პირადი უსაფრთხოების უზრუნველყოფა					4, 8, 12
საგანგებო ვითარებებში უსაფრთხო ქცევის საფუძვლები					4, 8, 12
გადაუდებელი ექიმამდელი დახმარება					12

დრო და სივრცე

საზოგადოებრივი მეცნიერებების მიმართულებაში "დრო და სივრცე" გაერთიანებული შედეგები პირველ რიგში მოსწავლეს დროსა და სივრცეში ორიენტირების უნარს სძენს.

ეს მიმართულება გამჭოლია გეოგრაფიაში. იგი აერთიანებს გეოგრაფიისათვის ისეთ მნიშვნელოვან თემებსა და უნარ-ჩვევებს, როგორებიცაა რუკის კითხვა, თვალსაჩინოებების ანალიზი, ინტერპრეტაცია და შექმნა; ასევე ტერიტორიების გეოგრაფიული მდებარეობის განსაზღვრა; გეოგრაფიულ გარემოს, გეოლოგიურ დროს, გეოგრაფიული მოვლენების, პროცესებისა და კანონზომიერებების გავრცელების ცოდნას.

ისტორიის შემთხვევაში მოსწავლე ეუფლება ისეთ ფუნდამენტურ ცნებებს, როგორებიცაა: დროის ერთეულები, მიმართებები ადრე/გვიან, წარსული, აწმყო, მომავალი, ქრონოლოგია (მ.შ. გეოქრონოლოგიური წელთაღრიცხვა), წელთაღრიცხვა, პერიოდიზაცია, საუკუნე, ათასწლეული, კალენდარი, ისტორიული ეპოქები/პერიოდები, ეპოქა და რეგიონი.

გარემო და ეკონომიკა

მიმართულების "გარემო და ეკონომიკა" მიზანია მოსწავლეს დაანახოს ბუნებრივი გარემოსა და ეკონომიკის მნიშვნელობა საზოგადოებისათვის. ეს მიმართულება აერთიანებს ბუნებრივი გარემოს, ბუნებრივი რესურსების, მოსახლეობის, ეკონომიკის დარგების გაცნობიერებისა და შესწავლისკენ მიმართულ შედეგებს. მოსწავლეს საშუალება ეძლევა გააცნობიეროს გეოგრაფიული ფაქტორების ურთიერთკავშირი და ურთიერთდამოკიდებულება. ამავე მიმართულებაში გამჭოლადაა წარმოდგენილი გარემოსდაცვითი ცნობიერების ჩამოყალიბებებისკენ მიმართული შედეგები.

ამ მიმართულებაში გაერთიანებული შედეგები მოსწავლეს აძლევს საშუალებას აღიქვას ეკონომიკისა და ბუნებრივი ფაქტორების ურთიერთგავლენა. გააცნობიეროს ამ კავშირების ცვალებადობა დროსა და სივრცეში და კანონზომიერებები.

სახელმწიფო მმართველობა და პოლიტიკა

ამ მიმართულების მიზანია მოსწავლეს საშუალება მისცეს გააცნობიეროს სახელმწიფოს რაობა და ფუნქციები. აღიქვას პოლიტიკური პროცესების მნიშვნელობა და ზოგადი კანონზომიერებები. დაეხმაროს მოსწავლეს ისტორიული ფაქტების განზოგადებაში.

კულტურა და რელიგია

ამ მიმართულების მიზანია მოსწავლეს დაანახოს დედამიწაზე ადამიანის შექმნილი კულტურული მემკვიდრეობის მრავალფეროვნება და დაეხმაროს მის კლასიფიცირებაში. ხელი შეუწყოს მას ისტორიული ეპოქები და მხარეები განასხვავოს მათთვის დამახასიათებელი ეთნოგრაფიული ყოფისა და კულტურის მიღწევებს საფუძველზე. დაეხმაროს მოსწავლეს რელიგიის რაობისა და მნიშვნელობის განსაზღვრაში. წარმოდგენა შეუქმნას მსოფლიოში არსებული რელიგიური სისტემების მრავალფეროვნებაზე.

ადამიანი და საზოგადოება

ამ მიმართულების მიზანია მოსწავლეს დაანახოს, რომ ისტორიის მთავარ შემოქმედს ადამიანი წარმოადგენს, რომელსაც თავისი უფლებები და საზოგადოების წინაშე გარკვეული ვალდებულებები გააჩნია. ადამიანთა საზოგადოება სხვადასხვა სოციალური ფენებისგან შედგება. მოსწავლემ უნდა იცოდეს თუ როგორი იყო სხვადასხვა ისტორიულ ეპოქაში სხვადასხვა სოციალური ფენის ადამიანების უფლებრივი მდგომარეობა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მათი ჩართულობის ხარისხი.

პიროვნული განვითარება

ინდივიდუალურ დონეზე პიროვნული განვითარება თვითგანვითარებისა და სხვების განვითარების პროცესია. იგი მოიცავს იმ მიზნებს, გეგმებსა და ქმედებებს, რომლებიც მიმართულია შემდეგი ამოცანების შესრულებაზე:

- თვითანალიზის განვითარება
- თვითცოდნის განვითარება
- იდენტობის ძიება, მიგნება ან განახლება
- შესაძლებლობების ან ნიჭის განვითარება
- პოტენციალის განსაზღვრა და განვითარება
- ადამიანური კაპიტალის განვითარება
- ცხოვრების ხარისხის ამაღლება
- პიროვნული განვითარების გეგმის განსაზღვრა და შესრულება.

მდგრადი განვითარება

უფრო ხშირად მდგრად განვითარებას განმარტავენ, როგორც "განვითარებას, რომელიც აწმყოს მოთხოვნებს იმგვარად აკმაყოფილებს, რომ მომავალ თაობებს არ ართმევს მოთხოვნათა დაკმაყოფილების შესაძლებლობას."[2]

ის ცვლილებათა პროცესია, რომელშიც ბუნებრივი რესურსების მოხმარება, ინვესტიციები, მეცნიერულ-ტექნიკური განვითარება, პიროვნების განვითარება და ინსტიტუციური ცვლილებები ურთიერთშეთანხმებულია და ამყარებს ადამიანის მოთხოვნილებებისა და მისწრაფებების დასაკმაყოფილებლად საჭირო აწმყო და სამომავლო პოტენციალს. გარკვეულწილად საუბარია ადამიანთა ცხოვრების ხარისხის უზრუნველყოფაზე.

თვითმმართველობა და მმართველობა

თვითმმართველობა და მმართველობა უკავშირდება იმ გადაწყვეტილებებს (ინდივიდუალურ, ოჯახის, თემის, ქვეყნის დონეზე), რომლებიც განსაზღვრავს მოლოდინებს, ძალაუფლების მინიჭებას ან საქმიანობის კონტროლს. ის მოიცავს ინდივიდუალური, ან ჯგუფური თუ საზოგადოებრივი საქმიანობის მართვის პროცესებისა და ლიდერობის სპეციფიკურ ნაწილს.

---

[2] *United Nations. 1987."Report of the World Commission on Environment and Development." General Assembly Resolution 42/187, 11 December 1987. Retrieved: 2007-04-12; Smith, Charles; Rees, Gareth (1998). Economic Development, 2nd edition. Basingstoke: Macmillan. ISBN 0333722280*

შეფასება საზოგადოებრივ მეცნიერებებში

შეფასების მიზანი

საზოგადოებრივ მეცნირებებში შეფასების მიზანია სწავლა-სწავლების ხარისხის მართვა. ეს გულისხმობს, ერთი მხრივ, სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას, მეორე მხრივ, სწავლის ხარისხის შემოწმებას. ხარისხის გაუმჯობესება უკავშირდება სწავლის პროცესს, ხარისხის შემოწმება კი - სწავლის შედეგს.

შეფასების ორი ტიპი

შეფასების მიზნიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეთა შემოწმება დაუკავშირდეს არამხოლოდ სწავლების შედეგს, არამედ სწავლის პროცესსაც. ამის უზრუნველსაყოფად სკოლაში გამოიყენება ორი ტიპის შეფასება: **განმსაზღვრელი და განმავითარებელი.**

განმსაზღვრელი შეფასება ადგენს მოსწავლის მიღწევის დონეს საერთო ნორმასთან მიმართებით და იძლევა იმის განსაზღვრის საშუალებას, თუ რამდენად დაეუფლა იგი საგნობრივი პროგრამებით განსაზღვრულ ცოდნასა და უნარ-ჩვევებს.

განმსაზღვრელი შეფასება აკონტროლებს სწავლის ხარისხს, იგი განსაზღვრავს თითოეული მოსწავლის ცოდნის დონეს.

განმავითარებელი შეფასების მიზანია სწავლის ხარისხის გაუმჯობესების უზრუნველყოფა, სწავლების პროცესში თითოეული მოსწავლის განვითარების მაქსიმალურად ხელშეწყობა. ეს ზოგადი განათლების ყველაზე მნიშვნელოვანი პედაგოგიური ამოცანაა, როგორც ამას ხაზგასმით აღნიშნავს დიმიტრი უზნაძე: ”სწავლაში ძირითადია ... იმ ძალების განვითარება, რომელნიც სწავლის პროცესში მონაწილეობენ”; (დიმიტრი უზნაძე, ბავშვის ფსიქოლოგია, სასკოლო ასაკის ფსიქოლოგია, თბილისი, 2003, გვ. 445).

განმავითარებელი შეფასებისას მასწავლებელი მოსწავლეთა საქმიანობას ამოწმებს არა მათი მიღწევის დონის განსასჯელად და ნიშნების დასაწერად, არამედ მათ დასახმარებლად. იგი აკვირდება თითოეულ მოსწავლეს სწავლის პროცესში, შეისწავლის მათ საჭიროებებს, რათა ამ მოთხოვნილებათა გათვალისწინებით დაგეგმოს საგაკვეთილო პროცესი და თითოეულ მათგანს მაქსიმალურად შეუწყოს ხელი წინსვლაში. მასწავლებელი ქმნის თანამშრომლობით და კონსტრუქციულ სასწავლო გარემოს, სადაც მოსწავლეებს არ აფერხებთ არც მარცხის და არც წარუმატებლობის შიში. მათ ნებისმიერ შემთხვევაში მასწავლებლის რჩევისა და მხარდაჭერის იმედი აქვთ. ასეთ გარემოში თითოეული მოსწავლე, ცოდნის დონის მიუხედავად, ახალი ცოდნის შეძენით, გამოცდილების გამდიდრებითა თუ უნარების გაუმჯობესებითაა დაკავებული.

განმავითარებელი შეფასების პროცესში მასწავლებელთან ერთად ჩართულები არიან მოსწავლეებიც. ისინიც ცდილობენ, მასწავლებლის დახმარებით, დაადგინონ საკუთარი მოთხოვნილებები, ძლიერი და სუსტი მხარეები, შემაფერხებელი ფაქტორები. ამ პროცესებში

ჩართვა აყალიბებს მათში თვითშეფასებისა და თვითგანვითარების უნარ-ჩვევებს, ზრდის მათ ქმედუნარიანობასაც და პასუხისმგებლობასაც.

არსებითია, რომ განმავითარებელი შეფასების შემთხვევაში, მოსწავლე ფასდება საკუთარ თავთან, საკუთარ მიღწევებთან და არა - ყველასათვის საერთო ნორმასთან მიმართებით, რათა მან დაინახოს საკუთარი წინსვლა და ირწმუნოს, რომ შეუძლია სიძნელეთა ეტაპობრივად გადალახვა.

სემესტრული ნიშნის შემადგენელი ნაწილები

საზოგადოებრივ მეცნიერებებში თითოეული სემესტრის მანძილზე მოსწავლეები ფასდებიან სამი კომპონენტის მიხედვით:



1. საშინაო დავალება
2. საკლასო დავალება
3. შემაჯამებელი დავალება

სამივე კომპონენტს ერთნაირი წონა აქვს.

საკლასო და საშინაო დავალებების კომპონენტებში გამოიყენება როგორც **განმსაზღვრელი,** ისე **განმავითარებელი** შეფასება.

განმსაზღვრელ შეფასებაში იწერება ნიშანი.

განმავითარებელი შეფასებისას უპირატესად გამოიყენება ისეთი საშუალებები, როგორებიცაა სიტყვიერი კომენტარი, რჩევა-დარიგება, დაკვირვების ფურცლები, თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების სქემები, ცოდნის ათვისების, ან უნარის განვითარების ეტაპების გამომხატველი დონეები. სასურველია, სამი ან ოთხი (მაგალითად, 3 დონე - ათვისებულია, ათვისებულია ნაწილობრივ, ასათვისებელია; 4 დონე - ფლობს სრულყოფილად, ფლობს უმეტესწილად, ფლობს ნაწილობრივ, ვერ ფლობს); ათვისების თუ ფლობის დონეებით შედგენილი შეფასების ან თვითშეფასების სქემები მასწავლებელსაც და მოსწავლესაც საშუალებას აძლევს, დინამიკაში დაინახოს კონკრეტული ცოდნის თუ უნარის ათვისების პროცესი.

შეფასების კომპონენტები საზოგადოებრივ მეცნიერებებში:

1. **საკლასო სამუშაო**
2. **საშინაო დავალება**
3. **შემაჯამებელი დავალება**

რას ითვალისწინებს თითოეული კომპონენტის შეფასება?

1. საკლასო სამუშაო

ფასდება შემდეგი ცოდნა[3] და უნარები:

- პრობლემის გააზრება
- კომუნიკაცია
- სწავლა
- თანამშრომლობა
- საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობა
- შემოქმედებითობა
- ისტორიული დროის გაგება
- გარემოზე პასუხისმგებლობა და ზრუნვა
- ისტორიული კვლევა
- გეოგრაფიული კვლევა
- სივრცეში ორიენტაცია
- ისტორიული ეპოქის განცდა
- თვალსაჩინოებების გამოყენება და შექმნა

უნარები ფასდება შემდეგი აქტივობებით:

- თემასთან დაკავშირებით დასმული კითხვებით
- დასმულ კითხვაზე გაცემული პასუხით
- განსახილველ საკითხთან დაკავშირებული მსჯელობითა და ანალიზით
- განხილული მოვლენებისა და პროცესებისადმი საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვით
- დასმული პრობლემის გადაჭრის გზის შეთავაზებით
- ჯგუფურ მუშაობაში შეტანილი წვლილით
- დისკუსიაში მონაწილეობის სიხშირით
- ახსნილი ცნებებისა და ტერმინების განმარტებებითა თუ გამოყენებით
- მოვლენებისა და პროცესების განხილვისას საკუთარი მოსაზრების დასაბუთებით
- თვალსაჩინოებების გამოყენებითა და შექმნით
- პრეზენტაციით

[3] *ცოდნა ფასდება თითოეული საგნისა და კლასის პროგრამული შინაარსის შესაბამისად*

- დროის ლიმიტის დაცვით
- დისკუსიაში გამოთქმული მოსაზრებებითა და არგუმენტებით

2. საშინაო დავალება

ფასდება შემდეგი ცოდნა და უნარები:

- პრობლემის გააზრება
- ინფორმაციის მოპოვება და ორგანიზება
- კავშირებისა და მიმართებების დადგენა
- კომუნიკაცია
- სწავლა
- თანამშრომლობა
- პრობლემის გადაჭრა
- შემოქმედებითობა
- ისტორიული დროის გაგება
- გარემოზე პასუხისმგებლობისა და ზრუნვა
- ისტორიულ-გეოგრაფიული კვლევა
- სივრცეში ორიენტაცია
- ისტორიული ეპოქის განცდა
- თვალსაჩინოებების გამოყენება და შექმნა
- კრიტიკული აზროვნება

უნარები ფასდება შემდეგი აქტივობებით:

- ცნებებისა და ტერმინების განმარტებებითა თუ გამოყენებით
- მოვლენებისა და პროცესების განხილვისას მოსაზრებების არგუმენტირებით
- დასმულ კითხვაზე გაცემული პასუხით
- განსახილველ საკითხთან დაკავშირებული მსჯელობითა და ანალიზით
- დასმული პრობლემის გადაჭრის გზის ჩამოყალიბებით
- თვალსაჩინოებების გამოყენებითა და შექმნით
- პრეზენტაციით
- დისკუსიაში გამოთქმული მოსაზრებებითა და არგუმენტებით
- წერითი ნამუშევრის შექმნა

3. შემაჯამებელი შეფასება[4]

ფასდება შემდეგი უნარები:

---

[4] შემაჯამებელი სამუშაოები სრულდება როგორც ზეპირი (დისკუსია, ინსცენირება) და წერითი (ტესტი, ნაშრომი, ისტორიულ-გეოგრაფიული თმა), ისე შერეული (პრეზენტაციის ან პროექტის წარდგენა,) ფორმით სასწავლო თემის, თემების ბლოკისა თუ საწავლო პროცესის გარკვეული ეტაპის დასრულების შემდგომ.

- კრიტიკულ პირობებში (ტესტი, საკონტროლო და სხვა) ცოდნისა და უნარ-ჩვევების გამომჟღავნება
- პრობლემის გააზრება
- ინფორმაციის მოპოვება და ორგანიზება
- კავშირებისა და მიმართებების დადგენა
- კომუნიკაცია
- ისტორიულ-გეოგრაფიული კვლევა
- პრობლემის გადაჭრა
- შემოქმედებითობა
- სივრცეში ორიენტაცია
- ისტორიული ეპოქის განცდა და ინტერპრეტაცია
- თვალსაჩინოებების გამოყენება და შექმნა
- გარემოზე პასუხისმგებლობა და ზრუნვა
- კრიტიკული აზროვნება

შემაჯამებელი დავალებების ტიპები:

- საკონტროლო წერა
- ტესტირება
- კითხვა-პასუხი
- თემა/ესე
- *პრეზენტაცია*
- *პროექტი*
- *რეფერატი*
- კვლევა
- *დისკუსია/დებატები*
- კონფერენცია

მოთხოვნები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს შემაჯამებელი დავალებები

- დავალების თითოეულ ტიპს უნდა ახლდეს თავისი შეფასების ზოგადი რუბრიკა;
- ზოგადი რუბრიკა უნდა დაზუსტდეს კონკრეტული დავალების პირობისა და განვლილი მასალის გათვალისწინებით;
- 10 ქულა უნდა გადანაწილდეს რუბრიკაში შემავალ კრიტერიუმებზე;
- მითითებული უნდა იყოს საგნობრივი სტანდარტის ის შედეგები, რომელთა შეფასებასაც ემსახურება შემაჯამებელი დავალება.

შეფასების რუბრიკის ნიმუშები:

პრეზენტაციის შეფასების რუბრიკა

ამ შემთხვევაში მოსწავლეებს თითოეულ კრიტერიუმში ენიჭება ნული ან ერთი ქულა და საბოლოო ქულის გამოსაყვანად ითვლება მათი ჯამი. მაქსიმალური ჯამი არის ათი ქულა.

	მოსწავლის სახელი, გვარი									
	1.	**2.**	**3.**	**4.**	**5.**	**6.**	**7.**	**8.**	**9.**	**10.**
საინტერესო შესავალი (პრობლემის იდენტიფიცირება)	1									
კვლევების/ნაშრომის წარმოჩენის უნარი	1									
შემოქმედებითი უნარი	1									
პრობლემის გადაჭრის გზების შეთავაზება	0									
თემის გასაგებად წარმოდგენა (ლოგიკური ჯაჭვი)	0									
საუბარი (გამართულობა, ტემბრი)	1									
თვალსაჩინოებების გამოყენება	0									
აუდიტორიასთან კონტაქტი	1									
ინფორმაციის ფლობის უნარი (ადეკვატური კითხვა-პასუხი)	1									
დროის ლიმიტის დაცვა	0									
ჯამი	6									

პროექტის შეფასების განზოგადებული რუბრიკა

მაქსიმალური ჯამური ქულის გაყოფით სამზე მოხდება მოგროვილი ქულების ათქულიან შეფასებაზე გადაყვანა

	ელემენტარული **1 ქულა**	**მისაღები** **2 ქულა**	**ოსტატური** **3 ქულა**
1.მიზანი	არ არის კარგად გამოკვეთილი, ბუნდოვანია	ხდება ერთ მიზანზე ფოკუსირება	კარგად გამოკვეთილი მიზნები, მარტივად აღსაქმელი
2.ორგანიზება	სუსტად ორგანიზებული, არ არის იდეებს შორის ლოგიკური ჯაჭვი,	გააზრებულია თანმიმდევრულობა, ორგანიზების ნიშნებით, ზოგი გადასვლა იდეებს	კარგად ორგანიზებული ფორმატი, ლოგიკური გადასვლა ერთი

	რაც აბნევს მკითხველს/მსმენელს	შორის არის მარტივი, ზოგი გაუგებარი	იდეიდან მეორეზე, ორგანიზება ზრდის პროექტის ეფექტურობას
3.შინაარსის კორექტულობა	გვხვდება ხშირი შეუსაბამო, მცდარი ინფორმაცია, შეყავს შეცდომაში მკითხველი/მსმენელი	ძირითადად კორექტულია, ზოგიერთი შეუსაბამო ან მცდარი ინფორმაციით	მთლიანად კორექტული, ფაქტები ზუსტი და მკაფიო
4.ენობრივი გამართულობა	ენობრივად გაუმართავი, ხშირი შეცდომებით	ენობრივად გამართული, მცირე შეცდომებით	ენობრივად გამართულია, დაცულია პუნქტუაციის ნიშნები
5.კვლევა	კვლევა არაეფექტურადაა დაგეგმილი, გამოყენებული წყარო არ არის სანდო, ანალიზი ზედაპირულია	კვლევა დაგეგმილია, მაგრამ ჯგუფის პოტენციალი მთლიანად არ არის გამოყენებული, შეზღუდული რაოდენობის წყაროებია გამოყენებული, ანალიზი მისაღებია	კვლევა სწორად არის დაგეგმილი, გამოყენებულია არაერთი წყარო (ავტორიტეტული კვლევები და მოპოვებული მასალები საველე კვლევიდან) და ანალიზი სიღრმისეულია
6.თვალსაჩინოებები	თვალსაჩინოებები ხშირად შინაარსთან შეუსაბამოა, ან არ არის ჯგუფის მიერ შექმნილი	თვალსაჩინოებების კავშირი შინაარსთან არის, მაგრამ ერთფეროვანია, გამოიყენება მოძიებული და ჯგუფის მიერ შექმნილი	მრავალფეროვანი, შინაარსის შესატყვისი, აკურატულად შესრულებული
7.შემოქმედებითობა	მცირე შემოქმედებითი ენერგიის დანახარჯი ჯგუფის მხრიდან	ზოგჯერ ჩანს ჯგუფის ორიგინალური აზრები და ეხმარება პროექტის უკეთ წარმოჩენაში	ჩანს ჯგუფის ორიგინალობა, სიახლე და თავისებური ხედვა, რაც პროექტს საინტერესოს ხდის
8.კავშირები საგნებთან	არ ჩანს ჯგუფის კომპეტენცია საგნებში, გვხვდება ფაქტების უზუსტო ინტერპრეტირება	არის მოსაზრებების კავშირი ერთ ან ორ საგნიდან მიღებულ ცოდნასთან	ხდება მთავარი მოსაზრებების დაკავშირება სხვადასხვა საგნებიდან მიღებულ ცოდნასთან, რაც მიუთითებს მრავალი მიმართულებით

			ჯგუფის კომპეტენტურობაზე
9.დასკვნები	არ არის ჩამოყალიბებული დასკვნები	დასკვნები ჩამოყალიბებულია კვლევის ადეკვატურად, მაგრამ არ არის მკაფიო	დასკვნებში არის სიახლე (ორიგინალობა), ლოგიკური კავშირი კვლევასთან და ჩამოყალიბებული მკაფიოდ
10.პრეზენტაცია	ეფექტურად არ არის წარმოჩენილი პროექტის არსი, უჭირს აზრის ჩამოყალიბება და პასუხების გაცემა, არ არის მიზნობრივად გამოყენებული თვალსაჩინოებები	ბუნდოვნად ჩამოყალიბებული პროექტის არსს, იყენებს თვალსაჩინოებებს, პასუხობს შეკითხვების უმეტესობას	ნათლად ჩამოყალიბებული პროექტის არსი, მკაფიო მეტყველება, აუდიტორიაზე გათვლილი, ძირითადი იდეებია გაშლილი, იყენებს თვალსაჩინოებებს და პასუხობს ყველა კითხვას

რეფერატის შეფასების რუბრიკა

ამ შემთხვევაში მე-3 და მე-5 კრიტერიუმები ფასდება 0-2 ქულით, ხოლო ყველა დანარჩენი 0 ან 1 ქულით. მაქსიმალური ჯამი არის ათი ქულა.

	მოსწავლის სახელი, გვარი				
	გიორგი გახელაძე	**ირმა მალაგიძე**	**ანზორ სიჭინავა**	**ნინო პაპასკირი**	**მაკა ხახანაშვილ**
1.მიზანი/თეზისი – კვლევის შედეგად გამოთქმული ძირითადი იდეა	1				
2.რეფერატის ორგანიზება	1				
3.შინაარსის კორექტულობა, ფაქტობრივი საიმედოობა	2				
4.ენობრივი გამართულობა	0				
5.კვლევა	2				

6.ილუსტრაციები/ თვალსაჩინოებები[5]	1				
7.შეთავაზებული მოსაზრების არგუმენტებითა და მაგალითებით გამყარება	1				
8.დასკვნები	1				
ჯამი	9				

დისკუსიის შეფასების რუბრიკა

	III დონე (8-10 ქულა)	II დონე (5-7 ქულა)	I დონე (1-4 ქულა)
მოსმენა	ყოველთვის უსმენს და თვალყურს ადევნებს ორატორს	ხშირად უსმენს და უყურებს ორატორს	იშვიათად უსმენს და უყურებს ორატორს
საუბარი	მკაფიოდ მეტყველებს და უყურებს მსმენელებს	ძირითადად მეტყველება გასაგებია და უყურებს მსმენელებს	მეტყველება არამკაფიოა, მსმენელებს უჭირთ გაგება
არავერბალური კომუნიკაცია	შეუძლია ეფექტურად აღიქვას და გამოიყენოს არავერბალური კომუნიკაციის ფორმები (თვალით, ჟესტებით, გამომეტყველებით, ხმით)	ხშირად შეუძლია დაამყაროს არავერბალური კონტაქტი	იშვიათად იყენებს არავერბალურ კომუნიკაციის ფორმებს
მონაწილეობა	უჩვენებს ინტერესს დისკუსიის თემისადმი საჭირო კომენტარებითა და აზრების გამოთქმით	ძირითადად გამოხატავს ინტერესს. კომენტარები და აზრები ყოველთვის არაა თემის გარშემო	მცირე ინტერესი აქვს. არ გამოხატავს ან ვერ უკავშირებს თავის მოსაზრებებს სადისკუსიო თემას
კოოპერაცია	თანამშრომლობს თანაკლასელებთან,	ძირითადად თანამშრომლობს	იშვიათად თანამშრომლობს და

[5] *ისტორიისთვის შესაძლოა მე-6 კრიტერიუმი არ გავითვალისწინოთ, შესაბამისად მე-7 კრიტერიუმი შეფასდება მაქსიმალური 2 ქულით*

	აცლის სხვებს აზრის გამოთქმას და იცავს დისკუსიის წესებს	თანაკლასელებთან, ზოგჯერ ერთვება სხვის საუბარში, ძირითადად იცავს დისკუსიის წესებს	იცავს დისკუსიის წესებს.
მოსაზრების არგუმენტირება	მოსაზრება ორიგინალურია და გამყარებულია ფაქტებით, ცნებებით. არის ლოგიკური კავშირი საკითხთან	მოსაზრების გასამყარებლად გამოყენებულია სადავო ფაქტები და ცნებები	მოსაზრება მოკლებულია ლოგიკურ კავშირს საკითხთან და არ არის გამყარებული ფაქტებით

კონკრეტულ მოსწავლეს თითოეული კრიტერიუმის გასწვრივ ენიჭება შესაბამისი ქულა, ჯამდება ყველა კრიტერიუმში მიღებული ქულები და იყოფა ექვსზე (გამოითვლება მათი საშუალო არითმეტიკული)

IX კლასი

სამოქალაქო განათლება

სტანდარტი

წლის ბოლოს მისაღწევი შედეგები მიმართულებების მიხედვით:

პიროვნული განვითარება	**მდგრადი განვითარება**	**თვითმმართველობა და მმართველობა**
მოქ.IX.1. მოსწავლეს შეუძლია გაანალიზოს საკუთარი პიროვნული თვისებები, მისწრაფებები და შესაძლებლობები. **მოქ.IX.2.** მოსწავლეს შეუძლია განსაზღვროს საკუთარი ადგილი და მნიშვნელობა საზოგადოებაში.	**მოქ.IX.5.** მოსწავლეს შეუძლია პიროვნებისა და საზოგადოებისათვის მნიშვნელობის გააზრებით მისდიოს ცხოვრების ჯანსაღ წესს. **მოქ. IX 6.** მოსწავლეს შეუძლია საზოგადოებრივი უსაფრთხოების ძირითადი პრობლემების გადასაჭრელად	**მოქ.IX.9.** მოსწავლეს შეუძლია გაანალიზოს საქართველოს მოქალაქის კონსტიტუციური უფლებები და თავისუფლებები, მოვალეობები და პასუხისმგებლობები. **მოქ.IX.10.** მოსწავლეს შეუძლია გაანალიზოს საქართველოს სახელმწიფო

მოქ.IX.3. მოსწავლეს შეუძლია გაანალიზოს პროფესიონალიზმის მნიშვნელობა პიროვნების განვითარებისათვის. **მოქ.IX.4.** მოსწავლეს შეუძლია შეადგინოს საკუთარი მომავალი საქმიანობის გეგმა.	თანამშრომლობა. **მოქ.IX.7.** მოსწავლეს შეუძლია ერთმანეთთან დააკავშიროს საქართველოს მრავალფეროვნების ძირითად მახასიათებლები. **მოქ.IX.8.** მოსწავლეს შეუძლია საზოგადოებაში მშვიდობიანი თანაარსებობის საფუძვლებისა და პირობების კვლევა.	მმართველობის სისტემა. **მოქ.IX.11.** მოსწავლეს შეუძლია სკოლის თვითმმართველობის დემოკრატიულ პროცესში ნაყოფიერი მონაწილეობა.

წლის ბოლოს მისაღწევი შედეგები და მათი ინდიკატორები

მიმართულება: პიროვნული განვითარება

მოქ.IX.1. მოსწავლეს შეუძლია გაანალიზოს საკუთარი პიროვნული თვისებები, მისწრაფებები და შესაძლებლობები.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ჩამოთვლის, რა სჭირდება ადამიანს არსებობისთვის და შეუსაბამებს მათ საკუთარ სურვილებს. ჩამოთვლის ადამიანის მოთხოვნილებებისა და სურვილების დაკმაყოფილების გზებს;
- ჩამოთვლის ადამიანის გრძნობებს, ემოციებს, თვისებებს და აჯგუფებს მათ უარყოფით-დადებითის თვალსაზრისით;
- განასხვავებს ადამიანის თანდაყოლილ და შეძენილ თვისებებს, რომლებიც აუცილებელია საზოგადოებაში სრულფასოვანი ცხოვრებისთვის;
- ირჩევს მისთვის მისაღებ პიროვნულ თვისებებს და სახავს საკუთარი თავისათვის მათი განვითარების გზებს;
- მართავს საკუთარ ძლიერ გრძნობებს *(მაგ.: აღტაცების, სტრესის, აპათიის, აგრესიის და ა.შ.)*;
- განმარტავს ადამიანურ ღირსებას, მოჰყავს მაგალითები ცხოვრებიდან, მხატვრული ლიტერატურიდან მისი შელახვისა და დაცვის შესახებ;
- დისკუსიის დროს ავლენს ადამიანის ღირსების პატივისცემას *(მაგ.: მის საწინააღმდეგო მოსაზრებას ბოლომდე ჩუმად, აუღელვებლად უსმენს; საკუთარ პოზიციას იცავს ან სხვის მოსაზრებას ეწინააღმდეგება პირად თვისებებზე საუბრის გარეშე და.შ.)*;

- თანაკლასელთა ჯგუფთან ერთად გაითამაშებს სიტუაციას, როდესაც ილახება ადამიანის ღირსება ან თავისუფლება. გამოთქვამს და ასაბუთებს თავის მოსაზრებას ამ ღირებულებების მნიშვნელობის შესახებ; გადმოსცემს საკუთარ განცდებს *(მაგ.: როდის გრძნობს, რომ სხვებზე არც უკეთესია და არც უარესი, როდის გრძნობს, რომ ღირსეულად იქცევა);*
- მსჯელობს იმპულსურ ქცევასა (”მინდა”) და ნებელობით ქცევას (”საჭიროა”) შორის განსხვავებაზე, მოჰყავს კონკრეტული მაგალითები და აკეთებს დასაბუთებულ არჩევანს მათ შორის. განიხილავს შემთხვევებს, როდესაც პიროვნება იღებს პასუხისმგებლობას საკუთარ საქციელზე და როდესაც ის ასე არ იქცევა, არგუმენტირებულად მხარს უჭერს რომელიმე მათგანს;
- აფასებს ღირებულებებზე დაფუძნებული პიროვნული არჩევანის მნიშვნელობას საზოგადოების განვითარებისათვის.

მოქ.IX.2. მოსწავლეს შეუძლია განსაზღვროს საკუთარი ადგილი და მნიშვნელობა საზოგადოებაში.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ზნეობას, ზრდილობასა და დისციპლინას უკავშირებს ადამიანისა და საზოგადოების კეთილდღეობას, აანალიზებს მათ როლსა და მნიშვნელობას საზოგადოების განვითარებისათვის/ქმედუნარიანობისათვის;
- აანალიზებს საზოგადოებაში მოქცევის მოტივებს *(მაგ.: სასჯელის შიში, ჯილდო/სარგებელი, სხვათა მოწონება/კონფორმიზმი, კანონმორჩილება, სინდისის კარნახი და ა.შ.)*;
- განასხვავებს მორალურ არჩევანსა და ქცევას, საზოგადოებრივი ზეწოლით განხორციელებული არჩევანისა და ქცევისაგან;
- მსჯელობს ოჯახზე, როგორც საზოგადოების ძირითად ღირებულებასა და ადამიანის ძირითად გარემოზე. გამოკვეთს ოჯახის სტრუქტურას და ფუნქციურ როლებს მასში. აანალიზებს ოჯახში პასუხისმგებლობების განაწილების საკითხს და მსჯელობს საკუთარ პასუხისმგებლობაზე;
- აღწერს საკუთარ როლს, ფუნქციებს, უფლებებს, მოვალეობებსა და ვალდებულებებს, როგორც კლასისა და სკოლის თემის წევრი;
- საკუთარი შესაძლებლობებისა და ინტერესების შესაბამისად, გააზრებულად და აქტიურად მონაწილეობს კლასისა და სკოლის ცხოვრებაში *(მაგ.: სასკოლო კონკურსებსა და კონფერენციებში, კლასისა თუ სკოლის მოვლა-პატრონობისა და კეთილმოწყობის საქმიანობაში, მოსწავლეთა თვითმმართველობასთან კონსტრუქციულ თანამშრომლობაში, სასკოლო გუნდებში ან მათ მხარდამჭერთა კლუბებში და ა.შ.*);
- იცავს კლასში, სკოლასა და საზოგადოებაში არსებულ საერთო წესებს და ასაბუთებს საზოგადოებრივი ნორმების პატივისცემის მნიშვნელობას;
- მსჯელობს ადამიანისა და საზოგადოების ურთიერთდამოკიდებულებაზე, განასხვავებს პიროვნებისა და საზოგადოების ინტერესებს.

მოქ.IX.3. მოსწავლეს შეუძლია გაანალიზოს პროფესიონალიზმის მნიშვნელობა პიროვნების განვითარებისათვის.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- მონაწილეობს მცირე ჯგუფში ადამიანის მოთხოვნილებათა ზრდის შესახებ სხვადასხვა თეორიის განიხილვაში. კლასს აცნობს ჯგუფის მიერ დასახელებულ და მნიშვნელობის მიხედვით დალაგებულ ადამიანის მოთხოვნილებათა ჩამონათვალს; ასაბუთებს ჯგუფის შეთანხმებულ პოზიციას;
- ჩამოთვლის, მისი აზრით, რამდენიმე წარმატებულ თვალსაჩინო ადამიანს, განიხილავს მათი წარმატების პიროვნულ მიზეზებს და გამოყოფს მათგან პროფესიულს;
- ჩამოთვლის ადამიანის პროფესიონალიზმის მახასიათებლებს და უკავშირებს ადამიანის თანდაყოლილ და შეძენილ თვისებებს;
- პროფესიონალიზმის მახასიათებლებს აჯგუფებს პიროვნული თვისებებისა და გარე ფაქტორების მიხედვით;
- აჯგუფებს ადამიანის პროფესიონალიზმის პიროვნულ მახასიათებლებს ცოდნის, უნარისა და შრომისადმი დამოკიდებულების მიხედვით;
- ასაბუთებს პასუხისმგებლობის გრძნობის კავშირსა და მნიშვნელობას პროფესიონალიზმისათვის;
- მსჯელობს, რა გავლენას ახდენს ადამიანის პროფესიონალიზმი მის მდგომარეობასა და აღიარებაზე საზოგადოებაში.

მოქ.IX.4. მოსწავლეს შეუძლია შეადგინოს საკუთარი მომავალი საქმიანობის გეგმა.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ჩამოთვლის საკუთარ მიზნებს *(მაგ.: ვიყო განათლებული, მდიდარი, ჯანმრთელი, ლამაზი, უსაქმური, ვიცხოვრო უსაფრთხოდ და ა.შ.),* რომლებიც კარიერასთან არის დაკავშირებული; მსჯელობს მათ რეალურობასა და მიღწევის გზებზე; მიზნების განხორციელების გზებს აკავშირებს შესაბამის მოვალეობებთან;
- საკუთარი შესაძლებლობებისა და მიზნების ანალიზის საფუძველზე ასახელებს საქმიანობის იმ სფეროს, რომელსაც სავარაუდოდ უკავშირებს საკუთარ მომავალ მოღვაწეობას;
- კლასში გამოავლენს თანამოაზრეებს, რომლებთან ერთადაც აგროვებს ინფორმაციას მომავალი პროფესიის შესახებ და მისი მიმოხილვის შემდეგ აკეთებს განაცხადს მინი-პროექტისთვის "ჩემი მომავალი პროფესია";
- მასწავლებლის დახმარებით, თანაკლასელთა ჯგუფთან ერთად სახავს იმ გზებს, რომლებიც დაეხმარება მას პროფესიის არჩევანის გაკეთებაში, რაც გულისხმობს: ინფორმაციის მოძიებისა და ანალიზის ეტაპებს, ვადებს, გამოსაყენებლი მეთოდების *(მაგ.: გამოკითხვა, ინტერვიუ, ადგილზე გაცნობა და ა.შ.)* განსაზღვრას;
- მასწავლებელთან და თანამოაზრე თანაკლასელთა ჯგუფთან ერთად განიხილავს საშუალო საფეხურზე შესასწავლ არჩევით საგნებს, თანამშრომლობს შესაბამის

პედაგოგებთან და არკვევს მათ მნიშვნელობებს. გამოყოფს იმ საგნებს, რომლებიც დაეხმარება დასახული პროფესიის დაუფლებაში;

- საშუალო საფეხურზე არჩევითი საგნებიდან გამოყოფს მისთვის საინტერსო და საჭირო საგნებს; ასაბუთებს საკუთარ არჩევანს;
- საკუთარი შესაძლებლობებისა და მისწრაფებების ანალიზის საფუძველზე წერს თხზულებას "როგორ მესახება ჩემი მომავალი კარიერა" (დასახული მიზნები და მათი მიღწევის გზები, სასურველი და გარდაუვალი მოვლენები, მისი ჩანაფიქრის შესაბამისობა საზოგადოებრივ ინტერესებთან); თხზულებას წარუდგენს თანაკლასელებს.

მიმართულება: მდგრადი განვითარება

მოქ.IX.5. მოსწავლეს შეუძლია პიროვნებისა და საზოგადოებისათვის მნიშვნელობის გააზრებით მისდიოს ცხოვრების ჯანსაღ წესს.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ანსხვავებს ჯანსაღ და არაჯანსაღ საკვებს, მსჯელობს ჯანსაღი საკვების მნიშვნელობაზე ადამიანის/საზოგადოების კეთილდღეობისა და მდგრადი განვითარებისათვის;
- მსჯელობს და ასაბუთებს დაბალანსებული დღის რეჟიმის (სწავლა-დასვენების) მნიშვნელობას ადამიანის ჯანმრთელობისთვის და საზოგადოების კეთილდღეობისათვის;
- აღწერს თამბაქოს მოხმარებასთან დაკავშირებულ რისკებს და ასაბუთებს მათ მავნე გავლენას ადამიანის ჯანმრთელობასა და საზოგადოების კეთილდღეობაზე;
- განმარტავს, თუ რას ნიშნავს ალკოჰოლის ავადმოხმარება, მსჯელობს შესაბამის რისკებზე და ასაბუთებს ალკოჰოლის ავადმოხმარების მავნე გავლენას ადამიანის/საზოგადოების კეთილდღეობაზე;
- განმარტავს, თუ რას ნიშნავს არალეგალური ნარკოტიკული საშუალებები, მსჯელობს სხვადასხვა ნარკოტიკული საშუალებების ავადმოხმარებასთან დაკავშირებულ საერთო და სპეციფიკურ რისკებზე;
- იცავს ჯანსაღი ცხოვრების ელემენტარულ პრევენციულ წესებს თამბაქოს, ალკოჰოლის, ნარკოტიკული ნივთიერებების მოხმარებისა და აზარტულ თამაშებში მონაწილების გამორიცხვით/შეზღუდვით;
- იცავს ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველსაყოფ სასკოლო წესებსა და კანონის მოთხოვნებს;
- მსჯელობს ჯანსაღი გარემოს მნიშვნელობაზე ადამიანის/საზოგადოების კეთილდღეობისათვის; აღწერს, თუ რა სახის ქმედებები უქმნის საფრთხეს ჯანსაღ გარემოს; აღწერს იმას, თუ რა სახის ქმედებებს შეაქვთ წვლილი გარემოს დაცვაში;
- თანამშრომლობს თანატოლებთან მათი საჭიროებების, ინტერესებისა და უფლებების გათვალისწინებით;

- წერს თხზულებას სოციალური დაავადებების *(მაგ.: ალკოჰოლიზმი, ნარკომანია, შიდსი, ტუბერკულოზი და ა.შ.)* მქონე ადამიანებისადმი საზოგადოების დანარჩენ წევრთა დამოკიდებულების შესახებ, სადაც ასაბუთებს საკუთარ პოზიციას მის მიერ აღწერილი ურთიერთობის სამართლიანობის შესახებ.

მოქ. IX 6. მოსწავლეს შეუძლია საზოგადოებრივი უსაფრთხოების ძირითადი პრობლემების გადასაჭრელად თანამშრომლობა.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ადამიანის რომელიმე მოთხოვნილებას შეუსაბამებს ადამიანის გარკვეულ უფლებას *(მაგ.: კვება _ სიცოცხლის, შრომის და სხვა უფლებები; ურთიერთობა _ სიცოცხლის, სიტყვის, შრომის, უსაფრთხო გარემოს და სხვა უფლებები და ა.შ.)* და ასაბუთებს საკუთარი პასუხის მართებულობას;
- მისთვის ნაცნობი სოციალური გარემოს მაგალითზე *(ოჯახი, სამეზობლო, კლასი, სკოლა, სამეგობრო, დასახლება)* გამოყოფს იმ ფაქტორებს *(მაგ.: საერთო ზნეობრივი ღირებულებები, გარემოებები და ა.შ.)*, რომლებიც მათ ერთმანეთზე დამოკიდებულს ხდის. მოჰყავს მაგალითები მხატვრული ლიტერატურიდან და ისტორიიდან;
- თანაკლასელების ჯგუფთან ერთად ადგენს კლასის ან სკოლის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფისთვის საჭირო ნივთების თუ სამუშაოების სიას, რომლიდანაც ირჩევს რამდენიმეს, რომლის შეძენა ან განხორციელება ჯგუფს სხვების დაუხმარებლად შეუძლია; უზიარებს თანაკლასელებს საკუთარ არჩევანს და ასაბუთებს მას არსებული შეზღუდვებისა და ალტერნატივების განხილვით;
- მსჯელობს არაძალადობრივ ურთიერთობებზე, როგორც ფსიქიკური სიჯანსაღის მაჩვენებელზე;
- გამოხატავს სოლიდარობასა და თანაგრძნობას იმ ადამიანების მიმართ, ვისაც ძალადობის საფრთხე ემუქრება;
- მონაწილეობს საკლასო დისკუსიაში "რა მოხდებოდა ყველას რომ ჰქონდეს მხოლოდ უფლება და არ გააჩნდეს მოვალეობა? საჭიროა თუ არა პასუხისმგებლობა და რისთვის?";
- ხსნის, თუ რატომ ევალება პიროვნებას კანონის დაცვა; ასახელებს იმ საშიშროებას, რაც მოსდევს არაკანონიერ მოქმედებას;
- წერს თხზულებას "რაზეა დამოკიდებული ჩვენი კეთილდღეობა?", სადაც სხვადასხვა საგნიდან *(მაგ.: ისტორია, გეოგრაფია, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება და ა.შ.)* მიღებული ინფორმაციისა და სტატისტიკური ანალიზის მეთოდების გამოყენებით ასაბუთებს საკუთარ პოზიციას;
- აანალიზებს ადამიანის უფლებებს, როგორც ქცევის სტანდარტების შემუშავებისა და შეთანხმების საფუძველს სხვადასხვა მასშტაბის საზოგადოებაში (*მაგ.: ოჯახი, სკოლა, სპორტული კლუბი, თემი, ქვეყანა და ა.შ.);*
- თანაკლასელების ჯგუფთან ერთად, საკუთარ დასახლებაში იკვლევს იმ საშიშროებებს, რაც მოსდევს მოზარდების მიერ თამბაქოს, ალკოჰოლისა და ნარკოტიკების გამოყენებას; განიხილავს შესაბამის სტატისკურ მონაცემებს საქართველოს, მეზობელი ქვეყნებისა და მსოფლიოსთვის; ანალიზის საფუძველზე

ასახელებს ეფექტური პრევენციული ღონისძიებების მაგალითებს, რომლის გამოყენებაც შესაძლებელია საკუთარ დასახლებაში;
- ჩამოთვლის საზოგადოებრივი უსაფრთხოების განმსაზღვრელ ფაქტორებს შეიარაღებული კონფლიქტის პირობებში; აყალიბებს მებრძოლი მხარეების ვალდებულებებს.

მოქ.IX.7. მოსწავლეს შეუძლია ერთმანეთთან დააკავშიროს საქართველოს მრავალფეროვნების ძირითად მახასიათებლები.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ჩამოთვლის საზოგადოების მრავალფეროვნების დამახასიათებელ ნიშნებს, რომლებიც ვრცელდება საქართველოს მოსახლეობაზე;
- საკუთარი სკოლის ან დასახლების მაგალითზე, ადგენს საზოგადოების მრავალფეროვნების დიაგრამას;
- აკავშირებს ერთმანეთთან ადამიანური ღირსების, თანასწორობისა და საზოგადოების მრავალფეროვნების ნიშნებს;
- მსჯელობს საქართველოს მოსახლეობაში უმრავლესობისა და უმცირესობის გამოყოფის პრინციპებზე სხვადასხვა ნიშნის მიხედვით *(მაგ.: ეთნიკური, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, კულტურული, რელიგიური და სხვ.)*;
- საქართველოს მოსახლეობის მაგალითზე წარმოადგენს იმ ჯგუფებს, რომლებიც გაერთიანებულია მარავალფეროვნების რამდენიმე ნიშნის მიხედვით *(მაგ.: ეთნიკური, ენობრივი და რელიგიური ან სოციალური, სქესობრივი და ასაკობრივი)*;
- ირჩევს საქართველოს ერთ-ერთ რეგიონს, ახასიათებს მის მოსახლეობას მრავალფეროვნების ნიშნების მიხედვით და ასახელებს არსებული მრავალფეროვნების ისტორიულ-გეოგრაფიულ მიზეზებს.

მოქ.IX.8. მოსწავლეს შეუძლია საზოგადოებაში მშვიდობიანი თანაარსებობის საფუძვლებისა და პირობების კვლევა.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- თანაკლასელებთან ერთად, საკუთარი დაკვირვებების საფუძველზე, შეარჩევს და გაითამაშებს რომელიმე კონფლიქტურ სიტუაციას; განიხილავს მისი მოგვარების შესაძლო გზებს *(მაგ.: ინტერესების პოზიციდან – მოლაპარაკებით, წესების პოზიციიდან – სასამართლოთი თუ სხვა)*; არჩევს მოცემული შემთხვევისათვის ყველაზე ეფექტურს და ასაბუთებს თავის მოსაზრებას;

- თანაკლასელებთან ერთად ქმნის მშვიდობიანი გარემოსთვის საჭირო ყოველდღიური ქცევის სახელმძღვანელო დოკუმენტს *(მაგ.: ბუკლეტი, პლაკატი, სამახსოვრო*) და წარუდგენს სკოლის თვითმმართველობის ორგანოებს;
- ადარებს მშობლიურ მხარეში გავრცელებულ ტრადიციულ და თანამედროვე ეკონომიკურ საქმიანობებს სარფიანობის მიხედვით; მსჯელობს ეკონომიკური საქმიანობის სფეროს შეცვლის გამომწვევ მიზეზებზე;
- აკავშირების საზოგადოებაში სამართლიანობის პირობებს მშვიდობიანი თანაარსებობის საფუძვლებთან;
- საკუთარი სკოლის, დასახლების ან ქვეყნის მაგალითზე ჩამოთვლის საკითხებს, რომელთა გადასაწყვეტად, მისი აზრით, მნიშვნელოვანია უმრავლესობის აზრის გამოვლენა *(მაგ.: პლებისციტი, რეფერენდუმი, გამოკითხვა, არჩევნები და ა.შ.*);
- მსჯელობს, არის თუ არა მის კლასში დემოკრატიული გარემო *(მაგ.: არის თუ არა თანასწორობის, ურთიერთპატივისცემის, თანამშრომლობის ატმოსფერო, შეუძლია თუ არა ნებისმიერ მოსწავლეს თავისუფლად გამოხატოს საკუთარი აზრი დისკუსიებისა და განხილვის დროს*);
- განიხილავს საქართველოს მოსახლეობის მრავალფეროვნებას, როგორც საზოგადოებაში მშვიდობიანი თანაარსებობისა და ტოლერანტობის საფუძველს.

მიმართულება: თვითმმართველობა და მმართველობა

მოქ.IX.9. მოსწავლეს შეუძლია გაანალიზოს საქართველოს მოქალაქის კონსტიტუციური უფლებები და თავისუფლებები, მოვალეობები და პასუხისმგებლობები.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- აღწერს საქართველოს მოქალაქეობის საფუძვლებსა და პირობებს;
- ადარებს საქართველოს მოქალაქის კონსტიტუციურ უფლებებსა და თავისუფლებებს ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაციის დებულებებთან;
- მსჯელობს საქართველოში მოქალაქეთა თანასწორუფლებიანობის გარანტიებზე;
- ადგენს ასაკობრივ დროის ხაზს, რომელზედაც მიუთითებს საქართველოს მოქალაქის ძირითად უფლებებს, მოვალეობებსა და შესაბამის პასუხისმგებლობებს.
- გამოყოფს საქართველოს არასრულწლოვანი და სრულწლოვანი მოქალაქეების სამართლებრივი მდგომარეობის განსხვავებსა და მსგავსებებს;
- აჯგუფებს საკუთარ კანონიერ უფლება-მოვალეობებსა და პასუხისმგებლობებს სამართლებრივი სფეროების მიხედვით (სამოქალაქო, ადმინისტრაციული, სისხლის სამართლის და ა.შ.);
- საქართველოს მოქალაქის უფლება-მოვალეობებს აჯგუფებს მათი განხორციელების პირობების მიხედვით *(მაგ.: საკმარისია მოქალაქის ნება, საკმარისია საზოგადოებრივი შეთანხმება, აუცილებელია სახელმწიფოს მოქმედება).*

მოქ.IX.10. მოსწავლეს შეუძლია გაანალიზოს საქართველოს სახელმწიფო მმართველობის სისტემა.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- მსჯელობს განხსვავებებზე ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის;
- თანაკლასელებთან ერთად აჯგუფებს ხელისუფლების სხვადასხვა შტოს (აღმასრულებელი, საკანონმდებლო და სასამართლო) და განასხვავებს მათ ფუნქციებს;
- ირჩევს ერთ-ერთ სახელმწიფო ორგანოს და უკავშირებს მას ხელისუფლების შესაბამის შტოს; განიხილავს ამ ორგანოს ფუნქციებს და მის კავშირს ხელისუფლების სხვა ორგანოებთან;
- ადგენს საკუთარ დასახლებაში გადასაჭრელ საკითხთა ნუსხას და შესაბამისად ასახელებს ხელისუფლების იმ წარმომადგენელს, რომელთანაც უნდა მოხდეს პირველი მიმართვა; ასაბუთებს საკუთარ დასკვნას (შტოსა და დონის/ინსტანციის მიხედვით);
- თანაკლასელების ჯგუფთან ერთად ირჩევს რომელიმე სახელმწიფო ორგანოს *(მაგ.: გამგეობა/მერია, პარლამენტი, სასამართლო, სამინისტრო და ა.შ.)* და მონაწილეობს შესაბამის სიმულაციურ თამაშში "სამსახურის ერთი დღე";
- განიხილავს ხელისუფლების ერთ-ერთი ორგანოს *(მაგ.: პარლამენტი, პრეზიდენტი, ქალაქის მერი, თვითმმართველობის ორგანო, მოსამართლე და ა.შ.)* არჩევის წესებს; ადარებს საქართველოსა და სხვა ქვეყნის მაგალითს; გამოყოფს, მისი აზრით, მათ შორის უფრო სამართლიან წესებს;
- თანაკლასელების ჯგუფთან ერთად მოიძიებს ინფორმაციას რომელიმე არჩევითი თანამდებობის ან ორგანოს *(მაგ.: სკოლის დირექტორი, დეპუტატი, მერი ან სხვა)* შესახებ და სიმულაციურ არჩევნებში ასრულებს მისთვის განკუთვნილ როლს *(მაგ: ამომრჩეველი, კანდიდატი, მხარდამჭერი, დამკვირვებელი, ჟურნალისტი, სამართალდამცავი ან სხვა*); ერთმანეთს ადარებს ნავარაუდებ და მიღებულ შედეგებს, რის საფუძველზეც თანაკლასელებთან ერთად აფასებს თითოეული მონაწილის როლს/ფუნქციას;
- ჩამოთვლის სახელმწიფოს დემოკრატიულობის პრინციპებს *(მაგ.: ხელისუფლების დანაწილება და წარმომადგელობითიბა, მრავალპარტიულობა, სიტყვის თავისუფლება და ა.შ.)* და თითოეულის მიხედვით ახასიათებს საქართველოს სახელმწიფოს მმართველობას; ადარებს რომელიმე სხვა დემოკრატიულ სახელმწიფოს; ანალიზის საფუძველზე აკეთებს დასკვნას, თუ რომელი მმართველობაა უფრო დემოკრატიული.

მოქ.IX.11. მოსწავლეს შეუძლია სკოლის თვითმმართველობის დემოკრატიულ პროცესში ნაყოფიერი მონაწილეობა.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ჩამოთვლის, მისი აზრით, კლასისთვის (ან სკოლისთვის) აქტუალურ საკითხებს, რომელთა გადაწყვეტაშიც თავად სურს მონაწილეობა და თანაკლასელებს (დამრიგებელს ან სკოლის ადმინისტრაციას) წარუდგენს ამ საკითხთა მოგვარების მისეულ გეგმას;
- თანაკლასელებს ახსენებს მე-7 კლსში შემუშავებულ საკლასო კონსტიტუციის შინაარსს; აცნობს მათ დოკუმენტში შესატანი ცვლილებებისა და დამატებების პროექტს; საკუთარი მოსაზრების დასაბუთებისას იცავს რეგლამენტს;
- ზეპირად ან წერილობით წარმოადგენს თანაკლასელთა ჯგუფთან ერთად მომზადებულ დემოკრატიული კლასის/სკოლის მოდელს; მოჰყავს არგუმენტები საკუთარი დასკვნების დასამტკიცებლად;
- საკუთარი სკოლის თვითმმართველობის მაგალითზე განიხილავს მოსწავლეების როლს დემოკრატიის მშენებლობაში;
- ასაბუთებს მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და სკოლის დირექციის თანამშრომლობის მნიშვნელობას ხარისხიანი განათლებისათვის;
- თანაკლასელების ჯგუფთან ერთად განიხილავს სკოლის თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობასა და მათ შედეგებს; აანალიზებს განხილვის შედეგებს და წერს რეკომენდაციებს სასკოლო ცხოვრების გაუმჯობესების შესახებ, რომლებსაც სათანადო ფორმით წარუდგენს შესაბამის კომპეტენტურ პირს ან ორგანოს.

პროგრამის შინაარსი

პიროვნული განვითარება

1. მოთხოვნილებები და შესაძლებლობები
2. პროფესიონალიზმი და პიროვნების განვითარება
3. სამომავლო გეგმების დასახვა
4. ბაზარი და კონკურენცია
5. შრომის ბაზარი და ტენდენციები
6. კონფლიქტის განვითარებისა და მოგვარების გზები
7. ადამიანის უფლებების მორალური საფუძვლები და ისტორია

მდგრადი განვითარება

8. სამართლიანი სამყარო და მშვიდობიანი თანაარსებობა
9. საზოგადოებრივი უსაფრთხოება და მისი კომპონენტები
10. უსაფრთხო და ჯანსაღი გარემო: სკოლაში, დასახლებაში და ქვეყანაში
11. სამართალი და მორალი
12. მოსახლეობის სოციალური სტრუქტურა
13. მრავალფეროვანი საქართველო და მრავალფეროვანი სამყარო
14. თავისუფალი საზოგადოება და არჩევანი
15. ინვესტირება, მოგება, გადასახადები
16. სამართლიანობა, კანონიერება და მართლწესრიგი

17. ბიუჯეტი - პრიორიტეტების, ვალდებულებებისა და შესაძლებლობების შეთანხმებული განაწილება

თვითმმართველობა და მმართველობა

18. დემოკრატიის საფუძვლები და მისი მნიშვნელობა საზოგადოების ცხოვრებაში
19. დემოკრატია საქართველოში
20. საქართველოს კონსტიტუცია: სახელმწიფოს მოწყობა, მმართველობა და საქართველოს მოქალაქის მახასიათებლები
21. ოჯახი, სკოლა და სხვა საზოგადოებრივი სისტემების თვითმმართველობა
22. სკოლის თვითმმართველობა: სტრუქტურა, ფუნქციები და მოსწავლეთა შესაძლებლობები
23. მოქალაქის მონაწილეობა დემოკრატიულ პროცესში
24. დემოკრატიული მმართველობის პრინციპები და მოდელები
25. ხელისუფლების დანაწილება და მართვის დონეები

X კლასი

სამოქალაქო განათლება

სტანდარტი

წლის ბოლოს მისაღწევი შედეგები მიმართულებების მიხედვით:

პიროვნული განვითარება	მდგრადი განვითარება	თვითმმართველობა და მმართველობა
მოქ.X.1. მოსწავლეს შეუძლია თვითდამკვიდრება საზოგადოებაში. **მოქ.X.2.** მოსწავლეს შეუძლია გაანალიზოს ადამიანური ღირსების არსი. **მოქ.X.3.** მოსწავლეს შეუძლია დააკავშიროს თავისუფალი პიროვნებისა და აქტიური მოქალაქის თვისებები. **მოქ.X.4.** მოსწავლეს შეუძლია კრიტიკულად შეაფასოს საკუთარი მომავალი საქმიანობის გეგმა.	**მოქ.X.5.** მოსწავლეს შეუძლია გააზრებული მონაწილეობა და თანამშრომლობა სოციალური პრობლემების გადაწყვეტაში. **მოქ.X.6.** მოსწავლეს შეუძლია გაანალიზოს მრავალფეროვან საზოგადოებაში სამართლიანი ურთიერთობის უზრუნველყოფის საშუალებები. **მოქ.X.7.** მოსწავლეს შეუძლია სამოქალაქო საზოგადოების ძირითადი საფუძვლების კვლევა. **მოქ. X 8.** მოსწავლეს შეუძლია საქართველოს მდგრადი განვითარების შესაძლებლობების კვლევა.	**მოქ. X 9.** მოსწავლეს შეუძლია გაანალიზოს საქართველოს სახელმწიფო მმართველობის სისტემის განვითარების პროცესი. **მოქ.X.10.** მოსწავლეს შეუძლია საქართველოს მოქალაქის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობის შესაძლებლობების კვლევა და გამოყენება. **მოქ.X.11.** მოსწავლეს შეუძლია გაანალიზოს მოქალაქეების როლი ქვეყნის დემოკრატიაში.

წლის ბოლოს მისაღწევი შედეგები და მათი ინდიკატორები

მიმართულება: პიროვნული განვითარება

მოქ.X.1. მოსწავლეს შეუძლია თვითდამკვიდრება საზოგადოებაში.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- განსაზღვრავს საზოგადოებრივ ჯგუფს, რომელსაც მიაკუთვნებს თავს და აფასებს რამდენად შეესაბამება მისი მისწრაფებები და ინტერესები ჯგუფის მისწრაფებებს და ინტერესებს;
- საკუთარი გამოცდილების საფუძველზე მსჯელობს წარსულში მომხდარ და აწმყოში მიმდინარე მნიშვნელოვან მოვლენებზე, აკავშირებს მათ ერთმანეთთან და აანალიზებს, რამდენად მოქმედებს წარსულში მიღწეული წარმატება თუ წარუმატებლობა აწმყოში მიღწეულ შედეგებზე, აფასებს საკუთარ როლს ამ მოვლენებში.

მოქ.X.2. მოსწავლეს შეუძლია გაანალიზოს ადამიანური ღირსების არსი.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- განმარტავს ადამიანური ღირსების არსს;
- განიხილავს ადამიანის ღირსების კრიტერიუმებს სხვადასხვა სოციალურ-კულტურული გარემოში და გამოყოფს უნივერსალურ მსგავსებებს;
- მსჯელობს ადამიანური ღირსების პატივისცემის ფაქტორებზე სხვადასხვა საზოგადოებაში;
- მსჯელობს შეიარაღებული კონფლიქტის მსხვერპლის ღირსების პატივისცემის შესაძლებლობებზე.

მოქ.X.3. მოსწავლეს შეუძლია დააკავშიროს თავისუფალი პიროვნებისა და აქტიური მოქალაქის თვისებები.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- გამოყოფს პიროვნების თავისუფლებისა და მოქალაქის აქტიურობის ნიშნებიდან მსგავსს;
- აკავშირებს ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს საქართველოს მოქალაქის მოვალეობებთან;
- მსჯელობს თავისუფალი პიროვნების აქტიური მოქალქეობისათვის აუცილებელ პირობებზე საზოგადოებაში.

მოქ.X.4. მოსწავლეს შეუძლია კრიტიკულად შეაფასოს საკუთარი მომავალი საქმიანობის გეგმა.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- განსაზღვრავს სავარაუდო მოქმედებებს, რომელთა განხორციელებასაც თავად გეგმავს, ახარისხებს მათ მნიშვნელობის მიხედვით.
- თანაკლასელებთან ერთად ჩამოწერს საერთო სამომავლო მიზნებს, შეუძლია ცხრილის მიხედვით ერთმანეთისგან გამიჯნოს განსახორციელებელი მიზნები ვადების მიხედვით. მსჯელობს მათ რეალურობასა და მიღწევის გზებზე.
- საკუთარი შესაძლებლობებისა და მიზნების ანალიზის საფუძველზე ასახელებს საზოგადოებრივი ცხოვრების იმ სფროს, რომელსაც სავარაუდოდ უკავშირებს საკუთარ მომავალ მოღვაწეობას. კლასში გამოავლენს თანამოაზრეებს, რომლებთან ერთადაც აგროვებს ინფორმაციას ამ სფეროს შესახებ და მისი მიმოხილვის შემდეგ განსაზღვრავს თავის მომავალ სავარაუდო საქმიანობას.

მიმართულება: მდგრადი განვითარება

მოქ.X.5. მოსწავლეს შეუძლია გააზრებული მონაწილეობა და თანამშრომლობა სოციალური პრობლემების გადაწყვეტაში.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- საკუთარი დასახლებაში გამოყოფს სხვადასხვა სოციალურ უმცირესობებს *(მაგ.: მარტოხელა მოხუცები, ინვალიდები, მიუსაფარი ბავშვები, იმიგრანტები და ა.შ.)*; მსჯელობს ამ ადამიანებისადმი საზოგადოების ურთიერთობის თავისებურებებზე;
- გამოყოფს საქართველოში, მისი აზრით, ყველაზე დაუცველ სოციალურ ჯგუფებს და მსჯელობს საზოგადოების მხრიდან მათი დახმარების შესაძლებლობებზე; ასაბუთებს საკუთარ მოსაზრებას;
- თანაკლასელებთან ერთად განიხილავს, თუ რა წვლილის შეტანა შეუძლია მას დღის ჯანსაღი რეჟიმის იდეის პოპულარიზაციაში საკუთარ დსახლებაში; სახავს გეგმას და სკოლის თვითმმართველობის ორგანოებთან შეთანხმებით, ახორციელებს საინფორმაციო-საგანმანათლებლო კამპანიას.
- თანაკლასელთა ჯგუფთან ერთად ირჩევს იმ საზოგადოებრივ ჯგუფს, რომელსაც, მისი აზრით, საზოგადოების თანადგომა სჭირდება; გამოავლენს ამ ჯგუფის საერთო მიზნებსა და ამოცანებს; თანაკლასელებთან ერთად გეგმავს ამ საზოგადოებრივი ჯგუფის (ან კონკრეტული წარმომადგენლების) დასახმარებელ ღონისძიებებს და სკოლის თვითმმართველობის ხელშეწყობით, თანამშრომლობს ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან შერჩეული ჯგუფის დასახმარებლად;
- მონაწილეობს საკლასო დისკუსიაში "რა შეგვიძლია შევმატოთ სკოლას?", რომლის მიზანია სკოლის საჭიროებებისა და თანაკლასელთა შესაბამისი შესაძლებლობების დაზუსტება; ითვალისწინებს წინა წელს გაწეული ანალოგიური სამუშაოს შედეგებს და შეიმუშავებს საკუთარ სამოქმედო გეგმას, რომელსაც შეათანხმებს

თანაკლასელებთან; დაგეგმილ აქტივობებში *(მაგ.: სკოლის ბიბლიოთეკის ან სპორტული დარბაზის შევსება, უმცროსკლასელთა ექსკურსიებში მასწავლებელთა დახმარება, სკოლისა თუ მისი გარემოს კეთილმოწყობა და ა.შ.)*. ასრულებს მისთვის გამოყოფილ როლს.

მოქ.X.6. მოსწავლეს შეუძლია გაანალიზოს მრავალფეროვან საზოგადოებაში სამართლიანი ურთიერთობის უზრუნველყოფის საშუალებები.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ახასიათებს საზოგადოებაში სამართლიანი ურთიერთობების პირობებს და უკავშირებს მრავალფეროვნების ნიშნებს;
- აკავშირებს თანასწორობის პრინციპსა და ურთიერთობათა სამართლიანობის ნორმებს ერთმანეთთან;
- ხსნის, თუ რატომ ევალება პიროვნებას კანონის დაცვა; აღწერს და აფასებს იმ საშიშროებას, რაც მოსდევს არაკანონიერ მოქმედებას;
- თანაკლასელებთან ერთად, საკუთარი დაკვირვებების საფუძველზე, შეარჩევს და გაითამაშებს რომელიმე კონფლიქტურ სიტუაციას, განიხილავს მისი მოგვარების შესაძლო გზებს *(მაგ.: ინტერესების პოზიციიდან, წესების პოზიციიდან)* აირჩევს მოცემული შემთხვევისათვის ყველაზე ეფექტიანს, ასაბუთებს თავის მოსაზრებას.
- თავისი კლასის მაგალითზე (საკუთარი და თანაკლასელების ინტერესების გაანალიზების შემდეგ) მსჯელობს ადამიანის პიროვნულ და საზოგადოებრივ ინტერესებზე; გამოყოფს იმ საერთო ინტერესებს, რომელთა გათვალისწინება აუცილებელია საზოგადოებრივი თანხმობისთვის;
- ისტორიული წარსულიდან ან თანამედროვე სინამდვილიდან ირჩევს რომელიმე ქვეყანას და აღწერს მის სოციალურ სტრუქტურას; განიხილავს სხვადასხვა საზოგადოებრივი ჯგუფის უფლებრივ მდგომარეობას, ურთიერთობასა და თითოეულის როლს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში; ანალიზის შედეგებს აცნობს თანაკლასელებს;
- მონაწილეობს დისკუსიაში "რატომ არღვევენ ბავშვები კანონს?"; მსჯელობს არასრულწლოვან დამნაშავეთა უფლებებსა და მათი დაცვის საკანონმდებლო გარანტიებზე; წერს თემას “რას ვურჩევდი თანატოლს”;
- მსჯელობს სხვადასხვა ტიპის *(მაგ.: ქურდობა, ნარკოტიკების გავრცელება, მკვლელობა, კორუფცია, დისკრიმინაცია, თაღლითობა, ძალადობა, ადამიანით ვაჭრობა - ტრეფიკინგი და სხვა)* დანაშაულის გამომწვევ მიზეზებსა და მათი შემცირების გზებზე;
- მონაწილეობს საკლასო დისკუსიაში "აქვს თუ არა ჩვენს საზოგადოებას კანონიერების კულტურა?"; აფასებს საზოგადოების დამოკიდებულებას ამ საკითხისადმი საკუთარ დასახლებაში (ან ქვეყანაში); მსჯელობს მოქალაქეების, საკანონმდებლო და სამართალდამცავი ორგანოების ურთიერთკავშირზე; წერს კლასში გამართული დისკუსიის ოქმს ან ანგარიშს;
- მონაწილეობს დებატებში "რომელი წესებია უფრო ძლიერი - დაწერილი თუ დაუწერელი?"; საკუთარ პოზიციას ასაბუთებს კონკრეტული მაგალითების

(თანამედროვე სინამდვილიდან, მხატვრული ლიტერატურიდან ან ისტორიიდან) განხილვით და შეფასებისას გამოყოფს კრიტერიუმებს, რომლებსაც ის ეყრდნობა;

- მსჯელობს, როგორ მოიქცევა მისი უფლებების დარღვევის შემთხვევაში და ხსნის, რატომ უნდა გაუწიოს ანგარიში სხვის თავისუფლებებს საკუთარი უფლებების დაცვისას;

მოქ.X.7. მოსწავლეს შეუძლია სამოქალაქო საზოგადოების ძირითადი საფუძვლების კვლევა.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- მონაწილეობს დისკუსიაში – რას ნიშნავს სამოქალაქო საზოგადოება? გამოთქვამს მოსაზრებას პოლიტიკური პარტიების, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მასმედიის როლის შესახებ საქართველოში; ავლებს პარალელებს სხვა ქვეყნებთან.
- საკუთარ დასახლებაში (რეგიონში) ირჩევს ერთ-ერთ საზოგადოებრივ ორგანიზაციას და მოიძიებს ინფორმაციას მის შესახებ; მსჯელობს ამ ორგანიზაციის შექმნის მიზეზებსა და მიზნებზე;
- ასახელებს ყველაზე მნიშვნელოვან საზოგადოებრივ მოვლენას საქართველოში ადამიანის უფლებათა დარღვევის კუთხით, ეცნობა მასთან დაკავშირებით გამოქვეყნებულ მასალას, მოძიებული ინფორმაციის საფუძველზე წერს რეფერატს: მიუთითებს რა უფლებები იქნა დარღვეული და რომ არ მომხდარიყო ამ უფლებების დარღვევა, რა შედეგს მიიღებდა საზოგადოება.

მოქ. X 8. მოსწავლეს შეუძლია საქართველოს მდგრადი განვითარების შესაძლებლობების კვლევა.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- საკუთარი დასახლების მაგალითზე ჩამოთვლის ადამიანის სხვადასხვა საქმიანობას, რომლებიც შემოსავლის მისაღებად ხორციელდება და აჯგუფებს მათ საქონლის წარმოებისა თუ მომსახურების მიხედვით; თითოეულ საქმიანობას შეუსაბამებს გამოყენებული რესურსების ტიპებს *(მაგ.: ბუნებრივი, ადამიანური, კაპიტალური*);
- თანაკლასელთა ჯგუფთან ერთად შეარჩევს და ჩამოწერს რამდენიმე კანონსა და საკონსტიტუციო დებულებას, რომელთა დაცვაც უზრუნველყოფს საზოგადოებრივ წესრიგსა და უსაფრთხო ცხოვრების პირობებს საზოგადოებისთვის *(მაგ.: სკოლა, ოჯახი, უბანი, ქალაქი და ა.შ.);* მონაწილეობს დისკუსიაში კანონის უზენაესობის აუცილებლობისა და კანონიერების უზრუნველყოფის შესახებ;
- მოიპოვებს და აანალიზებს ინფორმაციას ადამიანის ე.წ. ბუნებრივი მდგომარეობის შესახებ; მხატვრული ლიტერატურის ან ისტორიული წყაროების მაგალითზე აღწერს

ისეთი საზოგადოების მოდელს, სადაც "ადამიანი ადამიანისთვის მგელია" და ადარებს რომელიმე ბიოსოციუმის ცხოვრების წესს; ანალიზის საფუძველზე განსაზღვრავს და ასაბუთებს რომელიმე საზოგადოებაში *(მაგ.: სკოლა, სამეზობლო, სოფელი, საწარმო, ქვეყანა და ა.შ.)* თანხმობის მიღწევის პირობებს;

- მონაწილეობს დებატებში "რომელი წესებია უფრო ძლიერი - დაწერილი თუ დაუწერელი?"; საკუთარ პოზიციას ასაბუთებს კონკრეტული მაგალითების (თანამედროვე სინამდვილიდან, მხატვრული ლიტერატურიდან ან ისტორიიდან) განხილვით და შეფასებისას გამოყოფს კრიტერიუმებს, რომლებსაც ის ეყრდნობა;
- მსჯელობს, როგორ მოიქცევა მისი უფლებების დარღვევის შემთხვევაში და ხსნის, რატომ უნდა გაუწიოს ანგარიში სხვის თავისუფლებებს საკუთარი უფლებების დაცვისას;
- მსჯელობს სხვადასხვა სოციალური გარემოს (*მაგ.: სამეგობრო, სამეზობლო, პროფესიული და საზოგადოებრივი გაერთიანებები*) ჩამოყალიბებისა და მდგრადობის განმსაზღვრელ ფაქტორებზე *(მაგ.: საერთო ღირებულებები, ინტერესები, თვისებები, პირობები, მისწრაფებები და ა.შ.)*; მსჯელობს იმ ნიშან-თვისებებზე, რომლებიც დამახასიათებელია საქართველოსთვის; ავლებს პარალელებს სხვა ქვეყნებთან;

მიმართულება: თვითმმართველობა და მმართველობა

მოქ.X.9. მოსწავლეს შეუძლია გაანალიზოს საქართველოში თვითმმართველობისა და სახელმწიფო მმართველობის სისტემის განვითარების პროცესი.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- რომელიმე სამართალდამცავი სახელმწიფო ორგანოს *(მაგ: პოლიცია, სასამართლო, სახალხო დამცველი ან სხვა)* ან საზოგადოებრივი ორგანიზაციის მაგალითზე განიხილავს მათ უფლებამოსილებას, დანიშნულებას (ან მიზნებს) და საქმიანობას მართლწესრიგის დაცვაში; აფასებს არსებული პრაქტიკის ნაკლოვან და წარმატებულ მხარეებს;
- დროის სკალაზე აღნიშნავს საქართველოს სახელმწიფო მმართველობის განვითარებისთვის რამდენიმე (3-5) მნიშვნელოვან მოვლენას; მსჯელობს თითოეული მოვლენით გამოწვეულ შედეგებზე; ავლებს პარალელებს იმავე პერიოდის სხვა სახელმწიფოებთან *(მაგ.: მეზობელი ქვეყნები, ევროპა, ახლო აღმოსავლეთი, აღმოსავლეთ აზია ან ამერიკა)*;
- მსჯელობს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისა და I კონსტიტუციის მნიშვნელობაზე თანამედროვე ქართული სახელმწიფოსთვის; ასახელებს კონსტიტუციური მემკვიდრეობითობის დამადასტურებელ ფაქტებს და აანალიზებს ცვლილებებს *(მაგ.: სახელმწიფო მოწყობა, მმართველობა, საარჩევნო სისტემა და ა.შ.)*; ავლენს საკუთარ დამოკიდებულებას მომხდარი ცვლილებების მიმართ;

- საქართველოს მოქმედი კონსტიტუციის განხილვისას მსჯელობს მისი მიღების წინაპირობებსა და შედეგებზე; საკუთარ მოსაზრებებს ჩამოწერს ცხრილის სახით;
- ასაბუთებს თვითმმართველობის განვითარების მნიშვნელობას საქართველოს სახელმწიფოსათვის;
- გამოთქვამს საკუთარ აზრს სახელმწიფოს დემოკრატიულობისა და სუვერენულობის შესახებ; ირჩევს საქართველოს მსგავს (მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით) რომელიმე სახელმწიფოს და ადარებს მას საქართველოს, აღნიშნული ორი ნიშნის მიხედვით; გამოყოფს მსგავსებასა და განსხვავევებს;
- შეისწავლის საქართველოს სახელმწიფო მმართველობის თანამედროვე სისტემას (სტრუქტურას, მისი ნაწილების ფუნქციებსა და ურთიერთკავშირს); ადარებს საქართველოს წარსულში არსებულ მმართველობის სისტემებს დემოკრატიულობისა და კანონის უზენაესობის თვალსაზრისით; მუშაობის შედეგებს წარუდგენს თანაკლასელებს განსახილველად.

მოქ.X.10. მოსწავლეს შეუძლია საქართველოს მოქალაქის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობის შესაძლებლობების კვლევა და გამოყენება.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- დროის ხაზზე აღნიშნავს იმ ეტაპებს, როდესაც მოიპოვა მისთვის მნიშვნელოვანი უფლება და გაუჩნდა განსაკუთრებული მოვალეობა; იმავე ხაზზე აღნიშნავს ეტაპებს, როდესაც მას განსხვავებული (დამატებითი ან გაფართოებული) უფლება-მოვალეობები გაუჩნდება *(მაგ.: მართვის, არჩევნებში მონაწილეობის, დაოჯახების, სამხედრო სამსახური და ა.შ.)*; წერს ესეს "ჩემი უფლებები და მოვალეობები";
- ირჩევს რომელიმე ბოლოდროინდელ კონფლიქტს *(მაგ., საკუთარი გამოცდილებიდან, კლასში მომხდარს, მასმედიის საშუალებით გახმაურებულს ან სხვა)* თანაკლასელების ჯგუფთან ერთად განიხილავს მას, განსაზღვრავს კონფლიქტის რომელ ჯგუფს მიეკუთვნება (ღირებულებითი, ინფორმაციული, ურთიერთდამოკიდებულებითი, ინსტიტუციური, ინტერესთა) გამოყოფს კონფლიქტში მონაწილე მხარეების მოქმედებებს; ჯგუფთან ერთად მსჯელობს მის გამომწვევ მიზეზებსა და მისი მოგვარების გზებზე;
- მსჯელობს თანატოლებისათვის აქტიურ საკითხებზე (მეგობრობა, მშობელთან ურთიერთობა, პრფესიის არჩევა და ა.შ.); გამიჯნავს მოცემულ საკითხთან დაკავშირებულ სხვადასხვა პოზიციის ძლიერ და სუსტ მხარეებს;
- მონაწილეობს სკოლის განვითარებასთან *(მაგ.: სწავლის ხარისხი, ტექნიკური აღჭურვილობა, შემოსავლების ზრდა, მონაწილეობა ეროვნულ თუ საერთაშორისო პროექტებში და ა.შ.)* დაკავშირებულ საკლასო დისკუსიაში ან სკოლის თვითმმართველობის შესაბამისი ორგანოს განხილვაში, კონკრეტულად გამოთქვამს და იცავს საკუთარ პოზიციას;
- ირჩევს მისთვის ან რომელიმე საზოგადოებრივი ჯგუფისთვის აქტუალურ კონკრეტულ პრობლემას *(მაგ.: განათლების მიღება, დასაქმება, ადამიანის უფლების*

დარღვევა, სამოქალაქო დავა, საგადასახადო კონფლიქტი, სოციალური უსაფრთხოება, ჯანმრთელობისა და გარემოს დაცვა, პოლიტიკური ან რელიგიური დისკრიმინაცია და ა.შ.); მოიპოვებს ინფორმაციას, რომლის ანალიზის საფუძველზე წერს კონკრეტული პრობლემის გადაჭრის გეგმას (შესაძლოა რამდენიმე ვარიანტს) მხარეთა უფლებების დაცვისა და კანონიერი მოქმედებების გათვალისწინებით; განსაზღვრავს საკუთარ როლს პრობლემის მოგვარებაში, იკრებს თანამოაზრეებს და მოქმედებს გეგმის შესაბამისად; აფასებს საკუთარი მონაწილეობის ეფექტიანობას და შედეგებს უზიარებს თანაკლასელებს;

- შეარჩევს რომელიმე კონკრეტულ კონფლიქტურ სიტუაციას მოქალაქეთა ცხოვრებიდან (სოციალური, ეკონომიკური ან პოლიტიკური); შეისწავლის შექმნილ ვითარებასა და მხარეთა ინტერესებს; თანაკლასელებთან ერთად გაითამაშებს აღნიშნულ სიტუაციას და მისი გადაჭრის ალტერნატიულ ვარიანტებს; მსჯელობს ამ გზების ავკარგიანობაზე და მეგობრებთან ერთად სახავს კონფლიქტის სამართლებრივი გადაჭრის გეგმას.

მოქ.X.11. მოსწავლეს შეუძლია გაანალიზოს მოქალაქეების როლი ქვეყნის დემოკრატიაში.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- მსჯელობს დემოკრატიის ჩასახვისა და განვითარების შესახებ; ადარებს საქართველოსა და რომელიმე სხვა ქვეყნის მაგალითებს;
- მასწავლებელთან და თანაკლასელებთან ერთად ადგენს უფლებებისა და მოვალეობების ნუსხას, რომელიც სასწავლო წლის მანძილზე მათთვის სავალდებულო ხასითს იძენს;
- მსჯელობს საქართველოს კონსტიტუციით მინიჭებულ უფლებებსა და მოვალეობებზე და ადამიანის უფლებების საერთაშორისო დეკლარაციით მინიჭებულ უფლებებსა და მოვალეობებზე და ადარებს მათ;
- საქართველოს ან სხვა ქვეყნის ისტორიიდან ასახელებს მოვლენებს, როდესაც სახელმწიფო მმართველობაში ცვლილებები მოხდა საზოგადოების ზეგავლენით; აფასებს ამ მოვლენების შედეგებს დემოკრატიის მშენებლობაში წინსვლის (ან უკუსვლის) თვალსაზრისით;
- ახასიათებს დემოკრატიის ძირითად პრინციპებს და უკავშირებს მათ ადამიანის უფლებებსა და მოვალეობებს; საკუთარ მოსაზრებას ასაბუთებს მისთვის ცნობილი საერთაშორისო დოკუმენტების დებულებების მეშვეობით *(მაგ.: ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, ბავშვთა უფლებების დაცვის კონვენცია და სხვა);*
- საქართველოს კონსტიტუციაში მოიძიებს მუხლებს, რომლებიც საქართველოს მოქალაქეთა საარჩევნო უფლებებს ეხება; მათი გაანალიზების საფუძველზე მსჯელობს მათ შესაბამისობაზე დემოკრატიული და სამართლიანი არჩევნების პრინციპებთან (მაგ.: საყოველთაობა, პირდაპირობა, კენჭისყრის ფარულობა, თანასწორობა); საკუთარი სკოლის, დასახლების ან რეგიონის მაგალითზე აფასებს

სხვადასხვა საარჩევნო *(მაგ.: მაჟორიტარული, პროპორციული და ა.შ.)* სისტემებს მოქალაქის უფლებების დაცვის პოზიციიდან;

- ირჩევს მნიშვნელოვან მოვლენას საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრებიდან და თანაკლასელების ჯგუფთან ერთად განიხილავს ამ მოვლენაში ადამიანთა მონაწილეობის მოტივაციას, შესაძლებლობებსა და ხარისხს; შესაბამისი სამართლებრივი დოკუმენტების ანალიზის საფუძველზე წერს რეკომენდაციებს საზოგადოებრივი თანამონაწილეობის წასახალისებლად;
- ეცნობა და მეგობრებთან ერთად განიხილავს სკოლის სამურვეო საბჭოსა და დირექციის გადაწყვეტილებებს სასწავლო პროცესთან დაკავშირებით; აანალიზებს, რამდენად არის გათვალისწინებული მათ სკოლაში საზოგადოებრივი *(მაგ.: მოსწავლეთა თვითმმართველობის, პედაგოგების, მშობლების, მეზობელი მოსახლეობის და ა.შ.)* ინტერესები და თანაკლასელების ჯგუფთან ერთად წერს წლიური ანგარიშის პროექტს სკოლის განვითარებაში საზოგადოების მონაწილეობის შესახებ.

პროგრამის შინაარსი

პიროვნული განვითარება

1. თვითშეფასება, მიზანდასახულობა და მიღწევა
2. საკუთარი ცხოვრების მართვა და შეფასება
3. პიროვნების თავისუფლება და მოქალაქეობა
4. ადამიანური და პირადი ღირსება
5. განათლების მიღებისა და პროფესიული მომზადების შესაძლებლობები
6. შრომის უფლებები საკუთარ ქვეყანაში და საზღვარგარეთ
7. სრულწლოვანება - ახალი შესაძლებლობები და პასუხისმგებლობები

მდგრადი განვითარება

8. ოჯახური ვალდებულებები და პასუხისმგებლობა
9. თანასწორობა და სამართლიანობა: განზომილებები, საფუძვლები, დაცვის მექანიზმები
10. სოციალური დაცვა და მისი მექანიზმები
11. პრობლემის მართვა/გადაწყვეტა
12. კონფლიქტები მრავალფეროვან საზოგადოებაში და მათი მოგვარება
13. შეუზღუდავი და შეზღუდული ურთიერთობები
14. თანამშრომლობა და კონკურენცია

თვითმმართველობა და მმართველობა

15. საზოგადოებრივი აზრი, საზოგადოებრივი გადაწყვეტილებები და მათი მიღების ფორმები
16. მონაწილეობის კულტურა: შესაძლებლობები, ფორმები და მექანიზმები
17. გამჭვირვალობა და საჯაროობა
18. საზოგადოებრივი დაკვეთა და სახელმწიფო ვალდებულებები
19. ადამიანის უფლებების დაცვის საშუალებები: თავისუფალი, სამართლიანი სასამართლო და სამართალდამცავები
20. მოქალაქე და მოხელე - პასუხისმგებლობათა განაწილება
21. თავისუფალი სამოქალაქო საზოგადოების საფუძვლები
22. თვითმმართველობის საფუძვლები და განვითარება
23. საქართველოს სახელმწიფო მმართველობის განვითარება

არჩევითი საგნები ისწავლება კვირაში 2 საათიანი დატვირთვით (წლიური 66-68 საათი) ერთი აკადემიური წლის განმავლობაში. კურსის არჩევა შეუძლია ნებისმიერ მოსწავლეს, რომელმაც დაძლია საბაზო საფეხურის საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი პროგრამები და იჩენს ინტერესს პოლიტიკური მეცნიერებების მიმართ.

მოსწავლის მიღწევების შეფასება ხდება ისევე, როგორც საზოგადოებრივი მეცნიერებების სავალდებულო საგნების სწავლებისას.

კურსის ბოლო 4-5 კვირა ეთმობა მოსწავლეთა პრაქტიკულ მუშაობას სხვადასხვა სახის პროექტებზე, რომლებსაც ისინი პედაგოგთან და თანაკლასელებთან ერთად **ირჩევენ**. პროექტზე მუშაობა მოიცავს დაგეგმვის, კვლევის, პრაქტიკული აქტივობისა და შედეგების წარმოდგენის ეტაპებს არჩეული საკითხის შესაბამისად. პროექტი განხორციელებულად ჩაითვლება, თუკი მისი შედეგები თვალსაჩინოდ და დამაჯერებლად, კორექტული ფორმით არის წარმოდგენილი (მაგ: წერილობითი დოკუმენტი, მაკეტი, ინსცენირება, დებატები, აქცია, თანმიმდევრული ღონისძიებები და ა.შ.). სტანდარტში განსხვავებული სიმბოლოთი _ ➢ აღნიშნულია მოსწავლეთა აქტივობები, რომლებიც ბოლო ტრიმესტრში შესაძლებელია განხორციელდეს პროექტის სახით.

X-XII კლასები

მოქალაქეობა

სტანდარტი

წლის ბოლოს მისაღწევი შედეგები მიმართულებების მიხედვით

პიროვნული განვითარება	**მდგრადი განვითარება**	**თვითმმართველობა და მმართველობა**
არჩ.მოქ.X-XII.1. მოსწავლეს შეუძლია გაანალიზოს მოქალაქეობის სოციალური საფუძვლები.	**არჩ.მოქ.X-XII.2.** მოსწავლეს შეუძლია შეიმუშავოს და დაიცვას საკუთარი პოზიცია კანონიერების კულტურის განვითარების შესახებ. **არჩ.მოქ.X-XII.3.** მოსწავლეს შეუძლია მოზრდილებთან და თანატოლებთან თანამშრომლობა საზოგადოებისთვის სასარგებლო საქმიანობაში.	**არჩ.მოქ.X-XII.4.** მოსწავლეს შეუძლია გამოიკვლიოს მოქალაქის შესაძლებლობები სამართლებრივ სახელმწიფოში. **არჩ.მოქ.X-XII.5.** მოსწავლეს შეუძლია ახსნას დემოკრატიის, კანონის უზენაესობისა და სახელმწიფო მმართველობის ურთიერთკავშირი.

წლის ბოლოს მისაღწევი შედეგები და ინდიკატორები მიმართულებების მიხედვით

მიმართულება: პიროვნული განვითარება

არჩ.მოქ.X-XII.1. მოსწავლეს შეუძლია გაანალიზოს მოქალაქეობის სოციალური საფუძვლები.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- თავისი კლასის მაგალითზე (საკუთარი და თანაკლასელების ინტერესების გაანალიზების შემდეგ) მსჯელობს ადამიანის პიროვნულ და საზოგადოებრივ ინტერესებზე; გამოყოფს იმ საერთო ინტერესებს, რომელთა გათვალისწინება აუცილებელია საზოგადოებრივი თანხმობისთვის;
- ისტორიული წარსულიდან ან თანამედროვე სინამდვილიდან ირჩევს რომელიმე ქვეყანას და აღწერს მის სოციალურ სტრუქტურას; განიხილავს სხვადასხვა სოციალური ჯგუფის უფლებრივ მდგომარეობას, ურთიერთობასა და თითოეულის როლს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში; მოპოვებული ინფორმაციის ანალიზის შედეგებს აცნობს თანაკლასელებს;
- თანაკლასელთა ჯგუფთან ერთად ირჩევს იმ სოციალურ ჯგუფს, რომელსაც, მისი აზრით, საზოგადოების თანადგომა სჭირდება; გამოავლენს ამ ჯგუფის საერთო მიზნებსა და ამოცანებს; თანაკლასელებთან ერთად გეგმავს ამ სოციალური ჯგუფის (ან კონკრეტული წარმომადგენლების) დასახმარებელ ღონისძიებებს;
- გეგმავს დებატებს თემაზე "არის თუ არა ჩვენი საზოგადოება სამოქალაქო?"; ირჩევს ერთ-ერთ როლს (მაგ: მედიატორი, მეთვალყურე ან მოკამათე მხარე); გამოთქვამს და ასაბუთებს საკუთარ პოზიციას (თეორიული დებულებებითა და კონკრეტული მაგალითებით); ითვალისწინებს ოპონენტების შენიშვნებს და მონაწილეობს დებატების საბოლოო შედეგების ჩამოყალიბებაში.

მიმართულება: მდგრადი განვითარება

არჩ.მოქ.X-XII.2. მოსწავლეს შეუძლია შეიმუშავოს და დაიცვას საკუთარი პოზიცია კანონიერების კულტურის განვითარების შესახებ.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- მონაწილეობს დისკუსიაში "რატომ არღვევენ ბავშვები კანონს?"; მსჯელობს არასრულწლოვან დამნაშავეთა უფლებებსა და მათი დაცვის საკანონმდებლო გარანტიებზე; წერს თემას “რას ვურჩევდი თანატოლს”;
- მსჯელობს სხვადასხვა ტიპის (მაგ: ქურდობა, მკვლელობა, კორუფცია, დისკრიმინაცია, თაღლითობა, ძალადობა და სხვა) დანაშაულის გამომწვევ მიზეზებსა და მათი შემცირების გზებზე;
- მონაწილეობს ჯგუფურ სამუშაოში “ერთი დღე უკანონოდ”; აღწერს რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს პიროვნებისთვის და საზოგადოებისთვის კანონის უქონლობას; საკუთარ მოსაზრებას ათანხმებს ჯგუფის სხვა წევრებთან; საერთო დასკვნას წარუდგენს თანაკლასელებს;
- მონაწილეობს დისკუსიაში – არის თუ არა ჩვენი საზოგადოება კანონების დამცველი? წერს კლასში გამართული დისკუსიის ოქმს ან ანგარიშს;

- მონაწილეობს საკლასო დისკუსიაში "აქვს თუ არა ჩვენს საზოგადოებას კანონიერების კულტურა?"; აფასებს საზოგადოების დამოკიდებულებას ამ საკითხისადმი საკუთარ დასახლებაში (ან ქვეყანაში); მსჯელობს მოქალაქეების, საკანონმდებლო და სამართალდამცავი ორგანოების ურთიერთკავშირზე;

არჩ.მოქ.X-XII.3. მოსწავლეს შეუძლია მოზრდილებთან და თანატოლებთან თანამშრომლობა საზოგადოებისთვის სასარგებლო საქმიანობაში.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- მონაწილეობს საკლასო დისკუსიაში "რა შეგვიძლია შევმატოთ სკოლას?", რომლის მიზანია სკოლის საჭიროებებისა და თანაკლასელთა შესაბამისი შესაძლებლობების დაზუსტება; ითვალისწინებს წინა წელს მიერ გაწეული ანალოგიური სამუშაოს შედეგებს და შეიმუშავებს საკუთარ სამოქმედო გეგმას, რომელსაც შეათანხმებს თანაკლასელებთან; დაგეგმილ აქტივობებში (მაგ: სკოლის ბიბლიოთეკის ან სპორტული დარბაზის შევსება, უმცროსკლასელთა ექსკურსიებში მასწავლებელთა დახმარება, სკოლისა თუ მისი გარემოს კეთილმოწყობა და ა.შ.). ასრულებს მისთვის გამოყოფილ როლს;
- თანაკლასელების ჯგუფთან ერთად განიხილავს სკოლის თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობასა და მათ შედეგებს; აანალიზებს განხილვის შედეგებს და წერს რეკომენდაციებს სასკოლო ცხოვრების გაუმჯობესების შესახებ, რომლებსაც სათანადო ფორმით წარუდგენს შესაბამის კომპეტენტურ პირს ან ორგანოს.

მიმართულება: თვითმმართველობა და მმართველობა

არჩ.მოქ.X-XII.4. მოსწავლეს შეუძლია გამოიკვლიოს მოქალაქის შესაძლებლობები სამართლებრივ სახელმწიფოში.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- მსჯელობს კანონის მიღებისა თუ შეცვლის წესებზე; განიხილავს ადათსა თუ კანონზე საზოგადოებრივი კონტროლის მექანიზმებს და ადარებს ერთმანეთს.
- მონაწილეობს დებატებში "რომელი წესებია უფრო ძლიერი - დაწერილი თუ დაუწერელი?"; საკუთარ პოზიციას ასაბუთებს კონკრეტული მაგალითების (თანამედროვე სინამდვილიდან, მხატვრული ლიტერატურიდან ან ისტორიიდან) განხილვით და შეფასებისას გამოყოფს კრიტერიუმებს, რომლებსაც ის ეყრდნობა;
- მსჯელობს, როგორ მოიქცევა მისი უფლებების დარღვევის შემთხვევაში და ხსნის, რატომ უნდა გაუწიოს ანგარიში სხვის თავისუფლებებს საკუთარი უფლებების დაცვისას;
- განიხილავს საქართველოს მოქალაქის კონსტიტუციურ უფლებებსა და თავისუფლებებს; გამოყოფს შესაბამის სამოქალაქო მოვალეობებს; მსჯელობს უფლება-მოვალეობების განხორციელების კონსტიტუციურ საშუალებებზე;
- დროის ხაზზე აღნიშნავს იმ ეტაპებს, როდესაც მოიპოვა მისთვის მნიშვნელოვანი უფლება და გაუჩნდა განსაკუთრებული მოვალეობა; იმავე ხაზზე აღნიშნავს ეტაპებს, როდესაც მას განსხვავებული (დამატებითი ან გაფართოებული) უფლება-

მოვალეობები გაუჩნდება (მაგ: მართვის, არჩევნებში მონაწილეობის, დაოჯახების, სამხედრო სამსახური და ა.შ.); წერს ესსეს "ჩემი უფლებები და მოვალეობები".

- საქართველოს კონსტიტუციაში მოიძიებს და აჯგუფებს იმ დებულებებს, რომლებიც უზრუნველყოფს მისი – მოქალაქის პირადი, სოციალ-ეკონომიკური და პოლიტიკური უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას; თანაკლასელთა ჯგუფთან ერთად ამ საკითხის განხილვისას მსჯელობს მოქალაქის კონსტიტუციურ მოვალეობებსა და მათგან თავის არიდების მოსალოდნელ შედეგებზე.
- ჩამოთვლის ადამიანის უფლებების დამცველ საერთაშორისო თუ ეროვნულ დოკუმენტებსა და ორგანიზაციებს; საქართველოსა და სხვა ქვეყნების მაგალითზე მსჯელობს ასეთი ორგანიზაციების ეფექტიანობის შესახებ.

არჩ.მოქ.X-XII.5. მოსწავლეს შეუძლია ახსნას დემოკრატიის, კანონის უზენაესობისა და სახელმწიფო მმართველობის ურთიერთკავშირი.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ასახელებს ქართული სამართლის ძეგლებს (ან კონკრეტულ დებულებებს), რომლებიც დღესაც აქტუალურია საკონსტიტუციო, სისხლის, ადმინისტრაციული თუ სამოქალაქო სამართლის თვალსაზრისით;
- რომელიმე სამართალდამცავი სახელმწიფო ორგანოს (მაგ: პოლიცია, სასამართლო, სახალხო დამცველი ან სხვა) ან საზოგადოებრივი ორგანიზაციის მაგალითზე განიხილავს მათ უფლებამოსილებას, დანიშნულებას (ან მიზნებს) და საქმიანობას მართლწესრიგის დაცვაში; აფასებს არსებული პრაქტიკის ნაკლოვან და წარმატებულ მხარეებს.
- თანაკლასელთა ჯგუფთან ერთად შეარჩევს და ჩამოწერს რამდენიმე კანონსა და საკონსტიტუციო დებულებას, რომელთა დაცვაც უზრუნველყოფს საზოგადოებრივ წესრიგსა და უსაფრთხო ცხოვრების პირობებს საზოგადოებისთვის (მაგ: სკოლა, ოჯახი, უბანი, ქალაქი და ა.შ.); მონაწილეობს დისკუსიაში კანონის უზენაესობის აუცილებლობისა და კანონიერების უზრუნველყოფის შესახებ.
- ირჩევს ადამიანის უფლებების დარღვევის რომელიმე კონკრეტულ ფაქტს და სიმულაციურ სასამართლო განხილვაში ასრულებს გარკვეულ როლს (მაგ: მოსარჩელე, მოპასუხე, ადვოკატი, მოსამართლე, მსაჯული ან სხვა); აანალიზებს განხილვის პროცესსა და შედეგებს, რის საფუძველზეც მისი როლიდან გამომდინარე ადგენს დასკვნით დოკუმენტს პროცესის გასაგრძელებლად ან დასასრულებლად (მაგ: სასამართლოს დასკვნა, აპელაცია, შუამდგომლობა, ოქმი, ანგარიში კლიენტს ან სხვა).

ბოლო 4-5 კვირაში განსახორციელებელი პროექტების სარეკომენდაციო ვარიანტები:

- მოიპოვებს და აანალიზებს ინფორმაციას ადამიანის ე.წ. ბუნებრივი მდგომარეობის შესახებ; მხატვრული ლიტერატურის ან ისტორიული წყაროების მაგალითზე აღწერს ისეთი საზოგადოების მოდელს, სადაც "ადამიანი ადამიანისთვის მგელია" და ადარებს რომელიმე ბიოსოციუმის ცხოვრების წესს; ანალიზის საფუძველზე განსაზღვრავს და ასაბუთებს რომელიმე საზოგადოებაში (მაგ: სკოლა, სამეზობლო, სოფელი, საწარმო, ქვეყანა და ა.შ.) თანხმობის მიღწევის პირობებს;

- თანაკლასელებთან ჯგუფთან ერთად წარმოიდგენს სიტუაციას, როდესაც მორალურად გამართლებული საქციელი შეიძლება სამართლებრივად დასჯადი იყოს, ან პირიქით – სამართლებრივად მიზანშეწონილი საქციელი მორალურად გაუმართლებელი იყოს; მათთან ერთად წერს სცენარს და მონაწილეობს მის დადგმაში; თანაკლასელებთან ერთად განიხილავს და გაითამაშებს ამ ამბის განვითარების სხვა შესაძლო (უმჯობეს) ვერსიას "ალბათ, ასე აჯობებდა".
- სხვადასხვა სოციალურ ჯგუფში ატარებს გამოკითხვას, რომელმაც უნდა გამოავლინოს მონაწილეთა დამოკიდებულება კანონიერების მიმართ (მაგ: არღვევენ თუ არა კანონებს? ძირითადად, რომლებს? რა სიხშირით? არის თუ არა, მათი აზრით ეს მნიშვნელოვანი პრობლემა? თუ არ არღვევენ, რა უშლით ხელს _ შიში კანონის წინაშე თუ სამართლებრივი ღირებულებების გაზიარება?); გამოკითხვის შედეგების გაანალიზების საფუძველზე მსჯელობს ამ საზოგადოების სამართლებრივი ცნობიერების შესახებ.
- ეცნობა და მეგობრებთან ერთად განიხილავს სკოლის სამურვეო საბჭოსა და ადმინისტრაციის გადაწყვეტილებებს სასწავლო პროცესთან დაკავშირებით; აანალიზებს, რამდენად არის გათვალისწინებული მათ სკოლაში საზოგადოებრივი (მაგ: მოსწავლეთა თვითმმართველობის, პედაგოგების, მშობლების, მეზობელი მოსახლეობის და ა.შ.) ინტერესები და თანაკლასელების ჯგუფთან ერთად წერს წლიური ანგარიშის პროექტს სკოლის განვითარებაში საზოგადოების მონაწილეობის შესახებ.
- თანაკლასელთა ჯგუფთან ერთად ირჩევს სამართლებრივი სახელმწიფოს ერთ-ერთ ძირითად დამახისიათებელ ნიშანს (მაგ: კანონის უზენასეობა, კანონების სამართლიანობა, ხელისუფლების დანაწილება, ადამიანის უფლებათა დაცვა), რომლის მიხედვით შეარჩევს და აანალიზებს მასმედიით გამოქვეყნებულ ბოლოდროინდელ მასალებს; აფასებს საქართველოში არსებულ ვითარებას; მიღებულ დასკვნებს ამზადებს საკლასო განხილვაზე წარსადგენად; მონაწილეობს განხილვის შედეგების შეჯამებაში;
- ირჩევს მისთვის ან რომელიმე სოციალური ჯგუფისთვის აქტუალურ კონკრეტულ პრობლემას (მაგ: განათლების მიღება, დასაქმება, ადამიანის უფლების დარღვევა, სამოქალაქო დავა, საგადასახადო კონფლიქტი, სოციალური უსაფრთხოება, ჯანმრთელობისა და გარემოს დაცვა, პოლიტიკური ან რელიგიური დისკრიმინაცია და ა.შ.); მოიპოვებს ინფორმაციას, რომლის ანალიზის საფუძველზე წერს კონკრეტული პრობლემის გადაჭრის გეგმას (შესაძლოა რამდენიმე ვარიანტს) მხარეთა უფლებების დაცვისა და კანონიერი მოქმედებების გათვალისწინებით; განსაზღვრავს საკუთარ როლს პრობლემის მოგვარებაში, იკრებს თანამოაზრეებს და მოქმედებს გეგმის შესაბამისად; აფასებს საკუთარი მონაწილეობის ეფექტიანობას და შედეგებს უზიარებს თანაკლასელებს.
- შეარჩევს რომელიმე კონკრეტულ კონფლიქტურ სიტუაციას მოქალაქეთა ცხოვრებიდან (სოციალური, ეკონომიკური ან პოლიტიკური); შეისწავლის შექმნილ ვითარებასა და მხარეთა ინტერესებს; თანაკლასელებთან ერთად გაითამაშებს აღნიშნულ სიტუაციას და მისი გადაჭრის ალტერნატიულ ვარიანტებს; მსჯელობს ამ გზების ავ-კარგიანობაზე და მეგობრებთან ერთად სახავს კონფლიქტის სამართლებრივი გადაჭრის გეგმას;
- საკუთარი მიზნებიდან გამომდინარე ირჩევს თავის მომავალ საქმიანობას საშუალო სკოლის დასრულების შემდეგ; მოიძიებს საჯარო ინფორმაციას თავისი არჩევანის განხორციელების გზების შესახებ; ამ ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე შეიმუშავებს სამოქმედო გეგმას ხელშემწყობი და ხელისშემშლელი ფაქტორების

გათვალისწინებით, რომელსაც აცნობს თანაკლასელებს; აფასებს საკუთარ შესაძლებლობებს და თანაკლასელებთან ერთად მსჯელობს, რამდენად რეალურია მისი – მოქალაქის მისწრაფებების განხორციელება არსებულ ვითარებაში.

- პედაგოგებთან და სკოლის ადმინისტრაციასთან შეთანხმებით, მონაწილეობს სკოლის არასაგაკვეთილო შემეცნებით-აღმზრდელობით პროგრამაში "დაეხმარე თანატოლს" (მაგ: უნარშეზღუდულ მოსწავლეთა მიმართ ტოლერანტობის აღზრდა, სოციალური დაავადებების [მაგ: ტუბერკულოზი, ალკოჰოლიზმი, ნარკომანია, შიდსი და ა.შ.] მქონე ადამიანებისადმი ადექვატური დამოკიდებულების გამომუშავება, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებისათვის ხელშეწყობა, ჯანმრთელობისათვის მავნე ჩვევებზე უარის თქმის სწავლება და ა.შ.).
- თანაკლასელების ჯგუფთან ერთად ირჩევს მათთვის აქტუალურ საკითს, რომლის გადაწყვეტაც მმართველობითი ორგანოს პრეროგატივაა; განიხილავს ამ საკითხის გადასაწყვეტად საჭირო რესურსებს და განსაზღვრავს საკუთარი მონაწილეობის შესაძლებლობებს; შემუშავებულ რეკომენდაციებს ათანხმებს ჯგუფთან და აცნობებს შესაბამის მმართველობით ორგანოს.

პროგრამის შინაარსი

1. პიროვნების ღირებულებები და მისწრაფებები
2. პიროვნებისა და საზოგადოების ინტერესები
3. საზოგადოებრივ ურთიერთობათა რეგულირების ფორმები: ადათი, წესი, კანონი
4. საზოგადოებრივი ნორმები და ღირებულებები
5. პიროვნება საზოგადოებაში – ინტერესები, სოციალური როლები და ქცევა
6. ქართული საზოგადოების განვითარების ძირითადი ეტაპები
7. საქართველოს მოქალაქე და კონსტიტუცია
8. საქართველოს პოლიტიკური სისტემა, პოლიტიკური პარტიები და არჩევნები
9. საზოგადოებრივი აზრი და სახელმწიფო მმართველობა
10. საქართველოს მოქალაქეები და მმართველობის ორგანოები
11. საქართველოს მოქალაქეობის საფუძვლები და არსი
12. საქართველოს მოქალაქის უფლებები და თავისუფლებები
13. საქართველოს მოქალაქის მოვალეობები და პასუხისმგებლობა
14. სამოქალაქო მონაწილეობა:
    - ადგილობრივი საზოგადოების ცხოვრებაში
    - დემოკრატიულ და საარჩევნო პროცედურებსი
    - ცალკეული მოქალაქეებისა და მათი გაერთიანებების ზემოქმედება გადაწყვეტილების მიღებაზე ადგილობრივ, ეროვნულ და საერთაშორისო დონეებზე
15. საქართველოს მოქალაქის პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკურიი საქმიანობა
16. საზოგადოებრივი ხელშეკრულება
17. საქართველოს მოსახლეობის სტრუქტურა
18. სამართლებრივი სახელმწიფო და მისი ნიშნები
19. დემოკრატიის არსი და მისი ძირითადი ინსტიტუტები
20. დემოკრატიის უპირატესობები
21. ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების რეალიზაცია საქართველოში

X-XII კლასები

სახელმწიფო

სტანდარტი

წლის ბოლოს მისაღწევი შედეგები მიმართულებების მიხედვით

მდგრადი განვითარება	თვითმმართველობა და მმართველობა
არჩ.სახ.X-XII.1. მოსწავლეს შეუძლია განიხილოს საქართველოს სოციალური და პოლიტიკური სისტემის ძირითად თავისებურებები და ურთიერთკავშირი. **არჩ.სახ.X-XII.2.** მოსწავლეს შეუძლია შეაფასოს საერთაშორისო ურთიერთობების მნიშვნელობა ქართული სახელმწიფოს განვითარებისთვის.	**არჩ.სახ.X-XII.3.** მოსწავლეს შეუძლია პოლიტიკური იდეებისა და სახელმწიფო მმართველობის ურთიერთკავშირის ანალიზი. **არჩ.სახ. X-XII.4.** მოსწავლეს შეუძლია შეაფასოს საქართველოში სახელმწიფოებრიობის განვითარების მნიშვნელოვან ეტაპები. **არჩ.სახ.X-XII.5.** მოსწავლეს შეუძლია დემოკრატიის, კანონის უზენაესობისა და სახელმწიფო მმართველობის ურთიერთკავშირის კვლევა საქართველოში.

წლის ბოლოს მისაღწევი შედეგები და ინდიკატორები მიმართულებების მიხედვით

მიმართულება: მდგრადი განვითარება

არჩ.სახ.X-XII.1. მოსწავლეს შეუძლია განიხილოს საქართველოს სოციალური და პოლიტიკური სისტემის ძირითად თავისებურებები და ურთიერთკავშირი.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- მსჯელობს სხვადასხვა სოციალური გარემოს (მაგ: სამეგობრო, სამეზობლო, პროფესიული და საზოგადოებრივი გაერთიანებები) ჩამოყალიბებისა და მდგრადობის განმსაზღვრელ ფაქტორებზე (მაგ: საერთო ღირებულებები, ინტერესები, თვისებები, პირობები, მისწრაფებები და ა.შ.); მსჯელობს იმ ნიშან-

თვისებებზე, რომელიც დამახასიათებელია საქართველოსთვის; ავლებს პარალელებს სხვა ქვეყნებთან;

- საკუთარი დასახლებაში გამოყოფს სხვადასხვა სოციალურ უმცირესობებს (მაგ:, მარტოხელა მოხუცები, ინვალიდები, მიუსაფარი ბავშვები, იმიგრანტები და ა.შ.); მსჯელობს ამ ადამიანებისადმი საზოგადოების ურთიერთობის თავისებურებებზე;
- გამოყოფს საქართველოში, მისი აზრით, ყველაზე დაუცველ სოციალურ ჯგუფებს და მსჯელობს საზოგადოების მხრიდან მათი დახმარების შესაძლებლობებზე; ასაბუთებს საკუთარ მოსაზრებას;
- ასახელებს რომელიმე პოლიტიკურ პარტიას და მსჯელობს მისი პოპულარობის (ან არაპოპულარობის) მიზეზებზე;
- ქრონოლოგიურად ასახელებს დამოუკიდებლი საქართველოს მმართველ პოლიტიკურ პარტიებს (ან ბლოკებს) და მსჯელობს, თუ რამ გამოიწვია ამ პარტიების წარმატება და მარცხი;
- მონაწილეობს დისკუსიაში თემაზე "როგორი უნდა იყოს პოლიტიკოსი და რა სჭირდება მას წარმატებისთვის დემოკრატიულ ქვეყანაში?"; დასაბუთებისას ავლებს პარალელებს საქართველოსა და სხვა ქვეყნებს შორის.

არჩ.სახ.X-XII.2. მოსწავლეს შეუძლია შეაფასოს საერთაშორისო ურთიერთობების მნიშვნელობა ქართული სახელმწიფოს განვითარებისთვის.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- განიხილავს მეზობელი ქვეყნების მმართველობებს და მსჯელობს მათი დემოკრატიულობის ხარისხზე; აფასებს სახელმწიფო მმართველობის სისტემის გავლენას საქართველოსა და ამ ქვეყნების ურთიერთობაზე;
- ირჩევს საქართველოს მოქალაქეთა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ან ეკონომიკური საქმიანობის რომელიმე სფეროს და მსჯელობს მისი განვითარებისათვის საერთაშორისო ურთიერთობების მნიშვნელობაზე; ჩამოთვლის ამ მხრივ პრიორიტეტულ სახელმწიფოებს, რეგიონებსა თუ საერთაშორისო ორგანიზაციებს და ასაბუთებს საკუთარ მოსაზრებას;
- თანაკლასელთა ჯგუფთან ერთად განიხილავს საერთაშორისო სამართლის ეფექტიანობას საქართველოს და რომელიმე სახელმწიფოს მაგალითზე; გამოყოფს ადამიანებსა თუ სახელმწიფოებს შორის ურთიერთობათა იმ სფეროებს, სადაც ასეთი ნორმების მოქმედება, მისი აზრით, აუცილებელია.
- აღწერს თანამედროვე მსოფლიოში სახელმწიფოს ძლიერების კრიტერიუმებს და მათ შესაბამისად აფასებს საქართველოს მდგომარეობას; თანაკლაასელებთან ერთად განიხილავს მიღებულ შედეგებს და მათი შეფასებების გათვალისწინებით წერს ესეს საქართველოსა და გარესამყაროს ურთიერთდამოკიდებულების შესახებ.

მიმართულება: თვითმმართველობა და მმართველობა

არჩ.სახ.X-XII.3. მოსწავლეს შეუძლია პოლიტიკური იდეებისა და სახელმწიფო მმართველობის ურთიერთკავშირის ანალიზი.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- მსჯელობს პოლიტიკის მნიშვნელობაზე ადამიანის, საზოგადოების, ერის ცხოვრებაში;
- ამზადებს საჯარო გამოსვლას ქვეყანაში არსებულ ვითარებაში პოლიტიკის როლის შესახებ;
- ირჩევს რომელიმე ქვეყანას და მსჯელობს მოსახლეობაში უმრავლესობისა და უმცირესობის გამოყოფის პრინციპებზე სახვადასხვა ნიშნის მიხედვით (მაგ: ეთნიკური, პოლიტიკური, რელიგიური, ეკონომიკური, სოციალური) კონკრეტულ ისტორიულ ეპოქაში;
- თანაკლასელების ჯგუფთან ერთად ირჩევს მსოფლიო ისტორიაში ყველაზე გავრცელებულ რამდენიმე პოლიტიკურ თეორიას და ეცნობა შესაბამის წყაროებს; მოჰყავს აღნიშნული პოლიტიკური იდეების სახელმწიფო მმართველობაში განხორციელების კონკრეტული მაგალითები და ასაბუთებს საკუთარ პოზიციას;
- სახელმწიფო მოწყობის სხვადასხვა ფორმებზე (უნიტარული, ფედერაციული, კონფედერაციული და სხვა) მსჯელობისას ახასიათებს მათ ძირითად ნიშნებს; ასაბუთებს საკუთარ მოსაზრებას საქართველოსთვის სახელმწიფო მოწყობის შესახებ.
- ქრონოლოგიურად ასახელებს დამოუკიდებლი საქართველოს მმართველ პოლიტიკურ პარტიებს (ან ბლოკებს) და მსჯელობს, თუ რამ გამოიწვია ამ პარტიების წარმატება და მარცხი; ადარებს მათი ხელისუფლებაში მოსვლის გზებს; აფასებს მათი მმართველობაში მოსვლის გზებს კანონიერებისა და საზოგადოებრივი საჭიროებების თვალსაზრისით;

არჩ.სახ. X-XII.4. მოსწავლეს შეუძლია შეაფასოს საქართველოში სახელმწიფოებრიობის განვითარების მნიშვნელოვან ეტაპები.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- დროის სკალაზე აღნიშნავს საქართველოს სახელმწიფო მმართველობის განვითარებისთვის რამდენიმე (3-5) მნიშვნელოვან მოვლენას; მსჯელობს თითოეული მოვლენით გამოწვეულ შედეგებზე; ავლებს პარალელებს იმავე პერიოდის სხვა სახელმწიფოებთან (მაგ: მეზობელი ქვეყნები, ევროპა, ახლო აღმოსავლეთი, აღმოსავლეთ აზია ან ამერიკა);

- მსჯელობს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისა და I კონსტიტუციის მნიშვნელობაზე თანამედროვე ქართული სახელმწიფოსთვის; ასახელებს მემკვიდრეობითობის დამადასტურებელ ფაქტებს და აანალიზებს ცვლილებებს (მაგ: სახელმწიფო მოწყობა, მმართველობა, საარჩევნო სისტემა და ა.შ.); ავლენს საკუთარ დამოკიდებულებას მომხდარი ცვლილებების მიმართ;
- საქართველოს მოქმედი კონსტიტუციის განხილვისას მსჯელობს მისი მიღების წინაპირობებსა და შედეგებზე; საკუთარ მოსაზრებებს ჩამოწერს ცხრილის სახით;
- გამოთქვამს საკუთარ აზრს სახელმწიფოს დემოკრატიულობისა და სუვერენულობის შესახებ; ირჩევს საქართველოს მსგავს (მოსახლეობის რაოდენობის

მიხედვით) რომელიმე სახელმწიფოს და ადარებს მას საქართველოს, აღნიშნული ორი ნიშნის მიხედვით; გამოყოფს მსგავსებასა და განსხვავევებს.

- საქართველოს ან სხვა ქვეყნის ისტორიიდან ასახელებს მოვლენებს, როდესაც სახელმწიფო მმართველობაში ცვლილებები მოხდა საზოგადოების ზეგავლენით; აფასებს ამ მოვლენების შედეგებს დემოკრატიის მშენებლობაში წინსვლის (ან უკუსვლის) თვალსაზრისით.

არჩ.სახ.X-XII.5. მოსწავლეს შეუძლია დემოკრატიის, კანონის უზენაესობისა და სახელმწიფო მმართველობის ურთიერთკავშირის კვლევა საქართველოში.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ასახელებს ქართული სამართლის ძეგლებს (ან კონკრეტულ დებულებებს), რომლებიც დღესაც აქტუალურია საკონსტიტუციო, სისხლისა თუ სამოქალაქო სამართლის თვალსაზრისით;

- დამოუკიდებელი საქართველოს კონსტიტუციებს ადარებს საბჭოთა პერიოდის საქართველოს კონსტიტუციებს; აღნიშნავს არსებით განსხვავებას მათ შორის; აფასებს რამდენად არის გათვალისწინებული მოქალაქეების (ხალხის) როლი ამ კონსტიტუციებში და რამდენად სრულდებოდა დეკლარირებული დებულებები;
- ახასიათებს დემოკრატიის ძირითად პრინციპებს და უკავშირებს მათ ადამიანის უფლებებსა და მოვალეობებს; საკუთარ მოსაზრებას ასაბუთებს მისთვის ცნობილი საერთაშორისო დოკუმენტების დებულებების მეშვეობით (მაგ: ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, ბავშვთა უფლებების დაცვის კონვენცია და სხვა);
- მონაწილეობს საკლასო დისკუსიაში "აქვს თუ არა ჩვენს საზოგადოებას კანონიერების კულტურა?"; აფასებს საზოგადოების დამოკიდებულებას ამ საკითხისადმი საკუთარ დასახლებაში (ან ქვეყანაში); მსჯელობს მოქალაქეების, საკანონმდებლო და სამართალდამცავი ორგანოების ურთიერთკავშირზე;
- თანაკლასელთა ჯგუფთან ერთად შეარჩევს და ჩამოწერს რამდენიმე კანონსა და საკონსტიტუციო დებულებას, რომელთა დაცვაც უზრუნველყოფს საზოგადოებრივ წესრიგსა და უსაფრთხო ცხოვრების პირობებს საზოგადოებისთვის (მაგ: სკოლა, ოჯახი, უბანი, ქალაქი და ა.შ.); მონაწილეობს დისკუსიაში კანონის უზენაესობის აუცილებლობისა და კანონიერების უზრუნველყოფის შესახებ.
- ირჩევს ადამიანის უფლებების დარღვევის რომელიმე კონკრეტულ ფაქტს და სიმულაციურ სასამართლო განხილვაში ასრულებს გარკვეულ როლს (მაგ: მოსარჩელე, მოპასუხე, ადვოკატი, მოსამართლე, მსაჯული ან სხვა); აანალიზებს განხილვის პროცესსა და შედეგებს, რის საფუძველზეც მისი როლიდან გამომდინარე ადგენს დასკვნით დოკუმენტს პროცესის გასაგრძელებლად ან დასასრულებლად (მაგ: სასამართლოს დასკვნა, აპელაცია, შუამდგომლობა, ოქმი, ანგარიში კლიენტს ან სხვა).

ბოლო 4-5 კვირაში განსახორციელებელი პროექტების სარეკომენდაციო ვარიანტები:

- საქართველოს კონსტიტუციაში მოიძიებს მუხლებს, რომლებიც საქართველოს მოქალაქეთა საარჩევნო უფლებებს ეხება; მათი გაანალიზების საფუძველზე მსჯელობს მათ შესაბამისობაზე დემოკრატიული და სამართლიანი არჩევნების პრინციპებთან (მაგ: საყოველთაობა, პირდაპირობა, კენჭისყრის ფარულობა, თანასწორობა); საკუთარი სკოლის, დასახლების ან რეგიონის მაგალითზე აფასებს სხვადასხვა საარჩევნო (მაგ: მაჟორიტარული, პროპორციული და ა.შ.) სისტემებს მოქალაქის უფლებების დაცვის პოზციიდან.
- ირჩევს მნიშვნელოვან მოვლენას საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრებიდან და თანაკლასელების ჯგუფთან ერთად განიხილავს ამ მოვლენაში ადამიანთა მონაწილეობის მოტივაციას, შესაძლებლობებსა და ხარისხს; შესაბამისი სამართლებრივი დოკუმენტების ანალიზის საფუძველზე წერს რეკომენდაციებს საზოგადოებრივი თანამონაწილეობის წასახალისებლად.
- შეისწავლის ქართული სამართლის (სასულიერო თუ საერო) ძეგლების შექმნის საფუძვლებს; აფასებს მათ აქტუალობასა და ჰუმანურობას როგორც შესაბამისი ეპოქისთვის, ისე თანამედროვეობისთვის; წერს თემას საქართველოში სამართლებრივი წესრიგის განვითარების შესახებ;
- თანაკლასელების ჯგუფთან ერთად ირჩევს აქტუალურ საკითს, რომლის გადაწყვეტაც მმართველობითი ორგანოს პრეროგატივაა; განიხილავს ამ საკითხის გადასაწყვეტად საჭირო რესურსებს და განსაზღვრავს საკუთარი მონაწილეობის შესაძლებლობებს; შემუშავებულ რეკომენდაციებს ათანხმებს ჯგუფთან და აცნობებს შესაბამის მმართველობით ორგანოს.
- ადგენს საქრთველოს სახელმწიფოებრიობასთან და მმართველობასთან დაკავშირებული ტერმინებისა და ტოპონიმების ლექსიკონს (მაგ: ჰერეთი, შავშეთი, დარბაზი, სავაზირო, ძეგლისდება, მეჭურჭლეთუხუცესი, მამასახლისი, საერისთავო, მაზრა, ეროვნული საბჭო, ციხე-გოჯი, გამგებელი); აჯგუფებს მათ ეპოქების მიხედვით და თანაკლასელებთან ერთად ამზადებს თითოეული ეპოქის შესაბამის თავლსაჩინო მასალას (მაგ: რუკა, პლაკატი, სქემა, სტენდი და ა.შ.) პრეზენტაციისათვის; მსჯელობს ქართული სახელმწიფოების განვითარებაზე უძველესი დროიდან დღემდე.
- თანაკლასელთა ჯგუფთან ერთად ირჩევს სამართლებრივი სახელმწიფოს ერთ-ერთ ძირითად დამახისიათებელ ნიშანს (მაგ: კანონის უზენასეობა, კანონების სამართლიანობა, ხელისუფლების დანაწილება, ადამიანის უფლებათა დაცვა), რომლის მიხედვით შეარჩევს და აანალიზებს მასმედიით გამოქვეყნებულ ბოლოდროინდელ მასალებს; აფასებს საქართველოში არსებულ ვითარებას; მიღებულ დასკვნებს ამზადებს საკლასო განხილვაზე წარსადგენად; მონაწილეობს განხილვის შედეგების შეჯამებაში;
- შეისწავლის შეუზღუდავი და შეზღუდული მმართველობის პოლიტიკურ საფუძვლებს; მონაწილეობს საკლასო დებატებში "როგორი მმართველობა უმჯობესია საქართველოსთვის?"; აჯამებს შედეგებს და წერს სტატიას.
- ირჩევს რომელიმე ეპოქის სახელმწიფოს და მის მმართველობას აკავშირებს შესაბამის პოლიტიკურ თეორიასთან; განიხილავს ამ თეორიის რელიგიურ თუ ისტორიულ-კულტურულ საფუძვლებს; ეძებს ანალოგებს თანამედროვე მსოფლიოში და აანალიზებს აღნიშნული პოლიტიკური თეორიის გავრცელების მიზეზებს.
- სახელმწიფო მმართველობის სხვადასხვა ფორმას აკავშირებს იმ იდეასთან ან იდეებთან, რომლებიც საფუძვლად დაედო ამა თუ იმ მმართველობას; აფასებს მათ

სამართლიანობისა და ადამიანთა თანასწორობის თვალსაზრისით; წერს ესეს საუკეთესო მმართველობის შესახებ.

- თანაკლასელთა ჯგუფთან ერთად ირჩევს საქართველოში მოქმედ რომელიმე საზოგადოებრივ-პოლიტიკური ინსტიტუტების (მაგ: პოლიტიკური პარტიებს, არასამთავრობო ორგანიზაციებს ან მასმედიის საშუალებებს) კონკრეტულ წარმომადგენელს; იკვლევს და აფასებს (მაგ: ჯგუფთან ერთად ჩატარებული გამოკითხვის, მედიაში გამოქვეყნებული მასალების ანალიზის ან სხვა სტატისტიკური მეთოდის საფუძველზე) ამ ორგანიზაციისადმი საზოგადოების დამოკიდებულებას;
- შეისწავლის საქართველოს სახელმწიფო მმართველობის თანამედროვე სისტემას (სტრუქტურას, მისი ნაწილების ფუნქციებსა და ურთიერთკავშირს); ადარებს საქართველოს წარსულში არსებულ მმართველობის სისტემებს დემოკრატიულობისა და კანონის უზენაესობის თვალსაზრისით; მუშაობის შედგებს წარუდგენს თანაკლასელებს განსახილველად.
- ადარებს 1921 და 1995 წლების საქართველოს კონსტიტუციებს უმცირესობათა უფლებების დაცვის თვალსაზრისით; მსჯელობს უმრავლესობისა და უმცირესობის გამიჯვნის კრიტერიუმებზე (მაგ: ეთნიკური, ქონებრივი, რელიგიური, კულტურული და ა.შ.) და მათ შესაბამისად აღწერს საქართველოს მოსახლეობის სტრუქტურას; აფასებს დემოკრატიის მნიშვნელობას სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესში.
- ირჩევს რომელიმე მეზობელ ან განვითარებულ ქვეყანას და განიხილავს საქართველოსთან ურთიერთობის თავისებურებებს; აფასებს თითოეული სახელმწიფოს პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ მახასიათებლებს; განსაზღვრავს მათ საერთო ინტერესებს და წერს სტატიას ორი ქვეყნის თანამშრომლობის განვითარების პერსპექტივების შესახებ, სადაც ასაბუთებს საკუთარ მოსაზრებებს.
- ჩატარებული გამოკითხვისა თუ პირადი დაკვირვების საფუძველზე გამოყოფს საკუთარი დასახლების მოქალაქეთა საჭიროებებს საერთაშორისო ურთიერთობებში (მაგ: განათლება, დასაქმება, ვაჭრობა, მოგზაურობა, თანამშრომლობა და ა.შ.); აანალიზებს ამ ურთიერთობათა მიზეზებსა და შედეგებს.
- მონაწილეობს საკლასო დისკუსიაში გლობალურ პრობლემების წარმოჩენისა და მათი მოგვარების გზების შესახებ; ირჩევს ერთ-ერთ პრობლემას და მოიძიებს დამატებით ინფორმაციას მის გასაანალიზებლად; სახავს გზებს მის გადასაჭრელად.

პროგრამის შინაარსი

1. პიროვნების სოციალური როლები საზოგადოებაში
2. ქართული საზოგადოების განვითარების ძირითადი ეტაპები
3. საქართველოს მოქალაქე და კონსტიტუცია
4. საქართველოს პოლიტიკური სისტემა, პოლიტიკური პარტიები და არჩევნები
5. საზოგადოებრივი აზრი და სახელმწიფო მმართველობა
6. სახელმწიფოსა და სამართლის განვითარების ძირითადი ეტაპები საქართველოში
7. საქართველოს მოსახლეობის სტრუქტურა
8. საქართველოს კონსტიტუცია და მისი საფუძვლები

9. საქართველოს ადმინისტარციულ-ტერიტორიული მოწყობა
10. საქართველოს ხელისუფლება – სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები და მათი ფუნქციები
11. სამართლებრივი სახელმწიფო და მისი ნიშნები
12. დემოკრატიის არსი და მისი ძირითადი ინსტიტუტები
13. დემოკრატიის უპირატესობები
14. ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების რეალიზაცია საქართველოში
15. მოქალაქეები და მმართველობის ორგანოები
16. სახელმწიფოს ძლიერების ახალი მახასიათებლები და გლობალიზაცია
17. საერთაშორისო სამართალი და მისი მნიშვნელობა
18. საქართველო და საერთაშორისო საზოგადოება

X/XII კლასები

მეწარმეობის საფუძვლები

სტანდარტი

წლის ბოლოს მისაღწევი შედეგები მიმართულებების მიხედვით

პიროვნული განვითარება	**მდგრადი განვითარება**	**თვითმმართველობა და მმართველობა**
არჩ.მეწ. XI-XII.1. მოსწავლეს შეუძლია შეზღუდულობის დაძლევის გზაზე რაციონალური არჩევანის მნიშვნელობის ანალიზი. **არჩ.მეწ. XI-XII.2.** მოსწავლეს შეუძლია შრომის როლისა და მნიშვნელობის ანალიზი ინდივიდის, ოჯახის, ქვეყნის და მსოფლიოს მასშტაბით.	**არჩ.მეწ. X-XII.3.** მოსწავლეს შეუძლია დაასაბუთოს საკუთრების, როგორც ადამიანის საქმიანობის მძლავრ სტიმულის მნიშვნელობა. **არჩ.მეწ. X-XII.4.** მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა ბაზრების ურთიერთკავშირისა და მოთხოვნა-მიწოდების წონასწორობის პირობების ანალიზი.	**არჩ.მეწ. X-XII.5.** მოსწავლეს შეუძლია დაასაბუთოს მეწარმეობის მნიშვნელობა საზოგადოების კეთილდღეობის გაუმჯობესებისთვის. **არჩ.მეწ. X-XII.6.** მოსწავლეს შეუძლია დაასაბუთოს ვაჭრობის მნიშვნელობა ეკონომიკური კეთილდღეობისათვის. **არჩ.მეწ. X-XII.7.** მოსწავლეს შეუძლია ახსნას კონკურენციის წარმოშობის მიზეზები, მისი ხელისშემშლელი და ხელისშემწყობი ფაქტორები.

წლის ბოლოს მისაღწევი შედეგები და ინდიკატორები მიმართულებების მიხედვით

მიმართულება: პიროვნული განვითარება

არჩ.მეწ. X-XII.1. მოსწავლეს შეუძლია შეზღუდულობის დაძლევის გზაზე რაციონალური არჩევანის მნიშვნელობის ანალიზი.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- განიხილავს შეზღუდულობას, როგორც საყოველთაო პრობლემას (ინდივიდის, ოჯახის, საზოგადოების, ქვეყნის, მსოფლიოს მასშტაბით) და აფასებს მისი დაძლევის გზების უპირატესობებსა და ნაკლოვანებებს;
- მსჯელობს ურთიერთკავშირზე: შეზღუდულობა - ალტერნატიული ღირებულება - არჩევანი - ეკონომიკა;
- ადარებს მთელი კლასის წინაშე მდგარი კონკრეტული პრობლემის გადაჭრის გზებს (ყოველი მოსწავლე დამოუკიდებლად მიდის გადაწყვეტილებამდე და ამასთანავე, მიანიშნებს ალტერნატიულ დანახარჯებსაც) და ხსნის, რატომ განსხვავდება ერთმანეთისგან მოსწავლეთა გადაწყვეტილებები და ალტერნატიული დანახარჯები.
- ხსნის, რომ ინდივიდების, ფირმებისა და სახელმწიფო მოხელეების მიერ განხორციელებულ არჩევანს, შესაძლებელია, გაუთვალისწინებელი შედეგები მოჰყვეს, რამაც ნაწილობრივ ან მთლიანად გაანეიტრალოს მათი გადაწყვეტილებების თავდაპირველი ეფექტი.
- ჩამოთვლის აღდგენად და არააღდგენად რესურსებს; მსჯელობს არააღდგენადი რესურსების ეფექტიანი გამოყენების მნიშვნელობასა და გზებზე; ასახელებს საწარმოო რესურსების ძირითად სახეებს (ბუნებრივი რესურსები, შრომითი რესურსები, კაპიტალური რესურსები);
- საკუთარი გამოცდილების ან ინფორმაციის საფუძველზე ახასიათებს რაციონალურ (გონივრულ) არჩევანს, როგორც შეზღუდულობის პრობლემის გადაჭრის ერთ-ერთ გზას; მსჯელობს ურთიერთკავშირებზე: მოთხოვნილებები > რესურსები → მომჭირნეობა; მოთხოვნილებები > რესურსები → ეკონომიკური საქმიანობა.
- აღწერს გადაწყვეტილების მიღების 5-საფეხურიან მოდელს (1) პრობლემის განსაზღვრა, 2) ალტერნატივების ჩამოთვლა, 3) კრიტერიუმების განსაზღვრა, 4) ალტერნატივების შეფასება კრიტერიუმების მიხედვით, 5) გადაწყვეტილების მიღება) და ასაბუთებს მის მნიშვნელობას კონკრეტული გადაწყვეტილებების მიღებისას;
- გადაწყვეტს, რამდენი ადამიანი უნდა დაიქირაოს ავტომობილების სამრეცხაოში მოგების მაქსიმიზაციისათვის, რისთვისაც დამატებითი მუშახელის აყვანის დანახარჯებს ადარებს მისი სამუშაოზე აყვანის დამატებით სარგებელს.
- შეუძლია ზღვრული სარგებლიანობისა და ზღვრული დანახარჯების ცნების გამოყენება დაბინძურების კონტროლთან დაკავშირებული კანონპროექტის შესახებ შემოთავაზებული წინადადებების შესაფასებლად; შეუძლია საუკეთესო წინადადების შერჩევა და მისი დასაბუთება.
- ასაბუთებს მომჭირნეობის მნიშვნელობას საყოველთაო შეზღუდულობის პირობებში და ასახელებს საკუთარი გამოცდილებიდან მომჭირნეობის მაგალითებს;
- განსაზღვრავს გონივრულ მოხმარებას, როგორც მდგრადი განვითარების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პირობას.
- განიხილავს და ადარებს პირადი, ოჯახისა და ქვეყნის ბიუჯეტის თავისებურებებს; მსჯელობს ბიუჯეტის შედგენის აუცილებლობასა და მნიშვნელობაზე ინდივიდის, ოჯახის და ქვეყნის მასშტაბით.

არჩ.მეწ. X-XII.2. მოსწავლეს შეუძლია შრომის როლისა და მნიშვნელობის ანალიზი ინდივიდის, ოჯახის, ქვეყნის და მსოფლიოს მასშტაბით.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- განსაზღვრავს შრომას, როგორც მოვალეობას და როგორც მოთხოვნილებას;
- მსჯელობს ურთიერთკავშირებზე: შრომა -↔ ეკონომიკა; შრომა -↔ მოთხოვნილებები; შრომა -↔ სამუშაო ძალა;
- მსჯელობს საქონლისა და მომსახურების წარმოების პროცესში ჯანსაღი შრომითი ურთიერთობების, როგორც ერთ-ერთი მძლავრი სტიმულის მნიშვნელობაზე;
- აფასებს ურთიერთკავშირს: შრომა -↔ ხელფასი და მსჯელობს ხელფასზე, როგორც შრომითი საქმიანობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან სტიმულზე;
- საკუთარი გამოცდილების ან მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე ახასიათებს პრესტიჟული და არაპრესტიჟული შრომის მაგალითებს; ასაბუთებს ზოგადად შრომის, როგორც ადამიანთა უდიდესი მონაპოვარის, მნიშვნელობას;
- ჩამოთვლის შრომის ნაყოფიერებაზე მოქმედ ფაქტორებს და კონკრეტულ მაგალითზე სახავს ნაყოფიერების ამაღლების გზებს;
- მსჯელობს საოჯახო შრომის, საოჯახო ეკონომიკის მნიშვნელობაზე ინდივიდის, ოჯახის და ქვეყნის კეთილდღეობისათვის; მონაწილეობს საოჯახო შრომაში;
- ასაბუთებს, რომ შესაძლებელია ადამიანების რეაქციის განსაზღვრა სტიმულებზე.
- აანალიზებს ხელფასს, როგორც შრომის საფასურს, რომელიც განისაზღვრება შრომის მიწოდებითა და მასზე მოთხოვნით.
- თანაკლასელებთან ერთად მონაწილეობს იღებენ ბაზრის იმიტაციაში დამსაქმებლის ან დაქირავებულის როლში, სადაც: განიხილავენ სხვადასხვა მწარმოებლობის მქონე მუშაკების სიას და მიიღებენ გადაწყვეტილებას იმის შესახებ, რომელი "დაიქირაონ" და რომელი არა; განსაზღვრავენ სახელფასო განაკვეთებს.
- ხსნის, რატომ არის ნაყოფიერი მუშაკი უფრო ფასეული საწარმოსთვის და რატომ აქვს მას, როგორც წესი, მაღალი ხელფასი.

მიმართულება: მდგრადი განვითარება

არჩ.მეწ. X-XII.3. მოსწავლეს შეუძლია დაასაბუთოს საკუთრების, როგორც ადამიანის საქმიანობის მძლავრ სტიმულის მნიშვნელობა.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ახასიათებს საკუთრებას, როგორც ერთ-ერთ მნიშვნელოვან ეკონომიკურ სტიმულს; აანალიზებს მესაკუთრეთა და საკუთრების ობიექტთა მრავალგვაროვნებას;
- საკუთარი გამოცდილების ან ინფორმაციის საფუძველზე ჩამოთვლის საქართველოში გავრცელებულ საკუთრების ფორმებს;
- მსჯელობს ურთიერთკავშირზე: მესაკუთრე - საკუთრება; კონკრეტული მაგალითებს მოშველიებით განიხილავს საკუთრებას, როგორც ტვირთს და საკუთრებას, როგორც ძალაუფლებას;
- ასაბუთებს საკუთრების დაცვის აუცილებლობას როგორც ინდივიდის, ოჯახისა და ქვეყნის მდგრადობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პირობას;
- მსჯელობს კერძო საკუთრების როლზე მდგრადი განვითარების კონტექსტში.

არჩ.მეწ. X-XII.4. მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა ბაზრების ურთიერთკავშირისა და მოთხოვნა-მიწოდების წონასწორობის პირობების ანალიზი.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ჩამოთვლის საკუთარ მოთხოვნილებებს სხვადასხვა საქონელსა და მომსახურებაზე; მსჯელობს მათი მიწოდების დროულობაზე, ხარისხსა და ხელმისაწვდომობაზე;
- საკუთარი ოჯახის (ან დასახლების, ქვეყნის) მაგალითზე განიხილავს არსებულ მოთხოვნებს; აჯგუფებს მათ ბაზრების ტიპის (მაგ: სასურსათო, სამრეწველო, განათლების, მომსახურების, შრომის, ფულის და ა.შ.) მიხედვით და ახარისხებს ინტენსივობის, ფასის, სასიცოცხლო საჭიროებისა თუ სხვა კრიტერიუმების მიხედვით;
- ასახელებს ერთი და იგივე ღირებულების საქონელსა და მომსახურებას. მსჯელობს მათ განმასხვავებელ ნიშნებზე და ასაბუთებს, თუ რატომ აქვთ მათ ერთნაირი ღირებულება;
- ირჩევს საქონლის ან მომსახურების რომელიმე ბაზარს (მაგ: საქონლის, ფულის, შრომის, განათლების, მომსახურების და ა.შ.) საქართველოში და განიხილავს მოთხოვნა-მიწოდების ფარდობას/ბალანსს; აფასებს მის მდგომარეობას (მაგ: წონასწორობა, უკმარისობა ან სიჭარბე);
- რომელიმე ბაზრის მაგალითზე მსჯელობს, თუ რა გავლენას ახდენს ფასებზე მწარმოებელთა და მომხმარებელთა რაოდენობა.
- საკუთარი დასახლების (ან ქვეყნის) მაგალითზე მსჯელობს ეკონომიკური საქმიანობის სხვადასხვა სფეროს ურთიერთდამოკიდებულებაზე და ასახელებს ურთიერთკავშირის მიზეზებს (მაგ: სპეციალიზაცია, გადატანა, გაცვლა და ა.შ.);
- ფულის, პროდუქციისა და რესურსების წრებრუნვის განხილვისას ასახელებს შესაბამის ბაზრებს (მაგ: ყანები, გლეხები, საცხობები, მაღაზიები და ა.შ.) საკუთარი დასახლების ან ქვეყნის მაგალითზე;

მიმართულება: თვითმმართველობა და მმართველობა

არჩ.მეწ. X-XII.5. მოსწავლეს შეუძლია დაასაბუთოს მეწარმეობის მნიშვნელობა საზოგადოების კეთილდღეობის გაუმჯობესებისთვის.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- აანალიზებს მეწარმეს, როგორც ადამიანს, რომელიც საკუთარ თავზე იღებს საქონლისა და მომსახურებისთვის საწარმოო რესურსების ორგანიზების რისკს, რომლისთვისაც მოგება მნიშვნელოვანი სტიმულია და აიძულებს, საკუთარ თავზე აიღოს ბიზნესში წარუმატებლობის რისკი.
- რამდენიმე მეწარმის მოკლე ბიოგრაფიის განხილვის საფუძველზე ხსნის, რატომ ეწევა მეწარმე საქონლისა და მომსახურების წარმოებისთვის რესურსების ორგანიზების გააზრებულ რისკს.
- რომელიმე დახურული საწარმოს მაგალითზე ხსნის მისი წარუმატებლობის მიზეზებს.
- რამდენიმე მეწარმის მოკლე ბიოგრაფიის განხილვის საფუძველზე აანალიზებს და განაზოგადებს ხასიათის იმ თავისებურებებს, რომელიც მათი საქმიანობის მოტივი გახდა, ასევე ჩამოთვლის რისკებს (უარყოფით სტიმულებს), რომელთა დაძლევა აუცილებელი გახდა.
- ხსნის საგადასახადო პოლიტიკის გავლენას, რომელიც მოქმედებს მოგებაზე, კაპიტალის ინვესტირებაზე და სამეწარმეო აქტივობაზე.
- მსჯელობს მეწარმის გადაწყვეტილებებზე საგადასახადო პოლიტიკისა და სახელმწიფოს სხვა მარეგულირებელი ღონისძიებების გავლენის შესახებ.

არჩ.მეწ. X-XII.6. მოსწავლეს შეუძლია დაასაბუთოს ვაჭრობის მნიშვნელობა ეკონომიკური კეთილდღეობისათვის.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ირჩევს რომელიმე საქონელს ან მომსახურებას, რომელსაც მოიხმარს და ასახელებს მის ღირებულებას; მოძიებული ინფორმაციის საფუძველზე გაიანგარიშებს ამ საქონლის ან მომსახურების ღირებულებას იმ შემთხვევაში, თუკი მას თავად აწარმოებდა და ადარებს შეძენის ღირებულებას; ამ ანალიზის საფუძველზე მსჯელობს ადამიანებისთვის ვაჭრობის მნიშვნელობაზე;
- მოიპოვებს ინფორმაციას საკუთარ დასახლებაში არსებული სხვადასხვა რესურსების შესახებ, აანალიზებს მას და ადგენს იქ წარმოებული ან საწარმოებელი საქონლისა თუ მომსახურების ნუსხას; თანაკლასელებს უზიარებს საკუთარ მოსაზრებას მათი ადგილზე ან სხვაგან გაცვლის გზებზე და ასაბუთებს ამ მოქმედებების ხელსაყრელობას; ისმენს თანაკლასელთა შენიშვნებს და ითვალისწინებს მათი დასახლების ექსპორტ-იმპორტის ცხრილის შედგენისას;
- ჩამოთვლის ფულის თვისებებსა და ფუნქციებს; აკავშირებს მათ ეკონომიკური საქმიანობის სხვადასხვა სახეებთან;
- განიხილავს და ადარებს ორგვარ გაცვლას - ბარტერს და ფულის გამოყენებით ვაჭრობას; მსჯელობს ორივე ვარიანტის უპირატესობებსა და ნაკლოვანებებზე.
- გამოავლენს ისეთი სავაჭრო ბარიერების ლიკვიდაციის სარგებელს, როგორიცაა კვოტები შაქარზე და ავტომობილზე.
- სწავლობს ისეთ ისტორიულ მაგალითებს, როდესაც საქართველოში საჭირო გახდა სავაჭრო ბარიერის შემოღება და თავისუფალი ვაჭრობის ურთიერთსარგებლიანობის გათვალისწინებით ხსნის მის მიზეზებს.
- აანალიზებს კონკრეტული საქონლის იმპორტის აკრძალვის პოლიტიკურ და ეკონომიკურ შედეგებს.

არჩ.მეწ. X-XII.7. მოსწავლეს შეუძლია ახსნას კონკურენციის წარმოშობის მიზეზები, მისი ხელისშემშლელი და ხელისშემწყობი ფაქტორები.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- საკუთარი გამოცდილების ან მოძიებული ინფორმაციის საფუძველზე აღწერს შემთხვევებს, როდესაც ადამიანებს მათთვის აუცილებელი საქონლის შეძენის მხოლოდ ერთი ან რამდენიმე წყარო აქვთ; ადარებს ამ ორ ვარიანტს და მსჯელობს მათ უპირატესობასა და ნაკლოვანებაზე;
- ასახელებს მისთვის ცნობილ რამდენიმე კომპანიას/ფირმას, რომლებიც ერთსა და იმავე სახის საქონელსა და მომსახურებას აწარმოებენ; საკუთარი გამოცდილების საფუძველზე ირჩევს საუკეთესო მწარმოებლის გამოსავლენ კრიტერიუმებს და ასაბუთებს მოსაზრებას; მსჯელობს, რამდენად თანაბარ პირობებში მოქმედებენ ეს კომპანიები;
- აანალიზებს როგორ უწყობენ კერძო ინტერესების მქონე ერთმანეთის კონკურენტი ინდივიდები, ფირმები ხელს საზოგადოების კეთილდღეობას.
- კონკრეტული სამეწარმეო საქმიანობის განხილვის საფუძველზე გამოყოფს მოგების გაზრდისა და ხარჯების შემცირების ფაქტორებს; მსჯელობს ამ საქმიანობაში ჩართული ადამიანების მიერ წარმოების ეფექტიანობის გაზრდის შესაძლებლობებზე;
- მასმედიიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე აღწერს შემთხვევას, როდესაც კონკრეტული საქონლის ან მომსახურების წარმოება შემცირდა და ასახელებს ამ მოვლენის გამომწვევ მიზეზებს (მაგ.: მთავრობის მიერ აკრძალვა, მოთხოვნის შემცირება, სხვა მწარმოებლის/ების გაძლიერება და ა.შ.); გამოთქვამს მოსაზრებას არსებულ ან შესაძლო შედეგებზე როგორც მწარმოებლის, ისე მომხმარებლისთვის.
- მსჯელობს ადამიანის ეკონომიკური უფლებების მნიშვნელობაზე თანასწორობისა და თავისუფლების თვალსაზრისით.

ბოლო 4-5 კვირაში განსახორციელებელი პროექტების სარეკომენდაციო ვარიანტები:

- ▯ თანაკლასელთა ჯგუფთან ერთად ირჩევს რომელიმე საქონლის ან მომსახურების სახეს, წარმოიდგენს როგორ აწარმოებდა და გაცვლიდა მას დამოუკიდებლად საკუთარი მოთ-ხოვნილებების დასაკმაყოფილებლად;
- ▯ მონაწილეობს საკლასო დისკუსიაში "რა შეგვიძლია შევმატოთ სკოლას?", რომლის მიზანია სკოლის საჭიროებებისა და თანაკლასელთა შესაბამისი შესაძლებლობების დაზუსტება; ითვალისწინებს წინა წელს გაწეული ანალოგიური სამუშაოს შედეგებს და შეიმუშავებს საკუთარ სამოქმედო გეგმას, რომელსაც შეათანხმებს თანაკლასელებთან; დაგეგმილ აქტივობებში (მაგ: სკოლის ბიბლიოთეკის ან სპორტული დარბაზის შევსება, უმცროსკლასელთა ექსკურსიებში მასწავლებელთა დახმარება, სკოლისა თუ მისი გარემოს კეთილმოწყობა და ა.შ.). ასრულებს მისთვის გამოყოფილ როლს;
- ▯ ირჩევს მისთვის ან რომელიმე სოციალური ჯგუფისთვის აქტუალურ კონკრეტულ პრობლემას (მაგ: განათლების მიღება, დასაქმება, საგადასახადო კონფლიქტი, ბაზრის შემცირება, ოპტიმიზაცია, ფასების ზრდა ან კლება, მძლავრი კონკურენტების გამოჩენა და ა.შ.); მოიპოვებს ინფორმაციას, რომლის ანალიზის საფუძველზე წერს კონკრეტული პრობლემის გადაჭრის გეგმას (შესაძლოა რამდენიმე ვარიანტს) მხარეთა უფლებების დაცვისა და კანონიერი მოქმედებების გათვალისწინებით; განსაზღვრავს საკუთარ როლს პრობლემის მოგვარებაში, იკრებს თანამოაზრეებს და მოქმედებს გეგმის შესაბამისად; აფასებს საკუთარი მონაწილეობის ეფექტიანობას და შედეგებს უზიარებს თანაკლასელებს.
- ▯ საკუთარი მიზნებიდან გამომდინარე ირჩევს თავის მომავალ საქმიანობას საშუალო სკოლის დასრულების შემდეგ; მოიძიებს საჯარო ინფორმაციას თავისი არჩევანის განხორციელების გზების შესახებ; ამ ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე შეიმუშავებს სამოქმედო გეგმას ხელშემწყობი და ხელისშემშლელი ფაქტორების გათვალისწინებით, რომელსაც აცნობს თანაკლასელებს; აფასებს საკუთარ შესაძლებლობებს და თანაკლასელებთან ერთად მსჯელობს, რამდენად რეალურია მისი მისწრაფებების განხორციელება არსებულ ვითარებაში.
- საკუთარ დასახლებაში ატარებს კვლევას შეზღუდული, მაგრამ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი რესურსის გამოსავლენად და განსაზღვრავს მასზე მოთხოვნილების დაკმაყოფილების გზებს.
- საკუთარ ოჯახში, დასახლებაში ატარებს კვლევას იმ რესურსის გამოსავლენად, რომელიც უყაირათოდ (არაეკონომიურად) მოიხმარება და განსაზღვრავს ამ რესურსის მომჭირნედ (ეკონომიურად) გამოყენების სტიმულებს.
- თანაკლასელთან/ებთან ერთად ადგენს კითხვარს და ატარებს სოციოლოგიურ გამოკვლევას საკუთარ დასახლებაში გავრცელებული შრომითი საქმიანობის სახეებისა და ანაზღაურების თანაფარდობის შესახებ; ადგენს საზოგადოების დამოკიდებულებას კონკრეტული შრომითი საქმიანობისადმი.
- სხვადასხვა წყაროებზე დაყრდნობით განსაზღვრავს საკუთარ დასახლებაში გავრცელებულ საკუთრების ფორმებს და აანალიზებს მესაკუთრეთა დამოკიდებულებას საკუთრებისადმი.
- მოიძიებს ინფორმაციას საკუთარი ოჯახის, რომელიმე საწარმოს ან ქვეყნის ბიუჯეტის შესახებ და აღწერს მათ საერთო და განმასხვავებელ თავისებურებებს. კონკრეტულ მონაცემებზე დაყრდნობით ადგენს პირად ბიუჯეტს.
- ადგენს საკუთარი ოჯახის წევრების მიერ შესრულებული საოჯახო შრომის სახეებს; აღწერს საოჯახო შრომის მნიშვნელობას ოჯახში დადებითი გარემოს, ურთიერთთანადგომისა და ერთიანობის თვალსაზრისით. მიმოიხილავს საოჯახო შრომის ისტორიულ კონტექსტს.
- მონაწილეობს ქალაქის საბჭოს მოდელირებაში, რომლის მიზანია ბიუჯეტის განაწილების შესახებ გადაწყვეტილების მიღება. ხსნის, რატომ არის ამ კონკრეტულ სიტუაციაში აუცილებელი არჩევანის გაკეთება; აღწერს კომპრომისებს და განსაზღვრავს მიღებული გადაწყვეტილების ალტერნატიულ ღირებულებას.

- აანალიზებს გადაწყვეტილების შედეგებს, რომელიც გამოცდისათვის მომზადება/არმომზადებას უკავშირდება და განსაზღვრავს როდის შეიძლება გამოვლინდეს ეს შედეგები.
- ასახელებს სამ ისეთ საქონელს, რომლის წარმოებაც საქართველოში შესაძლებელია, თუმცა ძვირი დაჯდება და ალტერნატიული ღირებულების თვალსაზრისით ხსნის მისი იმპორტის სარგებლიანობას.
- ქრონოლოგიური თანამიმდევრობით წარმოადგენს ქართველი მეწარმეების მიერ უკანასკნელ 20 წელიწარდში დანერგილ საქონლესა და ტექნოლოგიას და წერს მოკლე მიმოხილვას ამ სიახლეთა გავლენის შესახებ ეკონომიკურ ზრდაზე, კონკურენციაზე, ტექნიკურ პროგრესზე და სამუშაო ადგილების რაოდენობაზე.

პროგრამის შინაარსი:

1. შეზღუდულობა
2. არჩევანი, ალტერნატიული ღირებულება
3. ზღვრული დანახარჯები და ზღვრული სარგებელი
4. საწარმოო რესურსები
5. შრომა და შრომითი ურთიერთობები
6. საკუთრება და მისი ფორმები, საკუთრების დაცვა
7. საკუთრება როგორც ტვირთი და საკუთრება, როგორც ძალაუფლება
8. ბაზრების მრავალსახეობა და ურთიერთკავშირი
9. ფასი, რომლის დროსაც ბაზარი ცარიელდება
10. მთავარი სიტყვები - მოთხოვნა, მიწოდება
11 მეწარმეობა, როგორც ტვირთი და როგორც ჯილდო
12. მეწარმეობა და კეთილდღეობა
13. ვაჭრობა და მისი როლი
14. ვაჭრობა და კეთილდღეობა
15. კონკურენცია და მისი როლი საბაზრო ეკონომიკაში
16. ბიუჯეტის როლი და თავისებურებები

X/XII კლასები

საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის საფუძვლები

სტანდარტი

წლის ბოლოს მისაღწევი შედეგები მიმართულებების მიხედვით

მდგრადი განვითარება
არჩ.სჰს. X-XII.1. მოსწავლეს შეუძლია გააანალიზოს შეიარაღებული კონფლიქტის ჰუმანიტარული შედეგები. **არჩ.სჰს. X-XII.2.** მოსწავლეს შეუძლია შეიარაღებული კონფლიქტის მსხვერპლთა ძირითადი უფლებების კვლევა. **არჩ.სჰს. X-XII.3.** მოსწავლეს შეუძლია ომის წარმართვის მეთოდებისა და საშუალებების შეზღუდვის პირობების ანალიზი. **არჩ.სჰს. X-XII.4.** მოსწავლეს შეუძლია საქართველოს კანონმდებლობის სჰს-თან შესაბამისობის კვლევა. **არჩ.სჰს. X-XII.5**. მოსწავლეს შეუძლია სჰს-ის განვითარების ფაქტორების დახასიათება.

წლის ბოლოს მისაღწევი შედეგები და ინდიკატორები მიმართულებების მიხედვით

მიმართულება: მდგრადი განვითარება

არჩ.სჰს. X-XII.1. მოსწავლეს შეუძლია გააანალიზოს შეიარაღებული კონფლიქტის ჰუმანიტარული შედეგები.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- მისთვის ცნობილი შეიარაღებული კონფლიქტისას განსაზღვრავს კონფლიქტის ტიპს და ასახელებს მსხვერპლთა კატეგორიებს.
- თანაკლასელებთან ერთად აღწერს შეიარაღებული კონფლიქტის მსხვერპლის საჭიროებებს.

არჩ.სჰს. X-XII.2. მოსწავლეს შეუძლია შეიარაღებული კონფლიქტის მსხვერპლთა ძირითადი უფლებების კვლევა.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ასახელებს ომის მსხვერპლთა დამცველ ძირითად საერთაშორისო დოკუმენტებს და მიუსადაგებს მათ ომის მსხვერპლთა კატეგორიებს.
- გადმოსცემს მსხვერპლთა თითოეული კატეგორიის დამცველი ძირითადი დებულებების შინაარსს.
- აღწერს საფრთხეს, რომელიც ემუქრება სამოქალაქო მოსახლეობას შეიარაღებული კონფლიქტის დროს.
- მონაწილეობს დისკუსიაში "მწყობრიდან გამოსული მოწინააღმდეგის ჯარისკაცი მტერია თუ მსხვერპლი?"

არჩ.სჰს. X-XII.3. მოსწავლეს შეუძლია ომის წარმართვის მეთოდებისა და საშუალებების შეზღუდვის პირობების ანალიზი.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- მსჯელობს კულტურულ ფასეულობათა დაცვაზე შეიარაღებული კონფლიქტის დროს; მოყავს კულტურულ ფასეულობათა დაცვის ან განადგურების მაგალითები; ასახელებს კულტურულ ფასეულობათა დამცველ ძირითად დოკუმეტებს; გადმოსცემს ძირითადი დებულებების შინაარსს.
- ასახელებს შეიარაღებული კონფლიქტის გამო ბუნებრივი გარემოს დაზიანების მაგალითებს. გადმოსცემს გარემოს დაცვისკენ მიმართული ძირითადი დებულებების არსს.
- თანაკლასელების ჯგუფთან ერთად განიხილავს გარკვეული ტიპის იარაღის აკრძალვის და ომის წარმოების მეთოდების შეზღუდვის მიზეზებს.
- მონაწილეობს დისკუსიაში "მოწინააღმდეგის სრული გაანადგურება თუ სამხედრო წარმატების მიღწევა".

არჩ.სჰს. X-XII.4. მოსწავლეს შეუძლია საქართველოს კანონმდებლობის სჰს-თან შესაბამისობის კვლევა.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ჩამოთვლის სჰს-ის იმ დოკუმენტებს, რომელსაც საქართველო მიუერთდა.
- ჩამოთვლის ქართული კანონმდებლობის იმ დოკუმენტებს და დებულებებს, რომლებშიც ასახულია სჰს-ის დებულებებთან შესაბამისობა.
- მოყავს სამხედრო დანაშაულის აღიარებული მაგალითები მსოფლიოს ისტორიიდან. მსჯელობს სჰს-ის სავალდებულო ძალასა და პასუხისმგებლობაზე შეუსრულებლობისათვის.

არჩ.სჰს. X-XII.5. მოსწავლეს შეუძლია სჰს-ის განვითარების ფაქტორების დახასიათება.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- პოულობს საერთოსა და განსხვავებას სხვადასხვა კულტურაში არსებულ ომის წარმოების წესებში უძველესი დროიდან დღემდე.
- ამოიცნობს სჰს-ის თემატიკას ისტორიულ თუ მხატვრულ ნაწარმოებებში ან ხელოვნების ნიმუშებში.
- ჩამოთვლის სჰს-ის ძირითადი დოკუმენტების მიღების მიზეზებს 1864 წლიდან დღემდე.

განსახორციელებელი პროექტების რეკომენდირებული ვარინტები

- თანაკლასელებთან ერთად მოიძიებს ნახატებს და ამზადებს ალბომს საერთო სათაურით "გულმოწყალება ბრძოლის ველზე"
- მოიძიებს ინფორმაციას და აწყობს დებატებს თემაზე "ომის დროს კანონები დუმს?"
- თანაკლასელებთან ერთად ამზადებს ინტერაქტიურ შეხვედრას თემაზე "ომსაც აქვს შეზღუდვები" უმცროს (მე-7 – მე-9 კლასელ) თანასკოლელებთან.
- მოიპოვებს ინფორმაციას მიმდინარე მომენტში ცხელ წერტილებში მსხვერპლის მდგომარეობის შესახებ და შეისწავლის იმ ორგანიზაციების მუშაობას, რომლებიც დახმარებას უწევენ მსხვერპლს.
- მოიპოვებს ინფორმაციას და ადგენს ნუსხას იმ მხატვრული ნაწარმოებისას (ან მხატვრული ფილმებისას), რომლებშიც ასახულია სჰს-ის თემატიკა, აწყობს მათ (ან მათი ნაწილის) განხილვას.

- თანაკლასელებთან ერთად მოიძიებს ინფორმაციას რომელიმე შეიარაღებული კონფლიქტის შესახებ და განიხილავს მსხვერპლის უფლებებს სჰს-ისა და ადამიანის უფლებათა სამართლის გამოყენების კუთხით.

პროგრამის შინაარსი

1. **შეიარაღებული კონფლიქტი**
   - კონფლიქტის ტიპები;
   - მსხვერპლთა კატეგორიები
2. **ომის მსხვერპლთა სამართლებრივი დაცვა**
   - დაჭრილთა დაცვა
   - გარდაცვლილთა დაცვა
   - სამხედრო ტყვეთა დაცვა
   - სამოქალაქო მოსახლეობის დაცვა
3. **ომის წარმოების მეთოდებისა და საშუალებების შეზღუდვა**
   - აკრძალული იარაღი
   - გარემოს დაცვა შეიარაღებული კონფლიქტის პირობებში
   - კულტურულ ფასეულობათა დაცვა შეიარაღებული კონფლიქტის დროს
4. **საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის განვითარება**
   - ჰუმანიტარული სამართლის მოკლე ისტორია
   - საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის წყაროები
5. **საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის სავალდებულო ძალა და პასუხისმგებლობა შეუსრულებლობისათვის**
   - საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის იმპლემენტაცია
   - სახელმწიფოთა საერთაშორისო პასუხისმგებლობა

XI/XII კლასები

ეკონომიკა და სახელმწიფო
სტანდარტი

წლის ბოლოს მისაღწევი შედეგები მიმართულებების მიხედვით

პიროვნული განვითარება	**მდგრადი განვითარება**	**თვითმმართველობა და მმართველობა**
არჩ.ეკონ.სახ. XI-XII.1. მოსწავლეს შეუძლია საქართველოში ეკონომიკური საქმიანობის შესაძლებლობების ანალიზი.	**არჩ.ეკონ.სახ. XI-XII.2.** მოსწავლეს შეუძლია შეაფასოს საერთაშორისო ურთიერთობების მნიშვნელობა ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისთვის. **არჩ.ეკონ.სახ. XI-XII.3.** მოსწავლეს შეუძლია ახსნას საზოგადოებრივი ინსტიტუტების როლი საბაზრო	**არჩ.ეკონ.სახ. XI-XII.5.** მოსწავლეს შეუძლია აღწეროს სახელმწიფოს როლი საბაზრო ეკონომიკაში. **არჩ.ეკონ.სახ. XI-XII.6.** მოსწავლეს შეუძლია საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირებაზე სახელმწიფო პოლიტიკის გავლენის ანალიზი.

	ეკონომიკაში. **არჩ.ეკონ.სახ. XI-XII.4.** მოსწავლეს შეუძლია აღწეროს უმუშევრობის გავლენა ცალკეულ ადამიანსა და ქვეყანაზე.	**არჩ.ეკონ.სახ. XI-XII.7.** მოსწავლეს შეუძლია ახსნას ფისკალური და მონეტარული პოლიტიკის როლი ეკონომიკაში.

წლის ბოლოს მისაღწევი შედეგები და ინდიკატორები მიმართულებების მიხედვით

მიმართულება: პიროვნული განვითარება

არჩ.ეკონ.სახ. XI-XII.1. მოსწავლეს შეუძლია საქართველოში ეკონომიკური საქმიანობის შესაძლებლობების ანალიზი.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ჩამოთვლის საქართველოში ყველაზე გავრცელებულ ეკონომიკურ აქტივობებს და გამოყოფს ისეთებს, სადაც სახელმწიფო მმართველობის ორგანოების გადაწყვეტილებებს ყველაზე ნაკლები მნიშვნელობა ენიჭება;
- ჩამოთვლის ეკონომიკურ სისტემებს (მაგ: მბრძანებლური, თავისუფალი, შერეული) და მსჯელობს თითოეულის შესაბამისობაზე ადამიანის ეკონომიკურ უფლებებთან; ირჩევს, მისი აზრით, ყველაზე მისაღებს და ასაბუთებს არჩევანს;
- ახასიათებს საბაზრო ეკონომიკის ძირითად პრინციპებს (მაგ: კერძო საკუთრება, პირადი მოტივაცია, არჩევანისა და საქმიანობის თავისუფლება, ბაზრებისა და ფასების სისტემა და ა.შ.); მსჯელობს საქართველოს კონსტიტუციისა და სხვა კანონების შესაბამისობაზე საბაზრო ეკონომიკის პრინციპებთან;
- თანაკლასელების ჯგუფთან ერთად, საკუთარ დასახლებაში ატარებს მცირე გამოკითხვას გადასახადების მიმართ მოსახლეობის დამოკიდებულების გამოსავლენად (მაგ: რამდენად აუცილებელია, რეალურია, მიზნობრივად და ეფექტურად გამოიყენება და ა.შ.); მიღებული შედეგებისა და სკოლაში მიღებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე წერს თემას – "გადასახადების როლი ქვეყნის განვითარებაში";
- ჩამოთვლის სიღარიბის მიზეზებს საქართველოსა და სხვა ქვეყნებში; ადარებს მათ და აყალიბებს მოსაზრებას მისი დაძლევის შესახებ;
- ირჩევს რომელიმე საქმიანობას და თანაკლასელებთან ერთად მოიძიებს ინფორმაციას მისი წარმატებით განხორციელების ეკონომიკურ პირობებზე (მაგ: სამართლებრივი ვალდებულებები, ბაზრის მდგომარეობა, რესურსები და ა.შ.); ანალიზის საფუძველზე ადგენს მარტივ სამოქმედო გეგმას და წარუდგენს თანაკლასელებს.

მიმართულება: მდგრადი განვითარება

არჩ.ეკონ.სახ. XI-XII.2. მოსწავლეს შეუძლია შეაფასოს საერთაშორისო ურთიერთობების მნიშვნელობა ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისთვის.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ასახელებს ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ძირითად მაჩვენებლებს (მაგ: მთლიანი ეროვნული და შიდა პროდუქტი, ეკონომიკის ზრდის ტემპი, სამომხმარებლო კალათის

ოდენობა, სიღარიბის და უმუშევრობის დონე, ჰუმანური განვითარების ინდექსი); ადარებს საქართველოს სხვა მსგავსი (მოსახლეობის რაოდენობის მხრივ) ქვეყნების მონაცემებს;

- განიხილავს მეზობელი ქვეყნების ეკონომიკური განვითარების მაჩვენებლებს და აფასებს შესაბამისი სახელმწიფოების გავლენას საქართველოსა და ამ ქვეყნების ეკონომიკურ ურთიერთობაზე;
- ირჩევს საქართველოს მოქალაქეთა ეკონომიკური საქმიანობის რომელიმე სფეროს და მსჯელობს მისი განვითარებისათვის საერთაშორისო ურთიერთობების მნიშვნელობაზე; ჩამოთვლის ამ მხრივ პრიორიტეტულ სახელმწიფოებს, რეგიონებსა თუ საერთაშორისო ორგანიზაციებს და ასაბუთებს საკუთარ მოსაზრებას;
- აღწერს თანამედროვე მსოფლიოში სახელმწიფოს ძლიერების კრიტერიუმებს და მათ შესაბამისად აფასებს საქართველოს მდგომარეობას; თანაკლასელებთან ერთად განიხილავს მიღებულ შედეგებს და მათი შეფასებების გათვალისწინებით წერს ესეს საქართველოსა და გარესამყაროს ურთიერთდამოკიდებულების შესახებ.

არჩ.ეკონ.სახ. XI-XII.3. მოსწავლეს შეუძლია ახსნას საზოგადოებრივი ინსტიტუტების როლი საბაზრო ეკონომიკაში.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ხსნის როგორ უწყობს ხელს საბაზრო ეკონომიკაში საზოგადოებრივი ინსტიტუტები (ბანკები, პროფესიული კავშირები, არაკომერციული ორგანიზაციები) კერძო და იურიდიული პირების მიერ საკუთარი მიზნების მიღწევას.
- აღწერს როგორ უწყობს ხელს საკუთრების უფლება, ხელშეკრულებების პირობების დაცვა, საზომი სტანდარტები და პასუხისმგებლობის ნორმები საქონლისა თუ მომსახურების წარმოებას, ვაჭრობას.
- გაითამაშებს კონსულტანტს, რომელიც კლიენტებს დასაბუთებულად არწმუნებს კონკრეტულ წამოწყებაში ინვესტირების სარგებლიანობაში.
- ხსნის რატომ იღებენ გამსესხებლები საპროცენტო სარგებელს მსესხებლებისაგან.
- ასაბუთებს, რატომ არსებობს განსხვავება საპროცენტო სარგებელს შორის: ახალი და ძველი მანქანის სესხისთვის, 15-წლიანი და 30-წლიანი ანაბრისთვის, მაღალი კრედიტუნარიანობისა და დაბალი კრედიტუნარიანობის მქონეთათვის.

არჩ.ეკონ.სახ. XI-XII.4. მოსწავლეს შეუძლია აღწეროს უმუშევრობის გავლენა ცალკეულ ადამიანსა და ქვეყანაზე.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- განიხილავს უმუშევრობის შედეგებს ინდივიდის და ქვეყნის მასშტაბით; ჩამოთვლის უმუშევართა სოციალური დაცვის მისეულ გზებს.
- აკავშირებს უმუშევრობის დონეს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სხვა ძირითად მაჩვენებლებთან და ადარებს სხვა მსგავსი (მოსახლეობის რაოდენობის მხრივ) ქვეყნების მონაცემებს;
- აღწერს ეკონომიკური წრებრუნვის მოდელსა და მისი აქტორების როლს.
- აანალიზებს უმუშევრობის ზიანს როგორც ცალკეული ინდივიდების, ისე მთლიანად ქვეყნის მასშტაბით.
- ასაბუთებს, როგორ ამცირებს ინფლაცია ქვეყანაში ცხოვრების დონის ზრდის ტემპს (მინიშნება: ინდივიდები და ორგანიზაციები ხარჯავენ რესურსებს, რათა თავი დაიცვან მომავალი ფასების გამო შექმნილი გაურკვევლობისგან).

- ერთმანეთს ადარებს მიმდინარე წლისა და 2000 წლის სამომხმარებლო კალათის ფასებს და ხსნის როგორ ამცირებს ინფლაცია იმ მომხმარებელთა მსყიდველობით უნარს, რომელთა შემოსავალი უცვლელია ან ინფლაციის ტემპებზე ნელა იზრდება.
- ასახელებს უმუშევრობის სახეთა მაგალითებს, ხსნის მათ შორის განსხვავებას და ასაბუთებს რომელ ფორმას მოაქვს ყველაზე მეტი ზიანი ეკონომიკისათვის.
- ხსნის, როგორ ზრდის მოსალოდნელი ინფლაცია საპროცენტო სარგებელს.
- აანალიზებს ინფლაციის დანახარჯებს სხვადასხვა ჯგუფებისთვის.

მიმართულება: თვითმმართველობა და მმართველობა

არჩ.ეკონ.სახ. XI-XII.5. მოსწავლეს შეუძლია აღწეროს სახელმწიფოს როლი საბაზრო ეკონომიკაში.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- აანალიზებს სახელმწიფოს, როგორც კერძო საკუთრების უფლების განმსაზღვრელისა და დამცავის როლს.
- ხსნის, იმ მიზეზებს, რომელთა გამო ბაზარს არ შეუძლია რესურსების ეფექტიანად განაწილება: (1) არასათანადოდ არის განსაზღვრული და დაცული საკუთრების უფლება; (2) გარეგანი ეფექტები, რომლებიც მრავალ ადამიანზე მოქმედებს, უკავშირდება კონკრეტული პროდუქტის წარმოებას ან მოხმარებას და (3) ბაზრები არასაკმარისად კონკურენტულია.
- ხსნის გარემოს დაბინძურების, ვაქცინაციის, სამედიცინო გამოკვლევების საკითხებში სახელმწიფოს მონაწილეობის მიზეზებს და შეუძლია განსაზღვროს ამ საკითხებში სახელმწიფო როლი.
- ხსნის, რატომ არსებობს წყლის ან ელექტროენერგიის ერთადერთი მომწოდებელი.
- აღწერს სახელმწიფო დახმარების 2-3 პროგრამას და სახელმწიფოს მიერ მათი განხორციელების მიზეზებს. განსაზღვრავს მოსახლეობის ჯგუფებს, რომლებსაც ეკისრებათ პროგრამასთან დაკავშირებული ხარჯები და რომლებიც იღებენ სარგებელს.
- მსჯელობს საქართველოს ეკონომიკაში სახელმწიფოს როლის შესახებ.

არჩ.ეკონ.სახ. XI-XII.6. მოსწავლეს შეუძლია საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირებაზე სახელმწიფო პოლიტიკის გავლენის ანალიზი.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ხსნის, რატომ იყენებს სახელმწიფო გადასახედების მოკრეფის შედეგად მიღებულ თანხას ეროვნული უსაფრთხოების, დაწყებითი განათლების, გზების მშენებლობის და სხვათა დაფინანსებისთვის და რატომ იქნებოდა შეუძლებელი სახელმწიფოს დახმარების (მხოლოდ კერძო სექტორის დახმარებით) გარეშე ამ სფეროების განვითარება.
- ასაბუთებს, რომ ხშირად სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელების დანახარჯები სარგებელს აჭარბებს, რასაც მრავალი მიზეზი შეიძლება ჰქონდეს: ამომრჩევლებზე, საჯარო მოხელეებზე მოქმედი სტიმულები, დაინტერესებულ პირთა მიერ განხორციელებული ქმედებები, რაც ძვირი უჯდება საზოგადოებას ან ეკონომიკური ეფექტიანობისაგან განსხვავებული სხვა მიზნები.
- აანალიზებს, რომ პოლიტიკურ ლიდერებს შესაძლოა ისეთი პოლიტიკის გატარების სტიმულები ამოძრავებდეთ, რომლის დანახარჯები მრავალ ადამიანზე ნაწილდება, ხოლო სარგებელს პოლიტიკური ძალაუფლების მქონე მცირე ჯგუფი იღებს.
- აანალიზებს, რატომ უჭერენ ხშირად მხარს დაინტერესებული ჯგუფები ფასების კონტროლის პოლიტიკას, რომელიც ამცირებს წარმოებული საქონლისა და მომსახურების

რაოდენობას, რის შედეგადაც მომხმარებელი ვერ იღებს ზოგ ისეთ საქონელსა და მომსახურებას, რომლის მნიშვნელობა აჭარბებს მისი წარმოების დანახარჯებს.

არჩ.ეკონ.სახ. XI-XII.7. მოსწავლეს შეუძლია ახსნას ფისკალური და მონეტარული პოლიტიკის როლი ეკონომიკაში.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ფისკალური პოლიტიკის ისტორიული მაგალითების განხილვის საფუძველზე, ხსნის მის მიზეზებს.
- ახასიათებს ფისკალურ პოლიტიკას, რომელსაც შესთავაზებდა შემდეგი პრობლემების გადასაჭრელად: (1) მზარდი უმუშევრობა, (2) მზარდი ინფლაცია. ასაბუთებს საკუთარ რეკომენდაციას.
- ხსნის განსხვავებას ბიუჯეტის დეფიციტსა და სახელმწიფო ვალს შორის და განსაზღვრავს რა დრო დასჭირდებოდა სახელმწიფო ვალის გადახდას არსებული მშპ-ს პირობებში, თუ მას მხოლოდ ვალის გადასახდელად გამოიყენებდნენ.
- ხსნის მონეტარული პოლიტიკის არსს და მის გავლენას ფულის მასაზე და საპროცენტო სარგებელზე.

ბოლო 4-5 კვირაში განსახორციელებელი პროექტების სარეკომენდაციო ვარიანტები:

- ირჩევს რომელიმე მეზობელ ან განვითარებულ ქვეყანას და განიხილავს საქართველოსთან ურთიერთობის თავისებურებებს; აფასებს თითოეული სახელმწიფოს პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ მახასიათებლებს; განსაზღვრავს მათ საერთო ინტერესებს და წერს სტატიას ორი ქვეყნის თანამშრომლობის განვითარების პერსპექტივების შესახებ, სადაც ასაბუთებს საკუთარ მოსაზრებებს.
- ჩატარებული გამოკითხვისა თუ პირადი დაკვირვების საფუძველზე გამოყოფს საკუთარი დასახლების მოქალაქეთა საჭიროებებს საერთაშორისო ურთიერთობებში (მაგ: განათლება, დასაქმება, ვაჭრობა, მოგზაურობა, თანამშრომლობა და ა.შ.); აანალიზებს ამ ურთიერთობათა მიზეზებსა და შედეგებს.
- შესატყვისი ინფორმაციის საფუძველზე ადარებს სხვადასხვა ქვეყნებსა და სხვადასხვა ეპოქებში მოქმედი ეკონომიკური სისტემების ღირსებებსა და ნაკლოვანებებს კრიტერიუმებად ისეთი ფართო საზოგადოებრივი მიზნების გამოყენებით, როგორიცაა თავისუფლება, ეფექტიანობა, სამართლიანობა და ეკონომიკური ზრდა.
- აანალიზებს სხვადასხვა ქვეყანაში მოქმედ ეკონომიკურ სისტემებს, ირჩევს იმ სისტემას, რომელიც ყველაზე ეფექტიანად უზრუნველყოფს რესურსების განაწილებას და ხსნის გამოყენებული მეთოდის ეფექტიანობის მიზეზს. ასევე აფასებს განაწილების სხვადასხვა სისტემების (ორგანოების ტრანსპლანტაცია, სანადირო და თევზსაჭერი ლიცენზიები, მშობლებთან/მეგობრებთან გატარებული დრო, თანამდებობა) ეფექტიანობას.
- აანალიზებს, როგორ გავლენას მოახდენს მინიმალური ხელფასის გაზრდა, ახალი საგადასახადო პოლიტიკა ან სარგებლის განაკვეთის ცვლილება მომხმარებლის, მწარმოებლის, მუშაკის, მსესხებლის და ინვესტორის ქცევაზე.
- ხსნის თავისუფალ ვაჭრობაში მონაწილე ერთი ქვეყნის ვალუტის კურსის ცვლილების გავლენას მეორე ქვეყანაში საქონლისა და მომსახურების ფასზე.
- ხსნის, რა შეიძლება მოხდეს თუ სახელმწიფო დააწესებს "ფასების ჭერს" ბენზინზე და "ფასების იატაკს" რძეზე.

- ინფორმაციის საფუძველზე აანალიზებს სხვადასხვა სფეროებში - ჯანდაცვა, განათლება, ახალი ტექნოლოგიები, მანქანა-დანადგარები - ინვესტირების მნიშვნელობას ცხოვრების ხარისხის ამაღლების თვალსაზრისით.
- ჩამოთვლის ბოლო 25 წლის განმავლობაში შექმნილ 3-5 საქონელს და ხსნის როგორ გამოიწვია ტექნიკურმა პროგრესმა ახალი ან უფრო სრულყოფილი პროდუქტების შექმნა.
- ჩატარებული კვლევის საფუძველზე ასაბუთებს ფისკალური და მონეტარული პოლიტიკის გავლენას ეკონომიკაზე.

პროგრამის შინაარსი

1. საქართველოში გავრცელებული ეკონომიკური საქმიანობის ისტორიული და თანამედროვე ფორმები

2. ეკონომიკური სისტემები

3. საერთაშორისო ურთიერთობები და მისი მნიშვნელობა

4. საზოგადოებრივი ინსტიტუტები და საბაზრო ეკონომიკა

5. სამართლიანი და უსამართლო გადასახადები

6. საგადასახადო პოლიტიკა

7. გადასახადები და კეთილდღეობა

8. სახელმწიფო და კერძო საკუთრება

9. სახელმწიფო პოლიტიკა

10. უმუშევრობა, მისი ფორმები, გავლენა

11. სახელმწიფო ვალი

12. ინფლაცია, მისი გავლენა და დაძლევის გზები

13. ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა

14. ეკონომიკური განვითარების ძირითადი მაჩვენებლები

მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის
ბრძანება #57/ნ
2010 წლის 14 ივლისი ქ, თბილისი

მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსის დამტკიცების
შესახებ

,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 26–ე მუხლის პირველი პუნქტის ,,შ1დ" ქვეპუნქტის , ,,საქართველოს განათლებისა და მეცნიერებისსამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2004 წლის 21 მაისის # 37 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე–2 მუხლის მე–2 პუნქტის ,,პ1ი" ქვეპუნქტისა და მე–3 მუხლის მე–2 პუნქტის ,,მ" ქვეპუნქტის საფუძველზე,
ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს თანდართული მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსი
2. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე. **დ. შაშკინი**

მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსი

თავიI. ზოგადი დებულებები

მუხლი 1. ცნება და მიზანი

1. მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსი (შემდგომში ,,ეთიკის კოდექსი") ადგენს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მასწავლებლის პროფესიული ქცევის წესებს, რომლითაც ფასდება მასწავლებლის პროფესიული კომპეტენტურობის ხარისხი და რომელთა დაცვა მასწავლებელს მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და სკოლაში დასაქმებული სხვა პირების მიმართ მოეთხოვება.
2. ეთიკის კოდექსის მიზანია მასწავლებლის სავალდებულო პროფესიული ქცევის ერთიანი წესების დამკვიდრება.
3. სკოლის შინაგანაწესი უნდა ეფუძნებოდეს ეთიკის კოდექსს.

მუხლი 2. რეგულირების სფერო
ეთიკის კოდექსი ვრცელდება საქართველოს მოქალაქე, უცხო ქვეყნის მოქალაქე და მოქალაქეობის არმქონე მასწავლებლებზე, რომლებიც ეწევიან პედაგოგიურ საქმიანობას ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში.

თავიII.ეთიკის კოდექსის სტრუქტურა

მუხლი 3.პროფესიული კომპეტენტურობა

1. მასწავლებელი, პროფესიული ვალდებულების შესრულებისას, დამოუკიდებელი, კეთილსინდისიერი და მიუკერძოებელია.
2. პედაგოგიური საქმიანობის განხორციელებისას მასწავლებელი ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობითა და ეთიკის კოდექსის ნორმებით.
3. მასწავლებელი ხელს უწყობს მოსწავლეებში დემოკრატიული და პატრიოტული ღირებულებების ჩამოყალიბებას.
4. მასწავლებელი, თავისი პროფესიული საქმიანობისას, სამართლიანობის, ურთიერთპატივისცემის, ადამიანის უფლებათა დაცვის, ჯანსაღი ცხოვრების წესისა და გარემოს დაცვის მაგალითს აძლევს მოსწავლეებს.
5. მასწავლებელი იცავს მოსწავლეებთან, მშობლებთან, მასწავლებლებსა და სკოლაში დასაქმებულ სხვა პირებთან დაკავშირებული ინფორმაციის კონფიდენციალობას, საქართველოს კანონმდებლობით დადგენი წესით.
6. მასწავლებელი, თავისი საქმიანობისას, ყოველთვის პუნქტუალურია და აცვია მოწესრიგებულად.
7. მასწავლებელი მეტყველებს ეთიკური ნორმების შესაბამისად, გამართული და მოსწავლეებისათვის გასაგები ენით.
8. მასწავლებელი ეფექტურად იყენებს პედაგოგიური საქმიანობისათვის განკუთვნილ დროს, ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სასწავლო მიზნებისა და ამოცანების მისაღწევათ.
9. მასწავლებელი უფრთხილდება სკოლის ქონებას და მიზანმიმართულად იყენებს სკოლის რესურსებს.
10. მასწავლებელი არ იყენებს პროფესიულ ან ინსტიტუციურ პრივილეგიებს პირადი მიზნებისათვის.
11. მასწავლებელი ზრუნავს საკუთარ უწყვეტ პროფესიულ განვითარებაზე.

მუხლი 4. მოსწავლეებთან ურთიერთობა

1. მასწავლებელი ითავსებს მოსწავლის მრჩევლის ფუნქციას სასწავლო პროცესში წარმოქმნილი სირთულეების გადასალახად და, მოსწავლის სურვილის შემთხვევაში, ეხმარება მას პირადი პრობლემების მოგვარებაში.
2. მასწავლებელი არ აყენებს მოსწავლეს სიტყვიერ ან ფიზიკურ შეურაცხყოფას და არ ახდენს მასზე ემოციურ (ფსიქოლოგიურ) ზეწოლას.
3. მასწავლებელი არ უწევს საკუთარ მოსწავლეს დამატებით ფასიან საგანმანათლებლო მომსახურებას, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
4. მასწავლებელი ინარჩუნებს სიმშვიდეს კონფლიქტურ სიტვაციებში, ისმენს მოსწავლეთა აზრს და იღებს ობიექტურ და სამართლიან გადაწყვეტილებებს.

5. მასწავლებელი, სასწავლო პროცესის განმავლობაში, ზრუნავს მოსწავლის ჯანმრთელობის, პირადი უსაფრთხოებისა და საკუთრების დაცვაზე.
6. მასწავლებელი მაგალითს აძლევს და ეხმარება მოსწავლეებს ჯანსაღი ცხოვრების წესისათვის აუცილებელი ღირებულებებისა და უნარ–ჩვევების ჩამოყალიბებაში.
7. მასწავლებელი, მოსწავლეებთან ურთიერთობის დროს, იცავს მორალურ და ზნეობრივ ნორმებს.
8. მასწავლებელი პატივს სცემს მოსწავლეთა აზრებს, უქმნის მათ ყველა პირობას იდეებისა და შეხედულებების თავისუფლად გამოსახატად.
9. მასწავლებელი არ ეწევა მოსწავლეებთან რელიგიურ (გარდა იმ სკოლების მასწავლებლებისა, რომლებიც ეწევიან რელიგიურ საგანმანათლებლო საქმიანობას) და პოლიტიკურ პროპაგანდას.
10. მასწავლებელი არ იყენებს მოსწავლის ფიზიკურ და ინტელექტუალურ შრომას ან პოტენციალს პირადი მიზნებისათვის.
11. მასწავლებელი იჩენს თანაბარ ყურადღებას ყველა მოსწავლის მიმართ, განურჩევლად სქესის, რასის, ენის, რელიგიის, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილების, ქონებრივი მდგომარეობის ან სხვა ნიშნისა და ზრუნავს, რომ ყველა მოსწავლემ მიიღოს ხარისხიანი განათლება, მათი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებისა თუ შეზღუდული შესაძლებლობის მიუხედავად.

მუხლი 5. მშობლებთან ურთიერთობა

1. მასწავლებელი თანამშრომლობს მოსწავლის მშობელთან და, საჭიროების შემთხვევაში, აწყობს მასთან ინდივიდუალურ შეხვედრებს. მასწავლებელი თანამშრომლობს მოსწავლის მშობელთან და თავაზიანია მასთან ურთიერთობისას.
2. ყოველი სასწავლო ტრიმესტრის დასაწყისში მასწავლებელი განმარტებებს აძლევს მშობლებს სასწავლო გეგმისა და მის მიერ არჩეული სწავლების მეთოდების შესახებ.
3. მასწავლებელი მოთხოვნისა და საჭიროების შესაბამისად, მშობელს დროულად და ინდივიდუალურად აწვდის ინფორმაციას მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ.
4. მასწავლებელს, თუ ის კლასის დამრიგებელია, აქვს ყველა მშობლის საკონტაქტო ინფორმაცია, რათა, საჭიროების შემთხვევაში, დროულად შეძლოს მშობელთან დაკავშირება.
5. მასწავლებელი ატყობინებს მშობელს მოსწავლის დისციპლინური დარღვევის შესახებ და ხელს უწყობს მის ჩართვას სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულ დისციპლინურ წარმოებაში.
6. მასწავლებელი დაუყონებლივ უზრუნველყოფს მშობლის ინფორმირებას, თუ მოსწავლე არ გამოცხადდასკოლაში, ან მის ჯანმრთელობას და პირად უსაფრთხოებას საშიშროება დაემუქრა.

მუხლი 6 . სკოლის დირექციასთან, მასწავლებლებთან და სკოლაში დასაქმებულ სხვა პირებთან ურთირთობა

1. მასწავლებელი თანაბარი პატივისცებით ეპყრობა სკოლის დირექციას , მასწავლებლებსა და სკოლაში დასაქმებულ სხვა პირებს, მიუხედავად მათი პროფესიული გამოცდილებისა თუ პიროვნული თავისებურებებისა.
2. მასწავლებელი უზიარებს შეძენილ ცოდნასა და გამოცდილებას კოლეგებს და თანამშრომლობს მათთან.
3. მასწავლებელი თანამშრომლობს სკოლის მანდატურთან და ითვალისწინებს მის მიერ მიწოდებულ ინფორმაციას.
4. მასწავლებელი თანამშრომლობს სკოლის დირექციასთან და თავისი წვლილი შეაქვს სკოლის განვითარებისათვის დაგეგმილ ღონისძიებებში.

თავი III. ეთიკის კოდექსის დარღვევა

მუხლი 7. პასუხისმგებლობა ეთიკის კოდექსის დარღვევაზე

მასწავლებლის მიერ ეთიკის კოდექსის უხეში ან სისტემატური დარღვევა იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს კანონმდებლობისა და მასწავლებელთან დადებული შრომითი ხელშეკრულების შესაბამისად.